

კვირის პალიტრა

მგზ

სვ

№21 (311) 25/V-31/V.2006. ფასი 60 თ.

ნუსა შანშიაშვილი საშინელ სენს გადაურჩა



1168
2006

მინ-გადადო
მისთვის თავი

ქართული ჯარი




სერჟანტმა
საკუთარი პსეულის
სნაიპერი შეირთო



ფახეძიძე ხათუნა ჟორდანიას აბრეხიულობითა და პრეპენზიულობით გამოირჩევა

„ზურას ძალიან უჭირს ჩემს
ფახეძიძეობასთან შეგუება“

ფახეძი — იმპერატორის ფავორიტი, ტურისტული „სამოთხე“ და პირველი ქართული კრუიზი



ეროტიკული კლიპი, რომელიც უდაბნოში გადაიღა

26 მაისი

ზინარჩუნე კავშირი ისტორიასთან



მაგთიკომი გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს

დამოუკიდებლობა ნიშნავს თავისუფლებას...

არჩევანის უფლებას...

საკუთარი თავის გამოხატვის უფლებას...

მაგთიკომი ულოცავს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს
და ყველა ჩვენგანისათვის ესოდენ ნანატრ თავისუფლებას.

☎ 25 11 11 25 00 00 525
www.magtism.ge



მაგთი MAGTI
GSM

SMS-პროსკოპი

ზუსდით მოულოდნეობას მოგზადაბული



ყოველ დღეს მიიღეთ ასტროლოგიური პროგნოზი!

თუ დღის ასტროლოგიური პროგნოზის მისაღებად ყოველდღე რეკავდით შესაბამის ნომერზე, ამიერიდან შეძლებთ ერთი ზარით შეუკვეთოთ თვის ან წლის ინფორმაცია, რომელსაც დღის საათებში მიიღებთ. ტარიფი შეღავათიანია:

დღის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 12 თეთრი
თვის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 1 ლარი
წლის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 10 ლარი

თვის ან წლის ინფორმაციის გამოსაწერად მოგილურება აკრიფთ:

44300171, თქვენი დაბადების თვე და რიცხვი (მაგ: 5 იანვარი ჩაინერება, როგორც 0105) და OK.

☎ 25 11 11 25 00 00 525
www.magtism.ge



მაგთი MAGTI
GSM



მინიატურები	
ბაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს ანუ „ტაშ-ტაშ, ტარამ-ტარამ, მრავალქამიერ“...	3
ერთი კითხვა	4
რუსული პრესა	
„მგრუნველი“ მემოუარი და ქართული პოლიტიკური რეალობა	6
ეპიკანი	
ჰოლივუდელი კოლის ბამბოფრავები და მათი მავნე გეგმვლების სავალალო შედეგები	8
ოვიაქტივი	11
ქურალისტის რეკვი	
ვინ ბადალო ნუა მანთაჰვილისთვის თავი 12	
კრიმინალი	
<ul style="list-style-type: none"> „პოლიციელის მიერ ჩადენილი მკვლელობა „სპეცოპერაციის“ სახელით ინიღბება“ „წაქმნულს იარაღიდან გავიგვად უსროლა“ 	14
გზავნილება	
საყვარელი საქმიანობა – მალეობა ექიმს ანუ ვის უნდა ქართველი ქმარი? 17	
ქორწინება	
ასეულის სერჟანტს თავისი ჯარისკაცი შეუყვარდა ანუ ღმერთმა შეგარტო, ბატონო სერჟანტო!	21
პრობლემა	
შესაძლებელია თუ არა ჩასახვამდე ბავშვის სქესის დაგეგმვა	23
ოჯახი	
ფეხმძიმე ხათუნა ჰორდანი და ცოლის აკვიტაბული სურვილებით ბაბრუხუბული გურა ხაჩიძე	25
თინეიჯერული პონტაჰი	
ხულიბანი ანი გიუნტარის თინეიჯერული თავბადასავლები	27
საზღვრებს მიღმა	
საქართველოზე ღმინფორმაციის მანთაჰრულად სამი სტუდენტის საჰარიმა	30
ანტიდეპრესანტი	
ინფორმაციულ-შემთხებითი კოლაჰი გორა ღვალის უბის წიგნაიდან	34
სხვათა შორის	
ღიაგნოში	34
ტაიპ-აუტი	36
გენტსეაარი	
შიო გვებამე. მონანიება (ბაბრქელება)	38
იმიჰი	
მასაჰი ცხელი ქვებით ანუ სილაგამისთვის ბაღბუბული მსხვერპლი	43
ჯანმრთელობა	
როგორ მირვიშორთ სოკო ფეხიდან	44

ფოტოგრაფის ალბომიდან



თბილისი, დარეჯანის სასახლე, 1989 წლის 23 სექტემბერი.

ემოში შეკრებილი ხალხი სულგანაბული უსმენს ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებს – მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას, რომლებიც მისიონერს, ნობელის პრემიის ლაურეატს, დედა გერემას მასპინძლობენ...

11

ასეულის სერჟანტს თავისი ჯარისკაცი შეუყვარდა

„სკოლის დამთავრებისთანავე ჩავაბარე ინსტიტუტში, მაგრამ ვერ მოვისვენე, რადგან ჯარში წასვლა გულით მინდოდა. იმ ზაფხულს, მე და ჩემი და დასასვენებლად მღვანე ვიყავით. გავიგე, რომ თურმე, კომანდოს ბატალიონში საბუთების მიღება 12 სექტემბრამდე იყო. ჩემი და დავტოვე და მარტო წამოვედი“.



21

„თუ ფეხმძიმე ქალს ჰა და წყარო მსიხმრა, გოგონას უბრ, თუ ნული ან დანა ნახა – გაჰი გეოლეჰა“




იმ თჯახებში, სადაც მოგადად, უშვილობის პრობლემა დგას, ნაკლებად აინტერესებთ, შესაბამისი მკურნალობის შემდეგ, ვაჰი შეეძინებათ თუ ქალი. ხშირ შემთხვევაში, თჯახში მემკვიდრეზე ზრუნვა მაშინ იწყება, როდესაც წყვილს უკვე ჰყავს ორი ან მეტი ქალიშვილი.

23

ფეხმძიმე ხათუნა ჰორდანი და ცოლის აკვიტაბული სურვილებით ბაბრუხუბული გურა ხაჩიძე

„ფეხმძიმობის პირველ ნახევარში, თჯახის წვერების მიმართ საშინლად აგრესიული ვიყავი. მაგრამ ვაჰკაცურად აიტანეს ყველაფერი, გამიძლეს (იღიშება), რაც ახლა ძალიან დავუფასე. გულწრფელად მეცოდებიან ყველანი, ვინც ჩემი ფეხმძიმობის პირველი პერიოდი ღირსეულად გადაიტანეს“.



25

ფენიკსი

გღვინსპირთელების ღინასტია
საქართველოში, ტურისტული
„სამოთხე“ ღა ერთ-ერთი
პირველი ქართული კრუიზი 46

ტაქარი

უკველანი ქრისტიანული მონასტერი,
ცეცხლთაყვანისმცემელთა წინააღმდეგ
მეზარქოლი ასურელი მამა ღა
ქრისტიანულ სალონაჲში ღორის
შენიძრვის ტრადიცია... 49

ასპარაჲი

ალექსანდრა ანაილოგოვი –
ხელუბრთელი, რომელმაც
საკუთარი თავი შექმნა 50

კადრს მიღმა

უღანოში გაღაზული პროტესტული კლიპი 53

ტანდემი

33 წლის ეთერ კაკულია
ღაბა ბოღბუასთან საერთო ენა
აღვიღალ გამონახა 54

მეუ

რატომ ავიწროებღა ნუგოს თავუნა?... 56

სახე

ბუბა კიკაბიძე საქართველოში
მარსკვლავის გახსნას არ ელოღა 57

მეოუბიზენი

რომანი 58

რომანი

რუსულან ბერიძე. თქეში (ბაბრკელეა) 60

ნერკევი

„მამენოთ მოგაგალი“ ღა ცრემლები
მეცხრეკლასელი მახოს თვალებზე 66

მუნდიალი

66

ავტო

68

სქანვორდი

69

ჰოროსკოპი

კვირის (25-31 მაისი)
ასტროლოგიური პროგნოზი 70

ტესტი

რამდენად კარბად
გახვით საპირისპირო სქესის? 71

...ღა ბოლოს

72

სულიგანი ანი გიუნტერის თინეიჯერული თავგაღასაკლები



„მასსოგს, პირველად გაკვეთილ-
ღან რომ გავიპარეთ, მოოპარკეში
წავედით. პოლიციელებმა დაგვიჭირეს
ღა ჩემი დღიური რომ ნახეს, სადაც
ხუთიანები იყო ჩაწიკვიკებული, მითხ-
რეს: არ გრცხვენიაო?– ჩემი ღა ერთა-
დერთხელ წავიღა „მაგალიოზე“ ღა ისიც
– მუბეუმი. მაგარია, არა?“

27

გღვინსპირთელების ღინასტია საქართველოში, ტურისტული „სამოთხე“ ღა ...

არჩილ ყუფარაძის დიდი ბაბუის მამა
– ჰეტრე პომორცევი რუსეთის სამღვაო
სამინისტროში მუშაობღა ღა იმპერატორ
ალექსანდრე მესამისგან ჯილდოც კი მი-
ულღ; დიდი ბაბუა – ალექსეი პომორცევი
– საწყალონო ღა საგრანსპორტო დე-
პარტამენტში ღა 1902-09 წლებში, ბათუ-
მის, ფოთისა ღა სოხუმის პორტების
მშენებლობებს ხელმძღვანელობღა.



46

ბუბა კიკაბიძე საქართველოში მარსკვლავის გახსნას არ ელოღა




„1999 წელს, ჩემი ვარსკვლავი მოსკ-
ოეში გაიხსნა ღა მაშინ ისე ვინერვი-
ულე, რომ კინაღამ გული გამისკღა,
მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა
უფრო მეგად ვნერვიულობ, რადგან
საქართველო სიმღერის ქვეყანაა ღა
თითოეული ქართველი, თუნდაც ის
გაუნათლებელი იყოს, ხელოვნების ამ
ღარგში კარგად ერკვევა.“

57

მონანიება

ჭადარას ვინაობის დადგენა
გამოძიებას ბევრ დროს წაართ-
მევღა, ახლა კი უნღა გამოვიყ-
ენოთ ჩვენს ხელთ არსებული ეს
მთავარი კომირი ღა ისეთი სვლა
გავაკეთოთ, რომელიც ჩარგივეს
ღაარწმუნებს, რომ ჩვენთვის ყვე-
ლაფერი ცნობილია.



38

გარეკანზე: ირმა ღიპარტაღიანის კოლაჲი

საწოგალომპრიმ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოღის კვირაში მრთხვლ, სუთუბათოზით
გაწვით „კვირის პალიტრის“ ღამათმბა

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაღლო არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

რედაქტორი: გონა ტყემელაშვილი

მენეჲერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებოძის ქ. №49

ტელ: 38-50-03 email: gza@kvirispaitra.com

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს ანუ „ცაშ-ცაშ, ცარამ-ცარამ, მრავალფემიერ“...



ქვეყნისთვის დამოუკიდებლობის დღე ისეთივე მნიშვნელოვანი თარიღია, როგორც ადამიანისთვის — დაბადების დღე. მართალია, საქართველო უხსოვარ დროში დაიბადა, მაგრამ ოფიციალურად „დაბადების მოწმობა“ 1918 წლის 26 მაისს აიღო და აქედან გამომდინარე, ხვალ იგი 88 წლის ხდება.

არადა, რა არის სახელმწიფოსათვის 88 წელი? — არაფერი. 88 წლის ქვეყნები ანი ინყებენ ცხოვრებას. მით უმეტეს, რომ ქვეყანას, ისევე როგორც ქალს, ასაკს არ ეკითხებიან და იგი იმდენი წლისაა, რამდენისადაც გამოიყურება სხვის თვალში. სხვის თვალში კი, ჩვენი მთავრობის წყალობით, საქართველო პატარა ბავშვს ჰგავს, ცელქსა და მოუსვენარს.

ეგ არაფერი, ბავშვი უზრდელი არ უნდა იყოს, თორემ ცელქი და მოუსვენარი რომაა, მის ენერგიულობასა და ნიჭიერებაზე მეტყველებს. ჰოდა, ბავშვივით გვისარია, 26 მაისს რომ ჩვენი დაბადების დღეა. საჩუქრებსაც ალბათ, ისეთს

ბადების დღისთვის. სტუმრად ოფიციალურად არავინ დაგვიპატიუბია. ვისაც გავახსენდებით, ის მოვა. რა პრობლემაა, მოვიდეს. ქართულ-ოჯახური ტრადიციის არ იყოს, ღვინო გვაქვს თავზე სასხმელი და თუ ოჯახში ღვინო გაქვს, სტუმარს პრასი და ცივი მჭადიც რომ მიუტანო, უკვე აღარ გერიდება. სანახაობრივ მხარეს რაც შეეხება: ამაში ხომ ბადალი არა გვყავს!

ჯერ მარტო 18-ათასკაციან სამხედრო ალღუმს ვატარებთ. როგორც ამბობენ, უპრეცედენტო ალღუმი იქნება: მთელი მაისის განმავლობაში წვიმებია გამოცხადებული და შეიძლება, სახმელეთო და საავიაციო ძალების გარდა, სამხედრო გემებიც კი ჩავაცუროთ პარლამენტის წინ.

ჯერ კიდევ, ათასნაირი ღონისძიება მზადდება: თავისუფლების მოედანზე თავისუფლების მონუმენტი გაიხსნება, რესპუბლიკის მოედანზე — რესპუბლიკის მონუმენტი, ვაგზლის მოედანზე, კარგა ხანია უკვე დგას ვაგზლის „მონუმენტი“. მაგრამ იმასაც გადავფარებთ თეთრ ზენარს და მერე მოვხსნით სტუმრების თვალწინ. ვითომ ახლა გავხსენით და გაუკვირდებოდათ, ერთ წელწინადმი რამდენი რამ მოგისწრიათო და უფრო მეტ ფულს გვაჩუქებენ...

მერე საკონცერტო სანახაობები და სახალხო სეირნობები მოეწყობა და შუალამისას, რა თქმა უნდა, ფეიერვერკი გაანათებს თბილისის ცას. ეს ძვირი სიამოვნება თურმე ამჯერად ერთი თეთრ-რიც არ დაგვიჯდება: ენერგეტიკის მინისტრს უთქვამს, ჩავიბუნე მე-9 ბლოკზე, „+“ და „-“-ს შევავრთებ და მთელ თბილისში ისეთ „ზამეკანის“ მოვანყობ, რომ სტუმრებს თვალები შუბლზე აუვათო... ეგ კარგია: შუბლზე ასული თვალებით სტუმრებს თავის აწევაც აღარ დასჭირდებათ, ისე ნახავენ ფეიერვერკს.

დაბოლოს, რა თქმა უნდა, საიუბილეო ტორტი, რომელიც 88 სანთელი იქნება განწყობილი. ოღონდ, ამ 88-დან 69 სანთელი არ აინთება — საბჭოთა კავშირში ყოფნის გამო და თან ეკონომიასაც გავაკეთებთ.



მოგვიტანენ, ბავშვს რომ შეეფერება.

ვენაცვალე ევროამერიკულ ტრადიციებს. აბა, ჩვენი წესი იყო წესი?! ჯერ თავი უნდა მოგველა საჩუქრის მიღებისას, რატომ ნუხდებოდით, არ იყო საჭიროო... მერე ცნობისმოყვარეობა გტანჯავდა, რა იდო იმ ლამაზად შეფუთულ ყუთებში, მაგრამ გახსნა სირცხვილად მიიჩნეოდა, სანამ სტუმრები არ წავიდოდნენ.

ახლა — პირიქითაა: შეგიძლია, იმწუთასვე ჩაძვრე ყუთებსა თუ კონვერტებში. ჩვენი მთავრობაც, რა თქმა უნდა, ასე მოიქცევა: თუ ფული იქნა, ეგრევე გაიქცევა „ბუტკაში“ და „უაჩებს“ და ნაყინს იყიდის, ხოლო თუ „სათამაშო“ აღმოჩნდა, ანუ სამშენებლო ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და კომპიუტერები, მანამ არ მოისვენებს, სანამ არ დაშლის და არ გაიგებს, რისგან შედგება. მერე ვეღარ აანყობს და ჩათვალე — გადასაგდება. რას ვიზამთ, თუ ბავშვების ქვეყანა ვართ, გვეპატიება. თუ საჩუქრებში ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც აღმოჩნდა (ესეც მიღებულია ბავშვის დაბადების დღეზე), ნუ გაგიკვირდებათ, თუ ერთი-ორი ზომით დიდი მოგვივა. ჩვენ ხომ მოზარდები ვართ და გაისადაც ხომ უნდა მოგვერგოს...

მომზადებით კი, მართლაც სერიოზულად ვემზადებით და-

P.S. — ბატონო პრეზიდენტო, საიუბილეო ტორტი მზად არის. მობრძანდით, ნახეთ...

- ყოჩაღ, ძალიან ლამაზია! კვერცხი სადაურია?
- თურქული.
- ფქვილი?
- რუსული.
- კარაქი?
- უკრაინული.
- შაქარი?
- კუბური.
- სანთელი?
- ჩინური.
- მაშ, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!!!

პროპოკატორი

„არ ვაზივით უზნეო აღაზიანები...“

„ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 16 მაისს დაგეგმილი ღონისძიების ჩაშლის უფლებას არავის მისცემენ. რა ფორმატის იქნება თქვენი აქცია ამ დღეს?“

ირაკლი კახაბაძე, „თანასწორობის ინსტიტუტის“ ლიდერი:

— მშვიდობიანი აქციის ფარგლებში, საკუთარი აზრის გამოთქმას ვერავინ დაგვიშლის. ამ ეტაპზე, მხოლოდ იმის თქმა შემძლია, რომ ვაპირებთ, 26 მაისს, არ ვაზივით უზნეო აღაზიანები, რომლებსაც უდანაშაულოთა სიკვდილში, წამებასა და დაჭრაში მიუძღვით ბრალი. ჩვენი მოთხოვნა მარტივია — იმ აღაზიანების საჯაროდ დაკითხვა, ვინც სანდრო გირგვლიანის საქმეშია დამნაშავე. ადვოკატ შალვა შავგულიძეს ნდობა გამოვუცხადეთ და ეჭვმიტანილების დაკითხვა, მისი და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის თანდასწრებით, სრულიად გამართლებულად მიგვაჩნია, თუმცა, უმჯობესი იქნება, თუ ამ პროცესს პირდაპირ ტელევიზიით აჩვენებენ. ბილ კლინტონი მონიკა ლევინსკის ირგვლივ ატეხილ სკანდალთან დაკავშირებით, საჯაროდ დაიკითხა და პროტესტი არ გამოუთქვამს. არადა, მას ახალგაზრდა, უდანაშაულო აღაზიანის მკვლელობაში არავინ აღაზიანებდა. გირგვლიანის საქმეს, ახლა უკვე ამირან რობაქიძის ლიკვიდაციაც დაემატა. ამ საქმესთან დაკავშირებითაც მოვიტხოვთ, საქმის მასალების გამყალბებელთა და უშუალო მკვლელთა დასჯას. ჩვენ არ გამოვრიცხავთ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სხვა ტიპის ზეწოლას აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ. როცა შსს — ანუ „შვილების სიცოცხლე საფრთხეშია“ და „სიკვდილის ოპერატიული დეპარტამენტი“ — იგივე სოდი, სხვა კანონის დამრღვევ უწყებებთან ერთად, ამდენ სიბინძურესა და სისასტიკეს სჩადის, მათგან ყველაფერს უნდა ელოდო, მაგრამ ტერორს არ შევუშინდებით და აქციები კვლავ გაგრძელდება. საქართველოში „სიკვდილის ბრიგადების“ თარეში უნდა შეწყდეს.

„შეიძლება, პროცესი გაიწელოს, მაგრამ ამოკალურობა აღიკვეთება“



— თქვენ სემეკის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანეთ, მაგრამ თუ სასამართლოს ობიექტურობის არ გჯერათ, რაღა აზრი ჰქონდა ამ ნაბიჯს?

შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:

— სააკაშვილის მმართველობის

პერიოდში, სასამართლო თავისუფლად ვერ ამოისუნთქავს, მაგრამ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. 2002 წელს, ლეიბორისტულმა პარტიამ შეძლო, საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით, დენის ტარიფი შეემცირებინა. იმავდროულად, სასამართლომ დენის ტარიფის შემდგომი გაზრდაც აკრძალა. ასე რომ, ტარიფის მატება არა მარტო უზნეობაა, არამედ ანტიკონსტიტუციური ქმედებაც. ჩვენი პარტია შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, 2 წელი იბრძოდა დენის ტარიფის შესამცირებლად, ბოლოს შედეგს მაინც მივაღწიეთ. ახლაც იგივე განმეორდება. შეიძლება, პროცესი დროში გაიწელოს, მაგრამ ამორალურობა აღიკვეთება. სამწუხაროდ, სააკაშვილი ხალხმა პრეზიდენტად აირჩია, მაგრამ კაცად და პოლიტიკოსად ვერ აქცია. ენერგეტიკის სექტორში ფასების ზრდა უსწრაფესი ტემპით მიმდინარეობს, შემოსავლები კი — ნულამდე დაყვანილი. ეს აუცილებლად გამოიწვევს სოციალურ მღელვარებას, რაც სააკაშვილის კაბინეტთან დაკავშირებით დასრულდება.

აფხაზეთში გადათიქილება ქონებას კანონიერად იძენენ

— საქართველოს ხელისუფლება დევნილებს ქონების დაბრუნებას ჰპირდება, აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტი კი, საცხოვრებელი ბინების გასხვისებაზე კანონპროექტს ამზადებს. რა გეგმა აქვთ სოხუმში ქართულ ქონებასთან დაკავშირებით?

პაატა დავითიანი, ექსპერტი:

— სოხუმმა მიიღო კანონი ქონების ნაციონალიზაციის შესახებ, ქონების აღნუსხვა უკვე დასრულებულია, ახლა პრივატიზაციის პროცესი დაიწყება. ამჟამად, ნებისმიერი ქართველის სახლს აფხაზეთში, ახალი პატრონი ჰყავს და მათი გვარები დაფიქსირებულია. ამ ტერიტორიაზე მოქმედი კანონის შესაბამისად, უკანონო მფლობელები სახლებს აუქციონის წესით, სახელმწიფოსგან გამოისყიდნიან. ძაღლის თავიც სწორედ აქ არის დამარსული: რუსეთის მოქალაქე აფხაზი ამ ქონებას რუსეთის მოქალაქე რუსს მიჰყიდის, ეს უკანასკნელი კი, კანონიერი მყიდველი იქნება, რომელ-

საც იურიდიულად ვერავინ შეედავება. ამ პრობლემიდან ერთი გამოსავალი არსებობს — კომისიის წევრებზე, რომლებიც ქონების პრივატიზაციას ახდენენ, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და ძებნილებად გამოცხადდნენ. მყიდველი კი, ძებნილთან კონტაქტსა და მისგან ქონების შექენას მოერიდება. დღეს იმაზე ლაპარაკი, რომ აფხაზეთში დაებრუნდებით და ქონებაც ხელუხლებელი დაგვხვდება, — ტყუილია. აფხაზეთში მრავალი წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართველმა სასამართლოში თავის ქონებაზე პრეტენზია განაცხადა და პროცესი მოიგო, მაგრამ დე ფაქტო ხელისუფლება ისე შეაშფოთა ამ პრეცედენტმა, რომ მსგავსი საქმეების განხილვა საერთოდ შეაჩერეს. საქართველოს მთავრობამ უნდა იაქტიუროს მანამ, სანამ საქართველოს მიწაზე ქართველების ქონებას კანონიერი მფლობელები გამოუჩნდებიან.

„კასიინტი დაუსვლია, უფრო გიჟი პირობაში იმყოფებინა ამიერი“

— საზოგადოებაში ექიმების მიმართ სერიოზული უნდობლობა ჩამოყალიბდა. ვინ უნდა დაიცვას მედპერსონალის ან დაზარალებული პაციენტის უფლებები?

დავით საბანელიძე, პარლამენტის წევრი:

— სტატისტიკური მონაცემები პაციენტთა სიკვდილიანობის ზრდას არ ადასტურებს. ეს თემა ხელისუფლებისგან არის წამოსული და ამ პრობლემების გამწვავება ყველაზე მეტად ხელისუფლებას აძლევს ხელს. მიზეზი მარტივია — გადაფარონ ძალოვანი სტრუქტურებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის გამო გაბატონებული, საზოგადოების უკმაყოფილება. ადამიანთა გარდაცვალება ზოგჯერ გამოწვეულია ექიმთა არაპროფესიონალიზმით ან დაუდევრობით, ხანდახან — დაავადების განვითარებით, მაგრამ მთელ სისტემაზე აგრესიის გადატანა, სწორი არ არის. იმ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში, როგორშიც დღეს ჩვენი ექიმები მუშაობენ, მათი საქმიანობა ხშირ

შემთხვევაში, გმირობის ტოლფასია. ეს მაშინ, როცა კანცელარიის, სამინისტროების თუ ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა ხელფასების ზრდის ფონზე, მედპერსონალის შრომითი ანაზღაურება მინიმალურ ზღვარზე დარჩა. საქართველოს ხელისუფლება XX საუკუნეში მოქმედებს ზუსტად ისე, როგორც ბოლშევიკები — წინა საუკუნის 30-იან წლებში. დღეს საქართველოში პაციენტი უკიდურესად დაუცველია, კიდევ უფრო მძიმე პირობებში იმყოფებიან ექიმები. მედიცინა უფაქიზესი და ურთულესი დარგია და მისი ხელაღებით კრიტიკა, დაუშვებელია. თითოეული ფაქტი, რომელიც ფატალური შედეგით დასრულდა, გამოსაძიებლად უნდა გადაეცეს სათანადო უწყებას. არაპროფესიონალს ადამიანის სიცოცხლე არ უნდა ვანდოთ, მაგრამ ცალკეული შეცდომებიც არ უნდა გახდეს მთელი სამედიცინო საზოგადოების დისკრედიტაციის საფუძველი. პაციენტმა ექიმის მიმართ ნდობა არ უნდა დაკარგოს — ეს ძალიან სასიფათოა. ■

„სტრატეგიულ პარტნიორობას მათხოვრობა უფრო მოგვწონს, ვიდრე თანამშრომლობა“ ...

— უნივერსიტეტის პროფესურა საპროტესტო აქციებით ცდილობს, ლომიას რეფორმას დაუპირისპირდეს. თქვენთვის რა არის მიუღებელი იმ პროცესებში, რაც უნივერსიტეტში მიმდინარეობს?

შოთა ვაშაძიძე, აშშ-ის რადგერსის უნივერსიტეტის პროფესორი:

— ამერიკის ეკონომიკა თავიდან ბოლომდე უნივერსიტეტებიდან იმართება. უნივერსიტეტებში ხდება ახალი იდეების შემუშავება და შემდგომ, ინდუსტრიაში მათი დანერგვა. ეს არის მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი, დიდი ხნის წინ აპრობირებული და უკვე დანერგილი მოდელი. დასაინანია, რომ საქართველომ სრულიად სანინალმდეგო მიმართულება აირჩია, სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქცია დააკნინა და ფუნდამენტური მეცნიერებების წინააღმდეგ გაილაშქრა. ეს ცუდი ტენდენციაა. ჯერ კიდევ არსებობს რაღაც რესურსები იმისათვის, რომ საქართველომ აშშ-დან გადმოიტანოს და დანერგოს ახალი ტექნოლოგიები, თუმ-

ცა ჩვენს ქვეყანაში არ ხდება ამ შესაძლებლობების სწორი დანახვა და რეალიზება. სამწუხაროდ, ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორობას მათხოვრობა უფრო მოგვწონს, ვიდრე თანამშრომლობა. შესაბამისად, ეკონომიკაც ვერ „ამოინია“. საქართველოში ყველაფერი შებრუნებულია: აქ პოლიტიკა მართავს განათლებასა და ეკონომიკას, როცა ამერიკაში ქვეყნის ძირითად მიმართულებებს უნივერსიტეტები განსაზღვრავს. განათლების რეფორმის მიხედვით, ყველაფრის უნიფიცირება ხდება. ყველა ერთ ჩარჩოშია მოქცეული, ერთ გამოცდას აბარებს და მათ ყოველგვარი ინდივიდუალური განვითარების პერსპექტივას უხშობენ. ეს განათლებისთვის დამღუპველია. როცა პროფესურა საფრთხეს ხედავს და ხელისუფლებას რჩევით მიმართავს, მისი მოსაზრებების იგნორირება მართებული არ არის. სამწუხაროა, რომ ამ სიტუაციაში ერთადერთი გზა დარჩა — საპროტესტო აქციების გამართვა. ■

„კომიკური განსხვავების გაკეთება უბრალოდ, სასწილოა“

— რატომ არ მიიღო ოპოზიციამ დავით კირკიტაძის „კეთილი ფესტი“ და როდემდე აპირებთ ბოიკოტის გაგრძელებას, თუკი ხელისუფლება თქვენს მოთხოვნებს არ ცნობს?

დავით ბაგჩიალიძე, „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:

— დემოკრატიულ სახელმწიფოში, ოპოზიციას თითოეულ საპარლამენტო კომიტეტში უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, რათა უმცირესობა ფლობდეს რეალურ ბერკეტებს. „დემოკრატიულმა ფრონტმა“ სწორედ ეს კანონბრუნეტი წარმოადგინა. კარგი იქნება თუ უმრავლესობა ამ საკითხს სერიოზულად მიუდგება და ვაჭრობის საგნად არ გადააქცევს. კირკიტაძეს თუ უნდა, გადაადგეს, ჩვენ იმ თანამდებობებსაც ვუთმობთ, რომელიც პარლამენტში გვქონდა, მისი განცხადება ოპოზიციის ბოიკოტზე გავლენას ვერ მოახდენს. მიუხედავად იმისა, ხელისუფლება ცნობს თუ არა ჩვენს მოთხოვნებს და აპირებს თუ არა გონივრულ კომპრომისზე წასვლას, ოპოზიცია სხდომათა დარბაზში არ დაბრუნდება. დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს ვანო მერაბიშვილი და ობიექტურად გამოიძიონ ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომელშიც საზოგადოების აზრით, მთავარი ეჭმითანილები პოლიციის მაღალჩინოსნები არიან. სხვა საკითხებზე ყურადღების გადატანა და კომიკური განცხადებების გაკეთება, „კეთილი ფესტის“ თანხლებით, უბრალოდ სასაცილოა. ხელისუფლებას უნდა დააფიქსიროს, რომ ოპოზიციის შემოსარინგებლად, გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, თუმცა ამ ზღაპრების ბავშვებსაც აღარ სჯერათ. განსაკუთრებით ვერ მოატყუებენ საერთაშორისო საზოგადოებას, რომელიც გულისყურით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ■

„ოზეროვი პერსონა ნონ გრატა უნდა გამოვაცხადოთ“

— რუსეთის „გოსდუმის“ წევრის, ვიქტორ ოზეროვის აფხაზეთში ვიზიტსა და მის განცხადებებს, პარლამენტის მწვავე რეაქცია მოჰყვა. ამის შემდეგ „შავი სის“ შედგენის პროცესი ისევ „გააქტიურდება“?

გივი თარბამაძე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:

— ოზეროვი აფხაზეთში საქართველოს მთავრობასთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე იმყოფებოდა. ჩვენ ბევრჯერ დავიქადეთ, რომ მსგავსი ვიზიტების დროს ადეკვატურ ზომებს მივიღებდით. მაგრამ ასეთი განცხადებები უკვე აზრს კარგავს. ახლა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის დროა. ოზეროვი პერსონა ნონ გრატად უნდა გამოვაცხადოთ. აი, ეს იქნებოდა ადეკვატური ქმედება, რომელიც რუსეთის ნებისმიერი რანგის ხელისუფლების წარმომადგენელზე შეიძლება გავრცელდეს. ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე, სადაც ოზეროვი რუსეთის დუმის დელეგაციის ხელმძღვანელია, ჩვენ, ამ საკითხს აუცილებლად დავაყენებთ. ოზეროვს პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ განცხადების გამოც, სადაც თქვა — საქართველოს დსთ-დან გამოსვლა, არ ნიშნავს ამ ორგანიზაციიდან აფხაზეთის გამოსვლას... დღეს ევროპის საბჭოში მინისტრთა კაბინეტს თავმჯდომარეობს რუსეთი. ჩვენ ეს ფაქტორი უნდა გამოვიყენოთ. გვაქვთ ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე რუსეთმა — არის თუ არა აფხაზეთი საქართველოს ნაწილი, თუ აფხაზეთის ტერიტორიაა, სადაც იმპერიალისტური ამბიციებს, რა ფორმითაც სურთ, ისე განახორციელებენ? ოზეროვის განცხადებები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ არის მიმართული. ამას საერთაშორისო არენაზე ძალზე მწვავე რეაქცია მოჰყვება და ეს არ იქნება მხოლოდ საპროტესტო ნოტა.

„მზჩუნვადი“ მეზოჯადი და ქართული პოლიტიკური რეალობა

რუსულან ლეხანიძე

ამჯერად, ამ სათაურის ქვეშ რუსული პრესიდან ამოკრებილი სამი პუბლიკაციის გაერთიანება ვცადე. ერთი შეხედვით, მათ თითქოს, ბევრი არაფერი აქვთ საერთო. პირველი, საქართველოს პრეზიდენტისადმი ნდობის რეიტინგს ეხება, მეორე — მისი ხელისუფლების განეიტრალების შესაძლებლობას, მესამე კი ქართულ დიპლომატიას, სტუმართმოყვარეობას და ქართული ღვინის ხარისხსაც კიდევ ერთხელ აქვს კბილი გაკრული. მაგრამ სამივე პუბლიკაცია მინც ერთ „ჭერქვეშ“ მოიაზრება, რადგან მათი ავტორების მიზანი ერთი რამის გარკვევაა: შესაძლებელია თუ არა ქართული ოპოზიციის ხელით სააკაშვილის ხელისუფლების დამხობა და რისი გაცემა მართებს ამ კუთხით (იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, ფინანსები თუ სხვა) რუსეთს. როცა რუსულ პრესაში უკვე ხმაილა მსჯელობენ იმაზე, თუ რა გზით და ვისი დახმარებით უნდა დაამხოს ქართულმა ოპოზიციამ სააკაშვილის თუნდაც, „სრულიად ურეიტინგო და ხალხისთვის ასაშლელი რეჟიმი“, სამართლებრივ ასპექტებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამით აღნიშნული პუბლიკაციების ავტორები (და არა მხოლოდ ისინი) მართო სააკაშვილის ხელისუფლებას კი არ აყენებენ დარტყმას, არამედ ჯერაც ნელ-ნელა დაელოდებიან გამართულ და ხალხში ასე თუ ისე პოპულარობამოპოვებულ ქართულ ოპოზიციასაც უტყუენ სახელს. ამგვარად, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავენ.

საკაშვილის ნდობის რეიტინგი ქრონიკულად ეცემა

...ამ დღეებში საქართველოში გამოქვეყნდა იმ სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რომელიც გაირკვა, რომ მიხედვით სააკაშვილის ნდობის რეიტინგი მხოლოდ 20%-ს შეადგენს. სოცგამოკითხვა რეპრეზენტაციური ამორჩევის ბაზაზე ტარდებოდა. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა რეგიონის (მათ შორის თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, დუშეთის, გორის, გურჯაანის, რუსთავის, ახალქალაქისა და სხვა დასახლებული პუნქტების) 2000-მდე მცხოვრებმა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, საქართველოს მმართველი რეჟიმის მიერ წარმოებული მასობრივი ანტირუსული პროპაგანდის ფონზე კი, პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ნდობის რეიტინგი სააკაშვილისაზე მაღალი (33%) აღმოჩნდა. ამასთანავე, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (46%) მიიჩნევს, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ხალხის ინტერესებს არ გამოხატავს. მიხედვით სააკაშვილის ნდობის რეიტინგის (33%) დაკლებას KMRU-სთვის მიცემულ ინტერვიუში კომენტარი გაუკეთა პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის დირექ-

ტორის მოადგილე **სარგაი ვისაივა**. — პირადად თქვენ, ამ ტენდენციას რას უკავშირებთ? — საერთოდ, სოციოლოგიური გამოკვლევები ძალზე ფაქიზი რამაა, ამიტომ მასზე მსჯელობას პირადად მე, რაც შეიძლება ფრთხილად მოვეკიდებოდი. სხვა საქმეა, რომ სააკაშვილმა თვით ამ სოციოლოგიური კვლევის ჩამტარებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც კი ამხედრა. ცოტა ხნის წინ, მან უნივერსიტეტის რექტორი და რამდენიმე სხვა საკვანძო ფიგურა ძალისმიერი მეთოდით შეეცვალა. ამ ვოლუნტარისტული და არადემოკრატიული გადაწყვეტილების წინააღმდეგ, თსუ-ის ინტელიგენციამ უკვე რამდენიმე საპროტესტო პეტიცია დაწერა. თუმცა, უკვე არავითარ ეჭვს ალარ ბადებს ის გარემოება, რომ გარდაუვალია სააკაშვილის რეიტინგის ნებისმიერ შემთხვევაში დაცემა, საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ რა ტემპით. იმიტომ, რომ თავისი წინასაარჩევნო დაპირებებიდან, რომელიც ის, თავის დროზე, გულუხვად არიგებდა, ერთი კი არ შეასრულა. სააკაშვილმა პირობა დადო, რომ აფხაზეთს შემოიერთებდა და სამხრეთ ოსეთის საკითხსაც გადაწყვეტდა, მაგრამ არ შეასრულა; მან დადო პირობა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ დაცემა შეინიშნება; ლაპარაკობდა სოციალური სფეროს მოწესრიგებაზე, რეალურად კი საქართველოში გაჭირვებული მოსახლეობის რაოდენობა ყოველდღიურად იზრდებოდა. ერთადერთი, რაც სააკაშვილმა გააკეთა, — ყველა „გაიშინიკის“ მოხსნა, რაც თავად „კორუფციასთან ბრძოლად“ მონათლა, რეალურად კი მხოლოდ პოპულისტური წვრილმანია და მეტი არაფერი. შიდა და საგარეო პოლიტიკური კონტექსტები, რომელთა ფარგლებშიც საქართველო არსებობს, განუხრელად უარესდება. ამერიკასთან მეგობრობის დეკლარირება საქართველოს რიგითი მოქალაქეებისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავს. იმიტომ, რომ ამას მოსახლეობისთვის რაიმე ხელშესახები ნაყოფი (კეთილდღეობის, უსაფრთხოების და ა.შ. ამაღლების სახით) უნდა გამოეღო. სინამდვილეში კი, ყველაფერი პირიქით მოხდა. სააკაშვილი მოუთმენლად ელის, თუ ბოლოს და ბოლოს, როდის ამუშავდება მთელი სიმძლავრით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ მილსადენი. მაგრამ ჯერჯერობით — ამაოვ. ხოლო ბოლო ცნობები იმის თაობაზე, რომ საქართველო მონდომებით ყიდის თავის ენერგეტიკულ სისტემას (ვესებს, ელექტროგადამცემ ხაზებს და ა.შ.), მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ქვეყანა ღრმა კრიზისში იმყოფება. ამასთან, საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად შეეცდება, რომ ქვეყნის ენერგეტიკა არა რუსულ, არამედ დასავლეთის ენერგოკომპანიებს ერგოს. მაგრამ არა მგონია, რომ ამის გაცემა მოხერხდეს. იმიტომ, რომ ქართული ენერგეტიკა, დიდი სურვილის მიუხედავად, მა-

ღალღმედოსავლიან სფეროდ ვერაფრით ჩაითვლება. სხვათა შორის, თავის დროზე, ერთმა ამერიკულმა კომპანიამ შეისყიდა საქართველოს ენერგოკომპლექსის ნაწილი. მაგრამ მერე, როცა მისი დაბალი რენტაბელობის პირისპირ დადგა, იძულებული გახდა, გაეყიდა. ასე რომ, მოცემული მომენტისთვის საქართველოს ხელმძღვანელობას მეტნაკლებად მისაღები ცხოვრების დონის შესანარჩუნებელი ფულიც კი აღარ აქვს. ამიტომაცაა, რომ სააკაშვილის რეიტინგის დაცემა არავითარ ეჭვს აღარ იწვევს.

— რამდენად დიდია იმის შანსი, რომ ქართულმა ოპოზიციამ სააკაშვილის რეჟიმის დამხობა მოახერხოს?

— ვფიქრობ, რომ მოვლენების ასეთი სცენარით განვითარების ალბათობა საკმაოდ დიდია. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთმა ქართული ოპოზიციის წარმომადგენლებს აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი. ბოლო სოციოლოგიური გამოკვლევაც იმას ცხადყოფს, რომ ამ თანამშრომლობას დიდი პოტენციალი აქვს. როგორც ჩანს, ის აზრი, რომ ვლადიმირ პუტინი საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობს, ჭეშმარიტებასთან მართლაც, ძალზე ახლოსაა. იმიტომ, რომ ეს ის ფიგურაა, რომელსაც სიმპათიის გამოწვევა თვით ადგილობრივი მასშედიის მიერ სისტემატურად „დამუშავებული“ მოსახლეობაშიც კი შეუძლია. საერთოდ კი, პოსტსაბჭოურ სივრცეში რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრობლემა ადრე იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ნაციონალური ელიტების ლოიალურობის ყიდვას ვცდილობდით. საბაზრო ფაქტობის ასეთი პრინციპი საგარეო პოლიტიკაში არაპროდუქტიულია. ჩვენ რუსეთისადმი სიმპათიით განმსჭვალულ მოსახლეობას უნდა

დავეყრდნოთ. სწორედ მასთანაა საჭირო მუშაობა — ანუ მისი წარმომადგენლების ფინანსური და ბევრი სხვაგვარი მხარდაჭერით უზრუნველყოფა.



საქართველოში რეიგელის ვიზიტის დროს

შეძლებს თუ არა რუსეთი საქართველოში თავისი პრორუსული ელიტის გამოზრდას?

...საქართველოს საგარეო უწყების ყოფილმა ხელმძღვანელმა და ამჟამად ერთერთმა წამყვანმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა, სალომე ზურაბიშვილმა, ამ დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში სააკაშვილის წინააღმდეგ შეთქმულება მნიშვნელოვანია. როგორც Gruzia.online იუწყება, ზურაბიშვილის ცნობით, შეთქმულების სათავეში არიან: პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე, მისი მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი, საპარლამენტო კო-

მიტეტების ხელმძღვანელები — კონსტანტინე გაბაშვილი და ელენე თევდორაძე, აგრეთვე, ოპოზიციონერი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი. ეს უკანასკნელი საკუთარ საინფორმაციო საშუალებას პრეზიდენტის მკაცრი კრიტიკისთვის იყენებს და აგრეთვე, ზურაბიშვილის ხელთ არსებული ინფორმაციით, მხარს უჭერდა ამ ცოტა ხნის წინ თბილისში გამართულ ოპოზიციის საპროტესტო აქციას. სააკაშვილის ანტირუსული რეჟიმის დამხობის მიზნით საქართველოს ოპოზიციური ძალების კონსოლიდაციის შესაძლებლობის საკითხს KM RU-სთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში კომენტარი გაუკეთა დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ვლადიმირ შარიხინამ.

— რამდენად შესაძლებელია მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება?

— რა თქმა უნდა, უდავოა, რომ ამ ცნობებს გარკვეული საფუძველი აქვს. ჩემი აზრით, ქართული პოლიტიკური ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი მზად არის იმ საპროტესტო განწყობილების მხარდასაჭერად, რომელიც ქართულ საზოგადოებაში თანდათან მნიშვნელოვანდება. უფრო ზუსტად კი, ისინი მზად არიან, იმ საპროტესტო განწყობილებისთვის სწორი გეზის მისაცემად, რომელიც უშუალოდ სააკაშვილის წინააღმდეგაა მიმართული. ამ უკანასკნელს პოლონეთის პრეზიდენტმა იოსებ ბესარიონოვიჩიკ კი უწოდა, როცა შემთხვევით წამოსცდა: „მე ძალიან მომეწონა ბატონ ჯულაშვილთან შეხვედრა და საუბარი“... სხვათა შორის, ეს ძალიან საინტერესო „მეცდომია“...

გაგრძელება იხ. გვ. 10


26 მაისს არ გამოგორჩაი სვალ და ყოველ პარასკევს ახალი გაზეთი!

კვირის პალიტრა ყველა

სიასხლე

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გაეშალა პარასკევით.

კვირის პალიტრისგან



მოქმედი პირები და შემსრულებლები

ამბობენ, რომ თავდაპირველად, დენ ბრაუნის ბესტსელერის მიხედვით, ტელესერიალის გადაღება ჰქონდათ განზრახული, მაგრამ მწერალს ეს იდეა არ მოეწონა. საბოლოოდ, ჰოლივუდის ერთ-ერთმა წამყვანმა და გაკლენიანმა სტუდიამ — Sony Pictures — კინოეკრანიზაციის უფლება 6 მლნ დოლარად შეიძინა. სტუდიის მესვეურებმა პროექტის განსახორციელებლად წარმატებული პროდიუსერი — ბრაიან გრეზერი მიიწვიეს, მან კი, თავის მხრივ, კონტრაქტი გაუფორმა რონ ჰოვარდს, რომელთანაც, უკვე კარგა ხანია, რაც შემოქმედებითი და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 52 წლის რეჟისორს ჰოლივუდური კინოინდუსტრიის ერთ-ერთ ბურჯად მიიჩნევენ. სულ ცოტა ხნის წინ, მის ფილმს — „გონების თამაშები“ კინოაკადემიკოსებმა „ოსკარის“ უმაღლესი ჯილდო მიანიჭეს. თავის დროზე, ჰოვარდმა კარიერა კომედიური ჟანრის მსახიობ-ჟუნდერკინდის ამპლუით დაიწყო: წითელქოჩრიანი და ჭორფლიანი ანცი ბიჭუნა, ბევრს დღესაც კარგად ახსოვს. დროთა განმავლობაში, ბიჭუნა გაიზარდა, დაღვინდა, გამელოტდა და უკვე რეჟისორის ამპლუაში მოველინა მაცურებელს. მას არაერთი პოპულარული სურათი აქვს გადაღებული, მათ შორის: „წყლის დგაფუნი“, „ჭიის პარკი“, „აპოლონ 13“ და ბოლო ხანებში გადაღებული კრივის საგა — „ნოკდაუნი“.

ჰოლივუდში საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს ის, რომ ტომ ჰენქსი ჰოვარდის საყვარელი მსახიობი გახლავთ. ამიტომ არავის გააკვირვებია, რომ ეზოტერიკის პროფესორის — რობერტ ლენგდონის მთავარ როლზე, რეჟისორმა საბოლოოდ სწორედ ის დაამტკიცა. როლის მოსაპოვებლად გამართულ დაძაბულ მარათონში ჰენქსმა ისეთი ვარსკვლავების დამარცხება შეძლო, როგორებიც არიან: რასელ ქროუ, ჯორჯ კლუნი, ბილ პექსტონი და არლფ ფაინსი. როგორც ამბობენ, 49 წლის მსახიობი კანის ფესტივალის წინ, საშინლად

17 მაისს, კანის 59-ე კინოფესტივალი „და ვინჩის კოდის“ ჩვენებით გაიხსნა. სურათი კანში კონკურსგარეშე იყო წარმოდგენილი, რაც ფილმის შემქმნელების მხრიდან საკმაოდ შორსმჭვრეტელო ნაბიჯი გახლდათ, რადგან უდავოა, რომ ფესტივალზე განცდილი წარუმატებლობა, კინოგაქირავებაზე ნეგატიურად აისახებოდა. „და ვინჩის კოდის“ შემქმნელებს კი, სრულიად განსხვავებული მიზნები და ამოცანები აქვთ დასახული: ისინი, ამ ფილმით, დიდძალი ფულის შოვნას აპირებენ — მათ ხომ სურათის ბიუჯეტის სოლიდური ხარჯებიც უნდა დაფარონ და მოგებაც ნახონ. ფილმის ბიუჯეტის ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ პრესაში გაჟონა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ ეს თანხა 125 მლნ დოლარს უნდა შეადგენდეს. თუმცა, როგორც ვარაუდობენ, პარისა და რეკლამისტის გაღებულ ხარჯები, ამ თანხაში არ უნდა შედიოდეს. 17 მაისს „კოდის“ პრემიერა საფრანგეთში შედგა, ოროდე დღეში კი, ის მთელი მსოფლიოს ეკრანებზე გამოჩნდა.

ჰოლივუდური კოდის გამშიფრავები და მათი მავნე ზეგავლენის სავალალო შედეგები

ნერვიულობდა. შოტლანდიური გაზეთის — „დეილი რეკოდ“ — კორესპონდენტს ის ამაში თავადვე გამოუტყდა: „ზედმეტი დაძაბულობისგან გულსრევის შეგრძნება მაქვს. სხვათა შორის, მსგავსი შეგრძნება „აპოლონ 13“-ისა და „ფორესტ გამპის“ პრემიერების წინაც მქონდა. ვიმედოვნებ, რომ ჩემს ვაჟიშვილს — კოლინს, რომელიც ასევე მსახიობია, ჩემი ეს თვისება მემკვიდრეობით არ გადაეცემა“.

ფილმში სხვადასხვა ქვეყნის ბრწყინვალე მსახიობთა კოლექტივმა მოიყარა თავი: ამერიკელ ტომ ჰენქსს კომპანია გაუწიეს ფრანგმა ვარსკვლავებმა — ოდრი ტოტუმ (კრიპტოლოგი სოფი ნევე) და ჟან რენომ (დეტექტივი ბეზუ ფაში), ასევე ბრიტანელმა მსახიობებმა — სერ ეინ მაკკელენმა და ალფრედ მოლინამ. მაკკელენმა ექსცენტრიკული სერ ტიბინგი განასახიერა, მოლინამ — ემოციური ეპისკოპოსი არინგაროსი.

ბრიტანული გაზეთის — „ტაიმსი“ —

ცნობით, თავად საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ვერ გაუძლო ცდუნებას და სოფი მარსოსთვის კრიპტოლოგ ნევეს როლის ჩაწყობა სცადა. მსახიობი, პრეზიდენტის ქალიშვილის — კლოდის მეგობარი და მემარჯვენეების გულმხურვალე მხარდამჭერია. როლზე მარსოს დამტკიცების სანაცვლოდ კი, შირაკმა თითქოსდა ლუვრში გადაღებებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში დახმარება აღუთქვა, როგორც „კოდის“ რეჟისორს, ასევე მის პროდიუსერსაც. ამის თაობაზე, ჟურნალისტებს რონ ჰოვარდმა აცნობა. მართლია, პრეზიდენტის პრესსამსახური ამ ყოველივეს უარყოფს, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის, თუ ამ სიტუაციაში ვის მხარესაა სიმართლე. მარსოს გარდა, მშვენიერი კრიპტოლოგის, სოფი ნევეს როლზე, ყიული დელპისა და კეიტ ბეკინსელსაც ჰქონდათ პრეტენზია, მაგრამ ფილმის მესვეურებმა მათი კანდიდატურები უარყვეს.



ფილმში სხვადასხვა ქვეყნის ბრწყინვალე მსახიობთა კოლექტივმა მოიყარა თავი

ფილმის კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი „პერსონაჟის“ თაობაზეც უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა — ეს გახლავთ ლეონარდო და ვინჩის საქვეყნოდ ცნობილი შედეგები — „მონა ლიზა“. ფილმის მსვლელობისას ის, რასაც მაყურებელი კადრში იხილავს, „ჯოკონდას“ ორიგინალი კი არა, მისი ასლი გახლავთ. თუმცა, ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ მაყურებლის წინაშე მისი „დუბლიორი“ წარდგება.

„კოდის“ გადაღებები დიდ ბრიტანეთ-



პოლიციულში საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს ის, რომ გომ ჰენჯის პოვარდის საყვარელი მსახიობი გახლავთ

ში, საფრანგეთსა და მალტაში მიმდინარეობდა. ფილმის გადაღების პროცესში, ამასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. სწორედ ამ მიზეზით, მასობრივი საინფორმაციო საშუალების წარმომადგენელთათვის, მხოლოდ ცალკეული ფაქტები გახლდათ ხელმისაწვდომი. მაგალითად, ცნობილია, რომ ფილმის საკვანძო ეპიზოდებს ედინბურგის მახლობლად მდებარე როსლინის სამრეკლოში (XV ს-ის ძეგლი) იღებდნენ. როსლინის სამრეკლო შუა საუკუნეების არქიტექტურის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. აი, ვესტმინსტერის სააბატოში კი, სამუშაო ჯგუფი თეოლოგიური მოსაზრებით არ შეუშვეს — იქ გადასაღები ეპიზოდები ჯგუფმა აღმოსავლეთ ინგლისში მდებარე ლინკოლნის ტაძარში გადაიღო. ფილმზე მუშაობის დროს, მეორე მსოფლიო ომის ხანებიდან მოყოლებული, პირველად დადუმდა ტაძრის მთავარი ზარი — „დიდი ტომი“, რომელსაც ჩვეულებრივ, ყოველ ერთ საათში რეკავენ.

ცუდი რეკლამა ბუნებაში არ არსებობს

ფილმისადმი ინტერესი კიდევ უფრო გააღვივა დენ ბრაუნის წინააღმდეგ გამართულმა სასამართლო პროცესმა — მას პლაგიატობაში დასდეს ბრალი. როგორც ცნობილია, სასამართლომ „და ვინჩის კოდის“ ავტორი გაამართლა და ამ გამარჯვების ნაყოფით სარგებლის ნახვას არა მარტო კინომოღვაწენი, არამედ წიგნის გამომცემლებიც აპირებენ. ფილმის პრემიერის წინ, ასე ვთქვათ, „ჯვარედინი დამტვერვის“ მიზნით, საგანგებოდ დაბე-

ჭდეს წიგნის „ჯიბის გამოცემა“. ეს გამოცემა 28 მარტს გაიტანეს ბაზარზე და უკვე ნახევარ მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა. Archor Books-ის გამომცემელმა რასელ პერომ ჟურნალისტებს აცნობა, რომ „დავინჩის კოდის“ საწყისი ტირაჟი 5 მლნ ეგზემპლარი იყო, მოთხოვნილებასთან დაკავშირებული აუიოტაჟის გამო კი, კიდევ მილიონი ჩამოიბეჭდა. შესაძარბლად მოვიყვანთ მაგალითს: ჰარი პოტერის სათავგადასავლო წიგნები, მხოლოდ 2-მილიონიანი ტირაჟით იბეჭდებოდა. ხოლო წიგნის

პუბლიკაციიდან სულ რაღაც სამიოდ წლის შემდეგ, ე. წ. სათავგადასავლო-თეოლოგიური რომანის მხოლოდ მუყაოსყდიანი გამოცემა, მსოფლიოში 43-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. რომანი 44 ენაზე ითარგმნა.

დღესდღეობით, „კოდის“ ჯიბის გამოცემა სუპერმარკეტებში, ბენზინგასამართ სადგურებში, აეროპორტებსა თუ სამხედრო ბაზებზე ისევე იყიდება, როგორც „კოკა-კოლა“ თუ სალექსი რეზინი. წიგნის ბიზნესის ცნობილი ქსაერტის, ლორენს კირშბაუმის (ადრე, ის კორპორაცია Time Warner-ის წიგნის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო) თქმით, „კოდის“ ირგვლივ ატეხილ აუიოტაჟს, მასშტაბით, 70-იან წლებში, ბენწლის „ყბების“ თაობაზე ატეხილი ისტერია თუ შეედრება.

გასაკვირი არ არის, რომ „კოდის“ თემაზე მწვავე კამათია გაჩაღებული. მის ავტორს მკრეხელობაში, სიბილწესა და „წმინდა წერილის“ ბანალიზაციაში ადანაშაულებენ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანული ორგანიზაციები მწვავე პროტესტს აცხადებენ ეროტიკულ წიგნთან დაკავშირებით, რომელიც შეურაცხყოფს ქრისტიანთა რელიგიურ რწმენას. ქრისტიანები ბრაუნის უმთავრეს მკრეხელობად სამართლიანად მიიჩნევენ იმას, რომ მან გააყალბა სინამდვილე: თითქოსდა იესო ქრისტეს ცოლად ჰყავდა მარიამ მაგდალინელი და მათ შვილიც შექმნიან, იქიდან მოყოლებული კი, მათი შთამომავლების შტო დღემდე გრძელდება. მაგრამ ყოველი ახალი სკანდალი პუბლიკის გარკვეულ ნაწილს კიდევ უფრო უმძაფრებს ინტერესს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს გავრცელებული აზრის მართებულობას იმის თაობაზე, რომ ცუდი რეკლამა ბუნებაში არ არსებობს.

ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება ის, რაც საფრანგეთში მოხდა: როგორც ბრიტანული სამაუწყებლო კომპანია BBC

News იუნწყება, ლუვრის დამთვალეირებელთათვის დენ ბრაუნის რომანის მიხედვით, სპეციალური აუდიოტურია მომზადებული. მუზეუმის სტუმარს 10 ევროდ MP3 ფლეიერის დაქირავება შეუძლია, სადაც მუზეუმის ის ექსპონატებია აღწერილი, რომლებიც რომანში ფიგურირებს. 50-წუთიანი პროგრამის ნაწყვენი ჟან რენო გახლავთ, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „და ვინჩის კოდის“ ეკრანიზაციაში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს.

„კოდის“ ირგვლივ ატეხილი აუიოტაჟი

დასავლეთის ეკლესიების წარმომადგენლებმა ქრისტიანების უდიდესი დღესასწაულის — მაცხოვრის აღდგომის წინ, განსაკუთრებით მწვავედ შეუტყის ღვთისმგებლობა წიგნს და მათი აზრით, არანაკლებ ღვთისმგებობა ფილმს. გაიმართა ამერიკელ ეპისკოპოსთა კონფერენცია, რომელმაც ინტერნეტში განათავსა საკუთარი საიტი, სადაც მწვავედ გააკრიტიკა ბრაუნის წიგნში მოყვანილი ენ. თეზისები. სხვა კრიტიკოსები (მათი რიცხვი ძალზე დიდია) დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ წიგნისა და ეკრანიზაციის ავტორებმა საჯაროდ აღიარონ ის, რომ მათ მიერ დაწერილი და გადაღებული — მონაგონი და ფანტაზიის ნაყოფია. რელიგიური და სამოქალაქო სამართლის კათოლიკური ლიგის პრეზი-



დასავლეთის ეკლესიების წარმომადგენლებმა ქრისტიანების უდიდესი დღესასწაულის — მაცხოვრის აღდგომის წინ, განსაკუთრებით მწვავედ შეუტყის ღვთისმგებლობა წიგნს

დენტმა — ულიამ დონაჰიმ Sonu Pictures-ის პროდიუსერებს მოსთხოვა: ფილმის ტიტრებში მიეთითებინათ, რომ ეს გამოგონილი აზრები გახლავთ. კათოლიკური ორგანიზაცია Opus Dei-ს შიდაკავშირების სამსახურმა კი, „და ვინჩის კოდის“ ეკრანზე გამოვლამდე, პრესას ლია წერილით მიმართა, სადაც იმედი გამოთქვა, რომ ფილმის საბოლოო ვერსიაში არ იქნებოდა ისეთი მომენტები, რასაც შესაძლოა ქრისტიანების რელიგიური გრძობებისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა. თავის მხრივ, ბრიტანელი კათოლიკეები, დენ ბრაუნს „ბენძურ მარკეტინგში“ სდებენ ბრალს და მოითხოვენ, რომ სურათის ჩვენებას წინ უძლოდეს ამგვარი გაფრთხილება: „გაფრთხილებთ! ჯანმრთელობისთვის სახიფათოა!“

გაგრძელება იხ. გვ. 65

„მზრუნველი“ მეზობელი და ქართული პოლიტიკური რეალობა

დასაწყისი იხ. გვ. 6

საერთოდ კი, ძნელი სათქმელია, გაუმჯობესდებოდა თუ არა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, თუ ხელისუფლების სათავეში ვთქვათ, იგივე ბურჯანაძე მოვა. იმიტომ, რომ მთელი მისი გუნდიც ასევე ანტირუსულადაა განწყობილი. ასე რომ, ეს ერთგვარი „ქილაში ობობების ჩხუბია“. და ეს „ქილა“ მოსახლეობაში სულ უფრო ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემები კი არ წყდება, არამედ სულ უფრო და უფრო ღრმავდება, რაც პირველ რიგში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გართულების შედეგია. ფაქტობრივად, სააკაშვილი დღეს თვითონ სობის იმ მცირე ეკონომიკურ ბაზასაც კი, რომელიც მეღვინეობის პროდუქციისა და შრომითი მიგრანტების სახით, რუსეთში ჰქონდა. ხელისუფლებაში ბურჯანაძის მოსვლას შეიძლება მხოლოდ „ავეჯის იარღილის და არა თავად ავეჯის შეცვლა“ მოჰყვეს. რა თქმა უნდა, მზარდი სოციალური დაძაბულობის ფონზე, ბურჯანაძემ შეიძლება, უარი თქვას რადიკალურ ანტირუსულ პოლიტიკაზე, მაგრამ საგარეო პოლიტიკური კურსის ძირითადი მიმართულება, ჩემი აზრით, შენარჩუნდება. უბრალოდ, ბურჯანაძე შეეცდება, რომ სააკაშვილის პოლიტიკით ადამიანების უკმაყოფილება ხელისუფლებაში მოსასვლელად გამოიყენოს. რაც შეეხება შეთქმულებაში ბადრი პატარკაციშვილის მონაწილეობას, ამის ახსნა სულ ადვილად შეიძლება. როგორც ცნობილია, ის იმ კომპანიის მესაკუთრეა, რომელიც სწორედ იმ „ბორჯომის“ წარმოებითა დაკავებული, რომლის რუსეთში იმპორტიც, სააკაშვილის მონდომების წყალობით, ახლახან აიკრძალა. ამდენად, პრეზიდენტმა მართალია ირიბად, მაგრამ მის ბიზნესს დარტყმა მიანიჭა. და საერთოდაც, რუსეთთან ურთიერთობის გართულება, პირველ რიგში, სწორედ ქართულ ბიზნესს ურტყამს. ასე რომ, საქართველოში ოპოზიციური განწყობილების გამძაფრების თავდაპირველი იმპულსიც სწორედ მისგან წამოვიდა. ამასთან, მხედველობაში მყავს ის ქართველი ბიზნესმენებიც, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ და მუშაობენ. იმის გამო, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა საფუძვლიანადაა გაფუჭებული, ახლა მათაც საკმაოდ უჭირთ.

შეუძლია თუ არა რუსეთს საქართველოში თავისი პრორუსული ელიტის გამოზრდა?

— რა თქმა უნდა. და აქ ამერიკის გამოცდილების გამოყენება ნამდვილად არ გვეჭირდება. თუმცა, ამისთვის გვეჭირდება იერი სამუშაოს ჩატარება საჭირო, რომელიც მრავალ წელზე იქნება გათვლილი — და არა საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილ ოთხ თვეზე, რისი გაკეთებაც, თავის დროზე, უკრაინაში სცადეს. ჩვენმა ინსტიტუტმა, ახლახან კვიგში ფილიალი გახსნა. ამჟამად, ყირიმში სოციალური და პოლიტიკური პროცესების შემსწავლელ ლაბო-

რატორიას ვქმნით. გარდა ამისა, ერევანში ჩვენი ინსტიტუტის კავკასიური ფილიალის გახსნას ვაპირებთ. ამის შემდეგ, კი, საქართველოსაც მივწვდებით. მხოლოდ ამ ქვეყნებში მიმდინარე რეალური პროცესების შესწავლის შემდეგ თუ მოახერხებს რუსეთი იმ პრორუსული ელიტის ჩამოსაყალიბებლად საჭირო ეფექტური სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც ჩვენ გვეჭირდება. დაუფიქრებლად ამ საკითხს ვერ გადაწყვეტ. ამ მიმართულებით გეგმავთქმით და მიზანმიმართული მუშაობის ჩატარება საჭირო. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ეს ყოველთვის გვაკლდა. არადა, ყოველთვის სწორედ ამის ნაკლებობა შეიმჩნეოდა. რუსეთში არსებული ყველა ხელისუფლება ძირითადად, საკუთარი შიდაპრობლემებით იყო დაკავებული. ახლა კი, რუსეთმა საქართველოს სივრცეში საინფორმაციო და ბიზნესშელევა უნდა განახორციელოს და მხოლოდ ამის შემდეგ განხილავდეს რუსეთთან თანამშრომლობაზე ორიენტირებული ადგილობრივი ელიტის გამოზრდის წინა პირობები.

მხოლოდ ღვინოშია ჭეშმარიტება?

ესტონეთის პრეზიდენტის არნოლდ რუიტელის ვიზიტი თბილისში, ათეულობით სხვა მსგავსი „თავაზიანობის ვიზიტისაგან“ არაფრით განსხვავდებოდა. მხარეებს, არავითარი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება არ დაუდგიათ. ისინი მხოლოდ განცხადებების სერიით შემოიფარგლნენ. ამასთან, ტალინელი სტუმარი ჩრდილოეთურად თავშეკავებული იყო. სააკაშვილმა გრძობების გამოყვანება არც ამჯერად დაიშურა...

შეხვედრის მთავარი აქცენტის გამოცნობა რთული არ ყოფილა, რადგან კითხვა — სად გაყვიდო საკუთარი ღვინო? — საქართველოსთვის ანჭამად ყველაზე აქტუალურია. თუმცა, სააკაშვილს ევროპული ბაზრის სახით, მამულე რგოლი უკვე აქვს. მერე რა, რომ რუსეთმა „ხვანჭკარისა“ და „ქინძმარაულის“ შეტანა აკრძალა? ჩვენგან, ქართველებისგან — ევროკავშირის პოტენციური წევრებისგან — ყურძნის მთელ მოსავალს ჩვენი დასავლელი მეგობრები, კერძოდ, ბალტიის ქვეყნები შეიძენენ. და მართლაც, ვილნიუსიდან და რიგადან უკვე მიიღეს სიგნალები, რომ როგორც ლიტვა, ისე ლატვია საკუთარ ბაზრებზე ქართული ღვინის მისაღებად უკვე მზად არიან. ახლა დროა, „ხვანჭკარის“ ესტონეთშიც აუხსნან სიყვარული.

...მოგვიანებით, რუიტელთან შეხვედრის შემდეგ, სააკაშვილმა დადასტურა, რომ ესტონეთის მთავრობა, კერძოდ კი, მისი იუსტიციის სამინისტრო, ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლასა და „ჭეშმარიტი“ (ბოლო ხანებში, საქართველოს ხელმძღვანელობა ამ სიტყვის ოპერირებით არ იღლებს) ქართული ღვინის ევროპულ ბაზრებზე შეტანაში დაეხმარება. სწორედ ამიტომ მოუწონდა სააკაშვილმა ქართველ მეღვინეებს — გაინძერით, რომ ფინეთის

ყურიდან ჩამოსული მეგობარი არ გავანბილოთ!..

ესტონელი ბახუსის თაყვანისმცემლების დაიმედების შემდეგ, რომ მასთან არ დაიკარგებინა, სააკაშვილმა თავი ვერც ტალინის მისამართით კომპლიმენტების ფრქვევის ცდუნებისგან შეიკავა. პრეზიდენტის თქმით, შექმნილ რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში (მხედველობაში ჰქონდა რუსეთის მიერ ღვინის შეტანის აკრძალვა და სხვა ეკონომიკური მზაკვრობები, რომლებსაც, როგორც თბილისში ირწმუნებინა, სააკაშვილის გარშემო ხლართავს) ესტონეთი საქართველოსთვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

ჰოდა, საქართველოსაც, მისი პრეზიდენტის თქმით, ამავე გზით სიარული აქვს განზრახული. ხოლო, იმისათვის, რომ გზას შემთხვევით არ ასცდეს, სააკაშვილის დასახმარებლად, ესტონეთის ექსპრემიერი მარტ ლაარი ჩამოვა, რომელიც უკვე ოფიციალურად გახდა საქართველოს ლიდერის მრჩეველი...

და რაღა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა, რომ პრეზიდენტებს ნატოც არ ეხსენებინათ. რუიტელმა ფრიად საინტერესო აზრი გამოთქვა, რომელმაც იდეაში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობა უნდა გააოცოს. ესტონეთის პრეზიდენტის აზრით, „საქართველო მზად არის ნატოში შესასვლელად“. რაში მდგომარეობს ეს მზადყოფნა, რუიტელს არ დაუზუსტებია. ალბათ, ესტონეთის პრეზიდენტს მხედველობაში უფრო ის ჰქონდა, რომ საქართველო „ზუზადა ნატოს დახმარების მისაღებად“. რუიტელმა ასევე შეგატყობინა, რომ თბილისისთვის „ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციასთან ინტენსიური მოლაპარაკებები“ აუცილებელია და ესტონეთი ქართველებს ამ დიდილია წარმოებაში ეყრდნობა და დაეხმარება. რაც შეეხება რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, რომელიც, როგორც ცნობილია, ალიანსში შესვლის ერთ-ერთი მთავარი წინა პირობაა, აქ რუიტელმა თბილისის ბოლომდე დაუჭირა მხარი, მიანიშნა, რომ არც აფხაზეთს და არც სამხრეთ ოსეთს არ ცნობს. პრინციპში, სხვა რამის მოლოდინი არც უნდა გვექონოდა...

ძველი რომაელები ჭეშმარიტებას ღვინოში ჭვრეტდნენ (In Vino Veritas), ძველი ქართველები ჭეშმარიტ ღვინოს სვამდნენ და ღმერთს და სამშობლო მისცხებდნენ (ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე...). მერე სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლეს, შთამომავლებს კი, ღვინის, სამშობლოსა და ღვინის ჭეშმარიტი სიყვარული გვიანდერძეს. რაც შეეხება რუსებს... ოთარაანთ ქვრივი ამბობდა — რასაც აღარა ეშველება რა, კაცი არ უნდა ეთრევიოსო. დიდი ილიას ნანარომოებს გაუღერებული ეს სიბრძნე, როგორც რუსებისთვის, ისე ქართველებისთვისაც დღეს განსაკუთრებით ყურადსაღებია უნდა ყოფილიყო. მაგრამ რას იზამ, თუ დრონი უკვე იმდენად იცვალენ, რომ როგორც ისინი, ისე ზოგჯერ, ჩვენს ურთიერთობაში ჭეშმარიტების ძიებას რატომღაც, ამა თუ იმ „სტანდარტს მიუსადაგებელი“, ხშირად, „დაუდგენელი წარმომავლობის“ ღვინით ვინყებთ და ვამთავრებთ კიდევც...

ფოტოგრაფის ავტორი



თბილისი, დარეჯანის სასახლე, 1989 წლის 23 სექტემბერი.

ემოში შეკრებილი ხალხი სულგანბული უსმენს ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებს – მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას, რომლებიც მისიონერს, ნობელის პრემიის ლაურეატს, დედა ტერეზას მასპინძლობენ. დიას – მასპინძლობენ, რადგანაც ეს ორი ადამიანი, მანამდე „არაფორმალუბად“ წოდებული, ახლა უკვე, ფაქტობრივად, ერის ლიდერებად, ქვეყნის წინამძღოლებად გვევლინებიან. არადა, სულ რაღაც ხუთიოდე თვის წინ, 9 აპრილის გრაგელის შემდეგ, ისინი კვლავ (ოღონდ, ამჯერად,

ძალზე მოკლე ხნით) საგუსალოში გამოამწყვდიეს...

ეს ფოტოსურათი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ ერთ-ერთი უკანასკნელია ეროვნული გმირის – მერაბ კოსტავასათვის. გაფა ოციოდე დღე და მისი სიცოცხლე გრაგიკულ შემთხვევას (თუ განზრახ მოწყობილ ავგოვარიას) შეეწირება...

მაგრამ ჯერ არ დამდგარა საბედისწერო 13 ოქტომბერი, ჯერ 23 სექტემბერია – ეროვნული მოძრაობის აღმავლობის, ხალხისა და მისი ლიდერების ერთიანობის ხანა!..

იური მეხითოვი

ლალი შანიძე

ქარნალისტი — გია ბუმბარიძე, რეპორაჟაჟი — ნუსა შანშიაშვილი

— ნუსა, რას ეფუძნება შენი წარმატების ფორმულა?

— ჩემთვის მთავარი — მუშაობაა. შრომა რომ აუცილებელია, ეს ბავშვობიდანაც ვიცოდი, მაგრამ ყველაფერს მაინც სხვანაირად შევხედე, როდესაც ალა პუგაჩოვას შევხვდი. როცა მასთან სტუმრად ვიყავი, მან დამშვიდობებისას ასეთი ფრაზა მითხრა: Не робей, а работай, работай, работай. მართლაც, შრომაშია ყველა წარმატების საფუძველი. გამოგდის — უნდა იმუშაო, არ გამოგდის — მაინც უნდა იმუშაო.

— ჩემი სახით, პროდიუსერი გყავს. ასევე შენი პროდიუსერია შენივე მეუღლე. გაკმაყოფილებს ჩვენი მუშაობა? რას მოითხოვ საერთოდ, ამ ადამიანისგან?

— პროდიუსერი არის ადამიანი, რომელიც ქმნის პროდუქტს — ამ შემთხვევაში, პროდუქტში მომღერალი იგულისხმება. ამიტომ, ის საქმეს სწორად უნდა მიუდგეს, არ უნდა შეეშალოს, რომ „პროდუქტი“ კარგად „გაიყიდოს“. პროდიუსერს უნდა შეეძლოს საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოჩნდეს. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კარგი „პიარშიკი“ უნდა იყოს. შენ ეს შეგიძლია, ამ საქმისთვის თავი გაქვს გადადებული. ბედნიერი ვარ, რომ მყავს ორი არაჩვეულებრივი პროდიუსერი: შენი და ჩემი მეუღლის — თემურ ნაგიევის სახით.

— ეი. ყველაფერი მაინც სწორ პიარზეა დამოკიდებული?

— დიას, ასეა. პროდიუსერმა მოჭადრაკესავით, უნდა შეძლოს სვლების გათვლა, რასაც მათემატიკა და კომერციული ტვინი სჭირდება. ის ხელოვანი ნაკლებად არის და თუ, ვთქვამ, ნიჭი აღმოაჩნდება, შეიქმნებიან ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან — ჯექსონი, მადონა...

— პირადად შენ, რა არ მოგწონს ქართულ შოუბიზნესში?

— მიუხედავად იმისა, რომ ქართული შოუბიზნესი კრიტიკის ობიექტია, მე მას ასე საშინლად ვერ გავაკრიტიკებ. რუსეთიდან რომ ჩამოვდივარ და ტელივიზორს ჩაერთავ, ქართულ მუსიკალურ არხებზე სასიამოვნო ქართულ სიმღერებსა და კლიპებს აღმოვაჩენ ხოლმე. მეჩვენება, რომ თანამედროვე ქართული სიმღერების ტექსტებიც უფრო აზრიანია, ვიდრე რუსულის. მაგალითად, ერთ-ერთ ცნობილ რუსულ თანამედროვე ჰიტში ასეთი ტექსტია: „Ты накрашенная, страшная и не накрашенная старшая“ ან ასეთი: „Я береманна, это временно“; კიდევ: „Я не маленькая, меня целовать можно уже везде“. ამ ტექსტების შემდეგ ქართული სიმღერები მომწონს. მუსიკალურადაც, სიმების

ნუსა შანშიაშვილი — მხატვარი, მომღერალი და მსახიობი. ის ხელოვანთა ოჯახში დაიბადა. 1993 წელს, მოსკოვში გაემგზავრა და ძველ არბატზე მდებარე ერთ-ერთ პატარა რესტორანში დაიწყო სიმღერა. პირველ წარმატებას 1995 წელს მიაღწია: გამარჯვება კონკურსში — „იალტა-95“. ნუსას ნიჭით მოგვიანებით, რუსი დრამის რეჟისორებიც დაინტერესდნენ. ვიკტორემა მისთვის დადგა სპექტაკლი — „ედიტ პოფი“. ამ სპექტაკლით მათ მსოფლიო მოიარეს. ნუსა მოსკოვიც მოლვანოვს და ნუიორკიც. მომღერალმა ბოლო სამი კვირა თბილისში გაატარა. აქ კონცერტიც გამართა და კლიპიც გადაიღო. ნუსა, კავკასიაში მის პროდიუსერ გია გუმბერიძესთან ერთად, რუბრიკაში — „წურნალისტის როლში“ მოვიწვიეთ.



ვის ვაღიარებ ნუსა შანშიაშვილისთვის თავი — „ჩემი წარმატების ფორმულა დაუღაცავს უჩინარს აფუქნება“

თვალსაზრისითაც, უფრო გამართულია. სხვა მხრივ, შოუბიზნესი საქართველოში რომ განვითარდეს, მეტი აქცენტი სანახაობაზე გაკეთდეს, კონცერტები ჩატარდეს, — ამას ქვეყნის მყარ ეკონომიკური მდგომარეობა, დიდი თანხები სჭირდება.

— ნუსა, ცხოვრობ თუ არა ვარსკვლავურად? ოდესმე ხომ არ გიგრძნია, რომ ვარსკვლავური სენი შეგეყვარა?

— ჩემი აზრით, ვარსკვლავი — ნებისმიერი ადამიანია. დიას, თითოეული, პატარ-პატარა ვარსკვლავები ვართ. განსხვავება იმაშია, რომ ვიღაცა საკუთარ თავში ანთებს ამ ვარსკვლავს, დაიჯერებს, რომ მართლაც ასეა, თავი ვარსკვლავი ჰგონია, ვიღაც კი — არა. ვარსკვლავები მარტო შოუბიზნესში როდი არიან, ისინი ნებისმიერ სფეროს ჰყავს. მთავარი კი მაინც ის არის, რომ კარგი ადამიანი, პიროვნება უნდა იყო. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვარსკვლავური სენი არ შემყრია. ცხოვრება ხანმოკლეა, თან ძალიან სწრაფი და დრო სისულელეებზე არ უნდა დაკარგო — მაგალითად, ვარსკვლავური დაავადება „შეიყარო“. საერთოდ ყველაზე მტკივნეულია დაცემა, ეგ სწეულებს ემართებათ: ადამიანი სიმალეზე რომ ადის, საკუთარი თავი ყოვლისშემძლე რომ ჰგონია და ამ დროს, ისეთი დაემართება რომ...

ყველაფერი თავზე დაემხობა...

— თუ შეიცვალა შენი დამოკიდებულება, მაგალითად, ჩაცმის, კვების საკითხებთან?

— კვების რეჟიმი შემიცვალა. რის უფლებასაც ადრე ჩემს თავს ვაძლევდი, ახლა — ნაკლებად. სიგარეტის მოწვევას, დალევას თავი დავანებე.

— ასე რატომ იზღუდავ თავს?

— ეს შენი საქმის, ხალხის მიმართ სიყვარულის გამოხატულებაა, მათ მიმართ, ვის წინაშეც გამოდიხარ, ვისთვისაც ქმნი და მუშაობ. თუ ეგოიზმში „გადავარდი“, თქვი — კიდევ დავლევ, კიდევ მოვწევ, კიდევ შევჭამო! — მძიმე შედეგს მიიღებ.

— შენი წარმატების ფორმულა — შრომა, შრომა და შრომა ყოფილა. იღბალზე რას იტყვი? ცხოვრებაში გაგიმართლა?

— ალბათ, გამიმართლა. ეტყობა, „წინა ცხოვრებაში“ ბევრი კარგი რამ გამიკეთებია, რომ ამ ცხოვრებაში იღბლიანი მოვედი (იღიბება).

— ნუსა, შემოქმედ ადამიანს ოჯახი, მაინც, ცოლათი ხელს უშლის. რას ფიქრობ ამაზე?

— ახლა ისეთ პასუხს გაცემ, რომ ბევრი იფიქრებს — აუ, ნუსა როგორ გაგიყუბულაო! — მაგრამ მაინც გეტყვი:

სანამ კაცობრიობა იმ დასკვნამდე არ მივა, რომ ოჯახი — მთელი დედამიწაა და ყველას ერთი მამა გვყავს, მამა ღმერთის სახით, ხოლო დედა — დედამიწა, რომელზეც დავაბიჯებთ და ყველანი ერთმანეთის და-ძმა ვართ, — მანამ არანაირი პრობლემა არ მოგვარდება... შენს კითხვაზე უფრო რეალური პასუხი რომ გაგცე, გეტყვი — მე ვერ შევინარჩუნებდი ისეთ ოჯახს, რომელიც მუშაობაში ხელს შემიშლიდა.

— **მოდი, რეპორტუარსაც შევხედოთ. თუ მისცემდი შენს თავს იმის უფლებას, რომ მაყურებლისთვის „მსხვერპლი გაგედო“ — რეპორტუარში ისეთი სიმღერები შეგეტანა რომელსაც, ვთქვამთ, ადრე არ იმღერებდი?**

— იმის გამო, რომ ხალხს უმღერი, მსმენელებზე ფიქრობ, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა აკეთო ის, რაც იმათ მოსწონთ — რა თქმა უნდა, გარკვეულ ფარგლებში. ოქროს შუალედი უნდა მოძებნო, ამიტომ — არც ჩემსა და ვკარგავდი და მაყურებლის გემოვნებასაც გაუფრევდი ანგარიშს.

— **ნუცა ეგოისტი თუ არის?..**
— საერთოდ, ეგოისტი ნებისმიერი ადამიანი, მაგრამ ნამდვილად ვცდილობ, ეგოისტი არ ვიყო. რადგან ეს უსამინელესი სენია, რაც შეიძლება, ადამიანს შეეყაროს.

— **ვინ არის შენი საყვარელი კომპოზიტორი?**
— მოცარტი.

— **სიმღერების ტექსტის ავტორი?**
— იურა სვეტილი. სხვათა შორის, თბილისელი ბიჭია, მაგრამ — მოსკოვში გაზრდილი... თუ შეიძლება, აქვე გეტყვი, თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების გვარებს, ვინც მომწონს: რუსა მორჩილაძე, ჩარა ჯაფარიძე, ნატო გელაშვილი...

— **ნუცა, თავადაც წერ სიმღერებს. როგორ მიხვედი აქამდე — ეს შინაგანი მოთხოვნილებაა თუ რაღაც სხვა გარემოებებმა განაპირობა?**

— სუბრობა-ხურობაში, უკვე ბევრი სიმღერა დამიგროვდა. 1995 წელს, კონკურსზე — „იალტა-მოსკოვი-ტრანზიტი“ — დადგენილი პირობის მიხედვით, პირველი სიმღერა უნდა ყოფილიყო ცნობილი ჰიტი; მეორეც ჰიტი უნდა გვემღერა, ოღონდ — რუსული, მესამეც — ჰიტი, ოღონდ — თანამედროვე კომპოზიტორის მიერ დაწერილი. მე ფული არ მქონდა, რომ ასეთ სიმღერაში გადამეხადა და მეყიდა, ამიტომ, ავდექი და სიმწრისგან დავეწრე: „ОДИНОКАЯ СВЕЧА“, რომელსაც წარმატება ხვდა წილად. მივხვდი, რომ არ უნდა გაეჩერებულყავი...

— **თუ ყოფილა შემთხვევა, რომ შენი სიმღერა სხვისთვის მიგიცია?**

— ნანი ბრეგვაძეს მოეწონა ჩემი სიმღერა „Мне снится Грузия“. რაკი მოეწონა, მეც გაუზგავნე.

— **რამდენიმე სფეროში მოღვაწეობ: თეატრში, ესტრადაში, მხატვრობაში. ეს ხელის შემშლელი ხომ არ არის?**

— თეატრი და ესტრადა ერთიმეორეს არ უშლის ხელს, მაგრამ მხატვრობა აბსოლუტურად სხვა სამყაროა. როდესაც ვხატავ, სხვა სამყაროში ვხვდები და იმდროს, სხვათა შორის, გარეგნულადაც სხვა ადამიანი ვხდები ხოლმე, ვიცვლები.

— **შენთვის ყველაზე ახლობელი რომელი საქმეა?**

— სიმღერა.

ჟურნალისტი — ნუა შანშიაშვილი რუსონაშვილი — ბია ზუმბარიაძე

— **გია, მე რომ მკითხე, შენ რას იტყვი ქართულ შოუბიზნესზე?**

— ჩვენთან მაღალ დონეზეა ქართული სასიმღერო კულტურა, მაგრამ შოუბიზნესი აქ აყვავებული რომ ვერ იქნება, ეს ფაქტია, რადგან ქვეყანა ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. როგორც შენ თქვი, ამ სფეროს განვითარებას ფული სჭირდება, სხვაგვარად არაფერი გამოვა. რაც დღეს შოუბიზნესში ხდება და რასაც ქართველი მომღერლები ახერხებენ, ეს მხოლოდ მათი ნიჭის ხარჯზე ხდება. ბევრი ამბობს, რომ ეს სფერო საქართველოში არ არსებობს. ტყუილია. გრძელდება მუშაობა ისე, როგორც შეუძლიათ.. ალბათ, ყველაფერი წინ არის. დრო გვჭირდება.

— **რა თვისებები უნდა ჰქონდეს ქართველ ვარსკვლავს, როგორ უნდა ცხოვრობდეს ის? მას რამე ჩარჩოში ხომ არ ჩასვამდი?**

— ვერანაირ ჩარჩოში ვერ ჩავსვამ... ჩვენთან იცი, რატომ გაუჭირდა პოპმუსიკას? იმიტომ, რომ ის მთლიანად ქართული არ არის. XX საუკუნეა, მსოფლიოს ნებისმიერ ტელეარხზე გადართავ და თვალს ვერ მოსწყვეტ. ქართული მას კონკურენციას ვერ უწევს — ოღონდ ქართულ ხალხურ სიმღერებს, ფოლკლორს არ ვგულისხმობ.

— **გასაგებია, მაგრამ მე სხვა რამ გკითხე: როგორ უნდა იყოს ქართველი ვარსკვლავი-მეტიქი? მაგალითად — მაღალი, დაბალი, დაჰყვებოდეს დაცვა, „მერსედესით“ დადიოდეს, ხალხისგან დაფარულად ცხოვრობდეს... რას იტყვი?**

— ჩემი აზრით, ნებისმიერი ადამიანი, ვინც საზოგადოებისთვის საინტერესოა, მაინც „შეფარულად“ უნდა ცხოვრობდეს. კარგი მანქანა და დაცვა ახსენე, ეს ვარსკვლავისთვის დაუწერელი კანონია ნებისმიერ ქვეყანაში.

— **რატომ? ნუ-იორკში ისეთი ვარსკვლავები, როგორცაა ლაიზა მინელი, შეიძლება, ქუჩაში შეგხვდეს, ბოტასები ეცვას და ხალხში მოსერირობდეს. მიგაჩნია, რომ ეს დაუშვებელია?**

— იქ ხალხის მენტალიტეტი სხვანაირია და ალბათ მიზეზიც ეს არის. თუმცა, ქართული სისადავე, სისპეტავე, ქართული სული არ უნდა დაიკარგოს...

— **აქეს თუ არა მომავალი პოპმუსიკას საქართველოში?**

— რა თქმა უნდა, აქეს; თუ გავიხსენებთ, რამდენიმე წლის წინ რა ხდებოდა საქართველოში, როგორი ჰიტები შექმნეს რუსა მორჩილაძემ, ლილიკო ნემსაძემ, გარკვეულწილად — ნატო გელაშვილმაც, რადგან მასაც აქეს, ქალაქური სიმღერების გარდა, სხვა საინტერესო ნამუშევრები, უნდა ვთქვათ — არ შეიძლება, რომ ამ ჟანრს საქართველოში მომავალი არ ჰქონდეს. მაგრამ ვიმეორებ — ეს ჩვენი, ქართული მაინც არ არის. მსოფლიოს ყოველთვის ვაოცებდით ქართული ფოლკლორით, ჩვენი მრავალმხიანი სიმღერებით.

— **თანამედროვე მსოფლიოს პოპმუსიკა მთლიანად ეროტიკაზეა ორიენტირებული. დღეს თუ მომავალში სცენაზე არ გაიხადა, შიშველი სხეული არ გამოაჩინა, ცოტა ძნელია მის პოპვარსკვლავობაზე ლაპარაკი.**

— გასაგებია, მაგრამ მე გვეკითხები — ბარბრა სტრეიზანდი, როგორი მომღერალია?

— **ბარბრა, ლაიზა და ელა ფიცჯერალდი ცოტა სხვა ჟანრის მომღერლები არიან...**

— ამას გეუბნები: თუ მომღერალი ნიჭიერია, მას სცენაზე გახდა არ სჭირდება. ვინც შენ დაასახელე, ყველა „ძვირად ღირებულ“ მომღერალია.

— **კი, მაგრამ პოპმუსიკაში მაინც სხვაგვარადაა საქმე. ერთნელ მადონას ჰკითხეს — რა გინდა, რომ გააკეთო? მან უპასუხა: მინდა, მსოფლიოს მმართველი ვიყო. ის მართლაც, „მართავს“ მსოფლიოს, ევროპას, ამერიკას, რუსეთში საოცრად პოპულარულია... ხალხი მასზე გიჟდება, ფანები ჰყავს. რატომ ხდება ასე?**

— იმიტომ, რომ მსოფლიოში მასას მაინც ერთნაირი გემოვნება აქვს.

— **ესე იგი, მაინც დამეთანხმე ხომ — იმისთვის, რომ მსოფლიო დონის პოპვარსკვლავი იყო, საჭიროა, ეროტიკული იმიჯი გქონდეს.**

— გარკვეულწილად, ალბათ საჭიროა, მაგრამ ეს მაინც მარტივად მისაღწევი მგონია, რადგან XX საუკუნეა. უბრალოდ, არ მინდა, რომ მომღერლის გამაოპულარულება მხოლოდ გახდითა და ეროტიკით მოხდეს.

— **ახლა მითხარი, როგორც პროდიუსერს, რა გეგმები გაქვს?**

— ღვიის წყალობით, ვმუშაობ. საქმეში გულსა და მთელ გრძნობას ვდებ. ეს შენც იცი. დღესდღეობით, ჩვენს თანამედროვე, მწირ ბაზარზე მინეცს ყოფნა. შეიძლება, ჩემზე უფრო წარმატებულები სხვები არიან, დიდ პროექტებს აკეთებენ. ყოველდღიურად ახალ-ახალ რაღაცებს აღმოვაჩენ ხოლმე ჩემს საქმეში და მიხარია. ასე ნელ-ნელა ვსწავლობ და ვვითარდები.

„კრიმინალის მიერ ჩადენილი მკვლელობა „საქართველოს“ სახელით ინიციატივა“

წინასწარი დაკავების იზოლაციორებში წამების ფაქტები კვლავ ფიქსირდება

კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლა, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლებამ პრიორიტეტად გამოაცხადა. ამ დროიდან მოყოლებული, შს სამინისტრომ მართლაც, ბევრი სპეცოპერაცია ჩაატარა, მაგრამ ამასთან ერთად, საზოგადოებაში კითხვებმა და ეჭვებმაც იმატა. მიზეზი ის გახლავთ, რომ თითქმის ყველა სპეცოპერაცია მსხვერპლით — ეჭვმიტანილის ადგილზე ლიკვიდაციით დასრულდა. სტატისტიკა მართლაც, შემაშფოთებელია. მომრავლდა ოპერაციების დროს პოლიციელთა მიერ დაშვებული შეცდომა. შეცდომა ხშირად, საბედისწეროა — ადამიანის სიკვდილით მთავრდება. საზოგადოებაში უკვე გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები არაპროფესიონალებითაა დაკომპლექტებული. პოლიციელებს სპეცოპერაციების სწორად დაგეგმვა და განხორციელება, შესაფერისი — ე.ი. მშვიდობიანი მოქალაქეებისთვის უსაფრთხო ადგილის შერჩევა და დანაშაულში ეჭვმიტანილების ცოცხლად აყვანა უჭირთ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით, ამ შემთხვევების დროს, უდანაშაულო ადამიანებიც იღუპებიან ან ზიანდებიან.

სამწუხაროდ, სამართალდამცავ სისტემაში ეს ერთადერთ პრობლემას არ წარმოადგენს. დღემდე მწვავედ დგას აგრეთვე, წინასწარი დაკავების იზოლაციორებსა და სხვა სასჯელსრულებით დაწესებულებებში პატიმართა მიმართ გადაშვებული ძალის გამოყენების, დამამცირებელი და სასტიკი მოპყრობის, ცემისა და წამების საკითხი. კვლავ ფიქსირდება ციხეებში სიკვდილიანობის ფაქტები. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2004 წელს — 43 პატიმარი გარდაიცვალა, 2005 წელს კი — 47. ოფიციალური ინფორმაციით, ზოგიერთი მათგანი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა, ზოგი — თვითმკვლელობის შედეგად. მართალია, ამ ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა, მაგრამ იმის გამო, რომ გამოძიება დღემდე არ მისულა რეალურ შედეგებამდე, დღემდე პასუხაუცემელ კითხვად რჩება — მართლაც, თვითმკვლელობასთან გვერდობდა თუ არა საქმე თითოეულ შემთხვევაში?

რატომ რჩება წამება საქართველოში კვლავ პრობლემად? რა უშლის ხელს შესაბამისი მუხლით საქმეების აღძვრას? რა იწვევს ციხეში სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნებას? რატომ მძლავრობს ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი? — ამ და კიდევ მრავალ სხვა შეკითხვას უსვამს დღეს გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, 3 და 4 მაისს, ფენევაში

გამართულ კონფერენციაზე ქვეყანაში წამების ფაქტების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის — საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ — წარუდგინეს ანგარიში. **სოფო ჯაფარიძე**, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი:

2000-2003 წლებში, აღნიშნულ დებარტამენტში 1900-მდე ასეთი განცხადება და საჩივარი შეგვიდა. ამასთან, აშკარა ზრდის ტენდენცია შეინიშნება

„კომიტეტის სხდომაზე ჩვენს ასოციაციას მე წარმოვადგენდი. კომიტეტს ჩვენს ქვეყანაში სამართალდამცავ სისტემასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის შესახებ რეალური ვითარება აღვუწერეთ და დეტალური ინფორმაცია მივანოდეთ. როცა მასალებს გაეცნენ, შეშფოთება გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში გატარებული რეფორმების მიუხედავად, მდგომარეობა ისევ უარესდება. როგორც კომიტეტის წევრებმა თქვეს, სახელმწიფოში პოლიტიკური ნება — აღმოიფხვრას წამება — არსებობს. საზი გაუსვს იმ დადებით ძვრებსაც, რომლებიც მთავრობამ რეალურად განახორციელა, მაგრამ ფაქტები ფაქტებად რჩება და ეს მათაც აღნიშნეს. — ციხეების გადაჭირებული მდგომარეობა, სამართალდამცველთა მხრიდან გადაშვებული ძალის გამოყენება, სპეცოპერაციების დროს

მსხვერპლის დიდი რაოდენობა, დაუსჯელობის სინდრომი და სხვა. მთავარ პრობლემას დღეს, პატიმართა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები წარმოადგენს. ამის დამადასტურებელი უამრავი საქმე არსებობს — გახმაურებული და გაუხმაურებელიც. დღეს საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი გირგვლიანისა და ცალანის საქმეები. დასკვნის გაკეთება ამ ორი ფაქტიდანაც შეიძლება, მაგრამ მათ გვერდით არსებობენ სხვა დანარალებულიც. მაგალითად, 2005 წლის 12 მაისს, შს სამინისტროს სპეცრაზმმა 43 წლის გივი ჯანიაშვილი დააკავა. დაკავებისას ის სასტიკად სცემეს, თავის არეში ძლიერად ჩაარტყეს იარაღი. მოგვიანებით, ჯანიაშვილის მიმართ პოლიციის მხრიდან გადაშვებული ძალის გამოყენების ფაქტი გამოძიებულმა ფაქტობრივად აღიარა, მაგრამ თავი იმით იმართლა, რომ თითქოს ჯანიაშვილმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. არადა, საქმის მასალებში არსებობს მოწმეების — დაკავების ადგილზე მყოფი პირების ჩვენებები, რომლებიც კატეგორიულად გამორიცხავენ ჯანიაშვილის მხრიდან წინააღმდეგობის განწევას. არის სხვა გაუხმაურებული ფაქტიც — 2005 წლის 30 ოქტომბერს, დააკავეს დანაშაულში ეჭვმიტანილი გიორგი გიგიაშვილი. დაკავებისას, ის სასტიკად სცემეს და თავის არეში მრავალი ჭრილობა მი-

აყენეს. ისე ურტყეს, რომ რამდენჯერმე გულიც წაუვიდა. ყოველივე ამის შედეგად, ადამიანის ფსიქიკური აშლილობა დაემართა. საქმე იქამდე მივიდა, რომ აუცილებელი გახდა გიგიაშვილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება. ამაზე პასუხი ვინმემ ხომ უნდა აგოს! არ შეიძლება თავის მართლება იმით, რომ პირი დანაშაულშია ეჭვმიტანილი ან ბრალდებულია. მისი წამებისა და სიცოცხლის ხელყოფის უფლება არავის, მათ შორის არც სამართალდამცველებს აქვთ. წამება კატეგორიულად უნდა აიკრძალოს და ამ მხრივ რეალური ნაბიჯებია გადასადგმელი. მართალია, გასულ წელს, პარლამენტმა, წამების დეფინიციასთან დაკავშირებით, გარკვეული ცვლილებები შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში, მაგრამ სწორედ ამ პერიოდის შემდეგ დანაშაული გამოძიებები ბადებს სერიოზულ

ექვემოთ. სპეციალურად მივმართეთ გენ-პროკურატურას თხოვნით, მოეწოდებინა ინფორმაცია, თუ რამდენი სისხლის სამართლის საქმე იქნა აღძრული ამ კონკრეტული მუხლით და რამდენი ადამიანი დაიხსია ჩადენილი დანაშაულისთვის. გვიპასუხეს, რომ 2005 წლის ივნისიდან დღემდე, გამოძიება სულ 29 საქმეზე დაიწყო, აქედან ბრალდება მხოლოდ ერთ პირს წაყენა. მსჯავრდებულთა ფაქტობრივად, არ არსებობს, ადამიანის წამებისთვის რეალურად, ჯერ არც ერთი პირი არ დასჯილა. ეს მაშინ, როცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ძალადობისა და წამების შესახებ პატიმრებისგან უამრავი საჩივარი შედის. მაგალითად, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2000-2003 წლებში, აღნიშნულ დეპარტამენტში 1900-მდე ასეთი განცხადება და საჩივარი შევიდა. ამასთან, აშკარა ზრდის ტენდენცია შეინიშნება: 2000 წელს, 244 საჩივარი შევიდა, 2001 წელს — 418, 2002 წელს — 532 და 2003 წელს — 712. წამებისთვის ჯერ არავინ დასჯილა. 2005 წელს, ციხეში პატიმართა სიკვდილიანობის თაობაზე არსებული მონაცემები მონიშნავს: 47 შემთხვევიდან, ავადმყოფობისგან გარდაიცვალა 36 პირი, ძალადობის შედეგად — 11, ხოლო 5-მა თავი მოიკლა. რაც შეეხება მიმდინარე წელს, — 22 მარტის ჩათვლით, ციხეებში სიკვდილიანობის 8 შემთხვევა დაფიქსირდა, ოფიციალური ცნობით, აქედან 7 — ავადმყოფობისგან გარდაიცვალა. ხშირ შემთხვევაში, ადამიანების წამება წინასწარი პატიმრობის პერიოდში ხდება. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, ნაკლებად მძიმე დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ ალტერნატიული, არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენება. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი, პირიქით, უბიძგებს მოსამართლეებს იმისაკენ, რომ კიდევ უფრო ხშირად გამოიყენონ წინასწარი პატიმრობა, აღკვეთის ღონისძიების სახით, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 2005 წლის დეკემბრის შემდეგ, მხოლოდ გირაო და პირადი თავდებობა დარჩა აღკვეთის ღონისძიების სახეობად, დანარჩენი მუხლები, რომლებიც სხვა სახეობადაც ითვალისწინებდა, გაუქმდა.

რაც შეეხება ბოლო დროს საქართველოში განხორციელებულ სპეცოპერაციებს, ამ საკითხს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ თავის მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო. სახელმწიფო დღევანდელ კი, აღნიშნული საკითხი თავისებური კუთხით წარმოაჩინა. მთავრობის წარმომადგენელთა მთავარი არგუმენტი, სპეცოპერაციებისას ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, ის გახლდათ, რომ ხშირ შემთხვევაში, სროლას კრიმინალები იწყებენ და პოლიციელები იძულებული არიან, საპასუხოდ გახსნან ცეცხლი. „საზოგადოების წინაშე დღეს, უკვე ბევრი ისეთი ფაქტი გამოჩნდა, რაც სპეცოპერაციისას პოლიციელთა მხრიდან

დაუფიქრებელ და არაპროფესიონალურ ნაბიჯებს ახეხს. ცხადია, ასეთ ფაქტებზე გამოძიება ტენდენციურად, მხოლოდ სამართალდამცველებისთვის სასარგებლო კუთხით მიმდინარეობს. სწორედ ამაზე მეტყველებს ასეთ საქმეებში არსებული არაერთი წინააღმდეგობა და შეუსაბამობა. ასეთივე არგუმენტი აქვს ხელისუფლებას, ციხეში 27 მარტს განხორციელებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებითაც. ოფიციალური ცნობით, ამ დროს, 7 პატიმარი დაიღუპა და 17 დაშავდა. მომხდარიდან ორი დღის განმავლობაში, ადვოკატებსა და მონიტორინგის ჯგუფის წევრებს სასჯელაღსრულების დანესებულებებში არ უშვებდნენ, ეს კი სერიოზულ ეჭვს ბადებს, სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ოფიციალური ვერსიის მიმართ, ასევე, გარდაცვლილთა და დაშავებულთა რიცხვთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობის მიმართ. მთავრობის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ საპრობილემებში პატიმრებმა კარები ჩამოხსნეს და გაქცევა დააპირეს, ამის თავიდან ასაცილებლად კი, სპეციალურმა შეიარაღებულმა ძალებმა რეზინის ტყვიები გამოიყენეს, რასაც პატიმართა მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა მოჰყვა. მთავრობის მიერ დასახელებული ორივე ფაქტორი მათივე სანინააღმდეგოდ მეტყველებს. თუკი კარების ხელით ჩამოხსნა იყო შესაძლებელი, ეს ციხის არასათანადო პირობებზე მიუთითებს და თუ პატიმრებს ცეცხლსასროლი იარაღი მართლაც ჰქონდათ, ეს ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს. ფაქტია, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, გამოძიება მხოლოდ ერთი გზით — პატიმართა სანინააღმდეგოდ მიმდინარეობს. ე.წ. სპეცოპერაციები პოლიციელთა მხრიდან გადამეტებული სისასტიკით ხასიათდება. უკვე ყველას შეექმნა წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო შს სამინისტრომ „საჩვენებელი დაკავებების“ ჩატარება მას შემდეგ, რაც გამოაცხადა, რომ „შავი სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს. ოპერაცია, ჩვეულებრივ, დასაკავებელი პირის ლიკვიდაციით სრულდება. მარტო 2006 წლის პირველ კვარტალში, სპეცოპერაციის დროს, 17 ადამიანი მოკლეს. ეს რიცხვი უკვე აჭარბებს შარშან, მთელი წლის განმავლობაში სპეცოპერაციებისას მოკლულ პირთა რაოდენობას. ეს, ქვეყანაში არსებული დაუსჯელობის სინდრომის პირდაპირი შედეგია. ყოველივე ამას მივყავართ იმ დასკვნაზე, რომ სამართალდამცველების მიერ ჩადენილი ჩვეულებრივი მკვლელობა შემდეგ, სპეცოპერაციის სახელწოდებით ინიღბება“, — ნათქვამია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშში.

მართლაც, 2005 წლის მონაცემებით, მთელი წლის განმავლობაში ჩატარებული სპეცოპერაციების დროს, 15 ადამიანი გარდაიცვალა. სამართალდამცავი სისტემის მუშაობასთან დაკავშირებით, შს მინისტრმა, **ვანო მერაბიშვილმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: „საქართველოს მო-

ქალაქები აუცილებლად იქნებიან დაცულნი კრიმინალებისგან. დამნაშავეები საქართველოში, სამხუხაროდ, კვლავ თარეზობენ და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს აღკვეთილი. თითოეული განხორციელებული სპეცოპერაცია ჩვენი სამართალდამცველების მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს“.

გაეროს კომიტეტის შეფასება მინისტრის აზრს არ ემთხვევა. 2006 წლის 10 მაისს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშავა რეკომენდაციები და საქართველოს ხელისუფლებას საკმაოდ მკაცრი შეფასება და არაერთი მნიშვნელოვანი მითითება მისცა. აღნიშნული რეკომენდაციები ფართო საზოგადოებისთვის 19 მაისს გახდა ცნობილი. ორგანიზაციის წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება სპეცოპერაციებში მონაწილე სპეცრაზმელების ფორმაზე გაამახვილეს: „საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სპეცოპერაციების განხორციელების დროს, ატარებენ ნიღბებს და ამავდროულად, არ ატარებენ საიდენტიფიკაციო სამკერდე ნიშნებს. ეს შეუძლებელს ხდის დამნაშავეს იდენტიფიცირებას იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტულ უკანონო ქმედებებზე საუბარი და შესაბამისი საჩივარი არსებობს“, — აღნიშნულია გაეროს კომიტეტის რეკომენდაციებში. როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტმა გვითხრა, აღნიშნული შენიშვნა სხდომაზე საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის წევრებმა ფაქტობრივად, აღიარეს და აღნიშნეს, რომ ამ დეტალს აუცილებლად გაითვალისწინებენ.

ეს ერთადერთი შენიშვნა არ გახლავთ. გაეროს ორგანიზაცია შემოთავაზებს გამოთქვას იმასთან დაკავშირებითაც, რომ არ არსებობს დეტალური ინფორმაცია ტუბერკულოზით გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობის თაობაზე, ისევე, როგორც არ არსებობს სრული სტატისტიკა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა რიცხვზე. „გამაოგნებელია ის ფაქტი, რომ ადამიანის წამებასა და დამამცირებელ, არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებულ პირთა რიცხვი მაღალია, ამ მუხლით მსჯავრდებულები კი თითქმის არ არიან“, — აღნიშნულია რეკომენდაციებს შორის. გაეროს ორგანიზაციის ამ დასკვნასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა — ადამიანის უფლებათა დაცვისა და სადოკუმენტაციო ცენტრმა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პრესკონფერენციაც მოაწყვეს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები — იურისტები მოუწოდებენ საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს, გაივალისწინონ აღნიშნული რეკომენდაციები და კანონმდებლობაში შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები, რომელთა პრაქტიკული განხორციელება აუცილებელია. ვარაუდობენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას არა მარტო მათი, არამედ საზოგადოების მხრიდანაც მკვეთრი რეაქცია და რადიკალური ნაბიჯები მოჰყვება.

„ნაქსეულს იარაღიდან ზედიზედ უსროლს“

გასულ კვირას, თბილისში, სუპერმარკეტ „ბიგ-ბენთან“ მომხდარი დანაშაულისთვის დაკავებულ ნოშრევან ნამორაძეს ბრალიც ნაუყენეს და აღკვეთის ღონისძიების სახით, ორთვიანი წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს. ორივე ფაქტს აპროტესტებს ბრალდებულის ადვოკატი, ევა ბესელია და აღნიშნავს, რომ გამოძიებამ თავიდანვე არასწორი გეზი აიღო, ნამორაძეს ბრალი სრულიად უსაფუძვლოდ ნაუყენეს და რეალურად დაზარალებული, საქმეში ბრალდებულად აქციეს.

როგორც ადვოკატმა გვიტხრა, ნამორაძემ გამოძიებას ჩვენება უკვე მისცა. ფაქტი 2006 წლის 15 მაისს, დაახლოებით ღამის 2 საათზე მოხდა. ჭავჭავაძის გამზირზე, №52-ში მდებარე სუპერმარკეტ „ბიგ-ბენთან“, სადაც ნამორაძე, მისივე ჩვენების თანახმად, პროდუქტების საყიდლად შედიოდა, ის თავის ნაცნობს — დავით კურცხალიას შემთხვევით შეხვდა. ნამორაძე აღნიშნავს, რომ კურცხალია გაღიზიანებული და გაბრაზებული ჩანდა. ბრალდებულის ჩვენების მიხედვით, კურცხალიამ შეხვედრისთანავე უსაფუძვლოდ ნამორაძეს იმის გამო, რომ მის სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. ნამორაძემ, როგორც თავად ამბობს, მოუწოდა კურცხალიას იმისკენ, რომ შეენიჭებინა უმიზეზო ჩსუბი და შესთავაზა, ერთმანეთს მეორე დღეს შეხვედროდნენ და დალაპარაკებოდნენ. „ეს უთხრა თუ არა, მოულოდნელად, კურცხალიამ ნამორაძეს სახეში ხელი ძლიერად ჩაარტყა. ნამორაძე ნაიქცა. კურცხალიამაც არ დააყოვნა, ამოიღო თავისი — „ზიგზაუერის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და ზედიზედ რამდენჯერმე ისროლა ნაქცეული ნამორაძის მიმართულებით. ზუსტად რამდენჯერ გაისროლა, ამას ექსპერტიზა დაადგენს, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ „ზიგზაუერის“ მჭიდში 16 ტყვია ჩადის, მჭიდი კი, როცა ის პოლიციელებმა ამოიღეს, ცარიელი იყო. სროლის მომენტში, ნაქცეულმა ნამორაძემ ინსტინქტურად ფეხი აიფარა სხეულზე, ამიტომაც ტყვიები ქუსლში მოხვდა. ამის შემდეგ, თავდაცვის მიზნით, ნამორაძემაც ამოიღო თავისი — „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი. რამდენიმე გასროლის შემდეგ, იქაურობას მოშორდა, უნდოდა, გარიდებოდა იმ ადგილს, მაგრამ მისი მიმართულებით საპასუხო სროლები არ წყდებოდა. ნამორაძე „ბიგ-ბენში“ შევარდა. სროლა იმ მომენტშიც გრძელდებოდა და ამას „ბიგ-ბენის“ კარის ჩამსხვრეული შუშაც მოწმობს. ნამორაძემ საშველად სუპერმარკეტის დაცვის წევრებს მიმართა. სროლა კი არ წყდებოდა. მხოლოდ კურცხალია ისროდა მისი მიმართულებით თუ კიდევ სხვა ვინმე, — ეს გასარკვევია და ამაზე გამოძიება, იმედია, იმუშავებს. ამ მხრივ მნიშვნელოვან ცნობას შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნები მოგვანჯდის. სწორედ ექსპერტებმა უნდა გამოიკვლიონ, თუ რამდენი და რა სახის იარაღიდან იქნა გასროლილი ტყვიები. ასევე მნიშვნელო-

ვანია, გაირკვეს, კონკრეტულად რა სახის იარაღიდან იქნა გასროლილი ტყვია, რომელმაც სუპერმარკეტის კარი დაზიანა. შუშა უკვე გამოცვლილია. გამოძიებას კი, ნატყვიარი შუშის ნამსხვრევები ამოღებული არა აქვს — მაშინ, როცა მათზე სათანადო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად, ძიება სიმართლის დასადგენად, მტისმეტად საინტერესო ინფორმაციას მიიღებდა. სწორედ აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ გამოძიება თავიდანვე, ნამორაძის საწინააღმდეგოდ წარიმართა. არ ვიცი, გამოძიება შეცდომაში შევიდა, თუ ეს, საქმეში ვინმეს ჩარევის გამო მოხდა, მაგრამ ამ ეტაპისთვის ჩვენ — დაცვის მხარეს — უკვე შეგვიძლია, გამოძიებას წარუდგინოთ საკმარისი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ნამორაძე რეალურად, დაზარალებულს წარმოადგენს და არა — ბრალდებულს“, — ამბობს **ევა ბესელია**.

ადვოკატი იმასაც აღნიშნავს, რომ დარღვევები გამოძიების საწყის ეტაპზე დაფიქსირდა, ამჟამად კი პროკურატურა ჯერჯერობით, ობიექტურობას ინარჩუნებს.

ევა ბესელია:
„პროკურატურა დაცვის განხორციელების საშუალებას გვაძლევს. მალე მოვითხოვთ მონშეების ხელმოწერა, ამჯერად — დაცვის მხარის მონაწილეობით დაკითხვას, რადგან მიმანჩნა, რომ გამოძიებამ ისინი არასრულყოფილად დაჰკითხა. თვითმხილველებისთვის რეალურად არ დაუსვამთ ისეთი შეკითხვები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ამ კითხვებზე კი, პასუხი აუცილებლად უნდა მივიღოთ“.

საქმის მასალების მიხედვით, იმ ღამეს, ნოშრევან ნამორაძეს თან ორი ქალბატონი ახლდა — სუთიძე და გაბადაძე. ორივენი მისი ახლობლები არიან. მათი ჩვენებები ნამორაძის ჩვენებას ემთხვევა. სუთიძემ და გაბადაძემ ზუსტად ისე აღწერეს შემთხვევის ღამეს განვითარებული მოვლენები, როგორც ეს ბრალდებულმა დააფიქსირა. ყველაფერთან ერთად, სუთიძე ჩვენებაში იმასაც აღნიშნავს, რომ შემთხვევის ადგილზე მან კიდევ ერთი პირი — გიორგი ცააძე დაინახა. მისივე თქმით, ცააძეს მეორე პიროვნებაც ახლდა თან — სავარაუდოდ, გიორგი გამსახურდია. სამართალდამცველების თქმით, ეს ფაქტი ჯერჯერობით, არაფრით დასტურდება.

ევა ბესელია:

„ვერც სუთიძე ამბობს ამას დაჟინებით, ის მხოლოდ ვარაუდობს. თუმცა, როგორც მითხრეს, „ბიგ-ბენში“ დამონტაჟებულმა კამერამ, მაღაზიაში შესული ცააძეც დააფიქსირა და გამსახურდიაც. ამ ვიდეოფირის ნახვას უახლოეს მომავალში ვაპირებთ და ვფიქრობ, რომ გამოძიება ამის საშუალებას ჩვენ, როგორც დაცვის მხარეს, მოგვცემს“.

რაც შეეხება დავით კურცხალიას — გამოძიების ინფორმაციით, ნამორაძის მიერ გასროლილი ტყვიებით ის გულმკერდის, მუცლის და კიდურების არეში დაიჭრა. მის სხეულზე ოთხი ჭრილობა დააფიქსირეს. ორივე დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. სასწრაფო ოპერაციის შედეგად, კურცხალია სიკვდილი გადაურჩა. გადარჩა ნამორაძეც. მომხდართან დაკავშირებით, კურცხალიამ გამოძიებას განუცხადა, რომ მას მოულოდნელად, ნამორაძე დაესხა თავს და მოკვლა დაუპირა. თავად კი, იარაღი თავდაცვის მიზნით გამოიყენა. იარაღი ორივეს კანონიერად აქვს გაფორმებული. კურცხალია საქმეში დაზარალებულადაა ცნობილი, აქედან გამომდინარე, მისი და გამოძიების პოზიცია ამ ეტაპზე ერთმანეთს ემთხვევა. აღნიშნული პოზიცია 2006 წლის 19 მაისს გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლომაც და ნამორაძეს, როგორც დავით კურცხალიას განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. აღნიშნულის შესახებ, სასამართლოს შუამდგომლობით პროკურატურამ მიმართა. მოტივი გახლდათ ის, რომ შესაძლებელი იყო, ნამორაძე გამოძიებას დამალვოდა ან მორიგი დანაშაული ჩაედინა. ამ მოტივს ბრალდებულის ადვოკატი უსაფუძვლოდ მიიჩნევს. მისი თქმით, ნამორაძე ამჯამადაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და როგორც ექიმები ამბობენ, მას ქირურგიული ჩარევა ესაჭიროება.

რა მოხდა რეალურად შემთხვევის დღეს სუპერმარკეტ „ბიგ-ბენთან“, ვინ ვის დაესხა თავს და მონაწილეობდა თუ არა კიდევ ვინმე ამ დანაშაულში? იმედია, ყოველივე ამას პროკურატურა ობიექტურად გამოიძიებს. საქმეზე ექსპერტიზის დასკვნები ჯერ არ მიუღიათ და არც მონშეები დაკითხულან სრულყოფილად. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე მყოფი ადამიანები — სუპერმარკეტისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ამბობენ, რომ მათ არ დაუნახავთ, თუ როგორ დაიწყო ჩსუბი და კონკრეტულად ვინ გაისროლა პირველად. არაფერს ამბობენ დანაშაულში მონაწილე პირების შესახებაც. ბრალდებულის ადვოკატის თქმით კი, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ტყვიის მასრების რაოდენობა, აშკარად აღემატება საქმეში დაფიქსირებული ორი იარაღის — „მაკაროვისა“ და „ზიგზაუერის“ მჭიდების ტევადობას. ■



საყვანილი საქმიანობა

მადლობა ექიმს ანუ ვის უნდა ქართველი ქმარი?

დიდი ხნის წინ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ქალაქ ბელოსტოკში (პოლონეთი) ცხოვრობდა ადამიანი, გვარად ზამენგოფი. ქალაქი, სადაც ის ცხოვრობდა, დასახლებული იყო სხვადასხვა ეროვნების ხალხით, რომლებიც შესაბამისად, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. ახალგაზრდა ზამენგოფს დაეუბადა იდეა, რომ შეექმნა ერთი ენა, რომელზეც ეს ადამიანები ილაპარაკებდნენ და ყველასთვის გასაგები იქნებოდა. ამის შემდეგ მის საყვარელ საქმიანობად, სწორედ ხელოვნური ენის შექმნა იქცა. მისი პირველი რვეული, მამის წყალობით ცეცხლმა შთანთქა, რადგან უფროს ზამენგოფს მიაჩნდა, რომ ბიჭი საქმით უნდა იყოს დაკავებული და ასეთ სისულელეზე დრო არ უნდა დაკარგოს. ზამენგოფი ვარშავისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში სწავლობდა და ექიმი-ოკულისტის დიპლომიც აიღო, მაგრამ ენის შექმნის იდეა მოსვენებას არ აძლევდა და დიდი მუშაობის შედეგად, 1887 წელს, ბროშურაზე მუშაობა დაასრულა, რომელშიც მოცემული იყო ხელოვნურად შექმნილი ენის გრამატიკა და სიტყვათა ლექსიკონი. ნიგნის ავტორად მითითებული იყო ვინმე დოქტორი ესპერანტო. ეს გახლდათ ზამენგოფის ფსევდონიმი... აი, რა შეუძლია საქმის სიყვარულს... გაიხსენეთ ლენინი... მისი საყვარელი საქმიანობა რევოლუციონერობა გახლდათ და თურმე, ძალიან მოსწონდა ქალაქებში რძით წერა. ასე შედგენილ წერილს, ადრესატი ქვევიდან ცეცხლს შეუწებდა, რძე ფერს იცვლიდა და ფურცელზე ჩნდებოდა ტექსტი, რომელიც „დიდი ბელადის“ ხელით იყო დანერილი. რა თქმა უნდა, ყველა ასეთი გლობალური მასშტაბის საქმეს ვერ მოჰკიდებს ხელს, მაგრამ მიუხედავად იმისა, თუ რა პროფესიას ეუფლებოდა ადამიანი უმაღლეს სასწავლებელში (მთელი 5 წლის განმავლობაში), საყვარელი საქმის მოძებნა ნებისმიერ სფეროში შეუძლია.

მარი ჯაშარიძე

მესაათე ფილოლოგი

„პროფესიით ფილოლოგი ვარ. უნივერსიტეტი 15 წლის წინ დავამთავრე. მოგესხენებთ, მამაკაცი ფილოლოგი იმ-

ვიათობას წარმოადგენს და ალბათ ნებისმიერ სკოლაში დიდი სიამოვნებით შემომთავაზებენ სამსახურს, მაგრამ რატომღაც სულაც არ მსიბლავს ბავშვებთან ყოველდღე ერთსა და იმავე თემებზე საუბარი და გაკვეთილების ახსნა. ამიტომ არასოდეს მიმუშავია ჩემი

პროფესიით. რამდენიმე წლის წინ გადავწყვიტე, რომ ბებიაჩემის დანატოვარი სახლი გამეყიდა გურიაში. როდესაც სახლს ახალ პატრონს ვაბარებდი, გადავწყვიტე, იქ არსებული ნივთების ნაწილი წამომეღო. თითქმის ერთი კვირა მოვუნდი მთელი სახლის დათვალიერებას და უამრავ საინტერესო ნივთსაც გადავანყედი. მათ შორის — ძალზე ძველ, ანტიკვარულ კედლის საათს. ის გაფუჭებული იყო და გადავწყვიტე, შემეკეთებინა. ვიდრე ხელოსანს მივუტანდი, დავინტერესდი, როგორი მექანიზმი ჰქონდა და საათი დავშალე. ნაწილები დამტვერილი გახლდათ, გავწმინდე, დავზეთე, მერე ნელ-ნელა მივყვი და აწყობა დავიწყე. როდესაც ყველაფერი დავასრულე, ქანქარას ხელი გავკარი და ჩემდა გასაოცრად, საათმა მუშაობა დაიწყო. მას კედელზე საპატიო ადგილი მივუჩინე და ყველას სიამაყით ვეუბნებოდი, რომ ჩემი აწყობილი გახლდათ. ამის მერე, ერთმა აზრმა მოსვენება დამიკარგა. სოფელში წავედი და მოსახლეობისგან ძალზე იაფად შევისყიდე ძველი საათები. 80-მდე საათი ჩამოვიტანე და შევუდექი მათ დაშლა-აწყობას. ზოგი გადავაკეთე, გადმოვაკეთე, რამდენიმე საათისგან ერთი ავანყვე და ყველა მათგანი კედელზე ჩამოვკვიდე. ჩემს სახლში შემოსვლას არაფერი სჯობს. 74 საათი ერთ ოთახში ნიკნიკებს და ისეთ სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნის, რომ იქიდან გამოსვლა არ მოგიწევს. თუმცა, სტუმრები ვერ უძლებენ მათ ხმაურს და მალევე გარბიან ხოლმე. ახლაც, თუ სადმე ვნახე ლამაზი, ძველი საათი, აუცილებლად ვყიდულობ და ჩემს კოლექციას ვუმატებ. აი, ეს არის ჩემი საყვარელი საქმიანობა. პატივისცემით, მესაათე ფილოლოგი“.

თუ იცით, რას განიცდის მამაკაცი, როდესაც ოჯახის შექმნას მტკიცედ გადაწყვეტს? ფსიქოლოგები ამბობენ, რომ მამაკაცისთვის ეს დიდი სტრესი გახლავთ. თურმე, ქორწილის წინა დღეებში მამაკაცების 35%-ს ის ქალბატონები ესიზმრება, ვისთანაც მანამდე ურთიერთობა ჰქონია, 14%-ს — ესიზმრება, რომ ჯაჭვით არის მიბმული კარის სახელურზე და სადაცაა ძალი უკბენს, 20%-ს — ბავშვის პამპერსები და ღამის ქოთანის, ხოლო დანარჩენ 31%-ს კოშმარები ტანჯავს. ქალები კი, ამ დროს, თურმე ვარდისფერ სიზმარს ნახულობენ. სწორედ ამიტომ, მამაკაცს უჭირს გადაწყვეტილების მიღება, როდესაც დგება არჩევანის წინაშე — თავისუფლება თუ ცოლი? ჩვენი შემდეგი რესპონდენტი კი უჩვეულო დილემის წინაშე დამდგარა:

ცოლი თუ მანქანა?

„ჩემი საყვარელი საქმიანობა ხატვა გახლავთ. ჩემი ორთახიანი ბინა სახელოსნოდ ვაქციე და მთელი დღის განმავლობაში ვხატავ და ვხატავ... ჩემი ნახატები კარგად იყიდება, დიდი ნაწილი უცხოეთში გადის და არც მატერიალურად მიჭირს. უკვე 30 წელს გადავცილ-

დი, მაგრამ ცოლი ჯერ არ მყავს. ყველა მიჩინებულს, რომ დროა ცოლი მოვიყვანო. მე კი, არ მინდა, რადგან ასე თავისუფლად ვეღარ ვისეირნებ, ვეღარც დაფხატავ და ვერც ჩემს გემოზე ვიცხოვრებ. ცოლი რომ მოვიყვანო, სახლს აუცილებლად დაალაგებს, მე კი, არ მინდა დალაგებული სახლი, რადგან ჩემს ოთახებში არსებული ქაოსი მშვენიერ გუნებაზე მაყენებს და მუზაც მოდის... ჩემი ძმაკაცი შემიჩნდა, ერთი გოგო უნდა გაგირიგოო. მართლაც, მშვენიერი გოგონა აღმოჩნდა, თითქოს გადაწყვიტე, რაც არის, არის, ავადგები და დავექორწინდები-მეთქი და დავინწყე ფულის შეგროვება ქორწილისთვის, საოჯახო ხარჯის და ათასი წვრილი მანი რამერუმესთვის. გვარიანი თანხა მომიგროვდა. წინათ ამდენ ფულს თავი ვერ მოვუყარე. ახლა კი, ქორწილისთვის ვეღარ ვიმეტებდი და დავდექი არჩევანის წინაშე: ან ცოლი, ან — მანქანა... იცით, რამდენი ხანია, მანქანაზე ვოცნებობ? რჩევისთვის ძმაკაცს მივაკითხე (იმას არა, ვინც გოგოს მირიგებდა). ეს ძმაკაცი „ავტოპროფილაქტიკაში“ მუშაობს და ვიფიქრე, რომ ყველაზე უკეთ ის მირჩევდა. სალამო ხანს, შინ ვესტუმრე და ლუდის სმასა და ლაპარაკს შევყვებით. რა თქმა უნდა, ჩემი გასაჭირი ავუხსენი. შემომხედა და მითხრა: — ე.ი. ვერ გადანყვიტე, ცოლი მოიყვანო თუ მანქანა იყიდო? ხომ იცი, რომ მანქანების „პრაფესორიც“ ვარ და ქალებისაც (2 ცოლი ჰყავს გამოცვლილი). ცუდს არაფერს გირჩევ. ცოლს, ძმაო, არც „ტეხასპორტი“ აქვს, ვერც პატრონს შეევაჭრები... არადა, იცი, რა მულამი აქვს, როცა ფასზე ევაჭრები? ცოლს შიგნითა და გარეთა ფერით ვერ შეარჩევ, ერთი მოდელის რამდენიმე ვარიანტიც არა აქვთ, ყველა ქალს ტვინში ერთნაირი რაოდენობის ცილინდრი აქვს, მისი სამუშაო მოცულობა დეკლარირებას არ ექვემდებარება, თუ ცოლმა ჭრაჭუნი და წრიპინი დაიწყო, იცოდე, ვერც დაზეთავ, ვერც „ტორმუზის კალოდებს“ გამოუცვლი და სამუდამოდ ჭრაჭუნში უნდა იცხოვრო, ვერც ვერასოდეს გაიგებ „ზავადსკოი“ ფასს... აი, ძმაო, მე ყველაფერი ჩამოვთვალე, რაც შემეძლო და ახლა შენ გადაწყვიტე, როგორ უნდა მოიქცეო... ასეთი „კომპეტენტური“ რჩევა-დარიგების შემდეგ, შინ წამოვედი, მთელი ღამე ვიფიქრე, მეორე დილით, ისევ იმ ძმაკაცს დავურეკე და ვუთხარი: — წამო, ძმაო, მანქანების ბაზრობაზე გამომყევი, რომ რაღაც შევარჩიო-მეთქი.... სიხარულის ყიჟინა დასცხო... ასე ვიყიდე მანქანა, გადავრჩი ცოლის მოყვანას და შევინარ-

ჩუნე საყვარელი საქმიანობა“.

შემდეგ რესპონდენტს, წინასწარ განსხვავებით, გადანყვიტელება უკვე მიღებული აქვს, არა მარტო ცოლის მოყვანის, არამედ გამდიდრების ხერხისთვისაც მიუგნია და თავის ამბავს დიდი სიამონებით გვიამბობს...

უპატრონო დევიდი

„ჩემი საყვარელი საქმიანობა მხარეთმოზე ნოლა და ნებვირობაა. რა თქმა უნდა, უფულოდ ეს საქმე არ გამოდის. ამიტომ, ხან ერთ ქალს ვაბამ, ხან — მეორეს, რა თქმა უნდა, ფულიანებს და ჩემთან საცხოვრებლად მომყავს ხოლმე, მერე მე წამოვწვები, ისინი კი, თავის საქმეს მშვენივრად ასრულებენ. ბოლო ქალს რომ დავცილდი, შემდეგის მოძებ-



ნა ძალზე გამიჭირდა. ძველ „სიყვარულეს“ დავურეკე, მაგრამ ზოგი გათხოვილა, ზოგი — უცხოეთში წასულა, ზოგმა ჩემთან ურთიერთობა აღარ ისურვა და დავრჩი ასე, უპატრონოდ. ავდექი და ინტერნეტში რუსულ ენაზე შედგენილი განცხადება მოვთავსე: „ვცხოვრობ საქართველოში, ვარ ჯან-ღონით სავსე, ახალგაზრდა მამაკაცი, სასწრაფოდ დავქორწინდები ამერიკელ ქალბატონზე (ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს), თანახმა ვარ, საცხოვრებელი ადგილი შევიცვალო (განვითარებლად ქვეყნებს ნუ შემომთავაზებთ). ენას ვფლობ. ვუპასუხებ მხოლოდ იმ ქალბატონებს, ვინც გამომიგზავნის სურათს „კუპალნიკი“. დევიდი“. დიდი მოთმინებით ველოდი, ვინ გამოეხმაურებოდა ჩემს განცხადებას. 4 დღის შემდეგ, მივიღე ერთი ქალბატონის პასუხი (ისიც რუსულად), რომელსაც წამდვილად კარგი იუმორის გრძნობა

აქვს: „ძვირფასო მისტერ დევიდ! გთხოვთ, მამაკაციო ჩემი ცუდი რუსული, მომინდა პასუხი მაშინვე მომწერა, როგორც კი განცხადება წავიკითხე. მე ცხოვრობს ქალაქ ნიუ-იორკში და თანახმაა საქართველოში ცხოვრება. ქართული საერთოდ არ იცის, მაგრამ აუცილებლად სწავლობს, რომ შენ გაიგოს, გაჩუქე ჩემი სურათი, „კუპალნიკი“ შეხვეული, მაგრამ ვერ მიხვდა, რატომ გინდა ჩემი „კუპალნიკი“. მინდა გკითხო, რატომ გინდა ცოლად „ამერიკანკა“. ქართველი ქალი არ იშოვება? მომწერო პასუხი. ელიზაბეტი“. გულიანად ვიცინე მის წერილზე და პასუხიც გავეუშანაშალე: „ძვირფასო მის ელიზაბეტ, ამერიკელი ცოლი მინდა არა იმიტომ, რომ ქართველი ქალი არ იშოვება, არამედ, პროტესტის გამო. თქვენი ამერიკელი „მისტერები“ ქორწინდებიან საქართველოდან ჩამოსულ ქალებზე, ხოლო ინტერნეტში ერთი განცხადებაც კი ვერ ვიპოვე, სადაც წერია, რომ ამერიკელი ქალბატონი ეძებს ქართველ ქმარს. რით ვართ, ქართველი მამაკაცები ქალებზე ნაკლები? ამიტომ, მოხარული ვიქნები, თუ გამომიგზავნით მონვევასა და გზის ფულს. თქვენი დევიდი...“

„მონვევა მივიღე და ახლა გზის ფულს ველოდები. ასე რომ, ნავალ ახლა ამერიკაში და იქ წამოვწვები მხარეთმოზე. პატივისცემით, თქვენი დათო“.

მამაკაცისა და ქალის საყვარელი საქმიანობა ოდითგანვე ერთმანეთის განრადიკალურად განსხვავებულია. შემძლია, რამდენიმე მაგალითი მოგიყვანოთ:

მამაკაცმა აღმოაჩინა იარაღი და მოიგონა ნადირობა.

ქალმა აღმოაჩინა ნადირობა და მოიგონა ქურჩი.

მამაკაცმა აღმოაჩინა ფერები და მოიგონა ფერწერა.

ქალმა აღმოაჩინა ფერწერა და მოიგონა მაკიაჟი.

მამაკაცმა აღმოაჩინა სიტყვა და მოიგონა საუბარი.

ქალმა აღმოაჩინა საუბარი და მოიგონა ლაქლაქი.

მამაკაცმა აღმოაჩინა თამაში და მოიგონა ბანქო.

ქალმა აღმოაჩინა ბანქო და მოიგონა ჯადოქრობა.

მამაკაცმა აღმოაჩინა სოფლის მეურნეობა და მოიგონა საჭმელი.

ქალმა აღმოაჩინა საჭმელი და მოიგონა დიეტა.

მამაკაცმა აღმოაჩინა მეგობრობა და მოიგონა სიყვარული.

ქალმა აღმოაჩინა სიყვარული და მოიგონა ქორწინება.

მამაკაცმა აღმოაჩინა ქალი და მოიგონა სექსი.

ქალმა აღმოაჩინა სექსი და მოიგონა თავის ტკივილი.

მამაკაცმა აღმოაჩინა ალებ-მიცემობა და მოიგონა ფული.

ქალმა აღმოაჩინა ფული და... აი, ამის შემდეგ დადგა ყველაფერი თავდაყირა...

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ თურმე, არსებობენ ქალები, რომლებსაც ისეთი საყვარელი საქმიანობა აქვთ, რომელიც ყველა მამაკაცს არ ხელონივება.

ალპინიზმი სასარგებლო სპორტია

„ჩემი საყვარელი საქმიანობა ალპინიზმი გახლავთ. ბავშვობიდან კლდეზე ვცოცავ. ქალისთვის ცოტა შეუფერებელი საქმიანობაა, მაგრამ... საერთოდ, ძალზე დაბნეული ადამიანი ვარ. ყოველთვის ყველაფერი მავინყდება, ყველაზე ხშირად კი — სახლის გასაღები. წლების განმავლობაში ვცხოვრობდი გლდანში, 9-სართულიანი კორპუსის მე-7 სართულზე. თითქმის, ყოველ მეორე დღეს, სახლის გასაღები მრჩებოდა და შინ მოსული, მეზობლის აივანიდან გადავიდიოდი ხოლმე. ეს არცთუ ისე იოლი გახლდათ, მაგრამ მე, როგორც მთამსვლელს, სულაც არ მიჭირდა. მეზობლები და უკანა კორპუსში მცხოვრებნი უკვე მიჩვეული იყვნენ ჩემს ასეთ საქციელს და ყურადღებას აღარ მამცემდნენ. მეზობელს საღამოს მივუკაკუნებდი თუ არა, მაშინვე გზას მითმობდა და აივნიკენ მიმითითებდა ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს გამიჩნდა იმის საშუალება, რომ საბურთალოზე მეყიდა ბინა და საცხოვრებელი ადგილი შევიცვალე. იქ, მე-9 სართულზე ვცხოვრობდი. მეგობრები ბარგის გადაზიდვაში მომეხმარნენ, სახლი ცოტა მიმაღაგებინეს და ატყდნენ — გინდა თუ არა, მალარიჩი იკისრეო. ავდექი და რესტორანში დავპატიჟე. როგორც წესი, გასაღები დამავიწყდა და კარი გამოვკეტე. შინ კარგა გვარიანად შეზარხოშებული დავბრუნდი. ისეთი მთვრალი ვიყავი, რომ პირში ენას ძლივ ვატრიალებდი. ვინაიდან გასაღები არ მქონდა, კარის მეზობელთან დავაკუნე. კარი მამაკაცმა გამიღო, მაგრამ სულაც არ მიფიქრია, რომ ის ჩემთვის უცნობი იყო. ჩვეულებისამებრ, პირდაპირ „შევაჭერი“ დერეფანში და გეზი აივნიკენ ავიღე. არც გამხსენებია, რომ ეს ოჯახი ჩემთვის უცხო იყო, მე ისევ ძველი მეზობელი მეგონა. შევნიშნე, რომ დერეფანში ნოხი ევინა და მეზობელი შევაქე: — ვაა, კარგი გიქნიათ, ნოხი რომ შეგიძენიათ, უხდება-მეთქი... ვაა, ტელევიზორიც ახალი გაქვთ? სადი მოვით ამდენი ფული? — შევევითხე და აივნის კარი გავაღე. ბინის პატრონი უკან მომყვებოდა და რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ მის ლაპარაკს ყურადღებას არ ვამცემდი. აივანზე უამრავი ხარახურა ეყარა, რომელიც მოაჯირთან მისვლის საშუალებას არ მაძლევდა. დავინწყე მათი გადმოყრა, თან იდაყვს მეზობელს

ვკრავ, რომელიც ცდილობს, გამაჩეროს და თან ვბურტყუნებ: — გაინი, კაცო, დამაცადე, სახლი გადავძვრე, მშია და მაცივარში იქნებ რაღაც ვიპოვო-მეთქი... ჩვეული მოძრაობით გადავძვრი მისი აივნიდან ჩემს აივანზე და გამდლობთ-მეთქი — გამოვძახე გაოგნებულ მეზობელს... დილით კარზე კაკუნმა გამაღვიძა. კართან უცხო მამაკაცი იდგა. კარგად დავაკვირდი, მაგრამ ვერ ვიცანი. თვითონ კი, ხელი გამომიწოდა და მითხრა: — თქვენი კარის მეზობელი ვარ, დიმაო... შინ შევიპატიჟე, რადგან ხელში ლუდის ორლიტრიანი ბოთლი ეჭირა და მივხვდი, „პახმელიისთვის“ მომიტანა. ეს ამბავი, რომელიც ახლა მოგიყვით, მისგან ვიცო, თორემ მე საერთოდ არ მახსოვდა — როგორ მოვედი სახლში. დიმა დავამშვიდე, რომ ასეთი სურათის მომსწრე ხშირად გახდებოდა და არ უნდა ენერვიულა. მან კი, კარგი გამოსავალი მოძებნა: სახლის ერთი გასაღები თან წაიღო და ახლა, როდესაც გასაღები შინ მრჩება, მეორე მასთან არის და იმით ვაღებ კარს. საინტერესოა, აქამდე რატომ ვერ მოვიფიქრე ასეთი რამ?“

თავის მომჭრელი ქმარი

„ჩემი ცოლის საყვარელი საქმიანობა ეჭვიანობაა. აქვს მიზეზი თუ არა, მაინც ეჭვიანობს, თუ შინ ადრე მივედი, მაინც ეძებს მიზეზს, რომ გაბრაზდეს „რატომ მოხვედი ადრე, ვაჟბატონო? ვერავინ მოძებნე? ყველამ უარი გითხრა? ნასასვლელი ვერსად ნახე და შინ იმიტომ მობრძანდი ადრე, არა?“ — თუ დავიგვიანებ და შუალამისას მივალ, მაშინ ხომ სულ გადაირევა ხოლმე: „სად ეგდებ? რას აკეთებდი? ქალებში იყავი? — დამაყრის ხოლმე შეკითხვებს და მერე ყნოსავს ჩემს ტანისამოსს, ათვალე იერებს, თუ თმის ღერი ნახა სადმე, მტრისას! ერთი სიტყვით, უკვე მომბეზრდა მისი ასეთი საქციელი და ყურადღებას აღარ ვამცემ. ასეთი ეჭვიანი ცოლი, რა თქმა უნდა, ზაფხულში მარტო არ მტოვებს. მხოლოდ ერთი დღით მიდის სოფელში, ისიც მაშინ, როდესაც ბავშვებს დედაჩემთან წაიყვანს, დატოვებს და მეორე დღესვე უკან ბრუნდება. ერთხელ, ერთი დღით სოფელში წასული უკან რომ მობრუნდა, სახლში ფაქტების ძებნა დაიწყო და ნაგვის ვედრო გადმოაბრუნა. იქ იპოვა საჭმლის ნარჩენები, კონიაკის ბოთლი და ერთჯერადი, პლასტმასის თეფშები და

ჭიქები. ვიფიქრე, რომ ახლა ერთ ამბავს დამანევდა და თავის მართლებისთვის მოვეზმადე. შემომხედა და მეკითხება: ქალი გყავდა? — ამ დროს, ისე გამომხედა, რომ თავის მართლების ნაცვლად ისეთი სურვილი გამიჩნდა, რომ გამემწარებინა და ვუპასუხე: „დიან, ქალი მყავდა“, — შინაგანად კი, ბრძოლისთვის მოვეზმადე. შორიდან მიყურებდა და შეტევას აგვიანებდა. ბოლოს მითხრა: — თავს რატომ მჭერი? რას იფიქრებდა ის ქალი, ჭურჭელი არა აქვთო? როგორ შეიძლება, რომ ოჯახში მოსულ ადამიანს პლასტმასის ჭურჭელი მიუტანო სუფრაზეო? ისეთი გაოგნებული სახე მქონდა, რომ თვითონვე ბევრი იცინა. მაშინვე მივხვდი, რას ნიშნავს დიასახლისისთვის თავის გამოჩენა... რას გაუტეგბ ამ ქალებს?“

დიდი მადლობა ექიმს!

„მე ექიმი ვარ და ჩემი საყვარელი საქმიანობაც სწორედ ეს გახლავთ. არ შეგანყენთ თავს იმაზე ლაპარაკით, თუ რა საინტერესო პროფესია მაქვს და რატომ მიყვარს ის. უბრალოდ, მოგიყვებით ორ ეპიზოდს, რომელიც ჩემს საყვარელ საქმიანობას ეხება. ადრე, სასწრაფოს ექიმად ვმუშაობდი. მოგესვენებათ, კომუნისტური რეჟიმის დროს, სასწრაფო უფასო იყო და ბევრი მარტოხელა მოსუცი იმისთვის იძახებდა ბრიგადას, რომ უბრალოდ, ადამიანებთან ესაუბრა, ან შიში ჰქონდა და წნევის გაზომვა უნდოდა. სწორედ ასეთი გამოძახებზე მოვხვდი. ქალბატონს წნევა გავუზომეთ, პულსიც, მაგრამ ავადმყოფობის არაფერი ეტყობოდა. არ მოგვეშვა: რაიმე ნემსი გამიკეთეთო. გადავწყვიტეთ, ნ მლ გლუკოზა გავგვეკეთებინა, რომ ბებო დაგვეშვიდებინა. ექთანმა გაამზადა შპრი-



ცი, ბებო გადავაბრუნეთ, საჯდომი გავუ-
შიშვლეთ და თვალებს არ დავუჯერეთ.
საჯდომზე „ზელიონკით“ აწერია: ბებო
იტყუება... სიცილი ვერ შევიკავეთ.
როგორც ჩანს, ჩვენზე წინ გამოძახებულმა
ბრიგადამ იყოჩაღა და წარწერა დაგვი-
ტოვა... მეორედ კი, ისეთი ამბავი დამე-
მართა, რომლის გახსენებაც ღიმილთან
ერთად, სინდისის ქენჯნასაც მგერის. ახ-
ალი წლის ღამეს მორიგე ვიყავი. რა თქმა
უნდა, სამსახურში აღვნიშნეთ ეს დღე და
გამთენიისას, როდესაც უკვე კარგად
შეზარბოშებული ვიყავით, გამოძახება
მივიღეთ. ერთ ოჯახში, სტუმარი გახდა
ავად. ჩვენი მოვალეობა პირნათლად შევას-
რულეთ, სამსახურში დავბრუნდით და
ქეიფი გავაგრძელეთ. რამდენიმე დღის
შემდეგ კი, ჩვენი ბრიგადის სახელზე მად-
ლობის წერილი მოვიდა, სადაც შავით
თეთრზე ეწერა: პატივცემულ „სასწრაფო
დახმარების“ მთავარ ექიმს! გვინდა მად-
ლობა გადავუხადოთ თქვენს ბრიგადას,
რომელიც ახალი წლის ღამეს გამოვიძახე-
თ. ექიმი მართალია, ფეხზე ძლივს იდგა,
მაგრამ ავადმყოფი დიდი გულისყურით
გასინჯა, შემდეგ, კარადის გვერდით მო-
შარდა, ექთანმა კი, მაგნეზია (წამალი ასე-
თი) ავადმყოფის ნაცვლად, დივანს გაუკე-
თა, მერე ზრდილობიანად დაგვემშვიდობ-
ნენ და წავიდნენ. ისე ვიმხიარულეთ, რომ
ეს ახალი წელი არასოდეს დაგვაიწყდე-
ბა. გაისადაც აუცილებლად გამოვიძახებთ
„სასწრაფო დახმარების“ ბრიგადას. დიდი
მადლობა, მონიჭებული სიამოვნებისთვის!
— რა თქმა უნდა, საყვედური გამომიცხ-
ადეს და ცოტა ხანში, სამსახური დავ-
ტოვე კიდეც. პატივისცემით, ზურა“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავუცნოთ

„ჩამოვალ ბაღდათში და ყველას დაგბანთ“...

„ჩემი და ჩემი კურსელების საყვარე-
ლი საქმიანობა ქირურგიის პრაქტიკაზე
სიარული, ვალერიისა და მიშიკოს მიერ
ჩატარებულ ოპერაციაზე დასწრება და
იქიდან შინ, ჰოლანდიური ავტობუსით

დაბრუნებაა. მომავალი მედდები,
ქუთაისიდან“.

„ჩემი საყვარელი საქმიანობა ჩემს ქმარ-
თან ლოგინში კოტრიალია, მაგრამ ეს
სიამოვნება ამ ბოლო დროს მომაკლდა.
ჩემი სიყვარული ერაყში წაიყვანეს. ჯიმ,
მიყვარხარ! პუტკუნა“.

„ჩემი ჰობი ტელეფონზე ბიჭების გაც-
ნობაა. მაგარი მულამი აქვს და ბედიც
მწყალობს. მაგარ ბიჭებს ვაყვარებ თავს
ჩემი ხმით და ბუნებით. გარეგნულადაც
კარგი ვარ, მაგრამ ტელეფონზე — გან-
საკუთრებული! მაგარ დროს ვატარებ.
მის ქეთათო“.

„ჩემი საყვარელი საქმიანობა „გზის“
კითხვა და მესიჯების წერაა. ამის გამო,
ბევრი სასწრაფო საქმე გადამიდგია. თუა“.

„ჩემი საყვარელი საქმიანობა მუსიკაა,
მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მეჯავ-
რება. უცნაურია, არა? მეც ასეთი უცნ-
აური ვარ, იმიტომ, რომ ძალიან, ძალიან
ზარმაცია ვარ, მაგრამ ძილი არ მიყვარს.
მეგობრებში ძალიან ცანცარა ვარ, მა-
გრამ ქუჩაში ვინმემ რომ დამინახოს,
იტყვის, რომ ჩემზე სერიოზული ადამი-
ანი არ უნახავს. მარი, ბოლო თეთრე-
ბით!.. გნერ და დამიბეჭდე, რაა!.. დიდა“.

„პრივეტები!“ გაგახარათ ღმერთმა, ე,
რა მაგარი რუბრიკა გაქვთ! ყოველი ხუთ-
შაბათის მოსვლა ჩემთვის დღესასწაულია.
იცი, რატომ? იმიტომ, რომ ჟურნალი
„გზა“ გამოდის. ოჯახის წევრები „გზის“
ჭიას მეძახიან. ასე რომ, ჩემი უსაყვარლე-
სი საქმიანობა კითხვაა. ნათია“.

„ჩემი საყვარელი საქმიანობა მესიჯე-
ბის წერა, მუსიკის მოსმენა და კითხვაა.
შირად, სამივე საქმეს ერთდროულად
ვაკეთებ ხოლმე. დიდი სიყვარულით,
ქრისტე, ათენიდან“.

„ჩემი საყვარელი საქმე მესიჯების წერა
და ყავის სმაა, რასაც დიდი სიამოვნებით
ვაკეთებ ხოლმე. შოკო“.

„ჩემი უსაყვარლესი საქმიანობა
ექთანობაა, ოღონდ უდიპლომო ექთანი
ვარ. მთელ სამეზობლოში ნემსს ყველას

მე ვუკეთებ. თან „პაციენტებზე“ ვკაიფობ.
მაგარია, „საჯდომმოშვერილი“ უსუსურე-
ბის ნახვა, რომლებიც მოთმინებით ელიან,
როდის დავარჭობ ნემსს დუნდულაზე.
რომ იცოდნენ, როგორ ვკაიფობ მათზე,
მერე მაჩვენებენ საყვარელ საქმიანობას“.

„ემუშაობ ათენში, ბებოს ვუვლი და
ყოველ დღით ვბან. ეს ჩემი საყვარელი
საქმიანობა გახდა. ისე შემიყვარდა, რომ
ჩამოვალ ბაღდათში და ყველას დაგბანთ“.

„რა შეიძლება, პედაგოგისთვის საყ-
ვარელ საქმიანობად იქცეს, თუ არა,
გაკვეთილის ჩატარება? როცა გაკვეთილზე
შევდივარ და ჩემს მოსწავლეებს ვუყურებ,
ძალიან ბედნიერი ვარ. გიული“.

მეთხველების მიერ გამოგზავნილი „აფორიზმები“:

● როდესაც საყვარელი საქმე უკვე
გაქვს, უნდა იპოვო ვინმე, ვინც მასში
ფულს გადაგიხდის.

● ზოგისთვის საქმე ცხოვრებაა, ზო-
გიერთისთვის კი, მხოლოდ არსებობის
საშუალებაა.

● თუ რამის გაკეთებას აპირებ,
იცოდე, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ ფულს გადაგიხდიან.

● საინტერესო სამსახური აქვს
ჯალათს. საქმე აქვს ხალხთან, მაგრამ
მისი მომჩივანი ჯერ არავის უნახავს.

● ნუ ამოირჩევ პროფესიას ფულის
გულისთვის. ის ცოლივით უნდა შეარჩიო
— სიყვარულით და... ფულის გულისთვის.

● ცუდი პროფესია არ არსებობს,
მაგრამ არსებობს ისეთი, რომელსაც სხ-
ვებს ვუთმობთ.

● საქართველოში ყველაზე გავრ-
ცელებული „პროფესიაა“ „სირთულეებ-
ის გადამლაზველი“.

● ყველა პროფესიის სირთულე იმით
ისაზღვრება, თუ რამდენი მცდელობა
სჭირდება დილექტანტს, რომ პროფესიონ-
ალი გახდეს.

● კარგი ადამიანი — პროფესია არ
გახლავთ.

● რაც უფრო ძველია პროფესია,
მით მაღალი უნდა იყოს კვალიფიკაცია.

● ყველაზე რთული პროფესიაა, სცა-
დო, შეინარჩუნო ის, რაც არასოდეს
გქონია.

● რასაც აკეთებ, კარგად უნდა გაა-
კეთო, თუნდაც, ეს სისულელე იყოს.

● მოყვარული — ეს გახლავთ ად-
ამიანი, რომელიც სიამოვნებას ნახულობს
იქ, სადაც პროფესიონალი მხოლოდ
გამორჩენას ეძებს.

ამჯერად, „გზავნილებს“ ამით
ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად
გთავაზობთ: ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.
გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნო-
მერზე: 8(77)45.68.61. მე კი, ველი თქვენს
მესიჯებსა და „აფორიზმებს“ მოცემულ
თემაზე და გემშვიდობებით მომავალ
ხუთშაბათამდე.

თმის ბალანსირების კლინიკა

„ჰეალინგ ინტერნეიშნლ“

ბიკომპროფანციონი პროფ. თამაზ თამაზაშვილი




- ✓ უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
- ✓ უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
- ✓ თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- ✓ კონფიდენციალობა, გარანტირებული შედეგები
- ✓ შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრამ-ვისა და დამწვრობის შემდეგ
- ✓ თმა ბუნებრივად იზრდება, აღარასდროს ცვივა და იჭრება ჩვეულებრივად
- ✓ ფასი იაფი და ხელმისაწვდომი

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში

თბილისი 16 (სამხაჯნალო ჯოშონიაში)
ბატ. 30 00 30; (893)62 32 62

www.hairline.ge

როდესაც მარიამ ჯიქურაშვილს ინტერვიუზე ველოდი, მეგონა მაღალი, დაკუნთული, მზით გარუჯული და უხეში გარეგნობის, ნამდვილი ჯარისკაცი მოვიდოდა და გაოცება ვერ დავფარე, როდესაც ჩემ წინ ნაზი და თვალმზახულა გოგონა დაჯდა. ის 19 წლის გახლავთ და ჯარსკაცობაზე ოცნება შარშან აისრულა. კომანდოს ბატალიონში მსახურობს და სნაიპერი გახლავთ. თავის-სავე ასეულის სერჟანტს შეუყვარდა და ორიოდე კვირის წინ, ჯარისკაცური ოჯახიც შექმნეს. შეიძლება თუ არა ჯარისკაცის გათხოვება? რატომ არ უნდა შეგიყვარდეს საკუთარი ასეულის სერჟანტი და როგორ გადარჩა ნყვილი 22 ათასი ლარით დაჯარიმებას? ამის შესახებ, პატარძალი ჯარისკაცი გვიამბობს.



ასეულის სერჟანტს თავისი ჯარისკაცი შეუყვარდა ანუ ღმერთმა შეპყროთ, ჰატონო სერჟანტო!

მარი ჯიქურაშვილი

— ოჯახში უმცროსი შვილი ვარ. ძმა არ მყავს. მამაჩემს კი ძალიან უნდოდა, რომ ბიჭი ჰყოლოდა. როდესაც დედაჩემი ჩემზე ფეხმძიმედ იყო, ვილაცას უთქვამს, ბიჭი შეგეძინება და ჯონი დაარქვითო, მაგრამ დავიბადე გოგო და დამარქვეს მარიამი. სახელი ჯონი შემომრჩა და ახლაც, ახლობლები ხშირად ამ სახელს მეძახიან. ბიჭივით მზრდიდნენ, კაბა ცხოვრებაში არ მცმია, ჯერ აკრობატიკაზე დავდიოდი, მერე კარატეზე, კიკბოქსინგზე... არ ვიცოდი, ენერჯია რაში დამეხარჯა. 16 წლის ვიყავი, როდესაც პირველად მივედი თავდაცვის სამინისტროში და ჯარში წასვლის სურვილი გამოვთქვი. გაცივინათ და 2 წლის შემდეგ დამიბარეს — 18 წლის რომ გახდები, მაშინ მოდიო... სკოლის დამთავრებისთანავე ჩავაბარე ინსტიტუტში, მაგრამ ვერ მოვისვენე, რადგან ჯარში წასვლა გულით მინდოდა. იმ ზაფხულს, მე და ჩემი და დასასვენებლად ზღვაზე ვიყავით. გავიგე, რომ თურმე, კომანდოს ბატალიონში საბუთების მიღება 12 სექტემბრამდე იყო. ჩემი და დავტოვე და მარტო წამოვედი. საბუთები მიიღეს და კარანტინში გამიშვეს. უფროსი ყოველდღე მეუბნებოდა, რომ იქ ყოფნა ძალზე რთული იყო, მე თავს ვერ გავართმევდი

და ჯობდა, ნახუსლიყავი. მე კი მიხაროდა, რომ ყოველი დღე დაძაბული მექნებოდა და ბევრი ვარჯიშიც მომიწევდა.

— **შენს ოჯახს თუ უნდოდა, რომ ჯარისკაცი გამდარიყავი?**

— თავიდან ხუმრობად ჩათვალეს და წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ხელი ჩაიქნიეს და რაც გინდა, ის ქენიო — მითხრეს. მათ თურმე იმის იმედი ჰქონდათ, რომ გოგონებს არ მიიღებდნენ და მეც მივხვედებოდი, რომ ტყუილად ვირჯებოდი. ძალიან გამიხარდა, როდესაც მიმიღეს და იქ ქალუბიც დამხვდნენ. ჩემთან ერთად ერთი ქალბატონი, 4 შვილის დედა იყო, რომელსაც გმირ დედას ეძახიან. მადლობის სიგელიც კი მიიღო თავდაცვის სამინისტროდან. მერე ვიდეგ შემოგვემატნენ გოგონები, ჯერ „ათეული“ გავხდით, მერე — „ოცეული“...

— **როგორც ამბობენ, კარანტინში გაცილებით რთული პირობებია, ვიდრე სამხედრო ნაწილში. მოგიყვები, რა ხდებოდა, რა სხვაობაა, კარანტინსა და ჩვეულებრივ, ყაზარმულ ცხოვრებას შორის.**

— რა თქმა უნდა, კარანტინში ყოფნა გაცილებით რთულია. ამას უნდა გაუძლო, თუ გინდა, რომ ნამდვილი ჯარისკაცი გახდე. ძალიან ბევრს დავტოვებოდი, მიუხედავად ამინდისა, ხშირად, კისრამდე ტალახში ვისვრებოდი და დაბანის საშუალებაც არ გვექონდა. კვირაში ერთხელ გვიშვებდნენ აბანოში. თავიდან გვექონდა მ-კილომეტრიანი „მარშები“, მერე — 15-კილომეტრიანი, 25-იანი... ასე გვიმატებდნენ, თანდათანობით. გვექონდა ფსიქოლოგიური გამოცდებიც. მაგალითად, შეეძლოთ, შარი მოედოთ და დაეხრებოდნენ ის, რაც არ გაგიკეთებია. ამ დროს, შენი რეაქცია აინტერესებდათ...

— **სწორი რეაქცია როგორია ასეთ დროს?**

— ამას ვინ გეტყობდა? მე მიმაჩნდა, რომ უფროსი ყო-

ველთვის მართალია და თავის მართლებაც არ მიცდია. თუ დავაშვე, დამსაჯეთ-მეთქი — ვამბობდი.

— **ყველა გოგონამ ბოლომდე გაუძლო, თუ ზოგმა სურვილი დაკარგა და შინ წავიდა?**

— 4-5 გოგონა კარანტინიდანვე წავიდა შინ. თავიდან ყველას გვეკითხეს, რატომ გვინდოდა ჯარში სამსახური და რომ ვთქვი, პატრიოტული გრძობის გამო-მეთქი, მაგრამ დამცინეს. მივხვდი, რომ არ დამიჯერეს. ის რომ მეთქვა — უბრალოდ, სურვილი მქონდა-მეთქი, იფიქრებდნენ, რომ ბავშვური ოცნების ასასრულებლად ვიყავი მისული და შემეშინდა, არ გამომადგონ-მეთქი. ავდექი და ვუთხარი, რომ ჯარისკაცის ფორმა მომწონს-მეთქი. ამის შემდეგ, ჩემი ოცეულის სერჟანტი მეხვეწებოდა, ოღონდ ნადი და საქართველოს ფორმასაც მოგცემ და „ბათინკებსაცო“...

— **რატომ უნდოდათ შენი წამოსვლა?**

— მეუბნებოდნენ, ნაზი გოგონა ხარ და ჯარისკაცად ვერ აღგიქვამთო. ერთი გოგონა გვეყავს, რომელსაც მშობლები არ ჰყავს, 4 შვილის დედას მატერიალურად უჭირს და ჯარში ხელფასის გამო მსახურობს, სხვებს სხვა პრობლემები აქვთ, მე კი, არანაირი პრობლემა არ მქონდა და ვერ გაარკვიეს, რა მინდოდა ჯარში. გამოცებულები იყვნენ, რომ ასეთი სუსტი გოგონა ყველანაირი ფიზიკურ დატვირთვას ვუძლებდი და არც კი ვწუნუნებდი. ახლა უკვე ჯგუფის მეთაური და ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი ვარ.

— **სნაიპერობა შენი სურვილი იყო?**

— არა, რამდენიმე გოგონა თვითონ აგვარჩიეს და სროლაში ვარჯიში დაგვანყებინეს. თავიდან „აკაემით“ ვისროდით, მერე „ესვედეთი“, იგივე სნაიპერული შაშხანით, მაგრამ ძალიან დიდი უკუდარტყმა ჰქონდა და ლამის ლავინის ძვალი გავიტყებე. მერე ახალი შაშხანები მოგვიტანეს. ერთ-ერთი, ყველაზე კარგი იარაღი ჩემი აღმოჩნდა. თავიდან 100 მეტრზე ვის-



ჩვენი ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, სწელი ბოგასებით დაიწყო

როდით, ახლა — 700 მეტრზე.

— და... ამხელა მანძილიდან მიზანში ახვედრებ?

— ვერ გეტყვით, რომ სამიზნეს ტყვიას პირდაპირ შუბლში დავასვამ, მაგრამ აუცილებლად მოვარტყამ. იმისათვის, რომ კარგი სნაიპერი დადგე, გარკვეული ვარჯიში გჭირდება. მაგალითად, საათობით ერთ ადგილზე ვიდევით ხოლმე და ერთ წერტილს ვუყურებდით. ამ დროს, მხოლოდ თვალების დახამხამების უფლება გაქვს. თუ თვალი გაგეცვა, ან თითი გაანძრიე, უფროსი დროს გიმატებს... მასხოვს, ასეთი ვარჯიშის დროს, ერთ ბიჭს გული აერია, მეორე ჩაიკეცა. ძნელია, 4-5 საათის განმავლობაში იდგე და ერთ წერტილს უყურო. სნაიპერი სუპერმონადირე უნდა იყოს. ის, რამდენიმე საათის განმავლობაში, სულგანაბული, ჩასაფრე-



იმის გამო, რომ ქალი ხარ, ჯარში არანაირი შეღავათი არ მოქმედებს

ბული უნდა იჯდე და მსხვერპლს ელოდოს. ამ დროს, მხოლოდ სუნთქვა შეიძლება, თუ სიფრთხილეს არ გამოიჩენ, შესაძლოა, ეს სიცოცხლის ფასად დაგიჯდე. კიდევ, იყო ვარჯიში, რომლის დროსაც მიწაზე, ლოტოსის პოზაში, წელში მოხრილი საათობით უნდა ვმსხდარიყავით. ამ დროს, კალთაში იარაღი გვედო და ორივე ხელი იარაღზე გვეკვიდა. ამ ვარჯიშის შესრულება, განსაკუთრებით ძნელია ზამთარში, რადგან ცივა და ხელები ისედაც გეყინება, შენ კი, რკინაზე ხარ ჩაჭიდებული... იმის გამო, რომ ქალი ხარ, ჯარში არანაირი შეღავათი არ მოქმედებს.

— ოდესმე თუ გიფიქრია იმაზე, რომ შესაძლოა, ომში მოგინიოს წასვლამ? შიში არ გაქვს?

— ამაზე ხშირად მიფიქრია. ერთხელ, შუალაშისას განგაში გამოგვიცხადეს და წასასვლელად გაგვამზადეს, მაგრამ მერე უკან დაგვაბრუნეს. განგაშს რომ გამოაცხადებენ, გული გამაღლებით იწყებს ცემას. რა თქმა უნდა, შიში არსებობს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ქალი ვარ, შიშის გრძნობა მამაკაცებსაც აქვთ. ეს გახლავთ ჩვეულებრივი, ადამიანური მომენტი.

— გადავიდეთ იმ სიახლეზე, რომელიც შენს ცხოვრებაში მოხდა.

როგორც ვიცი, 2 კვირის წინ გათხოვდი...

— ჩემი მეუღლე მანუჩარ ფერსაშვილი გახლავთ და ერთ ნაწილში ვმსახურობთ. ჩვენი ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, სველი ბოტასებით დაიწყო. ვინაიდან, ყველაზე პატარა ზომის სამხედრო „ბათინკი“ 39 ზომა გახლავთ, მე კი, ფეხის ზომა 36 მაქვს, ჩემი ზომა ჩექმა ვერ იშოვეს და მეთაურმა ნება მომცა, რომ ბოტასებით მეველო. ერთ დღეს, წვიმაში მოვეყვი და ბოტასები დამისველდა. ჩემს მომავალ მეუღლეს, რომელიც ასეულის მეთაური გახლდათ, თურმე, მოვეწონე და დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ჩემთან გასაუბრებას. ახლა კი, მიზეზი იპოვა და მეთაურმა არ გაცივდები, სველი ბოტასები რომ გაცივია? — არა-მეთქი. — ვუთხ-



ვიღრე ცოლად არ მომიყვანა, მანამდე მის გულწრფელიაბაში მაინც ეჭვი შეპარებოდა

არი. ახლავე წადი და ჩექმა ჩაიცვიო — მიბრძანა... ვუთხარი, რომ მეთაურისგან მქონდა ნება დართული და ბოტასებით სწორედ ამიტომ დავდიოდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. იძულებული გავხდი, რომ წავსულიყავი და 39 ზომის ჩექმა ჩამეცვა. სხვათა შორის, დღემდე იმ ჩექმით დავდივარ. ამის შემდეგ, ცდილობდა, რომ ჩვენს ოთახში შემოსულიყო და გამომლაპარაკებოდა. როგორც ჩვენს ასეულის სერჟანტს, მას ჯარისკაცების შემოსება ევალებოდა. ხშირად მაძლევდა შენიშვნას და სულ საბაბს ეძებდა, რომ კონტაქტში შემოსულიყო. ერთხელ, ჩაფხუტიც გამიცვალა: ჩემი უკეთესია და თავს არ გატკენსო.

— თუ გრძნობდი, რომ მოსწონდი?

— რა თქმა უნდა, ვგრძნობდი, რომ ყველასგან განსხვავებულად მექცეოდა, მაგრამ ვერ ვენდობოდი, რადგან ვფიქრობდი, რომ გარკვეულწილად ესეც ფსიქოლოგიური გამოცდა იყო და მამონებდნენ. თანაც, ნაწილში ამბობდნენ, რომ მას შეყვარებული ჰყავდა. საბრძოლო ნაწილში მიღებული არ არის, რომ ჯარისკაცს ჯარისკაცი შეუყვარდეს. შესაძლოა, შტაბის გოგონებთან შეუყვარდეს ვინმე,

ან — სამედიცინო ნაწილიდან... ყოველივე ამის გამო, ის უნდობლობას იწვევდა. მერე დაიწყო ჩემს მობილურზე დამესიჯება. როდესაც პოლიგონზე მივდიოდით ხოლმე, მწერდა, რომ თბილად ჩამეცვა, ხოლო ერთ დღეს, ძალზე ლამაზი ლექსი მომწერა. ავდექი და პასუხი დავუბრუნე: ბატონო სერჟანტო, ჩემთან მაინც არაფერი გამოგივათ და ძალიან გთხოვთ, ასეთ ლექსებს ნუ მწერთ-მეთქი. სადილობისას, ჯარისკაცები ერთმანეთს ვეუბნებოდით ხოლმე: — ღმერთმა შეგარგოსო... ის მესიჯით მწერდა: „ღმერთმა შეგარგოს, ბატონო ჯარისკაცო...“ მეც ვპასუხობდი: თქვენც ასევე, ბატონო სერჟანტო-მეთქი. შემდეგ, უფრო დავახლოვდით, მაგრამ ვიდრე ცოლად არ მომიყვანა, მანამდე მის გულწრფელიაბაში მაინც ეჭვი მეპარებოდა. ერთ დღეს, მე და მანუჩარმა, ჩემი დისშვილი ზოოპარკში სასეირნოდ წავიყვანეთ და სწორედ მაშინ შეგვინიშნა მეთაურმა. ამის შემდეგ, ნაწილში ჩვენი სიყვარულის ამბავი გამჟღავნდა. ჯარს თავისი კანონები აქვს. მე და მანუჩარი შტაბში ცალ-ცალკე დავგიბარეს და გვითხრეს, რომ არ შეიძლებოდა, სერჟანტს თავისი ჯარისკაცი შეჰყვარებოდა. თან გაგვაფრთხილეს, სიყვარულს ვერ დავგიშლით, მაგრამ ერთ ასეულში არ უნდა იმსახუროთო. ჭორობიც დაგვიყარეს, რომ ის არასოდეს მომიყვანდა ცოლად, მაგრამ... ბატონმა სერჟანტმა, 2 კვირის წინ, მოტყუებით წამიყვანა ოზურგეთში, ბევრი ვიტირე, ბევრი ვივივივი, მაგრამ არაფერი გამივიდა და დავქონწინდით.

— ახლა ისევ ჯარისკაცი იქნები? თუ ბატონი სერჟანტი აღარ მოგცემს ამის უფლებას?

— ჯერჯერობით ვერსად წავალ, რადგან ხელშეკრულება მაქვს გაფორმებული და იქ ჩემი ვალდებულებები გარკვევით წერია. თუ წავალ, 14 ათასი ლარი უნდა გადავიხადო, რადგან მე ახალი მისული ვარ, ხოლო თუ მანუჩარი წავა — 8 ათასი, რადგან მას უკვე ნამსახურები აქვს. მხოლოდ ხელშეკრულებით დადგენილი 4 წლის შემდეგ, შემიძლია წავიდე. მანამდე წასვლის შემთხვევაში, ჯარიმას ვერ გადავუბრუნებო...

— რომ დაფხმობდნენ?

— ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივად, დეკრეტული შვებულება მეკუთვნის, ისევე, როგორც დანარჩენ ქალებს.

— ახლა ისევ ერთ ნაწილში ხართ?

— ჯერჯერობით კი, მაგრამ ალბათ გადაგვიყვანენ. ერთმანეთს ასე მივმართავთ: ბატონო სერჟანტო, შემიძლია, წავიდე? ის მპასუხობს: შეგიძლია, კაპრალო ჯიქურაშვილი...

— ანუ, იერარქული საფეხურები სამსახურშიც და სახლშიც დაცულია, არა?

— კი, ასე გამოდის.

ჩვენც ვულოცავთ წყვილს გაბედნიერებას და ვუსურვებთ, რომ სულ მალე, ბევრი „პატარა ჯარისკაცი“ შემატონ სამშობლოს.

შესაძლებელია თუ არა წინასწარ, ნაყოფის ჩასახვამდე დაიგეგმოს ბავშვის სქესი? პასუხს ამ კითხვაზე მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები მრავალი საუკუნის მანძილზე იკვლევდნენ. მეცნიერთა მცდელობამ შედეგი გამოიღო და დღეს უკვე არსებობს კარგად აპრობირებული, მაგრამ საკმაოდ ძვირად ღირებული მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, წინასწარ დაგეგმოს, გოგონა შეგეძინოთ თუ ბიჭი. სხვათა შორის, ტექნიკური თვალსაზრისით, ამ მეთოდის განხორციელება საქართველოშიც შესაძლებელია, მაგრამ ამას არსებული კანონმდებლობა გვიკრძალებს.



„თუ თქვამბიძე ძალს ჭა და წყართ ყსიზმბა, გოგონას შობს, თუ ცული ან დანა ნასა — ვაჟი იყობა“

შესაძლებელია თუ არა ნაყოფის ჩასახვამდე ბავშვის სქესის დაგეგმვა

ემა ტუხიაშვილი

ექსტრაკორპორალური განაყოფიერების (ასეთია ზემოთ ხსენებული მეთოდის დასახელება) შესახებ ჩემს ერთ-ერთ რესპონდენტს, ქუთაისელ ომარ მესხს ვუამბე. მან თავდაპირველად, გაკვირვებულმა შემომხედა, შემდეგ, იქვე მდგარ თავის ოთხივე ქალიშვილს შეავლო თვალი, არიფები არიან მაი ექიმებო — მითხრა და ერთი-მეორის მიყოლებით დაითხოვა ოთახიდან თინიკო, ქრისტინე, სალომე და მელანო.

— დაიკო, მომისმინე, რას გეტყვი: სიყრმის შვილები მე და ჩემს მეუღლეს, ტყუილი ვაჟი შეგვეძინა. ჩვილები სუსტები აღმოჩნდნენ. სამშობიაროდან გამოყვანამდე ორივე გარდაიცვალა. ჩემი მეუღლე სტრესულ მდგომარეობაში ჩავარდა. ამიტომ, გარკვეული დრო გვჭირდებოდა იმისათვის, რომ მეორე შვილის ყოლაზე გვეფიქრა. მაგრამ ცხონებული ბებიჩემი, ქსენია, გამოცდილი ქალი იყო ამ საქმეში: 4 ქალიშვილისა და 3 ვაჟის დედა! არ მოგვეშვა: შენ იცი ახლა, ომარიკე, ქალის უბე არ გააცვიო; შენი ცოლის ორგანიზმი ახლა ისეა მონყობილი, თუ მალევე დაორსულდა, ისევე ვაჟი გეყოლებათო. არ გაამართლა ქსენია ბებიას ვარაუდმა და ამ შეგონებიდან წლისთავზე, დედაჩემის მოსახელე თინიკო შეგვეძინა. ხომ იცი, როგორც ოცნებობს ყველა ქართველი კაცი, გვარის გამგრძელებელი ჰყავდეს. ჰოდა, მეც „უბე არ გავაცვივ“ და ერთწლიანი ინტერვალით, ამ ქვეყანას კიდევ სამი ქალი ვაჩუქე. ჩემი ცოლის, ყოველი მშობიარობის შემდეგ, მწარედ მასსოვს, მახარობლის სიტყვები: გოგო შეგეძინათო. მაგრამ იმის დასტურად, რომ ბიჭის „გაკეთება“ შეუძლებელია, გაჩერებას არ ვაპირებდი.

შეშინდა ბებია: რაცხა, ვერ გაიგო ომარიკემ ჩემი ნათქვამი კარგად და და თუ ასე გააგრძელა, დაგვრჩება მესხებს გასათხოვარი ქალებიო, — და დასახმარებლად ისევ თავის სიბრძნეს მიმართა — როგორც ჩანს, ბოშო, იცვალა შენმა ქალმა უბე, დაანებე ახლა თავი მაგ ბაღნების კეთებას და სხვა საქმეს მიხედო.

როგორც ხედავთ, გოგო-ბიჭის „შეკვეთის“ ხალხური მეთოდი ყოველთვის როდი ამართლებს, მაგრამ მონდომებული მშობლები მას დღემდე იყენებენ. სქესის დაგეგმვის ყველაზე გავრცელებული და შედარებით თანამედროვე ხალხური მეთოდი კი, კალენდარული გამოთვლა გახლავთ. მარტივად რომ ავხსნათ, ამ მეთოდის მთელი სიბრძნე ის არის, რომ მომავალი ბავშვის მშობლების დაბადების წლის, თვისა და რიცხვის მიხედვით, იმ სასურველი დღეების გამოანგარიშება ხდება, როდესაც დიდი გოგონას ან ვაჟის ჩასახვის ალბათობა...

ლიპა ნადარეიშვილი, ჟორდანის სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე:

— იმ ოჯახებში, სადაც ზოგადად, უშვილობის პრობლემა დგას, ნაკლებად აინტერესებთ, შესაბამისი მკურნალობის შემდეგ, ვაჟი შეეძინებათ თუ ქალი. ხშირ შემთხვევაში, ოჯახში მემკვიდრეზე ზრუნვა მაშინ იწყება, როდესაც წყვილს უკვე ჰყავს ორი ან მეტი ქალიშვილი. ამისათვის ქალები ათასგვარ ხერხს მიმართავენ: ჩასახვის დღეებს მთვარის მიხედვით ითვლიან, პირველსავე მშობიარობის შემდეგ ცდილობენ, მაშინვე დაორსულდნენ, რადგან თითქოს ამ დროს დიდი ვაჟის ყოლის ალბათობა და ა.შ. მსმენია, რომ ხშირ-

ად, ასეთი სურვილით შეპყრობილი ქალები, დახმარებისთვის ფსიქოლოგსაც მიმართავენ. რა თქმა უნდა, ჩვენთანაც მოდიან ქალბატონები და გვთხოვენ, რომ ბავშვის სქესის დაგეგმვაში დავეხმაროთ, მაგრამ ყველას ვაფრთხილებ, რომ არ არსებობს სქესის წინასწარ განსაზღვრის რაიმე საშუალება, გარდა ერთისა — ეს გახლავთ ექსტრაკორპორალური განაყოფიერება, რომლის გამოყენება ჩვენს ქვეყანაში დაუშვებელია. სამწუხაროდ, სწორედ რომ ბავშვის არასასურველი სქესი ხდება ხშირ შემთხვევაში, აბორტის მიზეზი. ბევრი ქალი 12 კვირის ნაყოფს სასიკვდილოდ მხოლოდ იმიტომ იმეტებს, რომ ნაყოფი მდედრობითი სქესისაა. არადა, ბევრმა შესაძლოა, არც იცის, რომ ორსულობის ამ ეტაპზე, ნაყოფი უკვე სუნთქავს, რეაგირებს სინათლეზე, სითბოზე, ხმაურზე და მისი ყველა ორგანო სრულყოფილიადაა ჩამოყალიბებული. მცდარია ხალხში გავრცელებული ის მოსახერხებაც, რომ წყვილს, რომელსაც სისხლის ერთი და იგივე რეზუსი და ჯგუფი აქვს, სხვადასხვა სქესის შვილების ყოლა არ შეუძლია. ბავშვის სქესი, ისევე, როგორც მისი სიცოცხლე, — ღვთის ნებაა და უნდა გავუფრთხილდეთ იმას, რასაც უფალი გვიბოძებს.

თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში — ავლაბარში, ყველა კარგად იცნობს, სტაჟიან ბებიაქალს, 80 წლის ტატიანა ბუცხრიკიძეს. ამბობენ, რომ უწინ, ტატიანა ბებია — „ბიჭის მოსალოცინებელ“ ნაყენებსაც ამზადებდა; ცოტა რამ შვილიშვილსაც ანწავლა და კეთილ რჩევებს ქალებს ახლა ის აძლევს.

ტატიანა ბუცხრიკიძე:

— ბებიაჩემი — ანასტასია ჯადოქარი კი არა, ჩინებული ბებიაქალი იყო და ზედმიწევნით იცოდა, ქალის ორგანიზმის ყველა საიდუმლო. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ბევრი კოლორიტული თბილისელის ამქვეყნად მოვლინება ბებიაჩემის სიბრძნის „დამსახურებაა“. რა ვქნა, შვილო, კარზე

გოგო-ბიჭის „შეკვეთის“ ხალხური მეთოდი ყოველთვის როდი ამართლებს, მაგრამ მონდობილი მშობლები მას დღემდე იყენებენ



ვითარების სტატისტიკურ სურათზე ნათლად ჩანს, რომ ომებისა და ბუნებრივი კატაკლიზმების შემდეგ, სქესთა თანაფარდობა მნიშვნელოვნად იცვლებოდა მამრობითის სასარგებლოდ...

ბია ცაბარია-იფილი, ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის „ინ ვიტრო“ განაყოფიერების განყოფილების ხელმძღვანელი:

— მართლაც, ბევრი ექიმი ცდილობდა, რომ შეექმნა ტექნოლოგია, რომელიც ნაყოფის სქესის წინასწარ განსაზღვრაში დაეხმარებოდა, მაგრამ ყველა ცდამ ფუჭად ჩაიარა. დღეისათვის ერთადერთი, ტექნოლოგიურად მარტივი, მაგრამ საკმაოდ ძვირად ღირებული მეთოდი არსებობს, რომლის არსიც ასეთია: პრეიმპლანტანტური ემბრიონიდან იღებ უჯრედს და იკვლევ ქრომოსომთა კომპლექსს — ე.ი. ადგენ, გოგოა თუ ბიჭი; მხოლოდ შესაბამისი პასუხის შემდეგ, გადაგაქვს ეს ემბრიონი საშვილოსნოს ღრუში. მაგრამ ექიმებს მიგვაჩნია, რომ ამ ტექნოლოგიის გამოყ-

მის ტექნოლოგია სინჯარაში ჩასახვის მეთოდს უკავშირდება — ეი „ინ ვიტრო“ განაყოფიერებული ბავშვების მშობლებს აქვთ ყველაზე დიდი შანსი, რომ შვილის სქესიც შეარჩიონ...

— სურვილი, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ სქესის დაგეგმვის პრეცედენტი არ გვქონია. მეც გოგონას მამა ვარ, მაგრამ თავში აზრადაც არ მომსვლია, რომ მომდევნო შვილის სქესი წინასწარ დამეგეგმა. როგორც გითხარით, ამის უფლებას არც ქვეყნის კანონმდებლობა იძლევა. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ მთელი სამედიცინო სისტემა ჩვენი მენტალიტეტს უნდა ითვალისწინებდეს და სარწმუნოებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. გვქონია, შემთხვევები, როდესაც ჩვენი პაციენტისთვის „ინ ვიტრო“ განაყოფიერების უფლება მის მოძღვარს არ მიუცია... ხშირად გვინებს იმის ახსნა, რომ ჩვენ ისეთ საქმეს ვაკეთებთ, როგორსაც ქირურგი აპენდიციტის ოპერირებისას — ანუ ქალს, რომელსაც ბუნებრივად აქვს გაუვალი საშვილოსნოს მილები, ვაძლევთ შანსს, რომ საკუთარი შვილები ჰყავდეს. მხოლოდ 1999 წლიდან დღემდე, საქართველოში „ინ ვიტრო“ განაყოფიერებით 300 ბავშვი დაიბადა. ეს არის საკაცობრიო პრობლემა, რომლის გადაჭრაც უნვეთ ექიმებს, ამიტომაც სქესის გარჩევა უდიდეს ცოდვად მიმაჩნია...

ახალგაზრდა ატირებული ქალი რომ მომადგება და მეტყვის — ქმარს თუ ბიჭს არ გაუჩენ, დამენგრევა ოჯახიო, — არ დავეხმარო?... ბებია ამბობდა ხოლმე: თუ ბავშვი წვიმიან ამინდში ჩაისახა, აუცილებლად მდებარობითი სქესის იქნება, ხოლო თუ მშრალ ამინდში — „მამრიო“. როგორც კი ქალი დაორსულდებოდა, ბებია ურჩევდა, რომ მთელი 9 თვის განმავლობაში, ქალის სახელი არ წარმოეთქვა და აუცილებლად ვაჟს შობდა. ანასტასია წყვილებს ინტიმური კავშირისთვის შესაფერის დღეებსაც ურჩევდა: მაგალითად, ლუნ რიცხვებში, თურმე, გოგოები ისახებიან, ხოლო კენტ რიცხვებში — ვაჟები. ბავშვის სქესის დაგეგმვისას, საკვებზეც მნიშვნელოვან როლს ასრულებს: თუ ქალი სისტემატურად, მარილიან საკვებს იღებს, გარანტირებული აქვს, ბიჭის დედობა, ხოლო თუ მხოლოდ უმარილოს ჭამს, მაშინ გოგო ეყოლება. მომავალი ბავშვის სქესზე სიზმრად ნანახიც მეტყველებს: მაგალითად, თუ ქალს წყარო ან ჭა ესიზმრა, გოგოს შობს, ხოლო თუ სიზმარში დანა ან ცული ნახა — ვაჟი ეყოლება.

როგორც ხედავთ, ადამიანი საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა, ბუნების კანონზომიერება დაეჯახნა და ადამიანის სქესის განსაზღვრის საიდუმლოს ჩასწვდომოდა. სხვათა შორის, ამ თემაზე პირველი სამეცნიერო ნაშრომები მხოლოდ გასული საუკუნის 50-იანი წლებით თარიღდება. ამ კვლევებში ყოფილი საბჭოთა კავშირის ცნობილი მეცნიერ-ბიოლოგებიც მონაწილეობდნენ და დაასკვნეს, რომ ბავშვის სქესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წყვილის სქესობრივი ურთიერთობის სიხშირეზე: ამის არგუმენტად მათ მოჰყავდათ მეზღვაურთა და გეოლოგთა ოჯახები, სადაც მდებარობითი სქესის შვილები ჭარბობდნენ — მაშინ, როდესაც ფიზიკოსებს და სანაპირო დაცვის თანამშრომლებს უფრო ხშირად ვაჟები ჰყავდათ. მაგრამ ამავე დროს, მეცნიერები ვერაფრით ხსნიდნენ ბუნების ამ საიდუმლოს, რომელიც მეცნიერების ისტორიაში „ომის ფენომენის“ სახელითაა შესული. კაცობრიობის გან-

სამწუხაროდ, სწორედ რომ ბავშვის არასასურველი სქესი ხდება ხშირ შემთხვევაში, აბორტის მიზეზი. ბევრი ქალი 12 კვირის ნაყოფს სასიკვდილოდ მხოლოდ იმიტომ იმეტებს, რომ ნაყოფი მდებარობითი სქესისაა

ენება ადამიანთა პოპულაციის ბუნებრივ პროცესში უხეში ჩარევაა. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, როდესაც ჯანდაცვის ახალ კანონზე მუშაობა მიმდინარეობდა (იგივე კანონი მედიცინის შესახებ), დაისვა საკითხი — ხომ არ მიგვეცა ამ ტექნოლოგიით სარგებლობის უფლება იმ ოჯახებისთვის, სადაც უკვე 3-4 ქალიშვილი ჰყავთ და ვაჟის ყოლის სურვილი აქვთ?! ეს მოსაზრება ჩანასახშივე იქნა უარყოფილი, მით უფრო, რომ ჯანდაცვის მსოფლიო კონვენცია სქესის წინასწარ განსაზღვრის ტექნოლოგიებს არ იზიარებს. ხომ შეიძლება რომელიმე პატარა ქვეყანამ, ამ ტექნოლოგიის მეშვეობით, რამდენიმე წელიწადში ჯარის რიცხოვნობა გააორმაგოს!..

— გამოდის, რომ სქესის დაგეგ-

— გამოდის, რომ ვაჟის ყოლის სურვილით შეპყრობილ წყვილებს მხოლოდ ხალხური მედიცინისა და რჩევების ანაბარა ვტოვებთ?..

— იმ შემთხვევაში, თუ ქალის ჯანმრთელობას, რჩევა არ ავნებს, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს: ვისაც გაუმართლებს და ნანატრი ვაჟი ან ქალი შეეძინება, ღმერთმა გაუზარდოს, მაგრამ გეტყვით, რომ ბავშვის სქესი უკვე განსაზღვრულია იმ დროს, როდესაც სპერმატოზოიდი შეიჭრება კვერცხუჯრედში. ნაყოფის სქესს სწორედ სპერმატოზოიდი განსაზღვრავს და შესაბამისად, გოგო გაჩნდება თუ ბიჭი — ეს მამაკაცის დამსახურებაა...

ამ წყვილის შეყვარებულობის პერიოდიც კარგად მახსოვს, მერე — ჯვრისწერაც და მამაპაპური ქართული ქორწილიც. თამადა ცნობილი რეჟისორი, პროფესორი გიზო ჟორდანიას იყო, რომელმაც ნეფე-პატარძალს, სხვა კეთილ სურვილებთან ერთად, რა თქმა უნდა, გამრავლებაც უსურვა.

ამ ოჯახის მიმართ საზოგადოების ინტერესი ყოველთვის დიდია. ის კიდევ უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ წყვილი შვილს ელოდებოდა...



ოქმშიძე ხათუნა ეომღანისა და ცოლის ახვიაცებელი სურვილებით გაშშრებული ზუმას ხაჩიძე ანუ ვინ უკლდა ჯალმაცონს ოქმშიძის სახეის ჯემოღმი

ლალი შანია

— ხათუნა, ხომ არ „გადა-ეჩვიე“ ინტერვიუს მიცემას? დიდი ხანია, ჟურნალისტებს აღარ შეხვედრიხარ...

— კიდევ დიდხანს ვარჩევდი დუმილს, რომ არა შენდამი დიდი პატივისცემა და ამასთან, ვერც შენს ჟურნალისტურ ფინანსობას შევეწინააღმდეგე: კარგა ხანს ცდილობდი, მოგეპოვებინა ჩემგან ინფორმაცია — თუ როგორ ვარ და როგორ მიმდინარეობს ჩემი ფეხმძიმობა...

— ჩემი ჟურნალისტური ფინანსობა გამონევეულია იმით, რომ დიდა შენ მიმართ საზოგადოების ინტერესი. ჩვენ კი, ჟურნალისტები, ვალდებულნი ვართ და ვცდილობთ კიდევც, დავაკმაყოფილოთ საზოგადოების ინტერესი...

— ჩემი თავშეკავება და ინტერვიუ-



ყოველ დღით და საღამოს მერა მიდიდა და მოჰქონდა „ლალიდის წყლებიდან“ ორმაგი ნალები მოკოლადით

ბზე უარის თქმა მარტო იმით არ არის გამოწვეული, რომ ფეხმძიმედ ვარ და არ მინდა, ჟურნალის გარეკანზე ვიყო გამოქ-იშული. ძალიან არ მომწონს, რომ მოდა-შია, ჟურნალ-გაზეთებში ერთი და იმავე (ჩემი ჩათვლით) ადამიანების სახეების ბეჭდვა, მათთან დაუსრულებლად, დაახლოებით ერთი და იმავე შინაარსის ინტერვიუები. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ჩვენ ირგვლივ არსებობენ უფრო საინტერესო პიროვნებებიც. ამიტომ, უკეთესი იქნებოდა, რომ საზოგადოებას, ჩემი ფეხმძიმობის მდგომარეობა კი არ აინტერესებდეს, არამედ იმათი ახლოს გაცნობა, ვისაც უფრო საინტერესო ბიოგრაფია აქვთ.

— ვის გულისხმობ? — ჩემი თაობის ადამიანებს დავასახელებ: მაგალითად, ირაკლი მაჭარაშვილი, რომელიც ცოტა ხნის წინ, მოსკოვში, ფილმში გადაიღეს. არაჩვეულებრივად ითამაშა ბერიას როლი და იქაური პრესა დაიღალა ამ ადამიანზე რეცენზიების წერით. სამაგიეროდ, ირაკლიზე ერთი საგაზეთო სტატიაც არ დანერვილა ჩვენს გამოცემებში... ვისურვებდი, რომელიმე ქართული ჟურნალის გარეკანზე ისეთი ნიჭიერი ადამიანის ფოტო მენახა, როგორიცაა გია ჯოხაძე... ძალზე საინტერესო პიროვნებაა, ჩვენი ოჯახის ახლობელი — ქეთინო ქურდოვანიძე, მასთან საუბარს არაფერი სჯობს. კიდევ უამრავ ადამიანს ჩამოვთვლიდი... როდესაც მე თვითონ უკვე მალიზიანებს ჩემი სურათის დანახვა ჟურნალის გარეკანზე, მიმაჩნია, რომ ამით ალბათ, ჩვეულებრივი მკითხველიც ღიზიანდება. ამიტომ, ამ ყველაფრისგან თავის გარიდება ვცადე და უარი ვთქვი ინტერვიუებზე. დიდი სურვილი მაქვს, პრესის ფურცლებზე რაც შეიძლება საინტერესო და ახალ-ახალი რესპონდენტები გაჩნდნენ.

— ახლა ის გვითხარო, თავს როგორ გრძნობ, როგორ ხარ?

— კარგად, არა მიშავს. — ფეხმძიმობა როგორ მიმდინარეობს?

— დასაწყისში, ძალიან ცუდად მიმდინარეობდა, მაგრამ ახლა, არა მიშავს. მას მერე, რაც ფეხზე წამოვდექი, ეკლესიაში წირვა-ლოცვებზე სიარული დავიწყე, რამდენჯერმე ვეზიარე, — ღვთის წყალობით, გამოუშვობესდა მდგომარეობა და ბევრად უკეთესად ვგრძნობ თავს.

— ყველაზე მეტ დროს შენ გვერდით ვინ ატარებს?

— დედაჩემი, ჩემი ქმარი და ჩემი შვილი. მათ უნდათ თუ არა, უძლებენ თავიანთ „მძიმე ხვედრს“, იმას, რომ ნილად ხვდათ, ჩემი პრეტენზიებისა და შეცვლილი გუნება-განწყობილების ატანა.

— ძალიან შეგეცვალა ხასიათი და გუნება-განწყობილება?

— ფეხმძიმობის პირველ ნახევარში, ოჯახის წევრების მიმართ საშინლად აგრესიული ვიყავი. მაგრამ ვაჟკაცურად აიტანეს ყველაფერი, გამოძლეს (ილიმება), რაც ახლა ძალიან დავუფასე. გულწრფელად მეცოდებიან ყველანი, ვინც ჩემი ფეხმძიმობის პირველი პერიოდი ღირსეულად გადაიტანეს.

— განსაკუთრებული მიდრეკილება რომელი კერძისა თუ საკვების მიმართ გაგჩნდა?

— თავიდან ასე იყო: დილას გავიღვიძებდი და სურვილი მიჩნდებოდა, მეჭამა რაღაც კონკრეტული — მაგალითად, შემწვარი ხორცი, ხინკალი...

— საზამთრო ზამთარში არ მოგწონებია?

— არა, ასეთ რაღაცებზე, ვცდილობდი, არც მეფიქრა, რომ სასონარკვეთილებში არ ჩავვარდნილიყავი. ერთი პერიოდი ამოვიჩემე ლალიდის ლიმონათი — ნალები შოკოლადთან ერთად. ყოველ დღით და საღამოს, ზურა მიდიოდა და მოჰქონდა „ლალიდის წყლებიდან“ ორმაგი ნალები შოკოლადით. მერე, მი-

დებოდა „ყაზბეგის“ ლიმონათი — ნაღები შოკოლადით. ახლა, სხვა „ლიმონათები“ მაქვს ამოჩემებული.

— **ლუდი არ მოგნდომებია?**

— ლუდი არასდროს დამიღვია, მისი გემოც კი არ ვიცი.

— **კიდევ როსთვის ანუხებდი ზურას?**

— უეცრად მომიხდებოდა მწვადი, ნამცხვარი... ხან — რა, ხან — რა.



ექიმები ძირითადად დიეტას მინიშნავენ, რომელსაც ვერ ვიცავ

— **ნინ რამდენად აქტიურად მონაწილეობდა დედის მოვლაში?**

— ნინის საქვეყნოდ ქება ახლა, პირველად მომიწევს. ყველა დედამ ინატროს ისეთი შვილი, როგორც ნინია. ძალზე მზრუნველია. მიმაჩნია, რომ მან დედასავე მომიარა მთელი ამ პერიოდის მანძილზე.

— **ხომ არ ეჭვიანობს, რადგან 15 წლის მანძილზე, მთელი შენი ყურადღება მისკენ იყო მიმართული, ახლა კი, პატარის დაბადების შემდეგ, შეიძლება, შენი სიბო მოაკლდეს?..**

— არა. ერთადერთი, ძალიან ნატრობს იმას, რომ და შეეძინოს. სასტიკად არ უნდა იმის გაგონება, რომ შეიძლება, ბიჭი გაჩნდეს. რაც შეეხება შენს კითხვას — პირიქით, ბედნიერიც კია იმით, რომ ფიქრობს: ბავშვის გაჩენის შემდეგ, მას ჩემი ყურადღება მოაკლდება და ის თავისუფლებას იგრძნობს. მაგრამ ყურნალის მეშვეობით მინდა ვუთხრა — ნურას უკაცრავად, ჩემი ყურადღების ობიექტი უპირველესად, ნინი იქნება. მაქსიმალურად შევეცდები, მას ბევრი თავისუფალი დრო არ ჰქონდეს...

— **სახლიდან გასვლის სურვილი, გარეთ სეირნობა, თუნდაც, სადმე წასვლა — მაგალითად, რომელიმე ელიტურ შეკრებაზე — არ გქონია?**

— არსად წასვლის სურვილი არ მქონია. ერთადერთი, სადაც ვიყავი, ეს ზალიკო ბერგერის ჩვენება იყო. ის ზურას დეიდაშვილია და მიმაჩნია, რომ იქ ზურას ოჯახი აუცილებლად უნდა ყოფილიყო. უფრო ადრე, „ქუჩის ბიჭების“ კონ-

ცერტზე ვიყავი. ესეც აუცილებლობით იყო გამოწვეული. ძირითადად, მაინც ვცდილობ, საზოგადოებაში, ხალხში არ გამოვჩნდე, რადგან წონაში ძალიან მოვიმატე. ასეთ მდგომარეობაში საშინლად არ მომწონს ჩემი თავი და სახლში ყოფნა მირჩევნია. თუკი ხანდახან მაინც მომიწევს გარეთ გასვლა, ასეთი შემთხვევისთვის სპეციალურად თმა სხვა ფრად შევიღებე, რომ არავინ მიცნოს. ვიმეორებ: იმიტომ, რომ ჩემი ფეხმძიმობა ყურადღების ცენტრში არ მოექცეს... აქამდე ყველაფერმა წყნარად და მშვიდად ჩაიარა. თუ, რა თქმა უნდა, ახლა, თქვენი უურნალის მეშვეობით, არ აღმოვჩნდები ყურადღების ცენტრში.

— **მინდა გითხრა, რომ ძალიან გინდება მუქი ფერის თმა და გასუქება.**

— (იცინის).

— **სზირად, ექიმები ფეხმძიმე ქალბატონებს შესაფერის სპორტულ ვარჯიშებს უნდა მინიშნავენ, ასევე — დიეტასაც. შენ რა დაგინიშნეს?**

— ექიმები ძირითადად, დიეტას მინიშნავენ, რომელსაც ვერ ვიცავ, თუმცა მთელი ცხოვრება, კვებასაც და წონასაც სულ ვაკონტროლებდი. ახლა, ნამდვილად არ ვუკრძალავ საკუთარ თავს ჭამას. მინდა, რომ 9 თვის განმავლობაში, არაფერი მოვიკლო (იცინის). როგორც კი გავაჩენ, პირობას ვდებ, დიეტას დავიცავ.

— **ხათუნა, ახლა ის გვითხარო, შეიცვალა თუ არა ზურა?**

— ზურას ძალიან გაუჭირდა ჩემს ფეხმძიმობასთან შეგუება. ყველა ამშვიდებდა, ეუბნებოდა — ასეთები არიან ფეხმძიმე ქალები... ძალიან განიცდიდა, ნერვიულობდა იმის გამო, რომ ხასიათი შემეცვალა და ალბათ, დარდობდა კიდევ იმას, რომ თავისი დარჩენილი ცხოვრება ასეთი ხასიათის ადამიანთან მოუწევდა ყოფნა... ახლა მიხვდა რომ ეს ყველაფერი — ჩემი ხასიათის დამძიმება — მხოლოდ და მხოლოდ ფეხმძიმობით იყო გამოწვეული და ცოტა გამოცოცხლდა, ბედნიერიცაა... ადრე რომ მეუბნებოდნენ — ბავშვს მუცლად ყოფნისას ყველაფერი ესმისო, — არ მჯეროდა; ახლა ასე აღარ ფიქრობ, რადგან საკმარისია, ზურამ ყური მიაღოს

მუცელს ან ხელით შეეხოს, ბავშვი ხტუნვას იწყებს. რაღაც სასწაული ხდება, რაზეც ძალიან ვერთობით. ხანდახან მუსიკასაც ვასმენინებთ: ვსხდებით მე და ზურა პიანინოსთან და რაღაც სიმღერებს ვუმღერით. იმედი გვაქვს, რომ ესმის.

— **ისე, შენი ხასიათის შეცვლა მაინც რაში გამოიხატებოდა?**

— ყველაფერზე ვტიროდი, ვჩხუბობდი, კამათისთვის მიზნებს ვეძებდი. სხვათა შორის, ძალიან დამეხმარა ჩემი მოძღვარი, მამა ადამი, რომელმაც მამი-არა; მაშინვე ვიგრძენი შვება, სულიერი სიმშვიდე და გამიჩნდა სურვილი, რომ ეკლესიაში ხშირად მივსულიყავი; შესაბამისად, ხასიათიც და საქციელიც გამომისწორდა...

— **პარალელურად არ ავლენ ხოლმე შენს ამჟამინდელ ფეხმძიმობასა და პირველს შორის — როდესაც ნინის დაბადებას ელოდებოდი?**

— ნინიზე ფეხმძიმედ 16 წლის წინ ვიყავი. მას მერე, იმდენი დრო გავიდა, რომ ბევრი რამ აღარც მახსოვს. ერთი, რასაც ვიხსენებ, ის არის, რომ თითქოს, უფრო მეტს ვმოძრაობდი, უფრო ენერგიული ვიყავი. თუმცა, ნინიზე ორსულობისა დროს, წონა მეტად მქონდა მომატებული.

— **ბავშვის სქესი იცი თუ არა?**

— ჯერჯერობით, არ ვიცი. ჩემი დიდი სურვილი და ოცნებაა, რომ ღვთის შენეებით, პატარა ჯანმრთელი იყოს და მნიშვნელობა არა აქვს, ბიჭი იქნება თუ გოგო. ერთსაც და მეორესაც მთელი გულითა და სულით ველოდებით.

— **სურვილების ასრულებას გისურვებთ.**



ზურას ძალიან გაუჭირდა ჩემს ფეხმძიმობასთან შეგუება

„თინეიჯერობა 20 წლამდე ასაკთან, დისკოთეკასა და იმ დროსთან ასოცირდება, როცა თავში ქარი გიქრის და სერიოზულ საკითხებზე ნაკლებად ფიქრობ“, — მითხრა ანი გიუნტერმა, რომელიც თავისი გრძელი, ქერა თმითა და მწვანე თვალებით, ყოველთვის ყველასგან გამოირჩეოდა. ანის დღევანდელი თინეიჯერების „გადამტებული“ თავისუფლება არ მოსწონს და ფიქრობს, რომ მათ ეს უზრდელობაში გადასდით და 14-15 წლის გოგოს, შეყვარებულის ყოლის მოთხოვნა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ...

ხულიგანი ანი გიუნტერის თინეიჯერული თავგადასაკლები „შტუკა“, რომელსაც გოგოები ბიჭებს უკეთებდნენ, შარიანი კლასელი და თავხედური რეპლიკები

ლიკა ქაჩია

— როცა თინეიჯერი ვიყავი, ჩემზე ამბობდნენ: ვაიმე, რა სერიოზული ბავშვია, რამდენს მეცადინეობს, სხვებივით უსაქმურად ყოფნა არ უყვარსო. სამაგიეროდ, 20 წელს გადავბიჯე თუ არა, მაშინვე ამოვისუნთქე — თინეიჯერი გავხდი. ისე, ვერ ვხვდები, რატომ მქონდა კარგი რეპუტაცია, როცა ხულიგანი ვიყავი...

ხულიგნობაში რას გულისხმობ?

— მახსოვს, ჩვენს კლასში რალაც კარადა იდგა. ისტორიის გაკვეთილზე, 6 კაცი იმ კარადაში ვიკეტებოდით ხოლმე. მასწავლებელმა ეს იცოდა, მაგრამ გარეთ ვერ გამოყვავდით. მას იქიდან ვუსმენდით და კომენტარებს ვაკეთებდით. თან, ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ კლასის დამრიგებელი არ იჯერებდა, ამბობდა — გიუნტერი ამას არ გააკეთებდაო. მახსოვს, ხშირად თავხედურ რეპლიკებსაც ვისროდი ხოლმე.

მაგალითად?

— უზრდელი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ იუმორი ყოველთვის მქონდა, ენაკვიმატი ვიყავი და ამიტომაც ვისროდი თავხედურ რეპლიკებს. მაგალითად, მეგობრებს ვკბენდი ხოლმე. ახლა ასე მე რომ გამეხუმროს ვინმე, ალბათ გავგიჟდები, ისინი კი, ამას იუმორით უყურებდნენ და მიტანდნენ.

თავხედური რეპლიკების სროლა დროს გაატანე?

— ალბათ. თან, მარტო ეს კი არა. იყო კიდევ რალაც სიგიჟები. მაგალითად, ერთხელ, „დაჩაზე“ ვიყავით. ერთი მეზობელი გვყავდა, რომელიც ჩემზე ამბობდა, რომ მე ბიჭებთან ერთად ვიკეტებოდი და სიგარეტს ვწნოდი. ამ ქალს სახლში ჩავკეტავდი ხოლმე და გავრბოდი. ერთხელ, დედაჩემთან მოვიდა და ჰკითხა: სად არის ის გოგო, რომელიც ვიოლინოზე უკრავდაო? იქვე ვიჯექი და დედის მაგივრად ვუპასუხე — მე ვიყავი-მეთქი. — ვაიმე, არ არსებობსო! — თქვა და წავიდა.

იმიტომ კვლავდი, რომ შენზე ჭორაობდა?

— არა, ამას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. სამაგიეროს არ ვუხდით. უბრალოდ, მე და ჩემი მეგობარი ერთმანეთთან „მაზიანებს“ ვდებდით — ვინ წავიდოდა სალამოს წყლის პირას, ვინ ჩაკეტ-

ავდა ვილაცას და ა.შ. ყველაფერის გაკეთებას ვკისრულობდი, უშიშარი ვიყავი (იციანის).

ფრადოსანი მოსწავლე იყავი?

— საერთოდ, კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი, მაგრამ „შკოლნიცა“ არასდროს ვყოფილვარ. სხვათა შორის, „შატალოზე“ პირველი გავრბოდი, მაგრამ მასწავლებლები ამას ვერ იჯერებდნენ... ფიზიკაში საკმაოდ უცნაური ნიშნები — მარტო 2-იანი და 5-იანი მყავდა. სხვა ნიშანი არასდროს მიმიღია: გაკვეთილი ან კარგად ვიცოდი, ან საერთოდ — არა. ერთხელ, ქიმიის მასწავლებელი გაგიჟდა. რალაც რეაქციებს გვიხსნიდა, თან, ერთსა და იმავეს იმეორებდა. წამომაცენა და კითხვა დამისვა. მეც ვუპასუხე და ბოლოს დავუმატე — ზუსტად ის სიტყვები, ისეთივე ინტონაციით, როგორც ამას თვითონ ამბობდა: красивый малиновый цвет. ყვირილი ატეხა — ვის დასცინი, ქიმიასო?..

„შატალოზე“ ხშირად მიდიოდით?

— კი. მახსოვს, პირველად გაკვეთილიდან რომ გავიპარეთ, ზოოპარკში წავდი. პოლიციელებმა დაგვიჭირეს და ჩემი დღიური რომ ნახეს, სადაც ხუთიანები იყო ჩანიკნიკებული, მითხრეს: არ გრცხვნიო?.. ჩემი და ერთადერთხელ წავიდა „შატა-



ლოზე“ და ისიც — მუზეუმში. მაგარია, არა?..

მშობლები არაფერში გზღუდავდნენ?

— ერთხელ, დასასვენებლად ვიყავით და დისკოთეკაზე წავედი. გვიანი ღამე იყო, ვცეკვავდი და უეცრად, დედაჩემი შევნიშნე. რა თქმა უნდა, ცეკვა გავაგრძელე, მაგრამ თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. სალამოს, მეზობლებთანაც კი არ მტოვებდნენ — რა საჭიროაო? ერთადერთი, ჩემი ნათლის შვილთან, ისიც დიდი ხეწნის შემდეგ შემეძლო დავრჩენილიყავი. დღესაც შემიძლია, სახლში გვიან მივიდე, მაგრამ ღამე ვერ დავრჩები... ეს ძალიან ცუდია, რადგან როცა ვიცი, რომ სახლში ნერვიულობენ, ამას ვგრძნობ და ვერ ვიხსნები, ვერ ვდუნდები და საშინელ დღეში ვვარდები.

სკოლის პერიოდიდან, ყველაზე მეტად, რომელი დღე დაგამახსოვრდა?

— გამოსაშვები სალამო. მახსოვს, ძალიან დიდხანს მოვუნდი თმის დახვევას... მანქა-

მალაზია „ოფის-სერვის ქონსტრი“

ბთავეზობთ ფაიფურის ჭურჭლს სასტუმროებისთვის, რესტორნებისა და ბარებისთვის

მის: ვაჟა-ფშაველას №25 (სასტუმრო „აფხაზეთი“) 899-51-53-06 (10-20სთ.)



ფრიალებდა თმა. ძალიან გრძელი კაბა მეც-
ვა... მთელი ღამე გავათენეთ. ღამით,
ზუსტად სამის ნახევარზე, კაბა გამოვიცვალე,
შავ-თეთრი, უმოკლესი კაბა ჩავიცვი, რომელ-
იც ჩემს კლასელებს დღემდე ახსოვთ.

— სკოლაში ბავშვები მატერია-
ლური მდგომარეობის მიხედვით
ჯგუფებად იყოფიან. შენ კლასში
თუ სდებოდა ასეთი რამ?

— სამწუხაროდ, კი. მაგრამ ეს ძალზე
სასაცილო იყო. მე არც ერთ ჯგუფს არ
მიგვეუთვნებოდი, ყველასთან ერთნაირად
ვიყავი. დღესაც მხედვებიან კლასელები,
რომლებსაც ჰგონიათ, რომ სხვა, დაბალ
დონეს მიგვეუთვნებინან და ამიტომ, უფრო
მაღალი დონის კლასელებს ვერ ეკონტაქტე-
ბიან. ვერ გავიგე — ასე რატომ ფიქრობენ?
არასდროს მიფიქრია, რომ ვიღაც ჩემზე
უკეთესი ან უარესია... ერთხელ, ერთ-ერთმა
კლასელმა გოგომ, რომელიც ორბზე სწავ-
ლობდა, კალამი მოსოფა. მივეცი და თან
გავუღიმიე. იმან კი, შარი მომდო — ასე
რატომ მიყურებ, რატომ დამცინიო? და-
კომპლექსებული იყო, ყველასგან ცინიზმს
ელოდა და მეც რაღაც დამაბრალა. ასეთი
ადაშიანები ერთად იკრიბებიან, სხვებზე
ჭორაობენ და ხუთოსნებს რატომღაც,
თვითონვე არ ეკონტაქტებიან.

— თინეიჯერობის ასაკში შეყ-
ვარებული გყავდა?

— შეყვარებული — არა, მაგრამ თაყ-
ვანისმცემლები — კი. მთელ კლასში ყოველ-
დღე, რატომღაც, ბიჭები მარტო მე მაკ-
ითხავდნენ.

— ამის გამო, გოგოებს შენ
არ შურდათ?

— რა ვიცი, აბა... საერთოდ, ძალიან
ცუდია, როცა აღიარებ, რომ შენი ვილა-
ცებს შურთ, რადგან ეს, ერთადერთი ცოდ-
ვაა, რომელიც სიამოვნებას არ განიჭებს.
ყოველთვის მეცოდებოდა ადამიანი, ვისაც
შური და ბოლმა ახრჩობდა.

— დღეს, 14-15 წლის გოგოები
შეყვარებულის არყოლას განიცდიან...

— ამას ჩემი მეგობრებიც განიცდიდნენ,
უფრო სწორად, მათ უნდოდათ, ვინმეს
ყურადღება მიეყრით, თორემ, არა მგო-
ნია, 14-15 წლის გოგოს, შეყვარებულის
ყოლა მოთხოვნილებად ექცეს.

— როცა შენ და შენ მეგო-
ბრები ერთად იკრიბებოდით, თქვენ
საჭორაო თემა რა იყო ხოლმე?

— ძირითადად, ბიჭებზე ჭჭორაობდით:
რომელმა გოგომ უფრო მწარედ დასცინა,
ვინ ვის როგორი „მტუკა“ გაუყეთა და
ა.შ. ამაზე ჯერ ბევრს ვიცინოდით, მერე
კი, ერთმანეთს ვეკითხებოდით — ასე
რატომ მოვიქეცი-თქო?... როცა რამეს
ვაკეთებდით, შედეგზე ვინასწარ არ
ვფიქრობდით და მინდა გითხრა, რომ
ეს არასდროს ამართლებდა.

— როგორ ფიქრობ — რა
განსხვავებაა ახლანდელ და მაშინ-
დელ თინეიჯერებს შორის?

— ახლა უფრო განათლებულები არი-
ან, მაგრამ რაც შეეხება რაღაც ფასეუ-
ლობებს, ისინი ამას ყურადღებასაც არ
აქცევენ — მერე რა, თუ უფროსებს პა-
ტივს არ სცემენ, მათ შენობით და აგდე-
ბულად ელაპარაკებიან?! ისინი ვერ

საზღვრავენ, რომ თავისუფლება, სითამამე
და უზრდელობა სხვადასხვა რამეა და ამ-
იტომ, ზედმეტ რაღაცებს იღებენ საკუთარ
თავზე. დღესაც, როცა თუნდაც ჩემი ასაკის
ადამიანს გავიცნობ, „თქვენობით“ ველა-
პარაკები, ამით კი, ყველა თავისი ტოლი
და სწორი ჰგონიათ. ალბათ ამასაც აქვს
თავისი დადებითი მხარეები, მაგრამ...

— ასეთი ბავშვები შენი თაობის
თინეიჯერებში არ იყვნენ?

— არა, ახლა ძალიან გათავსებულები
არიან. 25 წლის ადამიანთან უფრო მი-
ადვილდება საუბარი, ვიდრე ბავშვთან,
რომელიც ისეთ თემებზე მელაპარაკება,
რომ მრცხვენია ხოლმე. თან, ისინი ქუჩა-
ში ურცხვად გაჩერებენ და რაღაც აგრე-
სიულად გექცევიან.

— დღევანდელი თინეიჯერების
ჩაცმულობაც ხომ არ გალიზანებს?



მთელ კლასში
ყოველდღე
რატომღაც
ბიჭები მარტო
მე მაკითხავდნენ

— ასეთი რაღაცები მარტო ბებიჩემს
აღიზიანებს — ზოგჯერ, ღამის პერანგით
რომ ვდგავარ, მეკითხება: უკვე მიდიხარო?...
18 000 საყურე რომ ჩამოივიდო, არაფერს
გეტყვის, მაგრამ თუ ჭიბი გამოგიჩნდა —
გამოგვიდება. არ ვიცი, რატომ აქვს ასეთი
რეაქცია... ამაში ვერც ერთ ბავშვს ვერ
გავამტყუნებ, რადგან მათ უნდათ, სხვები-
სგან რაღაცით განსხვავდებოდნენ.

— შენ რას აკეთებდი იმისთვის,
რომ სხვებისგან გამოჩეული ყო-
ფილიყავი?

— სკოლაში იმდენად ვიყავი შენუხე-
ბული ჩემი გარეგნობის გამო (იმას კი არ
ვამბობ, რომ მაგარი ვარ...), გრძელი, ქერა
თმით, თუნდაც გვარით, რომ სხვა, ზედ-
მეტი რაღაცები არ მჭირდებოდა. თან,
მთელმა სკოლამ იცოდა, ვიოლინოზე რომ
ვუკრავდი.

— ვისი ფანი იყავი?

— ფეხბურთელის — ოლივერ
ბირჰოფის ფანი ვიყავი. სახლში ყველგან
მის პლაკატებს ვაკრავდი, მასზე ვინმეს ცუდი
სიტყვა რომ ეთქვა — გავგიჟდებოდი.

სხვათა შორის, როცა გავიგე, რომ ცოლი
და 3 შვილი ჰყავდა, ძალიან განვიცადე.

— სკოლაში გაზლილ თმას
ატარებდი ხოლმე?

— აბა, რა! ერთხელ, მოდაში შემოვიდა
ანეული, შუაზე გაყოფილი ვარცხნილობა
და აქეთ-იქით ჩამოგდებული 2 გრძელი
კულუღი. ზუსტად 1 კვირა ასე ვიარე და
ეს ძალიან მომწონდა. დედაჩემი სულ იმას
მეუბნებოდა — 2 კიკინა გახატავსო, მაგრამ
მაშინ ამაში ვერაფრით დამარწმუნა. რამ-
დენიმე ხნის წინ, ქუჩაში ასეთი ვარცხნი-
ლობით გავდი და გადაირია — რა დროს
შენი კიკინებია?! რომ გეხვეწებოდი, მაშინ
არ იკეთებდიო.

— რით განსხვავდებიან ქართვე-
ლი და უცხოელი თინეიჯერები ერთ-
მანეთისგან?

— ძალიან ბევრი რამით. ისე, რომ მათი
შედარებაც კი არ შეიძლება. ქართველი
თინეიჯერები ჯობია, ისეც ისეთებზე დარწ-
ნენ, როგორებიც არიან, იმ გაგებას მი-
ანენენ, რომელიც აქეთ (მაგრამ უფრო
მოკრძალებული მოქცევა არ აწყენდათ), ვი-
დრე ბოლომდე უცხოელი თინეიჯერების
გავლენის ქვეშ მოექცნენ. ვფიქრობ, ისეთ
ცხოვრებას, როგორიცაა ისინი ცხოვრობენ,
ჩვენ ვერ შევენებებით, ამა თუ იმ სიტუა-
ციაში არაადეკვატურად მოვიქცევით.
დღევანდელმა ქართველმა თინეიჯერებმა
ზოგჯერ არ იციან — რა უნდათ, არაფერი
მოსწონთ. ქართული შოუბიზნესის წარ-
მომადგენლებზე ამბობენ: ბანძები არიან,
რა საშინელებააო, — და მაინც მათ სიმ-
ლერებს უსმენენ. დღეს, ეს რატომღაც ყვე-
ლა ბავშვს ახასიათებს — თან, ქართული
ყველაფერი მოსწონთ (ეს კარგია), მაგრამ
ვინმე აუცილებლად უნდა გალანძლონ,
თითქოს ეს მოთხოვნილებად ექცათ.

— დაბოლოს, რას ურჩევდი
თინეიჯერებს?

— ყველა თინეიჯერს ვურჩევდი, რომ
ცოტა გაკეთილმოხილდეს, თავისი აგრე-
სია დამარცხოს, მეტ ბალანსში მოვიდეს,
როგორც საკუთარ თავთან, ისე საზოგა-
დოებასთან, იყოს თავისუფალი, ოღონდ
— ამ სიტყვის კარგი გაგებით.

P.S. ძვირფასო თინეიჯერო! თუ შენ
წაიკითხე ინტერვიუ, რომელშიც ანი თავის
თინეიჯერულ ამბებს იხსენებს და ჩვენთან
ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდა, შეგ-
იძლია დაგვიმეგობრდე და ინტერვიუს
გამოეხმაურო. საინტერესოა, რა განსხ-
ვავებას ან მსგავსებას ხედავ მაშინდელ და
ახლანდელ თინეიჯერებს შორის? რა
პრობლემები აქვს დღევანდელ ახალგაზრ-
დობას? იყოფიან თუ არა თინეიჯერები
რაღაც ჯგუფებად და ა.შ. შენ შეგიძლია
მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მო-
მავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხ-
ვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც,
თუ გინდა შენი გულისტკივილი გავგი-
ზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებ-
ისგან მიიღო, მაშინ დაგვიმისიჯე ნომერ-
ზე: 899 17-35-27.

შეხვედრები



ანანო, 12 წლის:

„ნინო, მაგარი ხარ. იცი, რა მინდა გკითხო?.. მასწავლებლებს არ მოსწონთ თინეიჯერების ჩაცმულობა და ამაზე სულ გვეჩხუბებიან. მე კი მაიძულებენ, თმა შევიკრა და სკოლაში ისე ვიარო, რაც საშინლად მაღიზიანებს. არ ვიცი, რა ვქნა. მათ საქციელს გამართლება მოეძებნება?“

ნინო ლეჟავა:

— თუ გაშლილი თმა წერის დროს ხელს არ გიშლის, მაშინ, როგორც გინდა, ისე იარე. რაც შეეხება ჩაცმულობას, რა თქმა უნდა, ჯობია, ისე ჩაიცვათ, როგორც ეს თქვენ, ახალგაზრდებს მოგწონთ, მაგრამ ასაკის შეუფერებლად, ზედმეტად გამომწვევად არ უნდა ჩაიცვა.

ანი, 21 წლის:

„პრივეტ“. ნინოს ყველაფერში ვეთანხმები, რადგან მართლაც, დიდი სხვაობაა მაშინდელ და ახლანდელ თინეიჯერებს შორის. თუნდაც ის, რომ ადრე, უფრო მეტი ნდობა და გაგება ჰქონდათ მეგობრებს ერთმანეთში, ვიდრე დღეს აქვთ. ნინო, ასე არ არის?“

ნინო ლეჟავა:

— აბსოლუტურად გეთანხმები. მაშინ ძმაცაცობა ნამდვილად არსებობდა, დღეს კი, გოგოსა და ბიჭის მეგობრობა, ცოტა არ იყოს, საშიში გახდა. ჩემი თინეიჯერობის პერიოდში, თუ ვინმეს ოდნავ მაინც მოსწონდი, ის არასდროს გეტყვოდა — ჩემი და ხარო, — ყოველთვის იტოვებდა უკან დასახევ გზას. დღეს კი, ამ სიტყვებმა მნიშვნელობა დაკარგა: ერთ ნუთში გეტყვიან — ჩემი დაიკო ხარო, — და მეორე ნუთს, უკვე სიყვარულს გეფიცებიან და ცოლობას (ან სხვა რამეს...) გთხოვენ.

ლიკა, 20 წლის:

„ლიკა, მაღლობელი ვარ, ასეთი საყვარელი რესპონდენტი რომ გყავდა. ნინო, ძალიან მიყვარხარ, არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ და წარმატებებს გისურვებ. როდის გამოჩნდები სცენაზე?“

ნინო ლეჟავა:

— მაღლობა შენ. არ მეგონა, ვინმეს თუ ვახსოვდი, რადგან თუ მსახიობი 1 წელი არ გამოჩნდება, ის დავიწყებას

ვერალი, 19 წლის:

„ქალბატონო ნინო, ძალიან მიყვარხართ. ბედნიერებას ვუსურვებ მთელ თქვენს ოჯახს, ღმერთი გფარავდეთ! თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. ერთ ბიჭს მოვწონვარ, მე კი, მისი ძმაცაცი მომწონს. ვგრძნობ, ისიც არ არის ჩემ მიმართ გულგრილი. როგორ მოვიქცე?“

ნინო ლეჟავა:

— ძლიერი უნდა იყო. შეეცადე, ბიჭებს შორის უთანხმოება არ ჩამოაგდო. ამიტომ ჯობია, ორივე დაივიწყო (სხვათა შორის, მეც ყოველთვის ასე ვიქცევდი). არსებობს მეორე ვარიანტიც: ბიჭებს სიმართლე უთხარი და მერე თავიანთ ამბავს თვითონვე გაარკვევენ.

სალომე გიორგაძე, 16 წლის:

„ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, უფრო მეტად დავრწმუნდი იმაში, რომ ძალიან კარგი ადამიანი ყოველხარ. მაინტერესებს — რომელ ქვეყნებში ხარ ნამყოფი და ბავშვობაში რომელი ქვეყნის ნახვაზე ოცნებობდი?“

ნინო ლეჟავა:

— ბავშვობის დროინდელი 2 ოცნება უკვე ამისდა — იტალიაში და საფრანგეთში ვიყავი, მაგრამ ძალიან ბევრი ქვეყანა დამრჩა სანახავი — ეგვიპტე, ინდოეთი... სიამოვნებით წავიდოდი ფლორენციაში და ა.შ. ძალიან მინდა, მსოფლიო კრუიზი მოვიწყო — 80.000 კილომეტრი წყლის ზევი და არა — ქვევით, რადგან ქვევით ყოფნის მემინია: რა იცი, რა ხდება.

ანა, 16 წლის:

„იცით, როცა ძველ ამბებს ვისმენ, საშინლად მტკივა გული, რომ მეც იმ დროს არ დავიბადე. მინდა, ადამიანებს შორის ისეთივე თავშეკავებული, წრფელი და ლამაზი ურთიერთობები იყოს, როგორიც მაშინ გახლდათ. ძალიან მაღიზიანებს ის მლიქვნელობა, ცინიზმი, გარყვნილება და „მტერობი“, რაც დღევანდელ ახალგაზრდებშია გამეფებული. რა ვუყოთ, თუ ჩემი შეხულებების გამო, კომუნისტს მესახიან?! მე მაინც არ დავემსგავსები მიმბაძველ მაიმუნს და იმედი მაქვს, რომ ჯერ კიდევ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება.

ქალბატონო ნინო, როგორ მოვახერხოთ ეს?“

ნინო ლეჟავა:

„უიმე, დედა! რა სჭირს ამ ბავშვს?.. ჩემო კარგო, მოდი, ამ ყველაფერს ცოტა მარტივად შეხედე. მარტო მე და შენ სიტუაციას ვერ გამოვასწორებთ. იყავი ისეთი, როგორც გინდა, იყო და აუცილებლად შეხვედები ადამიანს, რომელიც შენი ღირსი იქნება. იმედი იქონიე, რომ შენი თაობის ადამიანებშიც არიან ისეთი ღირსეული პიროვნებები, როგორც შენც ოცნებობ. ნუ განიცდი, მთლად ცუდად არ გვაქვს საქმე. საიმისოდ, რომ ამდენი იფიქრო, ინერვიულო, ჯერ ძალიან პატარა ხარ. რაც შეეხება „კომუნისტობას“ — ეს ცუდი სიტყვა სულაც არის, ეტყობა, ვიღაცამ რაღაც არასწორად გაიგო და... მოკლედ, ყველაფერი წინ არის.

პაპ, 19 წლის:

„პრივეტ“. ნინო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები... შენგან რჩევის მიღება მჭირდება: 4 წელია, ბიჭი მიყვარს. ის კი, ახლა საზღვარგარეთ მიდის. რა ვქნა, გავუშვა თუ თან გავყვე?.. მეშინია, იქ რომ წავა, სხვა არ შეუყვარდეს.“

ნინო ლეჟავა:

— თუ ნამდვილად უყვარხარ და შენი წაყვანა უნდა, მაშინ, 9 მთას იქითაც უნდა გაჰყვე; თუ შენ აძალებ — გინდა თუ არა, მეც წამიყვანო, — მაშინ შეეშვი: საზღვარგარეთ რომც გაჰყვე, შენი დალაღი რომ მოინდომოს, თავისას მაინც გააკეთებს — თუ ამას აპირებს, შენც ვერ შეუშლი ხელს. მოკლედ, თუ არ მიჰყავხარ, ნუ ეჭიდავები, გაუშვი და თუ ნამდვილად უყვარხარ, უკან დაგიბრუნდება.

თამაზი, 18 წლის:

„უკვე 2 წელია, ბიჭი მიყვარს. ცოლად გამომყვევიო, — მთხოვა, მაგრამ ჩემებმა გაიგეს და სახლიდანაც აღარსად მიშვებენ. როგორ მოვიქცე? ის რომ მათ გამო დავკარგო, თავს მოვიკლა?“

ნინო ლეჟავა:

„თუ დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილად უყვარხარ და ბედნიერი იქნები, მაშინ, ისე მოიქეცი, როგორც გული გიკარნახებს. ისე, უმჯობესია, თუ ცოტას მოიცადო, რადგან ჯერ პატარა ხარ და დიდი ტვირთის აკიდებას აპირებ, ამიტომ შეიძლება, სიყვარული გაფერმკრთალდეს და... მაგრამ თუ ვერ ითმენ, შენი სიყვარული ბოლომდე დაიცავი, დაჰკარი ფეხი და წადი. ისე, მინდა გითხრა, რომ არც ერთი კაცი იმად არ ღირს, რომ მისი გულსთვის თავი მოიკლა. ქრისტიანმა ადამიანმა ეს არასდროს არ უნდა თქვას. იცოდე, აქაური ჯოჯოხეთი სჯობია იქაურს...“

საქართველოზე დებინფორმაციის გასანეოცრადებლად, სამი სტუდენტოც საკმარისია „სხვის ოჯახში რომ ხარ, მაშინ ყფრო გენაცრება საკყოთარი“

მკა ლომიძე

თუ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებმა დიდი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქართველებმა სამშობლოს ღირსების დაცვა მოინდომეს, საქართველოში ტურისტთა ლაშქრის შემოდიხებას წინ ვერ აღუდგება ვერც პოპულარული ჟურნალი „ფორბსი“ და ვერც ზოგიერთი პროვოკაციული რუსული მასობრივი საინფორმაციო საშუალება. მერე რა, თუ ვიღაცამ, ვისაც მასზეუე საინფორმაციო ზემოქმედება შეუძლია, ხმა გაავრცელა, საქართველოში ტურისტების მოგზაურობა სახიფათოაო. ამ დებინფორმაციის გასანეიტრალებლად საკმარისია ამა თუ იმ ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა

„სხვის ოჯახში რომ ხარ, მაშინ უფრო გენაცრება საკყოთარი. მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავ ხალხთან ვუმზაობთ, საქართველოს მონატრებას ვერ ვუმკლავდებით. რომ არა უნივერსიტეტში ორი კვირის წინ მიღებული დავალება, ალბათ, ჩვენი ცხოვრება კარგა ხანს იქნებოდა უფერული“, — გვიამბობს მანანა.

XV საუკუნიდან არსებული საუნივერსიტეტო ტრადიციის მიხედვით, სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები ვალდებული არიან, სტუდენტურ კლუბ „ენგელსბურგში“ საღამოები გამართონ. მასპინძლებს თავიანთი ქვეყანა უნდა გააცნონ, თავი მოაწონონ. 2006 წლის 2 მაისს, „ენგელსბურგში“ პირველად ახმინდა ქართული ეროვნული ჰიმნი, ფოლკლორი და ბევრმა ეროფურტელმა იმ დღეს პირველად შეიტყო, რომ არსებობს კავასიის მთები და ძალიან ლამაზი ქვეყანა, რომელსაც ევროპაში იცნობენ არა როგორც საქართველოს, არამედ როგორც ჯორჯიას.

მანანა გავრინდავნილი

— ვერ წარმოგვედგინა, რომ სამ ქართველს ვინმე შეგამჩნევდა და საქართველოს გაცნობას მოგვთხოვდა. როდესაც დავალეება მივიღეთ, ჯერ დავიბენით, მერე კი დავფაცურდით. გავისენით ჩვენს ოჯახებში გამართული ლამაზი საღამოები, უმძიმესი ენერგოკრიზისის დროსაც კი, თუ როგორ ვცდილობდით ცხოვრების გალამაზებას და დავტრიალდით... სასწრაფოდ მოვავროვეთ ყველა ის ნივთი, რომელიც საქართველოს მონატრებას გვიქარვებს ხოლმე. ერთ ლამაზი ეროფურტელების დასაპურობი გეგმა შევადგინეთ...

საღამო დაგვემიღებ ბევრად ხანგრძლივი აღმოჩნდა. სტუმრებს დოკუმენტური ფილმებით შეძლებისდაგვარად გავაცანი

საქართველოს ისტორია, კულტურა, ტრადიციები. როდესაც ქართული სიმღერებითა და ცეკვებით აღფრთოვანებულ გერმანელებს შევეყურებდით, ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისა და მისი მეუღლის თბილისში სტუმრობა გაგვასხენდა. ზოგიერთმა გერმანელმა (სხვათა შორის, სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც იყვნენ კლუბში), სწორედ ჯორჯ ბუშისთვის სცადა ეკრანზე ნახახი ქართული ცეკვების ილეთების გამოვრება. როდესაც ფილმში საქართველოს ულამაზესი ხედები გამოჩნდა, დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა, მაგრამ პაუზა ფილმთან ერთად დასრულდა. დაგვაყარეს კითხვები: როგორ შეიძლება ამ ყველაფრის ნახვა? ვის უნდა დავუკავშირდეთ საქართველოში? რამდენად უსიფათოა თქვენი ქვეყნის ულამაზეს მთებში სტუმრობაო? მოკლედ, თავი ტურისტულ სააგენტოში გვეგონა. ჯერ დავიბენით, მაგრამ მალევე მივხვდით, რომ შემთხვევით უნდა გვესარგებლა და დამსრეთათვის აგვეხსნა, რომ საქართველო მშვიდობიანი ქვეყანაა. სწორედ ამ დროს მოხდა ის, რასაც ნამდვილად არ ველოდით. სტუმრებმა, რომელთაგან ბევრმა იმ დღეს პირველად შეიტყო საქართველოს არსებობა, აქეთ დავარიგეს — ერთმა ქვეყანამ მეორეში ტურისტული ბიზნესი რომ ჩააგდოს, შეგნებულად იწყებს მის კომპრომეტირებას; მთავარია, ამ დროს არ დაიბნეთ და რაც შეიძლება მეტი რამ უამბოთ მსოფლიოს საქართველოზე და შავი პიარი მასხედ თავად მისი ორგანიზატორისთვის იქცევა, თქვენ კი, კარგ სარეკლამო კამპანიას გააჩალებთო. კლუბში საინტერესო სიტუაცია შეიქმნა — სტუმრები სამ ჯგუფად დაიყვნენ. თითოეული იმდენ რამეს გვეკითხებოდა, რომ პასუხების გაცემას ვერ ავუდიოდით. გერმანელ მეგობარს, სებასტიან ბაიერს ვანიშნეთ, ჩვენს გასათავისუფლებლად რაღაც მოეფიქრებინა. სებასტიანი ჩვენი დიჯეი იყო. ქართული დროშის გამოსახულებიანი მაისურით დადიოდა და ყველას არწმუნებდა, მე ქართველი ვარ და სახელად მესი მქვიაო.



ბევრმა ეროფურტელმა იმ დღეს პირველად შეიტყო, რომ არსებობს კავასიის მთები და ძალიან ლამაზი ქვეყანა

შორის, თუნდაც სამიოდე ქართველი გამოერიოს. დიას, მცირერიცხოვან „დესანტსაც“ კი შეუძლია თავდაყირა დააყენოს საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულთა გეგმები ისე, როგორც ეს გერმანიაში, ქალაქ ეროფურტში მოხდა. XV საუკუნეში დაარსებული, უძველესი უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა წინო ოსვენაშვილმა, მანანა გავრინდავნილმა და მათია სხულაუხიამ, ერთი ლამაზი ქართული საღამოთი ერთბაშად ორას კაცს აღუძრეს საქართველოში მოგზაურობის სურვილი. როგორც გოგონები გვენერენ, თურმე ტურისტული „ლაშქარი“ მზად იყო, ერთ კვირაში დასდგომოდა „ჯადოსნური“ ქვეყნისკენ მიმავალ გზას, მაგრამ იმის გამო, რომ „ლაშქარი“ მხოლოდ სტუდენტებისა და მათი ჰედაგოგი პროფესორებისგან შედგება, ტურნე სასწავლო წლის დასრულებამდე გადაიდო. გერმანელები ზაფხულში გვესტუმრებან.

გოგონები არცთუ ისე დიდი ხნის წინ ჩასულან გერმანიაში სასწავლებლად. ჯერ სტიპენდია არა აქვთ. მის მოსაპოვებლად რამდენიმე საგამოცდო საფეხური უნდა გაიარონ, მაგრამ სიძნელეების არ ემუხებთ. ამბობენ, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ. მანამდე კი, თავი რომ ირჩინონ, როგორც უცხოეთში წასულ ქართველთა უმრავლესობა, ბავშვების მომვლელებად მუშაობენ გერმანულ ოჯახებში.



საღამოს დასასრულს, სტუმრებს საჭაპურებით, მწვადებითა და სხვა ქართული კერძებით გაუფასპინძლით



ხშირად, სახელების ნაცვლად, „ქართველებს“ გვეძახიან

„მეხი“ აირჩია, როგორც სიძლიერის სიმბოლო. ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მართლაც მეხივით ემოქმედა ქართულ პანგებს ერთფურცელეებზე. საღამოს დასასრულს, სტუმრებს ხაჭაპურებით, მწვადებითა და სხვა ქართული კერძებით გაუქმასპინძლდით. გული გვეწყებოდა, რომ ქართულ ღვინოს ვერ დავაჭაპნიკებინებდით. მიუხედავად ამისა, მისი რეკლამირების შანსი ხელიდან არ გაგვიშვია. ვუამბეთ გერმანელებს, როგორი ლამაზი რთველია საქართველოში, რა ფაციფურცია მარნებში, როგორ ჩადიან მამაკაცები ხის კიბით რამდენიმე მეტრიან ქვევრებში მათ გასარეცხად, მერე ღვინოს ქვევრებში ასახენ და ა.შ. მოკლედ, ჩვენი პატივად და ბევრისთვის მანამდე უცნობი საქართველოს სახელი, იმ საღამოს ყველას პირზე ეკურა. შთაბეჭდილებების ნიგნში უამრავი ლამაზი სიტყვა ჩავეწერეს. გვიქვს ლამაზი სამშობლო და მადლობა გადაგიხადეს საღამოსთვის: თქვენ ასახელეთ თქვენი ამაყი და ლამაზი ხალხი. გესმენოდა, რომ საქართველო საოცარი ქვეყანაა, ქართველები კი ამაყი ერია. ასეთი მდიდარი კულტურის მქონე ქვეყნის შვილებს, მართლაც გაქეთ სიამაყის უფლებაო. მოგვიანებით, ჩვენი საღამოს განხილვას ბევრი დრო დაეთმო რადიოეთერში. სწორედ მაშინ შენიშნა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ — ამერიიდან, ყველა ქვეყნის სტუდენტმა ასე საინტერესოდ უნდა წარმოაჩინოს თავისი ქვეყანა, საღამოები მხოლოდ დისკოთეკა არ უნდა იყოსო. უნივერსიტეტში უკვე გვეცნობენ, გვაჩერებენ, გვეუბნებიან — რამდენი რამ არ გვცოდნია საქართველოზეო. ხშირად, სახელების ნაცვლად, „ქართველებს“ გვეძახიან. საღამოზე ნაჩვენები ერთ-ერთი ფილმი მთავრდებოდა სიტყვებით: „თქვენ საქართველო გელოდებთ“ და დარბაზში ბევრმა ასე უპასუხა ამ ფრაზას: „მე მივდივარ საქართველოში“...




ქართული დროშის გამოსახულებიანი მასიურით დადიოდა და ყველას არწმუნებდა, მე ქართველი ვარ და სახელად მეხი მექვიაო.

„რა შავი ყორანია, რომ თავს დაგპირიანებს, ზედ დაგყუფს და დაგპრსაჟის?“

ასი წლის წინ სხვა, დღეს ჯარაპეტი... ხვალ ღმერთმა უწყის, რომელი მხრიდან ვინ უჩხვლეთს საქართველოს

წალკაში სტიქიური უბედურების გამო უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა წინა ხელისუფლებამ იმიგრანტი ბერძენების მიტოვებულ სახლებში რომ შეასახლა, მათ მეპატრონეებს ანაზღაურებასაც შეჰპირდა. თუმცა ისევე დატოვა მოტყუებული, როგორც დანარჩენი ქართველობა ბევრი სხვა დანაპირების აღსრულებაში. ამის გამო, წალკაში ჩასახლებულ ქართველებსა და ადგილობრივ ბერძენებს შორის რამდენჯერმე შესხლა-შემოხსლაც მოხდა. რაც არ უნდა ტკივილიანი იყოს, ეს შინაური საქმეა და ალბათ საბოლოოდ ისევე ჩაცხრება, როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ჩაცხრება ხოლმე ყოფილი გაუგებრობა მეზობლებს შორის...



მაგრამ, როგორც ილია ბრძანებდა, თურმე „ჩვენი სიბრძნე და დაბალ ლობედ მიჩრეული დეი მელად თუ მოიპოვება დედამინის ზურგზედ. ვინც გნებავთ ან ზედ გვაბოტებს, ან გვიჩრკვავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსოვნა გააჩნაგონ, ქართველების სახელი დედამინის ზურგიდან ალგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქოს არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღეს ვართ... რა შავი ყორანია, რომ თავს დაგვტრიალებს, ზედ დაგყუფს და დაგპრსაჟის?“ — ეს იყო პასუხი სომეხ ცრუმეცნიერთა გამოხდომებზე, რომელთაც ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში სცადეს ჩვენი ერისა და ისტორიის განზრახ ჩამოქვეითება. ზოგიერთების „ყეფა და ჩხავილი“ კი ხანდახან ისევ გვიმძიმებს ყურთასმენას, ისევ გვიჩხვლეთს და გვწინვწინს.



...ეგებ პასუხის ღირსადაც არ ღირდეს სომეხი ქურნალი სტიის კარაპეტ კალფანიანის წერილი, მაგრამ მან ისე ღრმად დაკოდა საბერძნეთში მცხოვრებ ქართველთა გულები, რომ ტკივილის ექიმ ბმელთაშუა ზღვა გადმოიარა და ჩვენამდეც მოაღწია. აი, ამონარიდი ამ წერილიდან

(სტილი დაცულია):

„...სულაც არ გამკვირვებია მათი არაადამიანური საქციელი, რადგან ვარ წარმოშობით სომეხი. სომხეთი კი საქართველოს ემეზობლება. კარგად ვიცნობ მათ — ქართველებს. მართალია მართლმადიდებლები არიან, არასოდეს ჰქონიათ საერთო ისტორია ბერძნებთან, როგორც ბერძნებს და სომხებს. რადგან ისინი (ქართველები) არასოდეს ყოფილან თურქების მიერ განხორციელებული დევნის, ხოცვა-ჟლეტისა და გენოციდის მსხვერპლნი. პირიქით, ხშირად ესმარებოდნენ კიდევ მათ ბერძნებისა და სომხების განადგურებაში. ისტორიაში არ დასტურდება არც ერთი ომი ქართველებსა და თურქებს შორის, თურქების მიერ ქართველების ხოცვა-ჟლეტის არც ერთი ფაქტი. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი, როდესაც მეფის რუსეთი კავკასიაში დომინანტი ძალად იქცა, საქართველომ, ისევე როგორც აღმოსავლეთ სომხეთმა და პონტოელმა ბერძნებმა, მის ფრთებქვეშ იპოვა თავშესაფარი. თანამედროვე ეპოქაში, 1940-41 წლებში, როდესაც საბერძნეთი ფაშიზმისა და ნაციზმის წინააღმდეგ გამოდიოდა და როდესაც უინსტონ ჩერჩილი მთელი კაცობრიობისთვის უკვე ნაცნობ ფრაზას ამბობდა — „ანი აღარ ვიტყვი, რომ ბერძნები იბრძვიან, როგორც გმირები, არამედ უნდა ვთქვათ, რომ გმირები იბრძვიან, როგორც ბერძნები“ — ქართველები კრემლის ხელდასმით ძირკვავდნენ საქართველოში მცხოვრებ ბერძნებს, რათა გაეფანტათ ისინი ცენტრალური აზიის გადაკარგულ სტიპებში, ალმა-ატასა და ტაშკენტში. ვინ იყო მაშინ საბჭოთა კავშირის ერთპიროვნული მმართველი? — სტალინი და მისი ერთგული თანამებრძოლი ლავრენტი ბერია — ორი ქართველი, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო დიდი დამნაშავე, რაც დღემდე დალად ასვია ქართველებს.

...დღესაც თვალს ვხუჭავთ ყოველივე იმაზე, რასაც სჩადიან ქართველები ბერძნების წინააღმდეგ... საბჭოთა კავშირის გრევის შემდეგ გამსახურდიამ, ცნობილმა შეიარაღებულმა ქართველმა ყაჩაღმა, რომელიც ცოტა ხნით საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა, დაცხრილა, დააყაჩაღა და დახოცა ნალკის რაიონის ბერძნული სოფლების მოსახლეობა. დღეს აყაჩაღებენ და ქურდავენ რამდენიმე ათას შემორჩენილ ბერძენს, აიძულებენ მიატოვონ მშობლიური კერა და საბერძნეთში გადმოსახლდნენ. ბილწავენ ბერძნულ საფლავეებს, ანადგურებენ



ბერძნულ წარწერებს ეკლესიებზე და ბერძნულ სკოლებს, რათა აღარ დარჩეს ბერძენთა კვალი საქართველოში. მწუხარებითა და აღმფრთხილებით ვსაუბრობ ყოველივე ამაზე, რათა ამ ფაქტს იმათი ყურადღება მიექცეს, ვინც წარმართავს საბერძნეთის საგარეო პოლიტიკას, რომ იცოდეს საზოგადოებაში, არიან კი „ერთმორწმუნე ერთოდოქსი ქართველები სიყვარულისა და თავყინისციემის ღირსნი?“

აღნიშნულ წერილს მალევე გამოეხმაურა ათენში ქართულ ენაზე გამოცემული ჟურნალი „თაობა“. ჟურნალის რედაქტორი ანა ყურაშვილი მართლაც მწუხარებითა და აღშფოთებით წერდა (ტექსტი შემოკლებულია): „ქართველ კაცს ოდითგან გონებასა და ძვალ-რბილში აქვს გამოჯდარი მოყვასის, მეგობრის, სტუმრის პატივისცემა, სიყვარული და ერთგულება. „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“ — ვაჟა რომ წერს, ეს სრულიად ქართველთა გულისთქმია, პოეტის ერთი ნათქვამი მტერ-მოყვრის გასაგონად. „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანო“ — ისევე ვაჟა გვამშვიდებს მთაწმინდიდან, მაგრამ ამ სიკარგეში, მიმტვევლობასა და შეწყნარებლობაში თანდათან დავკოტავდით, დაიჩეხა ჩვენი სამშობლოს სხეული, ან-

იოკდა ქართველი ქართულ მიწაზე, ქვეყნის საზღვრებიც შიგნით მიიდრია. ყოველ მესუთე ქართველს დღეს ლტოლვილი ჰქვია. ძმამკვლელმა ომმა და გაჭირვებამ მიმოფანტა აქეთ-იქით ჩემი თანამემამულენი, აქცია ისინი სხვათა ქვეყნებში სხვის მსახურებად.

მე დიდი ხანია საბერძნეთში ვმუშაობ და ვმოღვაწეობ კიდევ. როცა სრულიად უცხო ოჯახებში შევდივართ სამუშაოს სათხოვნელად, მასპინძელი ბერძენი ხშირად გვარსაც არ გვეკითხებოდა.

— ქართველი ხარ? და სხვა შეკითხვები არ არის.

ამ ნდობას საუკუნეები უდევს საფუძვლად. საქართველოში მცხოვრებ ბერძნებსაც იმავე მიზეზით გაუჭირდათ, რისთვისაც ჩვენ. ისინიც ჩვენთან ერთად გამოემურნენ აქ სამუშაოდ, მაგრამ მათაც თვალი ისევ საქართველოსკენ უჭირავთ. ზოგს მშობლის საფლავეზე სანთლის დანთება ენატრება, ზოგს სკოლა, უბანი, ქალაქი, ინსტიტუტი, სამეგობრო, სანათესავეო. გამოირიცხულია, ამ ორი ერის რწმენისა და თანაცხოვრების შესახებ არ უწყოდეს სომეხმა ჟურნალისტმა კარაპეტ კალფაიანმა და მაინც, ტალახში ამოსვარა ქართული მიწის მადლი, დაამცრო მისი ისტო-

რია. თუ მაინცდამაინც ეპრიანება ასე წეროს, მაშინ კოლეგას ვურჩევთ ერთხელ მაინც გადაიკითხოს ბრძენი სულხან-საბას იგაევი „კუ და მორიელი“.

საბერძნეთში მცხოვრებ ქართველთა დაკოდილ გულებს მალამო ისევე ბერძნებმა დაადეს, მათ, ვინც საქართველოში დაიბადა, გაიზარდა, ისევე მის წიაღში უდგას ფესვები, ბოლომდე დარჩა მისი ჭირისა და ღბინის მოზიარე:

გიორგი პავლიდი, ქ. სალონიკი:

„ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი „დათა თუთაშხიაში“ წერს: „მეზობელთან გადასული კაცი ოჯახის დესპანი უნდა იყოს, ხოლო ქვეყნიდან გასული — მისი ერისა და სამშობლოს დესპანი“. რამდენადაც სომხეთი და საქართველო მოსაზღვრე ქვეყნებია და ამასთანავე საქართველოში 500 ათასი სომეხი ცხოვრობს, — ყოჩაღ კარაპეტ, დესპანობისთვის(!).

ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა X-X საუკუნეთა მიჯნაზე კურაპალატებს უკავშირდება (აშოტი, დავითი, ბაგრატო და სხვა). კურაპალატობა კი კონსტანტინეპოლის საიმპერატორო კარის უმაღლესი ტიტულია. დავით აღმაშენებლის და — მელიტა კონსტანტინეპოლის საიმპერატორო კარზე ერთერთი წარჩინებული პირი იყო... როცა საბერძნეთს გაუჭირდა, საქართველომ 12-ათასიანი ლაშქარი მიაშველა თორნიკე ერისთავის მეთაურობით. ათონის ივერთა მონასტრის მოღვაწეებმა კი არა მარტო ქართულ საეკლესიო ცხოვრებაში დატოვეს წარუშლელი კვალი, არამედ ბერძნებსაც ბევრი ისეთი წყარო შემოუწახეს, რომელიც საკუთარ ქვეყანაში ჟამთა სიავსს ემსხვერპლა. ბერძენთა და ქართველთა ურთიერთობას უნდა მივათვალოთ ისიც, რომ 100 ათასმა პონტოელმა ბერძენმა საუკუნეზე მეტხანს ვიცხოვრეთ საქართველოში. ბევრი მათგანი ახლაც იქ ცხოვრობს. აქ, საბერძნეთში წამოსულ ბერძნებს კი იმდენად აქვთ ჩასახლკარებული საქართველოს სიყვარული, რომ ახლაც იქ გვიდგას ფესვები. პონტოელ ბერძნებს არასოდეს გვიღალატია ქართველებისთვის. არც ერთერთის სისხლით გაგვისვრია ხელები. რა რჯის კარაპეტს, გაუგებარია, რამეთუ პონტოელ ბერძნებს აქ, საბერძნეთში გვყავს ინტელიგენცია და თუ საჭიროა, თვითონ აიმაღლებს ხმას. ნალკის პრობლემა დღეს საქართველოს პრობლემაა, რომელსაც თავად უკვე მოაგვარებს, ვიდრე შორიდან სხვა ქვეყნის გაზეთით განჩხრეკა.

65 წლის ვარ. ქართულ ენაზე დავამთავრე სკოლა, უმაღლესი განათლება თბილისში მივიღე, 30 წელიწადი ვიმუშავე ხელმძღვანელ თანამდებობებზე და არსად, არასდროს მიგრძნია დევნა და დამცირება ქართველთაგან.

რაც საქართველო დემოკრატიის გზას დაადგა, პირიქით, ამ ორ ერს შორის ურთიერთობები უფრო მტკიცდება. მარ-



ტო ის რად ღირს, რომ ყველა ჩვენგანს ორმაგი მოქალაქეობის უფლებას კანონი გვანიჭებს.

როცა ბატონი კარაპეტი თავის წერილში ამბობს, „ისტორიაში არ დასტურდება არც ერთი ომი ქართველებსა და თურქებს შორის“ — გამოდის, რომ აჭარა საქართველოს ხელშეკრულებით გადაუცია 300 წლით თურქებისთვის. იმერეთის მეფე სოლომონს, გურიისა და სამეგრელოს მთავრებს თურქებთან არასოდეს უბრძოლიათ, ხოლო ქართველი ყმაწვილები თავიანთი ფეხით მიდიოდნენ სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად.

ბატონ კარაპეტს კარგად მოეხსენება, რომ სომხეთი და საქართველო მართო მუზობელი კი არა, დღეს დამოუკიდებელი ქვეყნებიცაა. კარგად რომ ჩაეხედა ისტორიაში, საფუძვლიანად გასცნობოდა მათ მძიმე წარსულს, ამგვარ უხერხულობას ასცდებოდა. დაბოლოს: სომხურ-აზერბაიჯანული ხურჯინის ზიდვა, რომელიც ისტორიულად ერგო საქართველოს, სათუთად, ძირს დაუდებლად ატარებს და არ ემძიმება. თქვენ რატომ გემძიმებათ, ბატონო კარაპეტ?“

სოფიო შამანიძე: თსუ ახალი ბერძნული ენის კათედრის გამგე, პროფესორი:

„საქართველოში მცხოვრებ სომხებს, სომხეთში მათივე თანამემამულეები რატომღაც „შურტვანს“ — „გადაბრუნებულს“ უწოდებენ. აი, ქართველების მიერ დაჩაგრული ზოგიერთი „შურტვანა“ სომეხი: საიათნოვა, სერგო ფარაჯანოვი, არმენ ტიგრანიანი, ოვანეს თუმანიანი, ხაჩატურ აბოვიანი, არამ ხაჩატურიანი... ახლა, არამიანცი, აზარიანცი, მანთაშოვი და მრავალი სხვა, ვინც თბილისში სასახლეებს იმიტომ იშენებდნენ, რომ თურმე ქართველები „ტანჯავენ“. ან აზნაურიანი, რომლის შვილიშვილი შარლ აზნაური პარიზიდან ახალქალაქში მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდა, რომ ის ადგილი ენახა, სადაც ქართველები მის წინაპრებს „ანამებდნენ“. რაც შეეხება სტალინის ერთგულ თანამებრძოლებს, მათ შორის ქართველ ბერიასთან ერთად, უპირველესნი იყვნენ სომეხი სიმონ ტერ-პეტროსიანი (კამო) და ლენინიდან ბრუნდებოდა ყველა პოლიტიკურ ფიგურას მორგებული, ანასტას მიქოიანი, რომელსაც ისეთივე დამსახურება აქვს თანამემამულეების დაპატიმრება-დახვრეტაში, როგორც ბატონ კარაპეტს ბერძნებსა და ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდების მცდელობაში.

დაბოლოს, ქართულ-ბერძნული ურთიერთობის შესახებ: აი, აქ კი არ შემიძლია „არ დავეთანხმო“ ბატონ კარაპეტს: ქართველებს და ბერძნებს „საერთო ისტორია მართლაც არასოდეს ჰქონიათ“ — პრობლემა არარატზე იყო მიჯაჭვული, მეფე კი სომხეთიდან მოიტაცეს ბერძნებმა?“

პირადად მე „დაჩაგრული“, უბრალო ბერძნის შვილიშვილი, 25 წლის ასაკში ფილოლოგურ მეცნიერებათა კანდიდატი, 29 წლისა — მეცნიერებათა დოქტორი, 30 წლისა პროფესორი, ბოლოს — 34 წლის ასაკში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ახალი ბერძნული ენის კათედრის გამგე გავხდი... იმ დროს, როცა „კრემლის ხელდასმით ძირკვავდნენ საქართველოში მცხოვრებ ბერძნებს“, ჩემი ბერძენი ბაბუა და მისი ექვსი ძმა არავის გადაუსახლებია. პოლიტპატიმარი ჩემი ქართველი ბაბუა კი, 1937-45 წლებში დიდი ხერხით ციმბირის ტყეს წრიდა.

იმ დროს, როცა ბატონი კარაპეტი მთელი საბერძნეთის გასაგონად აცხადებს: — ქართველები ყველაფერს აკეთებენ, რათა აღარ დარჩეს ბერძენთა კვალი საქართველოში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს ელინოლოგიის სფეროში აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე უდიდესი „კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი“, რომელმაც ბერძნული კულტურის პროპაგანდის მიზნით ბოლო წლებში ასზე მეტი წიგნი გამოსცა. სხვათა შორის, ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეც ბერძენია...

ქართველები არათუ ანადგურებენ ბერძნულ საფლავებსა და წარწერებს, როგორც ამას ბატონი კარაპეტი ბრძანებს, არამედ ისევე უფრთხილდებიან, როგორც მშობლიურ საგანძურს ან ძვალთშესალაგს. დღეს ორივე ქვეყნის სამეცნიერო წრეებში კარგად უწყიან აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული სამტომეულის მნიშვნელობა — „ბერძნული წარწერების კორპუსი საქართველოში“. ორივე ქვეყნის ხალხები ერთნაირ პატივს მიაგებენ მსოფლიოში აღარებულ ბერძენ მავსტროს — ოდისეი დიმიტრიადის, რომელიც ანდერძის თანახმად საბერძნეთიდან გადმოსვენეს და ქართულ მიწას მიაბარეს.

დღეს საქართველო 17 სხვადასხვა სკოლაში ისწავლება ბერძნული ენა. და თუ ბატონ კარაპეტს მაინც ჰგონია, რომ „ქართველები ანადგურებენ ბერძნულ სკოლებს“, ჰკითხოთ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს, ბატონ კოსტას კარამანლისს, როგორ უსმენდნენ თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეები, როცა იგი მათ ბერძნული ენის გაკვეთილებს უტარებდა.

რაც შეეხება ნალკის პრობლემებს, რაზედაც ეგზომ „დასწვია გული“ სომეხ ჟურნალისტს, ამგვარი რამ არახალისე: ლტოლვილი და უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები ყველა ქვეყანაში აფარებენ თავს მიტოვებულ საცხოვრებლებს. ასე იყო თვით სომხეთსა და აზერბაიჯანში ყარაბაღის ომის დროს, ხორვატიაში, ბოსნიამი, სერბეთსა და კოსოვოში ბალკანეთის არეულობისას. ასე იყო საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, სადაც ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის წევრებმა აფხაზი სეპარატისტების სამსახურის გასამრჯელოდ დევნილი ქართველები და ბერძნების სახლები დაისაკუთრეს.

იმედდ უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ხელისუფლება ბატონ კარაპეტ კალფიანს და მისთანებს სალაპარაკოს გამოუღევს, მით უფრო, როცა საქმე ეხება ევროკავშირის იმ ქვეყანას, სადაც დღეს ასიათასობით ქართველი ცხოვრობს და მუშაობს. მე ბერძნული წარმოშობის ქართველი ვარ, ორივე ხალხის სატყვივარი ერთნაირად მტკივა, ამიტომაც მოვკვიდე კალამს ხელი, თორემ ქართველობას, რომლის მოსახლეობის მესამედი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელია, შემწყნარებლობას კალფიანი ნამდვილად ვერ ასწავლის.“

P.S. ჩვენ წარმოადგენა არა გვაქვს ბატონ კარაპეტის განსწავლულობაზე, თუმცა მისი სტატია არა მხოლოდ ავტორის რაიმე დონეზე მიუთითებს, არამედ იმაზეც, რომ მისი ერთ საუბრობს ბუცი პიროვნება, რომელსაც არც ისტორიის გაეგება რამე და არც რეალობის.

მოამზადა
ეთერ თარიანიძე

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოზა ღვალის უბის წიგნაკრები:

ერთი კვირის წინ ახლოვდნენ ინტერნეტში მოძიებული ვიდეომასალა მომანოდა — შენს რუბრიკაში გამოიყენეო. ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ გადავწყვიტე, ამ ერთხელ დამერღვია რუბრიკის ფორმატი და ჩვენი ყურნალების მკითხველისათვის უცვლელი სახით მომწოდებინა ეს მასალა.

მაშ ასე! ბაღდადი. ამერიკა-ერაყის ომი. ერაყელთა მხარდასაჭერად ჩასული და ქალაქის ერთ-ერთ ბუნჯერში უშიშრად მოკალათებული, საკუთარი დაცვის წევრებით გარშემორტყმული და არყით გაღვრილი ვლადიმერ ჟირინოსკი „ისტორიულ“ მონოლოგს წარმოთქვამს. კადრები სამოყვარულო კამერითაა გადაღებული. თავად ვიდეორგოლს რომელიღაც არაბული ტელეარხის ლოგო ამშვენებს. მკითხველს წინასწარ ვთხოვ პატივებას, რადგან იმ უცნაურო სიტყვების გამოყენება მიხდება, რომლითაც ასე მდიდარია რუსული ენა და ჟირინოსკის სამეცნიერო ლექსიკონი. ახლა კი — სრული სიჩუმე! ჟირინოსკის ნაბოღვარს მოვუსმინოთ. იგი ჯორჯ ბუშს „ისტორიული სიტყვით“ მიმართავს:



„ნე ნადო შუტიტ ს ვანოი, ბლიად!.. სდეს დრუგიე რებიატა!.. ეტა ნე გერმანია!.. ნე ავგანი-სტან!.. ჯორჯ, ტვანის სალდატ ზდეს პარფუტ ნა ჩასტი!.. ტი პრედსტავ 250 000 ატორინის სალდატ ირაკა, ბლიად!.. ანი


ესაიო რაზნისუტ!.. ანი ესაიუ პუსტინიუ პრაიდუტ ზა ადინ ჩას!.. ანი ვზარფუტ ესე ტვან ესმინცი, ესეს ტვანის ჟურნალისტოვ, დიპლომატოვ!..

ჯორჯ, ტი კავბოი!.. ტი ასტანავის, ბლიად, ნე კანჩაი!.. ტი პატრონი სპრიამ პო დალშე ნა სკლად!.. ი ზაზუდ პრო სვავეო პაპუ!.. უ ნას ბილ ადინ მუდავ, ატამსტილ ზა ბრატა, ბლიად, ი რუსულა ველიკაია რასიისკაია იმპერია!.. ი დრუგოი ჩუდავ, ბლიად, ზა სვავეო დედუშუ ატამსტილ, ი რუსულ სავეტსკი საიუზ!.. ი ტი პავტარიშ ტუჟე ამიბუ!.. უ ვას ნიკტო ნე ხოჩეტ ჟიტ ვ ამერიკე, ნიკტო!.. ეტა ბარასოლკა, ბლიად, ა ნე სტრანა!.. დოლარ, დოლარ, დოლარ!.. გრიაზნაია, ზელიონაია ბუმპაჰა!.. ნი დუში! მუზიკი ნეტ უ ტეპია, პისატლეი!.. ვეს მირ სლუშაეტ ჩაიკოვსკავა, დასტავესკავა, ბლიად, ფესტივალი!.. სპორტ!.. ტოლკო რასსია, ბლიად, ი რასია შას სდეს, ვ ირაკე, ვოტ სდეს ლიუბიატ პრეზიდენტა, ა ტეპია პრიზერაიუტ, ბლიად, პრიზერაიუტ!.. ტვოი პრედმესტენიკ, ბლიად, კლინტონ, ბლიად, ეშუ შირინკუ რასტიგნული პრიამო ვ რაბოჩემ კაბინეტე, ი სავსემ უჟე ნუჟან ახუეტ, შტობი კაკაიატა პრასტიტუტკა, ბლიად, ვ კაბინეტე გლავი გოსუდარსტვა ეშუ ატსასივალა!.. ეტა შტო, ამერიკა, ბლიად? და ვამ პიზდევტ დაფო უჟე!.. ნი შტო დელაიტე?!.. მონიკა, ბლიად!.. ვაკოი ნა ხუი პრეზიდენტ?! კაკაია ვონა, ბლიად?! ვაკოი ბლიჩნი ვასტოკ, ბლიად?! მინეტჩიკი ჩორტავი, ბლიად, ანანისტი, პედერასტი, ბლიად!..

ჯორჯ, პასმატრი კავბოსკი ფილმ, პას-

დიაგნოზი

(ერთმოქმედებიანი პიესა)



პრეამბულა: რამდენი გიყი ცხოვრობს ინგლისში?..

ბრიტანეთის ფსიქიატრიულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა სკანდალური გამოკვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც, ყოველი მეოცე ბრიტანელი ფსიქიკურად დაავადებულია. ფსიქიკურ დაავადებათა შორის „ლიდერობს“ აკვიატებული ნევროზი, რომელიც ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდის — დევიდ ბექჰემის გარდა, 2 მილიონამდე ბრიტანელს აწუხებს. ახალი გამოკვლევის შედეგად, კიდევ ერთი საინტერესო დეტალი დადგინდა: მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად, ქალბატონები ქაბობენ, ფსიქიკურად დაავადებულთა შორის, მამაკაცები „ჯაბნანა“ ქალებს. მაგალითად, მეგაპოლისებისთვის ესოდენ დამახასიათებელი, ანტიოციტალური ფსიქოპათიის შემთხვევა, მამაკაცებში ხუთჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე — ქალებში...

ეს ინფორმაცია სიხარულით აიტაცა ქართულმა პრესამ. მე კი, ჩამაფიქრა და დამალონა: იქ, ინგლისში თუ ამდენი გიყი და გადარეული ჰყავთ, ნეტავ, რამდენი გიყია საქართველოში, ან სულაც — მარტო თბილისში?!

მანანა ჭირაქაძე

მოქმედი ბიზნისი და შემსრულებელი ავტორი ექიმი პაციენტი

მოქმედების დრო — XXI საუკუნე. ადგილი — საქართველო, თბილისი; ერთ-ერთი რაიონის პოლიკლინიკა.

— თქვენ... დიას, დიას — თქვენ... გიყი ხართ. არა, უბრალოდ შერევილი კი არა — „ქრესტომათიული“ გიყი!

...ექიმის ტონი კატეგორიულია — ის გისვამთ დიაგნოზს, რომელსაც „წყალი არ გაუჟა“...

თუმცა, ჯობს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ...

— ჩემ მიერ საიდუმლოდ მოპოვებული სტატისტიკური მონაცემებით, აქ, ჩვენთან, ქალაქში, 10 ნორმალურზე 1 არანორმალური მოდის. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს ინფორმაცია ჩვენ მიერ არის მოპოვებული და... ცოტა შელამაზებულიც — აბა, ცუდ ამბავს ერთბაშად ხომ არ გაჯახებდით! სინამდვილეში, საქმე გაცილებით სერიოზულადაა... 10 არანორმალურზე 1 ნორმალური თუ მოდის —

გამოდის, რომ ძირითად მასას გიყები შეადგენენ... უკაცრავად — შევადგენთ... ეს რას ნიშნავს?.. რას და... ოღონდ დამშვიდდით, არ ალელდეთ და ყველაფერს აიგისნით. თქვენ, ჩემო ბატონო, და ადვილი შესაძლებელია — მეც, შეიძლება, თავს ნორმალურად მივიჩნევდეთ, სინამდვილეში კი... ეს ყველაფერი მანამდე არ გაირკვევა, ვიდრე სპეციალისტი არ გაგვსინჯავს და დიაგნოზს არ დაგვისვამს. აი, დაახლოებით ასე:

ერთ მშვენიერ ან სულაც, მოღრუბლულ და ქარიან დღეს (როგორც მოგეხსენებათ, ჩვენში ამინდის მკვეთრი ცვლილება ხშირად აღინიშნება ამ ბოლო 10-12 წლის განმავლობაში — როგორც ბუნებრივი, ასევე პოლიტიკური...), შეგანუხათ თავის, ფეხის, ან ხელის ტკივილმა, იმდენად ძლიერმა, რომ გადაგანყვეთინათ, ექიმთან მისულიყავით. რის ვივაგლახით მიაღწიეთ სამედიცინო რეფორმისაგან დაზარალებული პოლიკლინიკის, „ნაკურატალ“, უკაცრავად — „ნარეფორმალ“ ანუ „რეფორმაგამოვილი“ ექიმამდე... შემდეგ?.. ის ჯერ ყურადღებით მოგისმენთ, მერე საგულდაგულოდ გაგვსინჯავთ და... დიაგნოზს დაგვსვამთ დიაგნოზს:

— თქვენ გიყი ხართ! დიას, დიას... არან-

ორმალური! ისე, უბრალოდ, მსუბუქად შერევილი კი არა — „ქრესტომათიული“ გიჟი!

— რატომ?

— ახლავ მოგასენებთ. მხოლოდ მშრალი ფაქტები და „რკინისებური“ არგუმენტები: თვალები ისე გაქვთ დაჭყეტილი (ჩიყვი გამორიცხულია), რომ სადაცაა, ბუდიდან ამოგიცვივდებათ, თანაც — საშინლად ჩანითლებული... როგორ?! ეს მაშინ დაგემართათ, როცა რაიონიდან დაბრუნებულს, დიღმის მასივის დასაწყისში შემოგვეგებათ დავით აღმაშენებლის ძეგლი, რომელიც — კარგად გახსოვდათ! — სანამ წახვიდოდით, რუსუბლიკის მოედანზე, „ივერიასთან“ ამაყად მდგარი დატოვებულ... ა-ა, გასაგებია — ცდილობდით, კარგად დაგენახათ, შემოფოთდით — თვალი ხომ არ მატყუებო? — და იმის მერე ასე დაგარჩათ!.. გასაგებია, გასაგები, მაგრამ ფაქტია — თვალები დაჭყეტილი გაქვთ და თანაც, არაბუნებრივად გიბრწყინავთ... ეს სიგიჟის ერთ-ერთი მთავარი სიმპტომია... კიდევ, ჩემო ბატონო, ხელები გიკანკალებთ და ისტერიკულად პარჭყავთ თითებს... აი, აი — ახლაც!.. დანყნარდით, ეს იმ დროს დაგემართათ, როდესაც შეიტყვეთ, რომ დენის ტარიფი იზრდება... კიდევ ერთი სიმპტომი: ოთახში შემოსვლისას, ტელევიზორს მოჰკარით თუ არა თვალი, იქიდან მოყოლებული, ეკრანისკენ თითს იშვერთ და შემინებული, ცრაცაცას ლულულულებთ... ეს, პოლიტიკური ტოქსოზების დროს, უმრავლესობისა და ოპოზიციის დაპირისპირებებსა და დაპირებებს რომ უსმენდით, იმ დროიდან დაგჩემდათ... სამწუხაროა, მაგრამ იცით, მე მესმის თქვენი: სუსტი ნერვების პატრონი კი არა, უკაცრავად და, ხისთავიანი და სტელკანიანი კი ვერ გაუძლებდა ყოველივე ამას... კიდევ, იმიტომ ხართ გიჟი, რომ პერიოდულად (ა, ბატონო, ახლაც!) შეხტებით ხოლმე, მერე კი, შეუჩერებელი ფეხების ბაჟუნს იწყებთ!.. ეს რაღა დროს დაგჩემდათ?.. ჭიაბერამევილის მიერ შემოღებული სამკუთხედის დროს, საცობში რომ მოჰყვით



ვერ ეგუებით და გირჩენიათ, არაფერს ხედავდით, ხომ?! ჰო, კი, ეს ნამდვილად გაგაჩუბს კაცს... მე მგონი, საკმარისია. იცით, თქვენი მდგომარეობა საკმაოდ რთულია, სერიოზული, მაგრამ არა — უიმედო. გადანყდა — მე თქვენ გიმკურნალებთ... არა, არა, ვიცი — ყველას გვიჭირს, ამიტომ — სრულიად უფასოდ გიმკურნალებთ...

ოთახიდან მაღლიერი პაციენტის გასვლის შემდეგ, ალტაცებული ექიმი შეხტება და ომხახინად შემოსძახებს: „ახლა კი იწყება ჩემი ფსიქიატრიული პრაქტიკა!“ — მაგრამ უეცრად, სარკეში საკუთარ გამოსახულებას მოჰკრავს თვალს და გაახსენდება, რომ ორი დღეა, არაფერი უჭამია.

„პაციენტი მოიცდის! — ნამოიძახებს ის. — ჩქარა! ჩვენს რაიონში ახალი უფასო სასადილო იხსნება! კარგად გამოძლებთ, თანაც — პრეზიდენტსაც ვნახავ“. ამ სიტყვებით, ექიმი თავქუდმოგლეჯილი გარბის გაჩერების სვეტს და ახტება „მეორადი“, ყვითელი პოლანდიური ავტობუსის კიბის საფეხურზე...

გაოცებული პაციენტი გაჩერებიდან ადვენებს თვალს საეჭვოდ აცუნდრუკებულ ექიმს და დალონებული ბრუნდება შინ...

ამან უნდა მიმკურნალოს?! — ეციხება ის საკუთარ თავს.

დასასრული

P.S. პიესაში მოყვანილი: დრო, ქვეყანა, ქალაქი, სტატისტიკური მონაცემები, დავით აღმაშენებლის ძეგლი, ბერმუდის... უკაცრავად — „ჭიაბერამევილის სამკუთხედი“, პაციენტი, ექიმი, უფასო სასადილოები, პრეზიდენტი და მისი თანხმობის პირებიც; — ყველა და ყველაფერი გამოგონილია და არაფერი აქვს საერთო ჩვენს რეალობასთან...



ინფორმაციულ-მედიასფეროში

ეონა დვალის უბის წიგნაკედან:

მატრი, სკოლკო ტრუპოვ, სკოლკო კროვი... ი ტამ უბილი, ი ზდეს უბილი. ია ზდეს ი ია ტებე ზდეს გავარიუ, პასმატრი, კაკოე ნებო, ბლიად!... ბაგდად!... ბაგდად, ეტა ნე ბერლინ, ეტა ნე კაბულ! ტი ნიკაგდა ზდეს ნე დასტიგენე პობედე, პატამუ შტო მი ზნაჟე ეტოტ ნაროდ, მი ზნაჟე ეტავა პრეზიდენტა, ონ აღინ ნა ესიუ პლანეტუ ტებია პოსილატე ნა ხუი!... ადინ! ესე ასტალნიე, ბლიად, ლებუზიატ პერედ ტაბოი!... ვისტრალიის ვ სტროი, შტობი ტებე პოკლან-იტსა! ა ონ აღინ, სიდიტ ზდეს 11 ლეტ, 11 ლეტ ტებე საპრეზიდენტა, ი ტი ტვაიე მოშ-ნოი, ხრენოვი ეკონომიკოი, სო სვაიე მილიონოი არმიეი, სო სვაიეი ფლატამი, რაკეტ-ამი ნი ხერა ნე მოჟე სდელატ. ტი ბობიში ეტუ სტრანუ კაჟი დენ, ტი უბიგაჟე დეტე, ა სალდატი ირაკა სედიატ გატოვეე ვ ბოიო ი ტი ბაიშა სიუდა ნაპრავიტ სვაის სალდატ, ი ტი ბოიალსა 11 ლეტ ნაზად, ი ტვიო ატეც ბოიალსა, ა იაბლოკო ოტ იაბლონი ნე დაღე-კო პადაეტ!... ტი ნიკაგდა ნე პობედე, ეტა ბუდეტ ტვიოი პოსლედენე პორაჟენიე!

მოი ტებე სავეტ: სადის ნა ვიპ ი ობიეჟი სვაი პუსტინიე ზემლი ი უში ისპანსკი იაზიკ, ა ნიუ-იორკ უჟე გავარიტ პო რუსკი!.. მი ნაპრავიე ვ ამერიკე ეშო 10 მილიონოე რუსკის, ი იზბერიომ ვ ამერიკე სვაეო პრეზიდენტა, ა ტი ჯორჯ პოლუჩინი ხარომუიუე კამერუ ვ ბუტირკე! ტი პონიალ, ჯორჯე! ვოვრემია ასტანავის! ტი ნიკაგდა ნე სმოჟე ზდეს დაბიტსა პობედის! ესე არაბი მირა, ესე მუსულმანე მირა, ესა ვოსტორნაია ევროპა პროტიე ტებია! მასკვა პროტიე ტებია მასკვა ნე ხორეტ ეტოი ვანი, ი ტებე ნაჟ პრეზიდენტ ეტა იასნა პო რუსკი სკაზალ: ნე სმეტ სტრელიატ პო ბაგდადე, ლუჩმე ვესტე ებანიომ პო ტბილი-სი!.. ბაჟუ!.. დრუგეე გოროდა!.. მი ნაიდიომ ცვილი ნა ეტოი ზემლე! სტოლკო ზემლი, ბლი-ად!.. ხორენე ვასტრალიუე ნა ხუი აპუსტიმ, ბლი-ად, ნა დნო აჟანა. დავაი!.. პაკაზატ ტებე ნაში რაკეტი?!.. ბლიად!.. ხორენე, ბლიად?! უ ნას ზდეს არუჟიე, ბლიად, ნოჩიუ, ნაში უჩონიე ჩუტ-ჩუტ იზმენიატ გრავიტაციონოე პოლე ზემლი ი ტვანი ზემლია ბუდეტე პოდ ვოდოი! 24 ჩასა, ბლიად, ი ესია სტრანა ტვია ბუდეტე პოდ ვოდოი, ატლანტიქსოვო ი ტისოვო ოკეანა!.. ტი ს კეე შუტიმ, ბლიად?! ტი პოდუ-მაი, ბლიად!... ტი პომინი ჩემ კონჩილ ბონაპარტე?!.. ტე კონჩილ გიტლერი?!.. ესე ასტალნიე?! იე სოვერშიმ ისტორიქსკუიუ ამიბჟუ!.. ტვიო პაპა ტებე ბლაგადარენ ნე ბუდეტე ზაბუდ ევო, ტვაეო პაპუ! ტვაი გენერალი ტებე გავარიატ, ნე ნაჩინაი ვანიუ! ეშო ნე პოზდნი! ეშო 21 იუნია 1941 გოდა!

რამე ხომ არ გამომრჩა? ჰო, მართლა, რუსეთის ერთ-ერთმა რადიომ ამ ტექსტის მიხედვით შექმნა სიმღერა, რომელშიც სიტყვები — „ნე სმეტ სტრელიატ პო ბაგდადე, ლუჩმე ვესტე ებანიომ პო ტბილისი!“ — მთავარ თემად ტრიალებს.

როგორც ხედავთ, კომენტარი ზედმეტია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, კომენტარს თავად მკითხველი გააკეთებს... ინდივიდუალურად! მე კი მხოლოდ კვრის დაუკურავ: ამინ, ხალხო, ამინ!

გონების სასარჩილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის
(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„კასხუხის“ სვამისკენ არ ბაგაქცათ თავალი.

1. რა სარწმუნოების მიმდევარი იყო ზაქარია ფალიაშვილი?
2. რა ერქვა სტუმრობით დამეგობრებულ კაცს კავკასიაში?
3. ახალყოილნი — ასე ეძახიან მათ ფშავში.
4. რას ეძახიან საფრანგეთში კონიაკის დაძველებისას აორთქლებულ სპირტს?
5. მსხვილ მამულს ძველ რომში ლათინური ენა ერქვა. რა ერქვა საშუალო სიდიდის მამულს?
6. რა ჰქვია განთქმულ კოქტეილს, რომელიც არყისა და ტომატისგან მზადდება?
7. დაასახელეთ ცნობილი მხატვარი, რომლის ტილოზეც „ჯოკონდა“ უღვაშით არის გამოსახული.
8. რომელ ქალაქში დაიბეჭდა მაქსიმ გორკის პირველი რომანი „მაკარ ჩუდრა“?
9. ეს უდიდესი მხატვარი შეძლებული ნოტარიუსისა და გლეხი ქალის უკანონო შვილი იყო.
10. გურქუები, ნებაღელი მთიელები, ოდიტგანვე მსახურობდნენ ბრიტანეთის არმიაში. მეორე მსოფლიო ომის დროს, ერთ-ერთი მათი კორპუსი მთლიანად ჩაუვარდათ ტყვედ იაპონელებს. რა მოიმოქმედეს გურქუებმა, რომ ინგლისელთათვის მიცემული ფიცი არ გაეტეხათ?
11. რა არის ნოზოფობია?
12. რატომ არ სარგებლობს პოპულარობით ინდიელ მამაკაცებში ფირმა „ჟილეტის“ საპარსი?
13. როდესაც ლევან თედიაშვილმა სპორტს თავი დაანება, კომუნისტურმა პარტიამ კახეთში ერთ-ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დანიშნა. ერთხელ რთველზე მან რუსები დაპატიჟა და სოფელში ტურისტებით სავსე უამრავი ავტობუსი ჩაიყვანა. ვენახში ნახევრად შიშველი რუსი ქალების დანახვაზე, მთელი სოფელი რთველში ჩაება. ყველაზე ზარმაცებიც კი მუშაობით იკლავდნენ თავს. იმ წელს, კოლმეურნეობამ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ლევან თედიაშვილი კი, რაიკომში დაიბარეს და მაღლობის მაგივრად, საყვედური გამოუცხადეს. რისთვის?
14. რა სახელით შევიდა მსოფლიოს ისტორიაში სოფია ფრედერიკა ავგუსტა ფონ ანჰალტ-ცერბსტი?

ანეკდოტები

* * *

მიტო უყვება ვანოს:
— კაცო, გუშინა, ლევანას ქორწილში მისობა ხაშლამის იმისთანა ნაჭერი გადაიღო, ახალ „ნივაში“ ვუცვლიდი და არაფრით არ ქნა, შეჭამა მაინც!...

* * *

მასწავლებელი:
— სანდრო, ხვალ სკოლაში მშობლების გარეშე არ მოხვიდე!
— ზეგ, მასწავლებელო?

* * *

ავადმყოფი მედდას ეჩხუბება:
— რა არის ეს, რა საზიზღალი წამლები მომიტანეთ?!
— რა წამლები?! ეს სადილია!...

* * *

ქალაქში პატარა ბიჭი დაიკარგა.
უფროსები ეკითხებიან:
— შენი მისამართი არ იცი, პატარავ?
— როგორ არა!
www.patarabichi.com

* * *



ცოლი უგზავნის ქმარს დეპეშას სოჭიდან:
„შენ მაინც ყველას სჯობიხარ, ჩემო რაჟიკო!“

* * *

ქუთაისში ქალების აბანო იწვის. კაცები შორიასლოდან ტკბებიან სანახაობით — უყურებენ

როგორ გამორბიან აღმოდებული შენობიდან შიშველი ქალები. უცებ მათ შორის ჭიჭიკიამ საკუთარი ცოლი შენიშნა:
— ხელი აიფარე, ქალო, ხელი!
— უყვირის ჭიჭიკია. ქალმა ხელი აიფარა.
— სახეზე აიფარე, ქალო, სახეზე, თვარა, წელს ქვემოთ ყველაწი ერთნაირები ხართ!

* * *



მძიმედ ავადმყოფი ქმარი ლოგინში წევს, ცოლი გვერდით უზის და წერილს წერს:
— შაქრო, რომელია სწორი, „დაკრძალვა“ თუ „დასაფლავება“?

* * *

— ექიმო, მითხარით, რამდენად სერიოზულია ჩემი დაავადება?
— მე თქვენს ადგილას ახალი სერიალის ყურებას არ დავინწყებდი.

* * *

მძლოლი ნერვიულად მიმართავს პოლიციელს:
— თუ შეიძლება, დროზე, თორემ თქვენი კოლეგები დაქვინდებიან!

* * *

სტატია გაზეთში სათაურით: „სამაგალითო საქციელი“.
„ღვთისნიერი საქციელი ჩაიდინა თბილისის ერთ-ერთმა პენსიონერმა. მან ქუჩაში იპოვა ჩემოდანი, რომელშიც მილიონი დოლარი იყო და განსხვავებით სხვა, „ცუდი“ პენსიონერებისაგან, მითვისების ნაცვლად, ჩემოდანი ნაპოვნის საგნების ბიუროში მიიტანა. იმავე დღეს ჩემოდანი

მონანიება

შიო გვებაცე



(დანაწიისი იხ. „გზა“ №8-20)

ქუთაისის სამართალდამცველები — პოლკოვნიკი ბალანჩივაძე, პროკურორი ხომერიკი, გამომძიებელი მინდელი და თბილისიდან ჩამოსული პოდპოლკოვნიკი ძიძიგური — ქალაქში აღმოჩენილი ბანდის დასაჭერად, ერთდროულად ორ ადგილას ჩაატარებენ ოპერაციას. მთავარი სამიზნე — ბანდის მეთაური, გამოცდილი და ამავე დროს, ქართველი სამართალდამცველებისთვის უცნობი კრიმინალი, მეტსახელად ჭალარა. ერთ-ერთი ბოროტმოქმედის

— ვინმე მათე ჩარგიევის (რომელიც რუსეთიდან ჩამოსული ქალის, ბასაკოვას საქმროდ ასალებს თავს) შესაპრობად, მას რესტორანში პროვოკაციას მოუწყობენ და მონშის სტატუსით დაკითხვის საბაბით, მილიციის სამმართველოში წაიყვანენ. მისი ვინაობის დასადგენად, გამომძიებელი გადაწყვეტს, ბანდის წევრთა ურთიერთდაპირისპირებები მოაწყოს. გამოძიება გადამწყვეტ ფაზაში შედის.

ბალანჩივაძე ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ სავარძლიდან წამოიღო და კაბინეტში გაიარა-გამოიარა.

— დასაშვებია, რომ ჭალარა და ჩარგიევი — სხვადასხვა პირია, — დაიწყო მან, — ისევე, როგორც ის, რომ — ერთი და იგივე. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ბასაკოვასა და ხოტოველის დიალოგს, რომლის ჩანერაც თქვენ 407-ე ნომერში ფირზე მოახერხეთ და იმასაც, რომ ტანია, ჩარგიევის გარდა, არავის შეხვედრია, აგრეთვე, ხოტოველისა და ბასაკოვას ჩვენებებს შორის არსებულ წინააღმდეგობას და ყოველივე ამას დაფუძნებთ თქვენს მოსაზრებას ჭალარას შესახებ, — უფრო მეტი საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ჭალარა — სხვა არავინაა, თუ არა „დაგრიშული“ ჩარგიევი. შემდეგ, ყველა მონაცემი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ჩიკვაიძეს ბოლო მოუღეს იმავე ბანდიტებმა, ვისი მხვერპლიც ტყეშელიაძე გახდა. მხოლოდ მონაწილეა ჩიკვაიძე თუ მხოლოდ მხვერპლი — ამ საკითხზე რაიმე ვერსიის წამოყენება ჯერ ნაადრევია, მით უმეტეს, რომ ჩიკვაიძე საკუთარი დანით არის მოკლული. საერთოდ კი, ვფიქრობ, გამოძიება სწორ გზაზე დგას და ეს, დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა.

პოლკოვნიკმა პაუზა გააკეთა და შემდეგ, მტკიცე ტონით დაუმატა:

— ახლა მთავარია, დავადგინოთ — ვინ არის ეს საშუა ჩარქევი და სად ეწეოდა თავის შავბნელ საქმიანობას. შეპყრობილი ბანდიტების ჩარგიევთან დამოკიდებულება თავისთავად მიუთითებს, რომ ის სისხლის სამართლის დამნაშავეთა წრეში საკმაოდ ცნობილი ბოროტმოქმედი, მაგრამ

ფაქტია ისიც, რომ მას საქართველოში არ „უმოღვანია“ — წინააღმდეგ შემთხვევაში, რალაც მაინც გვეცოდინებოდა მასზე. სასეზებით გეთანხმებით: სწორედ ამიტომ, ლოგიკურია ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ჩარგიევი“ შესაძლოა, მისი ნამდვილი გვარიც არ არის. სხვა პირობებში, ჭალარას ვინაობის დადგენა გამოძიებას ბევრ დროს წაართმევდა, ახლა კი უნდა გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ეს მთავარი კოზირი და ისეთი სვლა გავაკეთოთ, რომელიც ჩარგიევს დაარწმუნებს, რომ ჩვენთვის ყველაფერი ცნობილია.

— თუ სწორად გაგვიგეთ, თქვენ ჩარგიევის მეტსახელი გაქვთ მხედველობაში, — გაიღიმა მინდელმა.

— ასეა. მაგრამ ეს დიდი უპირატესობა ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ ჩარგიევი დარწმუნდეს — გამოძიებამ მისი მეტსახელი სხვა ბრალდებულთა გამოტყვისა და დანაშაულის სრული აღიარების შედეგად დაადგინა. თუ ეს შევძელით, მთავარი სიძნელე დაძლეული იქნება — დანარჩენს თვით ჩარგიევი აღიარებს. ასეთია მათი სტილი... — მტკიცედ წარმოთქვა პოლკოვნიკმა, მერე მინდელის დაღლილ სახეს შეავლო თვალი და დაუმატა: — გიფიქრია, რა რეაქციას მოახდენს ჩარგიევზე, „საშუა ჩერქევის“ ამგვარად ხსენება?

— გამოგიტყდებით, რომ — არა: დრო აღარ დამრჩა... — ჩაილაპარაკა მინდელმა.

— ვხედავ, დრო არ გქონდა, — თქვა პოლკოვნიკმა. — ჩარგიევის შემდგომი დაკითხვა კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით უნდა მოხდეს — ფსიქოლოგიური ფაქტორის წინა პლანზე წამოწვეით... გეგმას ხვალ შევადგინთ, ახლა

კი — დაისვენე, შინ წადი. 8 საათისთვის, თეატრთან გელოდებით, მეუღლესთან ერთად. დღეს პრემიერაა. მარტო ქურდების დევნა არ კმარა, კულტურული დასვენებაც საჭიროა. წავიდეთ.

...კარი უხმაუროდ გაიღო. კაბინეტში პატიმარი შემოიყვანეს. ჩარგიევი კართან შეჩერდა, ზურგზე ხელებდაწყობილმა, მშვიდად შეათვალა იერა გამომძიებელი და მზერა ვებერთელა, თეთრად შესუდრულ ნაძვზე გადაიტანა, რომელიც ფანჯარაში მოჩანდა.

კვლავ ხვავრიელად თოვდა... ჩარგიევი ოდნავ გამხდარიყო, თვალები ჩასცვენოდა, მაგრამ ისევ ჩვეული — მტკიცე და უტყუი კაცის გამოხედვა ჰქონდა.

— ახლოს მოდით! — დაარღვია სიჩუმე გამომძიებელმა.

ჩარგიევმა ნელა გადაიტანა მზერა ფანჯრიდან ლეგანზე, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მაგიდასთან გაჩერდა.

— დაჯექით. ჩარგიევი სკამზე დაეშვა.

გამომძიებელი საქმის ქალაქებს ჩასცქეროდა, თითქოს იქ რალაც ახალი და საინტერესო აღმოაჩინაო; სინამდვილეში კი, მისი გონება სულ სხვა რამით იყო დაკავებული. ის საგულდაგულოდ მოემზადა ჩარგიევთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის. დაკითხვის დეტალური გეგმა, რომელიც მან, ბალანჩივაძესა და ხომერიკთან ერთად შეიმუშავა, ძირითადად, ფსიქოლოგიურ ფაქტორზე იყო აგებული. საშუა ჩერქევის ხსენებას არა მარტო უნდა გაეტეხა ჩარგიევი, არამედ დაერწმუნებინა იმაზე, რომ გამოძიებისთვის ყველაფერი კადგინილი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ დიდხანს მოუხდებოდათ მასთან ჭიდილი.

მინდელმა უეცრად შეწყვიტა საქალაქის ფურცვლა და ჯიქურ მიაშტერდა პატიმარს.

ჩარგიევმა ცივი, მშვიდი მზერა შეაგება.

— ჩარგიევი, — დაიწყო მინდელმა, ყოველგვარი შესავლის გარეშე, — მე მგონი, დროა, შევწყვიტოთ კომედია და ვალიართ ყოველივე. თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ უაზრო სიჯიუტეს თქვენთვის მხოლოდ ვნების მოტანა შეუძლია...

— თუ ამ უაზრო კითხვის მოსაცემად ამომიყვანეთ, ტყუილად გარჯილხართ. მომწყინდა ერთსა და იმავე კითხვებზე პასუხის გაცემა, — თქვა პატიმარმა ბრაზიანად.

— მით უკეთესი — დავამთავროთ: ჯერ ტყეშელიაძისა და ჩიკვაიძის მკვლელობის შესახებ გვიამბეთ, შემდეგ კი, ძველი საქმეებიც გავისხსენოთ. გეუბნებით, აზრი აღარ აქვს ჯიუტობას.

— მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია, არც ჩემი წარსულია რამით შებლაღული. რამდენჯერ უნდა გითხრათ?!

— მაშ, ისევ ამტკიცებთ, რომ მათე ჩარგიევი ხართ?

— დიას და ძალიანაც მივივრს, რატომ არ მოგწონთ ჩემი გვარი.

— კეთილი, ასე იყოს. მაგრამ ჩვენ სხვა სახელიც გვინტერესებს — აი, ის, ქურ-

დებმა რომ შეგარქევს...

— მე მოვიტხოვ, შეწყვიტოთ ჩემი შეუ-
რაცხყოფა! რაღაც გაუგებრობაა, ვილაცა-
ში გერევიო.

— საოცარი! მე კი, სხვა მეგონეთ,
სრულიად სხვა... — მშვიდად შენიშნა
მინდელმა.

ჩარგიევი გაცოფდა:

— ვინ სხვა? — შეჰყვირა მან და თვალები
ჩაუსისხლიანდა.

— ჩერქეზი საშკა... ჩერქეზი! — ცივი
ხმით წარმოთქვა გამოძიებელმა.

„გასროლა“ მიზანს მოხვდა.

— ჩერქეზი?! — წამოიყვირა პატიმარმა
და უეცრად დაკარგა აქამდე კარგად მორგე-
ბული სიმშვიდე, შლეგიანივით წამოიჭრა
სკამიდან და აკანკალებული ხელით პა-
პიროსს წაეჭანა.

— მშვიდად, ჩარგიევი! თქვენი თამაში
დამთავრებულია... — მკაცრად შენიშნა
ფეხზე წამომდგარმა მინდელმა და კვლავ
გამჭოლი მზერა შეაგება.

ჩარგიევს არ გაუგონია.

გამომძიებლის მიერ წარმოთქმულმა
ორმა სიტყვამ გამანადგურებლად იმოქმე-
და პატიმარზე, მან ერთბაშად დაკარგა
წონასწორობა, შუბლი ოფლის მსხვილმა
წვეთებმა დაუცვარა.

მინდელი არც მოელოდა ასეთ ეფექტს.
დაკვირვებით მიაჩერდა ნირწამსდარ პა-
ტიმარს.

რაღაც ნამებში, ჩარგიევი ცოტა
გამოერკვა, მონყვევით დაეშვა სკამზე, ხე-
ლებით მუხლებს დაეჯინა და შეეცადა,
უნებურად ატეხილი კანკალი შეეჩერებინა...

მინდელმა წყალი დაასხა და ჭიქა უსი-
ტყვოდ მიანოდა.

ჩარგიევმა არ დალია, ზედაც არ შეუხე-
დავს ჭიქისთვის. ისევ პაპიროსს მოუკიდა
და ხარბად ჩაისუნთქა კვამლი. შემდეგ,

სახეზე ხელი გადაისვა, სკამზე ერთბაშად
შესწორდა, თვალები ააბრიალა და მტ-
კიცე ხმით თქვა:

— დიას, ჩემი თამაში დამთავრებულია!
ჩერქეზმა დაამთავრა თამაში: მაჯობეთ.
მაგრამ მინდა ვიცოდე — ვინ ჩამაგირავა,
ვინ გამცა, — შემდეგ კი გეტყვიო, ყვე-
ლაფერს გიამბობთ, რადგან აზრი აღარა
აქვს...

მინდელს რატომღაც არ ესაიშოვნა ჩარ-
გიევის ასე ერთბაშად დანებება, გაკვირვე-
ბით გადახედა უეცრად შეცვლილ პატიმარს.

— ვინ გამცა-მეთქი? — ბრაზიანად
გაიმეორა კითხვა ჩარგიევმა.

— რაკი ასე გაინტერესებთ, თითებზე
დაიხედეთ და თვითონვე მიხვდებით, ვინც
გამცათ... — დინჯად შენიშნა გამოძიე-
ბელმა.

ჩარგიევი განცვიფრდა.

— რა შუაშია აქ ჩემი თითები? —
იკითხა და ხელებზე დაიხედა.

— თქვენი ფრჩხილები... გლახურად
მოირთეთ, სახეც გრიმით დაიფარეთ, მა-
გრამ ფრჩხილებმა, დაკვენტილმა ფრჩხ-
ილებმა გაგცათ. ქირურგი გრძელიძე არც
ისეთი გულუბრყვილო აღმოჩნდა,
როგორც თქვენ გეგონათ...

ჩარგიევმა ხელები ამოაბრუნა და
დაკვირვებით დაითვალიერა დაკვენტილ-
დამახინჯებული ფრჩხილები.

— მაშ, ექიმს უნდა ვუმაძლოდე ჩემს
ჩავარდნას? — კიდევ უფრო განცვიფრდა
იგი.

— რა თქმა უნდა, ექიმსაც, — გაელიმა
გამომძიებელს.

— მაგრამ სახელი?... საშკა ჩერქეზი?
ამას ხომ ექიმი ვერ გეტყვოდათ!

— ცხადია, ვერა!

— მაშ, ვინ გითხრათ?

— ვინც თქვენთან ერთად ჩაიდინა

ბოროტმოქმედება, — მიუგო მინდელმა.

ჩარგიევს აფთარივით აუნთო თვალები.

— რომელმა გამცა?

— ეგ ახლა საინტერესო არ არის...
გსურთ, მოგვცეთ ჩვენება?

ჩარგიევმა ბოროტად გაიღიმა.

— რასაკვირველია. თუ ქურდებმა ერთ-
მანეთის გაყიდვა დაიწყეს, ხოლო ექიმებმა
— გამოძიებლობა, ჩანს, ჩვენი საქმე მარ-
თლაც, წასულია... მაგრამ ვაი იმას, ვინც
საშკა ჩერქეზი ახსენა!..

— საქმეს დაეუბრუნდეთ, ჩარგიევი, —
შეაწყვეტინა გამოძიებელმა.

— მე მზად ვარ. რა გაეწყობა, მაჯო-
ბეთ! — მწარედ გაიღიმა პატიმარმა.

— იქნებ, ქართულ ენაზე ისურვოთ
ჩვენების მოცემა?... — მოულოდნელად,
ქართულად შეეკითხა მინდელი და თვალი
თვალში გაუყარა.

ჩარგიევმა თვალი გაუსწორა გამოძიე-
ბლის მზერას, შემდეგ გაიცინა:

— ასე იყოს, აღარც ამის დამალვას
აქვს აზრი: ჩემი და გრძელიძის საუბრის
შესახებ ისედაც იცით, — უპასუხა ქართუ-
ლად.

— კეთილი, მაშ დავინყოთ.

— დავინყოთ, — უმალ დაეთანხმა ჩარ-
გიევი.

— პირველ რიგში, თქვენი ნამდვილი
ვინაობა დაასახელეთ: თქვენ ხომ ჩარგიევი
არა ხართ! — მტკიცედ უთხრა მინდელმა.
პატიმარმა კვლავ ცივად გაიღიმა.

— რა თქმა უნდა, არც ვაპირებ ჩემი
გვარის დამალვას.

— კეთილი, დაასახელეთ თქვენი ნამდ-
ვილი გვარი.

— კი, ბატონო. ჩემი გვარია — კოკო-
ევი, ალექსანდრე სუმბათის ძე კოკოევი.
თბილისში დავიბადე, მშობლები ადრე
დამეხოცა. 16 წლისა, ქურდების ბანდაში
მოვხვდი და მას შემდეგ ამ საქმიანობას
ვწვევი.

— სად ცხოვრობდით
მთელი ეს წლები?

ჩარგიევი ცოტა ხნით ჩაფ-
იქრდა.

— გეტყვიო, ყველაფერს
გიამბობთ... ორი წელი თბი-
ლისში, ვინმე რუბენასთან,
შემდეგ კი, როცა ჩვენი ბანდა
გაანადგურეს, როსტოვში
გაყვევი რუბენას. იქაც ერთი
წელი ვიცხოვრე, შემდეგ —
ხარკოვში, ბოლოს — მოსკო-
ვში. იქ დამიჭირეს, რუბენა
კი — მოკლეს. საშკა ჩერქეზი-
ც როსტოვში შემარქვეს.

— რამდენჯერ ხართ წასა-
მართლეთი?

— ორჯერ. ორჯერვე —
მოსკოვში: პირველად, ერთი
წელი მომცეს, მეორედ — 8
წლით გამისტუმრეს.

— სასჯელი მოიხადეთ?

— მოვიხადე. უკვე 6 წე-
ლია, გავთავისუფლდი.

— შემდეგ?

— შემდეგ, ისევ მოსკოვში



დავბრუნდი და ჩარგივის გვართ, ხარკოვს ვეწვიე.

— სად იშოვეთ პასპორტი?
— ვიშოვე, ამას თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. ერთმა ვინმემ გამოიკეთა, აღარც კი მახსოვს — ვინ, მთავარი ის იყო, რომ ეს პასპორტი სავსებით საიმედო აღმოჩნდა... ერთხანს, ხარკოვში დავყავი, შემდეგ — ტაშკენტში წავედი. იქ გავაგრძელე ჩემი საქმიანობა.

— რა საქმიანობა?
— ქურდობა, ვთამაშობდი კიდეც.
— გინდათ, დავგარწმუნოთ, რომ მთელი ეს წლები ერთხელაც არ ჩავარდნილხართ?

— ვითომ, რატომაც არა?! თქვენ მე ვილაც ბაცაცა ხომ არ გგონივართ?! ესეც არ იყოს, გარდა ორიოდ საიმედო ქურდისა, არავინ იცოდა ჩემი ვინაობა, არც მეტსახელი: მუდამ ვფრთხილობდი... მანაც გაუფრთხილებლობამ დაამლუბა. კიტოვანმა და ბალავაძემ შემთხვევით გააგეს ჩემი სახელი.

— ვინ გაგაცნოთ კიტოვანი, ბალავაძე და ივანისელი?

— უცნაურ კითხვას მაძლევთ: ჩვენ არავის წარდგენა არ გვჭირდება — მამ, რაღა ქურდები ვართ, თუ ერთმანეთსაც ვერ მოვუძებნით?!

— სად გაიცანით?

— ივანისელი — ტაშკენტში, კიტოვანი და ბალავაძე — თბილისში.

— როდის?

— ივანისელი — შარშან, დანარჩენი ორი — დეკემბრის ბოლო რიცხვებში.

— როდის ჩახვედით თბილისში?

— 26 დეკემბერს.

— მარტო?

— ასე ვთქვათ. ივანისელი რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა.

— რა იყო თქვენი ჩამოსვლის მიზანი?

— არავითარი განსაკუთრებული მიზანი არ მქონია.

— მაინც?

— თბილისში — არაფერი. ტანია მწყალტუბოში წასვლა გადაწყვიტა და წამოვიდა.

— ბასკაკოვასთან ერთად?

— არა, ტანია მწყალტუბოში ჩამოვიდა, მე კი რამდენიმე დღით ადრე წამოვედი, თბილისში გავიარე.

— სად შეხვედით დანარჩენ ბოროტმოქმედებს?

— თბილისში, ივანისელმა გამაცნო.

— თბილისში გადაწყვიტეთ, ტყველიაძის ბინის გაქურდვა?

— არა, ტყველიაძის ბინის გაქურდვა აზრადაც არ გვქონია. ეგ საქმე შემთხვევით „წამოვიღეთ“.

— მაშინ, რა იყო თქვენი ქუთაისში ჩამოსვლის მიზანი?

ჩარგივე ცოტა ხნით დადუმდა.

— მე სულ სხვა საქმე მქონდა, ერთი კაცი მყავდა სანახავი, — მიუგო უხალისოდ.

— ვინ კაცი? დაასახელეთ!

— ამას თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს.

— სხვებიც ვინმეს სანახავად წამოიყვანეთ? — შეეკითხა მინდელი დამცინავად.

— სხვები ჩემთან ერთად არ წამოსულან. მე წყალტუბოში ვიყავი. ივანისელს, კიტოვანსა და ბალავაძეს აქ შეხვედი, — უპასუხა პირქუშად ცრუჩარგივემა.

— კარგი. გვიამბეთ, რა პირობებში გაძარცვეთ ტყველიაძის ბინა.

ჩარგივემა ცივად ჩაიცინა.

— სიამოვნებით. თუმცა, ბევრი არაფერია მოსაყოლი: ქუთაისში სრულიად შემთხვევით, ჩიკვაიძეს გადავეყარე, კიტოვანმა გამაცნო. ანზორი „პოკერი“ იყო გატაცებული. რამდენჯერმე შეხვედი; არ ვიცი, ვის ოჯახში. გადავწყვიტე, ანზორი ჩვენს წრეში ჩამეთრია. ორჯერ თუ სამჯერ განგებ ნავაგე, შემდეგ კი, კარტი ჩაუწყვე და ნაღდის გარდა, 20 ათასი მანეთი მოვუგე. ჩიკვაიძემ, ვალის გადახდის მიზნით, მისი ბინის ბინის გაქურდვა შემოგვთავაზა. წინასწარ გვითხრა, სად იყო შენახული 25 ათასი მანეთის 3%-იანი ობლიგაციები. შევთანხმდით — ანზორმა ფანჯარა ჩაურაზავი დატოვა, თვითონ კი სოფელში წავიდა. მისი აზრით, ყველაფერი ქურდებს დაჰბრალდებოდათ და ჩვენს ვალსაც პატიოსნად გადაიხდიდა.

სალამოს ქუთაისში ჩამოვედი, არაერთგზის ნაცადი ხერხი გამოვიყენე — გლეხურად მოვირთე და ჭალარა პარიკი გაიკეთე. წინასწარ გაფრთხილებული კიტოვანი ადგილზე მანქანით მოვიდა, ბალავაძე და ივანისელიც მოიყვანა. ჯერ გავჯავრდი, მაგრამ კიტოვანმა დამარწმუნა, რომ მანქანის პატრონი საიმედო კაცი იყო და დავთანხმდი. მანქანას თავისი პლუსიც ჰქონდა: ცრუკვალზე დაგვიწყებდნენ ძებნას...

გვიან ღამით, ოთხივე წავედით საქმეზე. დანარჩენი თქვენც იცით. ჩიკვაიძის ბინა შემთხვევით დაბრუნებულიყო თბილისიდან, გილივია, ივანისელს შეებრძოლა, დაჭრა კიდეც; იმანაც დახა ჩაარტყა და ფანჯრიდან გადავარდა.

ჩარგივე გაჩუმდა.

— შემდეგ? — შეეკითხა მინდელი.

— შემდეგ რა? დაჭრილი ივანისელი დევიძის ბინაში მივიყვანეთ. დევიძეს ჩემ მიერ შეთხზული ამბავი ვუამბეთ, ხოლო მეორე დღეს, მისგან მალულად, ბალავაძეც მის ბინაში მოვითავსეთ.

— რა მონაწილეობა მიიღო დევიძემ თქვენს ბოროტმოქმედებაში?

— დევიძემ — არაფერი, მან არც კი იცოდა, ვინ იყო კიტოვანი ან ივანისელი.

— ვინ არის მანქანის პატრონი?

— არ ვიცი.

— იცოდა, როდის მიგყავდათ მანქანა?

— მე ის არ მინახავს, კიტოვანის თქმით კი — არ იცოდა. ეგონა, რომ კიტოვანი სამტრედიის მიდოდა.

— ვინ მოგცათ წერილი?

— რა წერილი? — გაუკვირდა ჩარგივეს.

— წერილი, რომელიც დევიძის ქალს მიუტანეთ.

— მე არავითარი წერილი არ მიმიტანია.

— იცნობთ თუ არა დევიძის ქმარს?

— არა, არც ის ვიცოდი, თუ ქმარი ჰყავდა.

— კეთილი. რისთვის მოკალით ჩიკვაიძე? ჩარგივე ერთი წამით დუმდა, შემდეგ მიძიმედ დაინყო:

— შეიძლება, თქვენ არ დაიჯეროთ, მაგრამ ჩიკვაიძის მოკვლა არც მიფიქრია. საქმე შემდეგნაირად მოხდა: ივანისელის დაჭრის გამო, ქუთაისიდან ჩვენი წასვლა გადაიდო, დევიძის სახლში მას მარტო ვერ მივატოვებდით, ესეც არ იყოს, არ მინდოდა, უმისოდ წავსულიყავი. ერთადერთი კაცი, ვისაც შეეძლო, გარკვეული ცნობები მოეწოდებინა თქვენთვის, ტყველიაძის ბინის გაძარცვისა და თვით ტყველიაძის მკვლელობის შესახებ, ჩიკვაიძე იყო. მართალია, მან ჩვენი წამდვლი გვარი და სახელიც არ იცოდა, მაგრამ მანაც ბევრი რამ შეეძლო მოეყოლა გამოძიებისთვის. ამიტომ გადაწყვიტე, შიშის ქვეშ მყოლოდა და იძულებული გამეხადა, არაფერი ეთქვა.

ვუთვალთვალდები. როგორც მოველოდი, ანზორი მეორე დღესვე დაიბარეს მილიციაში. გავყვი, მაგრამ მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხე. გადავწყვიტე, საღამომდე დამეცადა. მთელი საღამო ტყველიაძის სახლთან ახლოს ვტრიალებდი, სამძიმარზე მისულ ხალხში. ყველანი მომხდარი საქმის ირგვლივ ლაპარაკობდნენ, მსჯელობდნენ, მე ყურს ვუგებდები და მათი საუბრიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ გამოძიებას წამდვლი კვალისთვის ჯერ ვერ მივგნო.

ღამის 11 საათზე, ჩიკვაიძე სახლიდან გამოვიდა. უკან გავყვი. ის ისევ მილიციის სამმართველოში მოვიდა.

...თითქმის ორი საათი ვუცდიდი გარეთ. როგორც იქნა, გამოვიდა. დავედგენე, შემდეგ, გავაჩერე.

ანზორი, ცხადია, არ მოელოდა ჩემთან შეხვედრას, ჯერ დაიბნა, შემდეგ კი — ყვირილი დააპირა.

„ჩუმად!“ — გავაფრთხილე მე და ხელი წავავლე.

„კიდევ რაღა გინდათ ჩემგან?!“ — ძლივს ამოილულულა.

„ორიოდე სიტყვა მაქვს, აი, აქეთ მოვეფაროთ“, — მიუგე მშვიდად და საბაგირო გზის სადგურისკენ წავიყვანე. სიბნელეში გავუჩინარდით. ჩიკვაიძე ხმას არ იღებდა. მეც ვდუმდი — რაღაც, ვერ მოვახერხე საუბრის დაწყება.

ასე გავიდა რამდენიმე წუთი. ბოლოს, უხერხული დუმილი თვით ჩიკვაიძემ დაარღვია.

„რისთვის მოკალით ბიძაჩემი?“ — შემეკითხა ბრაზიანად.

„შენი ბრალია: რატომ მოგვატყუე?“ — მიუგე ცივად.

„მკვლელებო, ბანდიტებო!..“ — ამოხრიალა ანზორმა.

„ჩუმად, არავინ გაიგონოს, თორემ...“

„თორემ — რა?“ — შემომიტია მან.

„ის, რომ დაგვიჭერენ და...“

„დაგვიჭერენ?.. გზაც იქით გქონიათ!..“

„ჩუმად-მეთქი, შენ გეუბნებიან!“



„არ გაფრთხილები!“ — იყვირა ჩიკვაიძემ. „გაფრთხილები, შენთვისაც ასე აჯობებს“. „ჩემთვის?!“ — უზაროდ გაიმეორა მან. „ჰო, შენთვის... მე არ გატყუებ. ბიძაშენის მოკვლა ჩვენს ანგარიშში არ შედიოდა, თვითონვე დაგვესხა თავს“.

„ცრუობ! განზრახ მოკალით! მე თქვენ ყველას... არაფერს დაგვალავ, გესმის?! ყველაფერს, ყველაფერს ვეტყვი გამოძიებულს. მკვლელებო, ბანდიტებო!“ — ჩუმი, მაგრამ მტკიცე ხმით მიიხრა ჩიკვაიძემ.

„ყველაფერს ვეტყვი“ — ამ ორმა სიტყვამ დაამრწმუნა, რომ ანზორს ჯერ არაფერი ეთქვა გამოძიებისთვის და მტკიცედ გადაწყვიტე, გამეჩუმებინა...

„შენ არავის არაფერს ეტყვი, ანზორ!“ მან ბრაზინად შემომხედა.

„ვითომ — რატომ?“

„იმიტომ, რომ თუ ეს საქმე გაიხსნა, პირველს შენ დაგიჭერენ“.

„დამიჭირონ, მეც ეგ მინდა“.

„არა, არ გინდა. თუ დაგვიჭერენ, ჩვენ ვიტყვი, რომ შენ წაგვიყვანე ბიძაშენის სახლის გასაქურდავად და შენვე მოკალი იგი, რადგან გაიღვიძა და გიცნო კიდეც, გაიგე?“

„მე... მე მოკვალი?! რას ამბობ?“ — შემეკითხა ის შეცვლილი ხმით.

„ცხადია და ჩვენ ამას დავამტკიცებთ, ასე რომ...“

„შენ ვერაფერსაც ვერ იტყვი, საზიზღარო!“ — ამოიხრიალა ანზორმა და იმავე წამს, მის ხელში დანამ გაიღვია.

წამით დავასწარი, მარცხენა ხელი ჩავავლე დანიან მარჯვენაში, მაგრამ დანა ვერ გავაგდებინე.

„ლორივით, ღორივით უნდა დაგკლა — ისე, როგორც ბიძაჩემი დაკალით!“ — ჩაისისინა მან და ისე ღონივრად მიბიძგა, ძლივს შევიმაგრე თავი, რომ თოვლში არ წავეცუთუოყავი.

ჩიკვაიძე კედელთან იდგა, მას ოდნავ

ხედებოდა ელექტრობოდის ნათურის შუქი. მისმა ბრაზისაგან დამახინჯებულმა სახემ და ანთებულმა თვალებმა დამარწმუნა, რომ არ დამინდობდა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, მარცხენა ხელს მარჯვენა შევამველე და ღონივრად მოვიქნიე...

ჩიკვაიძე დაბარბაცდა. ამით ვისარგებლე და სწრაფად გამოვკარი სარმა. ანზორი მოწყვეტით დაეცა ცემენტის იატაკზე, მეც თავი ველარ შევიკავე და ნაქცეულს, მთელი სიმძიმით დავეცი სხეულზე. უეცრად, ჩიკვაიძე დამხიშდა, ერთბაშად მოუდუნდა დაჭიმული მარჯვენა და ხრიალი ამოუშვა.

სწრაფად წამოვდექი, ჩიკვაიძე გულადმა ამოვებრუნე და დავინახე, რომ დანა ტარამდე ჰქონდა მკერდში ჩასობილი. ანზორი ერთხელაც შეტოვდა და გაშეშდა. სწრაფად გათავდა, თავისსავე დანაზე წამოგებულა.

მე აღარ დამიყოვნებია, ფრთხილად გამოვდი თალიდან და სწრაფად გავმორდი იქაურობას, — დაამთავრა ჩარგიევმა.

— შემდეგ?

— შემდეგ — არაფერი. დანარჩენი თქვენც იცით.

— იციან თუ არა სხვა ბანდიტებმა, თუ რა ვითარებაში მოკალით ჩიკვაიძე?

— არ მომიკლავს-მეთქი, გითხარით — მე მხოლოდ თავს ვიცავდი. სხვებმა კი ამის შესახებ წამდვილად არაფერი იციან.

— თქვენ ტყეშელიაძისგანაც „თავს იცავდით“... — შენიშნა მინდელმა.

— დიას. მაგრამ არა — მე, არამედ ივანისეული.

— საოცარი თავდაცვაა: ქურდი, რომელიც სხვის ბინაში გაპარცვის მიზნით შევიდა, კლავს საკუთარი ქონების დამცველს და ამას თქვენ თავდაცვას ეძახით!.. ჩარგიევს არაფერი უბასუხია.

— კარგი, — განაგრძო გამოძიებულმა. — როგორ დაუჯავშირდით ხოტოველს?

— კიტოვანის საშუალებით. მანვე მიიხრა, რომ ხოტოველი ძველი და სანდო „ბარიგაა“.

— ვინაა?

— „ბარიგა“ — ნაქურდლის გამსალე-ბელი.

— პირადად შეხვდით?

— ერთხელ — კი, მაგრამ შემდეგ, არ ვენდე. წყალტუბოში ტანია გავაცანი, კიტოვანს ტანიას მისამართი მივეცი და დავავალე, მასთან გამოეგზავნა ხოტოველი.

— სად არის ნაძარცვი ნივთები და 3%-იანი ობლიგაციები?

— არ ვიცი, ხოტოველს ჰკითხეთ.

— თქვენ ამტკიცებთ, რომ ნაქურდალი ხოტოველს მიჰყიდეთ?

— რა თქმა უნდა, მეორე დღესვე გადასცა კიტოვანმა.

— ...რამდენად გაყიდეთ?

— 20 ათას მანეთად.

— თანხა სრულად მიიღეთ?

— არა. ხოტოველი ორჯერ იყო წყალტუბოში. პირველად, 8 ათასი მანეთი ჩამომიტანა, მეორედ, ჩემი დაკავების დღეს, 5 ათასი ტანიას მიუტანა.

— დანარჩენი?

— დანარჩენი 7 ათასი მანეთი 17 იანვარს უნდა ჩაებარებინა.

— სად და როგორ?

— ისევ წყალტუბოში, ტანიასთან.

— მასადასამე, ბასაკაკოვამ ყველაფერი იცოდა?

— არავითარ შემთხვევაში, — მიუგო გალიზიანებულმა ჩარგიევმა. — ტანიამ არათუ ეს ამბავი, ჩემი წარსულიც არ იცის. კიტოვანს, ბალავაძესა და ივანისელსაც არ იცნობს. ის დარწმუნებულია, რომ ხოტოველმა უბრალოდ, ჩემი ვალი ჩამოუტანა.

— რა იცოდა ხოტოველმა, როდის უნდა ჩაეტანა ფული ტანიასთან?

— იცოდა. სწორედ იმ ღამეს, როდესაც გრძლივთ გავისტუმრეთ, კიტოვანს არა მარტო ტანიას მისამართი მივეცი, არამედ ხოტოველის იქ ჩასვლის დაწვრილებითი გეგმაც დავუსახე.

— რაში მდგომარეობდა ეს გეგმა?

— ხოტოველს წინასწარ არ უნდა სცოდნოდა, როდის უნდა ჩაეტანა ფული, რადგან ვშიშობდით, თქვენ არ მოეყვანეთ ჩემამდე. იმიტომ, კიტოვანს ვუბრძანე — საქონლის გადაცემისას, პირობით ნიშნზე შესთანხმებოდა ხოტოველს და საფოსტო ყუთად დევიდ გამოეყენებინა. ხოტოველს რომ პირველსავე დღეს მთლიანად ჩაეტანა ფული, ახლა თქვენთანაც არ იქნებოდა, მაგრამ სისარბემ სძლია და ახია, რაც მოუვიდა! — დაამთავრა ჩარგიევმა ზიზლით.

— კარგი, დღეისათვის კმარა, — დაასკვნა მინდელმა და ზარი დარეკა.

— წაიყვანეთ! — ფესტით უჩვენა გამოძიებულმა სერჟანტს.

ჩარგიევი წამოდგა.

— შეიძლება, რალაც გთხოვოთ? — იკითხა წყნარად.

— რა გნებავთ?

— ყველაფერი, რაც მე გითხარით,

სრული სიმართლეა. დარწმუნებული ვარ, ეჭვი არ გეპარებათ, რომ ჩემი ჩვენების შემდეგ, სხვები — თუ რაიმე გამოჩნდა, — იმასაც აღიარებენ, მაგრამ თუ ეჭვი გეპარებათ, შეგიძლიათ, დამაპირისპიროთ კიდევ, რადგან...

— გმადლობ... — ცივად შეაწყვეტინა მინდელმა. — უთქვენოდაც როგორმე გადავწყვეტო, როდის ან ვისთან დაგაპირისპიროთ.

— რასაკვირველია. მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ ვიცი, ჩემს ჩვენებას გადაამონებთ, მოსკოვიდან პირად საქმეს და ყველა დოკუმენტს გამოითხოვთ, ამას კი ცოტა დრო როდი დასჭირდება, ამიტომ გთხოვთ, ციხეში გადამიყვანოთ: არ მიყვარს მილიციის საკანში ჯდომა, ციხეში მირჩევნია... — მწარედ გაიღიმა ჩარგივე-კოკოვემა.

— გაჰყევით!.. ციხეში მაშინ გადაგიყვანთ, როდესაც საჭიროდ მივიჩნევთ.

მინდელი მარტო დარჩა.

ჩარგივე-კოკოვეის აღიარება ის უკანასკნელი რგოლი იყო, რომელმაც მტკიცე ჯაჭვად შეკრა მთელი საქმე და ჩადენილი ბოროტმოქმედების სურათს დასრულებული სახე მიანიჭა. შეუპოვარმა შრომამ და უძილო ღამეებმა შედეგი გამოიღო: ლიკვიდირებულ იქნა რეციდივისტების კარგად ორგანიზებული ბანდა.

დასადგენი ისლა დარჩა, სად წაიღო ხოტოველმა ნაძარცვი ნივთები და ობლიგაციები. მაგრამ მინდელს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ჩარგივეთან დაპირისპირების შემდეგ, კიტოვანიც ყოველივეს აღიარებდა და ვერც ხოტოველი დაუპირისპირებდა რაიმეს შეკრებულ მტკიცებულებებს. ეს ყველაფერი უეჭველი იყო. მაგრამ გამომძიებელს რატომღაც სრულიად არ განუცდია ის დიდი სიხარული, რომელსაც საერთოდ, განიცდიდა ყოველი ბნელი და აბურღული საქმის გახსნისას...

მინდელმა კვლავ გულდახსმით წაიკითხა ცრურწარგივეის ჩვენება. თითქოს არაფერი იყო საეჭვო, თვით ჩიკვაიძის მკვლელობასაც მოუფინა ნათელი... ჭაღარას ჩვენება ზუსტად ასახავდა დანაშაულის სურათს, მაგრამ გამომძიებელს მისდა უნებურად, იმის ეჭვი აწვალებდა, რომ ჩარგივეის ჩვენება სრული არ იყო.

მინდელი წამოდგა, უჯრიდან აკინძული ტომი ამოიღო და დიდხანს აკვირდებოდა დანაშაულის ადგილზე გადაღებულ ფოტოსურათებს, ჩარგივეის ჩვენებასა და დანაზე არსებულ დეფექტს ადარებდა ერთიმეორეს... ყველაფერი ზუსტად ემთხვეოდა. დაუთოვლავ ცემენტის იატაკსაც ნათლად აჩნდა მცირე ზომის ამონატები.

ჩარგივეის ჩვენებამ ლოგიკურად ახსნა, არა მარტო დანის ტარზე არსებული დეფექტი, არამედ დარტყმის ის არაადამიანური სიძლიერეც, რომელმაც ასე ძლიერ განაცვიფრა სამედიცინო ექსპერტი. გამომძიებელმა იმდენად ნათლად წარმოიდგინა მისსავე დანაზე ჩიკვაიძის დაცემის სურათი, თითქოს ანზორის სიკვდილის მომსწრე ყოფილიყო...

მინდელმა ამოიხსრა, შემდეგ, ჩიკვაიძის დედის, ტყეშელიაძის ქვრივის, ლეჟავასა და სხვა მოწმეთა ჩვენებებსაც გადახედა. ეჭვის საფუძველი არ არსებობდა: ყველანი ერთხმად ადასტურებდნენ, რომ კუსტარულად ნაკეთები დანა ჩიკვაიძეს ეკუთვნოდა და ტყეშელიაძის მკვლელობის მეორე დღეს, ანზორს ჰქონდა ჯიბეში. ამ ჩვენებებით მხოლოდ ის დადასტურდა, რომ ჩარგივეს მართლაც, არ ჰქონდა მისი მოკვლის ნინასნარი განზრახვა. დაუჯერებელი იყო, შეუიარაღებელი ჩარგივეი მკვლელობის ნინასნარი განზრახვით შეხვედროდა ჩიკვაიძეს.

„მაგრამ ასე იოლად რატომ აღიარა ყოველივე?“ — ეჭვი აწვალებდა გამომძიებელს და ვერ აეხსნა, რატომ იყო უკმაყოფილო, ჩარგივეის ასეთი სწრაფი გამოტყობილება.

„ისიუღლეა. ალბათ, დავიღალე, ნამდვილად დავიღალე...“ — გადაწყვიტა მან, მაგრამ ეჭვს მაინც ვერ გაუშვლავდა და ამან კიდევ უფრო გაუფუჭა გუნება. ნერვიული მოძრაობით დასწვდა ტელეფონის ყურმილს, სწრაფად აკრიბა ციფრები.

— გიორგი ასლანიჩი, გამარჯობა!.. დიახ, მინდელი ვარ. თქვენთან მოსვლა მინდა. პატივცემულ დავითს ველი მხოლოდ, თქვენთან არის?.. მით უკეთესი... დიახ, აღიარა, ყველაფერი აღიარა!.. მაგრამ სწორედ ამ საკითხზე მინდა შეგანუბოთ... ახლავე მოვდივარ, 10 წუთის შემდეგ მანდ ვიქნები, გმადლობთ!

მინდელმა ყურმილი აპარატზე დადო, პალტო ჩაიცვა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

...ხომერეკი და ბალანჩივაძე დიდი ყურადღებით, დასაბუღლად უსმენდნენ, ერთხელაც არ შეუწყვეტინებიათ სიტყვა გამომძიებლისათვის, რომელიც თითქმის მთელ საათს მოუწინა საქმის მასალების მოხსენებას.

— მე მხოლოდ ის მივიკრს, რომ ჩარგივემა ასე იოლად აღიარა ყოველივე, — დაამთავრა მინდელმა და მოლოდინით მიაჩერდა ორივეს.

დუმილი პირველად, ბალანჩივაძემ დაარღვია:

— ჩემი აზრით, აქ საკვირველი არაფერია. როგორც ვვარაუდობდი, საშუა ჩერქეზის ხსენებამ დაარწმუნა ცრურწარგივეი, რომ თამაში წაგებული ჰქონდა და ამიტომ აღიარა ყოველივე. ეს ძველი ქურდი-რეციდივისტის სტილია.

— მეც ასე ვფიქრობ, — დაეთანხმა ხომერეკი.

— ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ... მაინც, რატომღაც ეჭვი მეპარება.

— ეჭვი — კი, მაგრამ ჩვენ ხომ მხოლოდ მის აღიარებას არ ვენდობით — შევამოწმებთ. ხვალვე გაგზავნეთ შევითხვა კოკოვე-ჩარგივეის პიროვნების შესახებ, მისი პირადი საქმე, ფოტოსურათები, დაქტილობარაზი და ორივე საქმე გამოითხოვეთ. თუ ყველაფერი დაემთხვა, საეჭვოც არაფერი დარჩება.

— დატაცებული ნივთები და 3%-იანი ობლიგაციები?.. — იკითხა მინდელმა.

— ეგ, საქმის დამთავრებას ვერ შეაფერხებს. ჩარგივეის ხოტოველთან დაპირისპირება მოახდინეთ?.. არა?.. მაშ, დღესვე დააპირისპიროთ! საერთოდ, უდავოა — ჩარგივეის ჩვენების შემდეგ, კიტოვანიც აღიარებს ყოველივეს და დაადასტურებს, რომ ნაძარცვი ხოტოველს გადაეცა. ესეც კიდევ ერთი კოზირია, ხოტოველის წინააღმდეგ.

— ხოტოველი შეიძლება გაჯიუტდეს, — შენიშნა ბალანჩივაძემ.

— შეიძლება, — დაეთანხმა ხომერეკი. — მაშინ, სისრულეში უნდა მოვიყვანოთ ჩვენი გეგმა და ობლიგაციებს, თუმცა ცოტა გვიან, მაგრამ უეჭველად აღმოვაჩენთ. ეს მომავლის საკითხია. ახლა კი მაინტერესებს, როგორია თქვენი აზრი ქაფარაძეზე? მინდელი ცოტა ხანს დღმდა.

— გიჭირთ? — გაიღიმა პროკურორმა.

— არ დაგიმაღავთ, გიორგი ასლანიჩი, მართლაც მიჭირს. დადასტურებულია, რომ ძარცვა და გრძლიძის მოტაცება ქაფარაძის მანქანით მოხდა, მაგრამ მიიღო თუ არა მონაწილეობა დანაშაულში ან იცოდა თუ არა რაიმე დანაშაულის შესახებ, — ამის გადაჭრით თქმა ჯერჯერობით, ძნელია. ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ბევრია ქაფარაძისთვის როგორც საზიანო, ისე სასარგებლო მონაცემი. ვფიქრობ, ეს საკითხი კიტოვანის დავითისთვის შემდეგ უნდა გადავწყვიტოთ.

— კეთილი, იმოქმედეთ!

ხომერეკმა პაპიროსს მოუკიდა.

— გინდათ კიდევ რამეში ჩვენი დახმარება?

— არა, გიორგი ასლანიჩი. თუმცა, მაქვს ერთი გეგმა, ჩემი ეჭვის გადასამოწმებლად, მაგრამ თუ ნებას მომცემთ, ამაზე ხვალ მოგახსენებთ. დღეს კი, კიდევ ერთხელ მინდა, ანალიზი გავუკეთო ზოგიერთ მოსაზრებას.

— კარგი, როცა საჭიროდ მიიჩნევთ, გაგაცანით. ახლა კი, — ხომერეკმა საათს დახედა, — თუ სურვილი გაქვთ, წამოდით, მე და დავითი ჩრდილელის სანახავად მივდივართ.

— სიამოვნებით. აგერ, ერთი კვირა იქნება, არ მინახავს. როგორ არის?

— მშენივრად, — გაიცინა ბალანჩივაძემ. — ისეთი ლამაზი ქალიშვილი ადგას თავზე, მარტო მისი ცქერა იკმარებს განსაკურნავად.

— ჩამოვიდა ეთერი? — გაიღიმა მინდელმა.

— უკვე სუთი დღეა, თავზე ადგას.

— ჩინებულია. მაშ, მალე ქორწილს უნდა ველოდეთ?

— ასე გამოდის. მაგრამ ჩრდილელს დაცდა მოუწევს. არგებს კიდევ.

გაიცინეს.

ხომერეკმა მდივანი ქალი იხმო.

— მანქანა მოვიდა? — შევითხა შემოსულს.

— დიახ, უკვე 30 წუთია.

— კეთილი, აბა, წავიდეთ! — წარმოთქვა ხომერეკმა და წამოდგა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მასაჟი ცხვირის ქვედა ნაწილში სიღრმისეულ ტექნიკურ მასაჟურ მასაჟურ მასაჟურ

ვისაც თავის მოსაგვლად ფული არ ენანება და ამის შესაძლებლობაც აქვს, კარგი განწყობილების შესაქმნელად და მოსადუნებლად მასაჟი არაჩვეულებრივი საშუალება ყოფილა. ამ ბოლო დროს, თბილისში სიღრმისეული ცენტრები მომრავლდა და თითქმის ყველა მათგანში ჰყავთ მასაჟისტი. მოკლედ, მთავარია, ქართველ ქალს ფულის და დროის პრობლემა არ ჰქონდეს, თორემ გასალამაზებლად ყველანაირი პირობა აქვს შექმნილი. მასაჟის ნაირსახეობისა და კეთილი თვისებების გასარკვევად, თბილისში ყველაზე პოპულარულ ცენტრს ვესტუმრეთ, ესთეტიკის განყოფილებაში შევიწყობით და ერთ სათნო მასაჟისტს მუშაობის დროს დავადექით თავზე ჩვენი რეჟონდენტი ქალბატონი ზინაპი პირველავილია.

ნათია ქვიპაძე

— როგორც ჩემთვის ცნობილია, მასაჟი რამდენიმე სახეობისაა. რა და რა სახეობის არსებობს?

— მართალია, უამრავი სახის მასაჟი არსებობს. მე ესთეტიკის განყოფილებაში ვარ, ამიტომ ჩემთან ესთეტიკური, კლასიკური მასაჟი კეთდება. ეს არის პარაფანგური და ცხელი ქვების მასაჟი. ესთეტიკურ-კლასიკურ მასაჟში შედის მომადუნებელი, მარულაქსირებელი მასაჟი, რომელიც ხსნის დაღლილობას და ადამიანს კარგ განწყობილებაზე აყენებს. როცა პაციენტი ჩვენთან მოდის, მას პირველ რიგში, რასაკვირველია, უტარდება გამოკვლევა იმის გასარკვევად, თუ რა ანუხებს და რა სჭირდება მის სხეულს. ამის შემდეგ კი, ვურჩევთ სხვადასხვა მასაჟს. ქვები მეტასთეტიკურ ენერჯის წარმოქმნის. ის პარამონის, განმეუნდის, სიმშვიდის და სინწყარის ეფექტს გვაძლევს. ქვების მასაჟი სხეულის ნებისმიერ ადგილას კეთდება, გარდა — მუცლისა. ქვების თერაპია აღმოსავლური სამყაროს მეცნიერებისა და ცხოვრების ნაწილია და ჩვენ მას ალტერნატიულ თერაპიას ვუნოდებთ. გამაჯანსაღებელი ქვების მასაჟის ანტიკური ხელოვნება, ფიზიკური და სულიერი ბალანსის



მისაღწევად საჭირო. საერთოდ, ქვების მასაჟის მრავალგვარი ტექნიკა გამოიყენება და თბილი ქვები, უმაღლეს დონეზე ავსებენ სხეულს. ქვების მასაჟი ძალიან ეფექტურია პოზიტიური ენერჯის მოზღვავებისთვის. პაციენტი, რომელიც ჩვენთან მოვა და გვეტყვის, რომ იმ დღეს გაბრაზებულია და დეპრესია აქვს, მაშინ მასაჟს იმ ქვების დახმარებით ვუკეთებთ, რომელსაც თავის გვირგვინი, ანუ ამეთვისტო ჰქვია და ამის შედეგად, დეპრესია ქრება. მოკლედ, პაციენტმა თავად უნდა გავარკვიოს იმაში, თუ რა ანუხებს. მასაჟისტსა და პაციენტს შორის გარკვეული ურთიერთობის დამყარების შემდეგ, ჩვენ თვითონ ვხვდებით, თუ რა სჭირდება მას. პაციენტი პირველად რომ მოდის, პირველ რიგში, მისი ხასიათის გამოვლენას ვცდილობთ. ამიტომ შესაძლოა, ადამიანმა ჩვენთან პირველად მოსვლის დროს იმდენი სიამოვნება ვერ მიიღოს, რამდენსაც მეორედ მოსვლისას შეიგრძნობს, როცა მისი ხასიათი უკვე შესწავლილი გვაქვს... ქვები ყოველთვის სასიამოვნოდ ცხელი უნდა იყოს, მაგრამ ისეთი არა, რომ პაციენტი დაწვავთ. ეს ქვები ერთგვარადი მოხმარებისაა. ის საკმაოდ ძვირად ღირებულია. მასაჟისტმა ამ ქვებს შიშველი ხელი არ უნდა შეახოს. აუცილებელია ხელთათმანის გამოყენება. ქვებს მეორედ გამოყენებამდე, აუცილებლად სტერილიზაცია უნდა გაუკეთდეს. ცხელი ქვები, ადამიანის სხეულზე 15-20 წუთის განმავლობაში უნდა გავაჩეროთ. ამ პროცესის დროს, პაციენტს ზემოდან პლედით უნდა გადავაფაროთ... რაც შეეძება პარაფანგური სახის მასაჟს, ისიც მარულაქსირებელია. ჩვენ გვაქვს ესპანური მალამოები გარგარისა და ჩაის ხის არომატით, რომელიც სპეციალური აპარატურის მეშვეობით ღვდება, სხეულის ტემპერატურამდე თბება. ამ მალამოს წასმამდე, პაციენტს მასაჟი გავკეთებელი უნდა ჰქონდეს. ის, ამ დროს, ძალზე დამშვიდებულია და ამიტომ, მელოდისაც შესაბამისს ვურჩევთ ხოლმე. მალამოს წასმის შემდეგ, პაციენტს ტანზე ჯერ ცელოფანის პარკებს ვახვევთ, შემდეგ კი, სპეციალურ შესაფუთ „თერმოდიალას“ და ასე შეფუთულს ვტოვებთ 30-40 წუთის განმავლობაში. ამ პროცედურის შემდეგ, კანი ხავერდოვანი და რბილი ხდება. ეს პროცესი, ნონის დაკლებზეც მოქმედებს. ადამიანს, რომელსაც სხეულის კორექცია სურს, რა უბანზეც უნდა ამის გაკეთება, იმ ადგილის



ზომებს წინასწარ ვიღებთ იმისთვის, რომ მერე გავიგოთ, რამდენს დაიკლებს. წესით, ერთი პროცედურით, საკორექციო ადგილი 5-10 სანტიმეტრით უნდა შემცირდეს... ასევე, ვაკეთებთ თავფის მასაჟს, ესეც ცელულიტებისთვის, ანუ სხეულის კორექციისთვისაა კარგი. იგი საუკეთესოა ნებისმიერი ადგილის შესასწორებლად, გარდა მკერდისა და მუცლისა.

— კიდევ თუ არის სხვა ისეთი ადგილი, სადაც მასაჟის გაკეთება არ შეიძლება?

— როგორ არა. მასაჟი არ უნდა გაკეთდეს სახრებში, ლიმფური დრენაჟების ადგილას. დანარჩენ ადგილებში კი, ყველგან შეიძლება, მათ შორის, სახეზე, ყურებზე, ხელებზე, დაუნდულებზე. სხვათა შორის, ადამიანის სხეულზე ყველაზე მეტი დატვირთვა დაუნდულა კუნთებზე მოდის. ამიტომ, ამ ადგილას, მასაჟის გაკეთება ძალიან კარგი და სასიამოვნოა.

— რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთან მასაჟის გაკეთება?

— ძვირი ნამდვილად არ არის. ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ჩვენ მასაჟს ძალიან იაფად ვაკეთებთ, მაგრამ საქართველოში იმდენი გაჭირვებული ადამიანი ცხოვრობს, რომ მათთვის ალბათ, ჩვენი ფასებიც არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, კლიენტების ნაკლებობასაც არ განვიცდით.

— არის თუ არა კლასიკური მასაჟი თავის მოვლის საშუალება?

— რა თქმა უნდა, კლასიკური მასაჟს სწორედ ეს ფუნქცია აქვს. სხვათა შორის, ჩვენთან სარეაბილიტაციო განყოფილება არის, სადაც სამკურნალო მასაჟი კეთდება.

— თავად თუ სარგებლობთ მასაჟით?

— ღვთის ნყალობით, ჩემს აღნაგობას არ ვუჩივი, შესაბამისად, არც სხეულის მასაჟს ვსაჭიროებ. მომადუნებელ და კლასიკურ მასაჟს კი, მე და ჩემი კოლეგები, დაღლილობის შემთხვევაში ერთმანეთს ვუკეთებთ.

როგორ მოვიპოვოთ სოკო ფხვიანი

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ისინი ყველგან იზრდება — ტყეშიც, ფეხებზეც... უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანის სოკო, თავისი აგებულებით თითქმის არ განსხვავდება ტყის მოძმეებისაგან. ექიმები სოკოვან დაავადებას მიკოზს უწოდებენ, ფრჩხილის დაზიანებას კი — ონიქომიკოზს. როგორ ვებრძოლოთ უხილავ, მაგრამ მეტისმეტად სიცოცხლისუნარიან მტერს?

სოკოვანი ინფექცია შეიძლება გადაგვედოს ნებისმიერ გამაჯანსაღებელ დაწესებულებაში — საშხაპეში, აუზში, საფარჯიშო დარბაზში, პლაჟზე, მაგრამ ყველაზე ხშირად, სოკო ადამიანს ოჯახის წევრებისაგან გადაედება. დასნეუოვნების ეს გზა შემთხვევითაა 60%-ში გვხვდება. საერთო პირსახოცზე, ტანსაცმელზე ან ფეხსაცმელზე დარჩენილი დაავადებული კანის ერთი ქერცლიც კი საკმარისია იმისათვის, რომ უხილავი მტერი თქვენს ფეხზე დასახლდეს და სწრაფი გამრავლება დაიწყოს.

სოკო გვჭამს

რა ხდება, როცა სოკო დასახლება ჩვენს კანზე ან ფრჩხილების ქვეშ? ჩვენს „ჭამას“ იწყებს, ნამდვილი პარაზიტებით იტყუვა. მისი „გემოვნება“ შერჩევითია: მაგალითად, ფრჩხილის დაზიანებას ძირითადად, სოკო დერმატოფიტები იწვევს. ისინი ორი სახეობის არსებობს: წითელი ტრიქოფიტონი და თითათა-შორისი ტრიქოფიტონი. პირველი აზიანებს ხელის მტევნისა და ფეხის ტერფის ყველა თითის ფრჩხილსა და გლუვი კანის ყველა უბანს. მეორე კი — მხოლოდ პირველი და მეხუთე თითების ფრჩხილს (ფეხზე) და კანს მხოლოდ და მხოლოდ, ტერფის მესამე და მეოთხე თითებს შორის. ეს სოკო არასოდეს აზიანებს მტევნებს. აი, ასეთი უცნაური „იტყუვა“ ახასიათებს მას.

სოკოს მიერ დაზიანებული ფეხები ისე გამოიყურება, რომ ადამიანებს მათი გამოჩენა რცხვენიათ. ამიტომ, ზაფხულში, დახურულ ფეხსაცმელს იცვამენ. სოკოსაც ეს „უნდა“ — მას სინესტე უყვარს. ხშირად, დაავადება გლუვი კანის დაზიანებით იწყება. ტრავმები და ჭრილობები ხელს უწყობს კანში სოკოს შეჭრას. ფეხისგულზე იწყება ქავილი,



შემდეგ კი, სოკო ფრჩხილის ფირფიტებზე ვრცელდება — ფრჩხილები სქელდება, ფორმას იცვლის, მათ ქვეშ ფაშარი მასები წარმოიქმნება. ზოგჯერ კი, ფრჩხილი თხელდება, ფერს იცვლის (ყვითელი, რუხი ან თეთრი ხდება).

მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ ფრჩხილების ცვლილება ყოველთვის სოკოსთან არ არის დაკავშირებული. არსებობს ფრჩხილების დისტროფია (გამოფიტვა), რომელიც კანის შინაგანი ორგანოების, პროფესიული ან ენდოკრინული პათოლოგიების ერთ-ერთ სიმპტომს წარმოადგენს. ამიტომ, საექვო შემთხვევაში, ყოველთვის უნდა დაუხსტდეს დიაგნოზი.

ყარიდან ავლებ და ფანჯრიდან შემოდის...

ბევრ პაციენტს სოკო წლობით აწვალავს. უამრავი საშუალების გამოყენების მიუხედავად, წარმატება გარდამაჯალია. ამიტომ, ყველაფერს სჯობს თავიდან ავიცილოთ დასნეუოვნება, რისთვისაც მარტივი ნების დაცვაა საჭირო: გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში ყოფნის შემდეგ, კარგად დაიბანეთ ფეხები გამდინარე წყლით, კარგად გაიმშრალეთ და ტერფის კანში შეიზილეთ სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატი ან მიიღეთ სპეციალური პროფილაქტიკური საშუალებები.

თავდაცვა რთულია, თუ ოჯახში ვინმეს აქვს სოკოვანი პათოლოგია. კარგად უნდა დაამუშაოთ ფეხსაცმელი, წინდები, რომლებიც ეხება დაზიანებულ ზედაპირს.

ფეხსაცმელი უნდა დამუშავდეს სადეზინფექციო საშუალებებით, რომლებიც აფთიაქში იყიდება. შეგიძლიათ გამოიყენოთ მძამრუფავს 34%-იანი ხსნარი (არა სუფრის მძარი, არამედ ესენცია!). მას აზავებენ წყლით და ამ ხსნარს უსვამენ ფეხსაცმლის შიგნითა

ზედაპირს, შემდეგ, ფეხსაცმელს 2-3 დღით პოლიეთილენის პაკეტში აწყობენ. გაშრობისა და განიავების შემდეგ ისინი დეზინფიცირებულია. სხვათა შორის, სხვისი ფეხსაცმლის ჩაცმა დასნეუოვნების საკმაოდ რეალურ საფრთხეს ქმნის, ამიტომ, გირჩევთ, ამას მოერიდოთ.

ნუ დაივიწყებთ, რომ აბაზანის განმუხდაც აუცილებელია. წყლის გამდინარე ნაკადით, მექანიკურად აცილებენ ფრჩხილებისა და კანის ნარჩენებს აბაზანის კედლებიდან და ძირიდან, შემდეგ კი, ნებისმიერი გამმენდი საშუალებით ამუშავებენ. მანიკურის მკარატლების დეზინფექციისთვის, აუცილებელია, სპირტში ჩააწყოთ და შემდეგ, სპირტქურის ალზე დაამუშაოთ. საერთოდ კი, უმჯობესია, პირადი ნივთები იქონიოთ.

თავს უშველეთ!

თუ აღმოაჩინეთ, რომ სოკო გაქვთ, გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ კანის ექიმს, რომელიც დაგიზუსტებთ დიაგნოზს: კეთდება კანისა და ფრჩხილის ანაფხევის მიკროსკოპული გამოკვლევა და დგინდება, არის თუ არა დაზიანების მიზეზი — სოკო. შემდეგ, კეთდება საკვლევი მასალის დათესვა გამომწვევის კონკრეტული სახეობის დასადგენად. ყოველივე ამის შემდეგ, ექიმი ადგენს კონკრეტული მკურნალობის გეგმას. ამ დროს, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, გასქელებულია თუ გათხელებულია ფრჩხილი, მისი რა ნაწილია დაზიანებული, აგრეთვე — როგორია ორგანიზმის საერთო მდგომარეობა და აქვს თუ არა პაციენტს სხვა დაავადებები.

საჭიროა ხანგრძლივი მკურნალობა — 3 თვიდან 1 წლამდე. ამიტომ, საჭიროა წინასწარ, ღვიძლის ფუნქციის გამოკვლევა: თუ მაჩვენებლები ნორმაშია, შეიძლება მკურნალობის დაწყება.

როდესაც ფრჩხილი მთლიანად — ზრდის ზონის ჩათვლითაა დაზიანებული, ინიშნება ზოგადი მოქმედების სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატი. თანამედროვე პრეპარატები ძალზე ეფექტურია: ზოგი მათგანი ინიშნება ყოველდღიურად, სხვები — წყვეტილი სქემით. ზოგი პრეპარატი ძალიან ძვირად ღირებულია, მაგრამ არსებობს შედარებით იაფფასიანი ნამლებიც.

დაავადების საწყის სტადიაზე შეიძლება ადგილობრივი მოქმედების პრეპარატების დანიშვნით შემოვიფარგლოთ (საცხებით, ხსნარებით, სოკოს საწინააღმდეგო ლაქებით). უფრო ღრმა და ფართო დაზიანებების დროს კი, საჭიროა კომბინირებული თერაპია ადგილობრივი და ზოგადი მოქმედების პრეპარატებით.

მიირთვით თევზი და კაკალი

ამერიკელ მეცნიერთა ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ რაც მეტია სისხლში ცხიმის — ომეგა-3-ის შემცველობა, მით უფრო მშვიდი და მხიარულია ადამიანი. ამ ცხიმოვანი მჟავის დეფიციტისას კი, ადამიანებს ცუდი განწყობილება ეუფლებათ და ხშირად დაუფიქრებელ საქციელს სჩადიან.


აქამდე, ფსიქიკაზე ომეგა-3-ის გავლენას მხოლოდ სერიოზული ნერვიული დარღვევების დროს შეისწავლიდნენ. აღმოჩნდა, რომ ამ ნივთიერების დადებითი ეფექტი სრულიად ჯანმრთელ ადამიანებზეც აღინიშნება. ამისთვის საჭიროა, ყოველდღიურად მიირთვათ თევზი, კაკალი და სელის ან ზეთუნისზეთიანი სალათები ანდა მიიღოთ ომეგა-3-ის აბები.

მოკლად

- გამხდარ, ტანად ქალებს ჯანმრთელი ბავშვის გაჩენის მეტი შანსი აქვთ, ვიდრე მსუქნებს.
- მაგნიუმით მდიდარი პროდუქტები — გოგრის თესლი, შვრიის მარცვლები — აქვეითებს ნაწლავის კიბოს განვითარების რისკს.
- მუქი ფერის ბრინჯი კარგ შედეგს იძლევა ჰიპერტონიის დროს.

ტვინს კალკულატორი აქვს

ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მეცნიერებმა აღმოაჩინეს ტვინის უბანი, რომელიც ციფრების გადამუშავებას ახდენს. „კალკულატორის“ პოვნაში მათ დაეხმარნენ დისკალკულიით დაავადებულნი. ეს იშვიათი დაავადებაა, რომლის დროსაც, ადამიანებს დაკარგული აქვთ გამოთვლის უნარი. მათ შესთავაზეს მარტივი რიცხვების დალაგება და გამოთვლა და მაგნიტურ-რეზონანსული სკანირების მეშვეობით აღმოაჩინეს „გამორთული“ უბანი. ახლა კი, შესაძლებელი იქნება, შემუშავდეს ამ არასაშიში, მაგრამ ძალზე უსიამოვნო პათოლოგიის მკურნალობის მეთოდი და შედეგად, მათემატიკური უნარის არმქონე ადამიანებს ანგარიშს შეასწავლიან.



როგორ ჩავიხედოთ ადამიანის სულში?

თვალები არ მარტო ფანჯარაა სამყაროში, არამედ ის ჩვენი სულის სარკეა. მეცნიერებმა სხვადასხვა ფორმისა თუ ფერის თვალებზე დაკვირვებით, გამოიტანეს შემდეგი დასკვნა:

თუ ადამიანი საუბრისას თვალს გარიდებთ, მას აქეთიქით აცეცებს ან ხელებს იფარებს, ეს თავდაუჯერებლობაზე, შფოთვაზე, ან არაგულწრფელობაზე მეტყველებს.

თუ საუბრის დროს თვალებს ხუჭავს და ქუთუთიებს მიღმა, თვალების სწრაფ მოძრაობას შენიშნავთ, ფსიხილად იყავით — შესაძლოა, თქვენ წინაშე ყალბაბანდი, გაიძვერა ადამიანი იდგეს.

ადამიანები ფართო, შორს ჩამჯდარი თვალებით, დიდი შესაძლებლობების მქონენი, დინჯები და დაკვირვებულები არიან. გადაწყვეტილებების მიღებად, მოსალოდნელ შედეგებზე ბევრს ფიქრობენ. თუმცა, ხშირად ტყუილის მსხვერპლიც ხდებიან.

ახლოს ჩამჯდარი თვალების პატრონები, სწრაფი რეაქციითა და სიფიცხით გამოირჩევიან. კონკრეტულ იდეაზე კონცენტრირებულნი, მომთხოვნები არიან როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ.

დიდი და გადმოკარკლული თვალები, ჩვეულებრივად, ჯიუტ, ზარმაც, მატყუარა, მფლანგველ ადამიანს აქვს, რომელიც ყოველთვის ყურადღების ცენტრში ყოფნას ცდილობს.

პატარა და ღრმად ჩამჯდარი თვალები ჭკვიან, შრომისმოყვარე ადამიანებს აქვთ. ისინი ყველაფერს სერი-



ოზულად უდგებიან.

ძლიერ დანული ზედა ქუთუთი, მამაკაცებში ფიზიკური ენერჯის ნაკლებობაზე მიგვანიშნებს, ხოლო უსიამოვნო ფერი, სერიოზულ ფიზიოლოგიურ გადახრებზე მეტყველებს.

შეშუბებული ქვედა ქუთუთები მოქეიფებს, მოლხენის მოყვარულებს აქვთ, ხოლო ძალზე ჩამოშვებული — ზღვარგადასული გართობის ნიშანია.

ერთდროულად შეშუბებული ზედა და ქვედა ქუთუთი, ცხოვრებისგან გადაღლილ ადამიანებს აქვთ.

ადამიანები, რომლებსაც თვალები სხვადასხვა დონეზე აქვთ გაწვრილებული, არასტანდარტული აზროვნებით, ორიგინალური შეხედულებებით და მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღების უნარით გამოირჩევიან.

თუ ერთი თვალი მეორეზე მაღლა იცქირება, მაშინ, მიჩნეულია, რომ ასეთ ადამიანებს უბედური შემთხვევებისკენ აქვთ მიდრეკილება. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ თითოეული თვალის ინფორმაცია, ტვინის ორივე ნახევარსფეროში ერთდროულად ხვდება. იქ კი, მათი ერთმანეთთან შეჯერება ხდება. გამორიცხული არ არის ის, რომ როცა თვალები სხვადასხვა მხარეს იცქირება, მათგან მიღებული სურათი ერთმანეთისგან ჩვეულებრივზე მეტად განსხვავდება და ამას სამყაროს არაადეკვატურ აღქმამდე მიყვავართ. ამიტომ, ხდება უბედური შემთხვევებიც.

ჩინური ფიზიოგნომიკა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა, ამტკიცებს, რომ ილბლიან ადამიანებს, როგორც წესი, თვალები პროპორციულად აქვთ განლაგებული.

ნომის ტელეფონი ფსიქოლოგიური კონსულტაციები

☎ 822 42 55 44

822 006 005

822-006-099

ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია ტელეფონ-გარემოშიც





ნათქვამია: ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომებაო. ადამიანის ვინაობისა და რაობის განმსაზღვრელიც, ნანილობრივ მაინც, მისი ფესვები — წინაპრები არიან.

არჩილ ყუფარაძე ცოტა ხნის წინ გავიცანო. მისი დიდი ბაბუის მამა — პეტრე პომორცევი რუსეთის საზღვაო სამინისტროში მუშაობდა და იმპერატორ ალექსანდრე მესამისგან ჯილდოც კი მიუღია; დიდი ბაბუა — ალექსეი პომორცევი — სანყალოსნო და სატრანსპორტო დეპარტამენტში და 1902-09 წლებში, ბათუმის, ფოთისა და სოხუმის პორტების მშენებლობებს ხელმძღვანელობდა. ალექსეის 3 შვილი ჰყოლია: ოლლა (არჩილ ყუფარაძის ბებია), პეტრე და ნიკოლოზი. პეტრეც მშენებელ-ინჟინერი ყოფილა. ჯერ მამასთან მუშაობდა, მერე — ქერჩის, ტემრიუკის, ფეოდოსიის, იალტის, არხანგელსკის პორტების მშენებლობას ხელმძღვანელობდა. ოლლას ორი შვილი ჰყავდა — ნინა და არჩილი (ჩვენი რესპონდენტის ბიძა). არჩილი-უფროსი 19 წლის ასაკში, დიდი სამამულო ომის პირველსავე დღეს დაღუპულა სოფელ შეპეტოვკასთან გაჩაღებული ბრძოლის დროს...

არჩილ ყუფარაძე ირწმუნება, რომ რუსეთის იმპერატორმა 1909 წელს, ალექსეი პომორცევს თავადის ტიტული უბოძა.

zRvispireTelebis dinastia saqarTveloSi, turistuli „samoTxe“ da erT-erTi pirveli qarTuli kruizi

ირმა ხარშილაძე

— პომორცევების ოჯახური ტრადიცია — პორტების მშენებლობა — მათი გვარის ფუძეს ხომ არ უკავშირდება?..

— დიას. თუ არ ვცდები, ზღვი-სპირეთიდან არიან წამოსულები. სამწუხაროდ, დღეს ცოტა მათგანია ცოცხალი. ბებიჩემმა საბუთების ნაწილი შემოინახა, ერთ-ერთმა ნათესავმა მოსკოვიდანაც გამოიგზავნა მასალები. ძალიან მინდოდა, პეტრე ბურგში წასვლა: ვფიქრობ, იქ, სამხედრო მუზეუმში, რაიმე საინტერესოს წავაწყდებოდი, მაგრამ ვერ მოვახერხე. ბათუმის პორტის არქივში არაფერი აქვთ შემონახული.

— ბათუმში დიდხანს ცხოვრობდნენ?

— დროებით იყვნენ ჩასულები — ვიდრე დიდი ბაბუის ხელმძღვანელობით, პორტის მშენებლობა მიმდინარეობდა. ბებიჩემმა იქ დაამთავრა (წარჩინებით) ბა-



ალექსეი პომორცევი

თუმის ქალთა გიმნაზია, მისი ატესტატიც მაქვს. მერე პეტერბურში წავიდნენ. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში გაიცნო ბებიჩემმა ბაბუა: თავადი ვლადიმერ ლორთქიფანიძე მოსკოვში, თავისი ძმისგან (პეტრე პომორცევი და ვლადიმერ ლორთქიფანიძე თანაკურსელები და მეგობრები იყვნენ. — ავტ.) მერე დაქორწინდნენ და 1918 წელს წამოვიდნენ თბილისში: როგორც ჩანს, რევოლუციას გამოექცნენ, ეგონათ, აქ სიმშვიდე და ვარდები დახვდებოდათ... ვლადიმერი საბჭოთა მთავრობამ პორტებისა და შიდასაწყალოსნო რესურსების განყოფილების უფროსად დანიშნა; მუშაობდა თბილისში, სახალხო კომისარიატში. მერე, 1937 წელს, დაიჭირეს. არ დაუხვრეტიათ, მაგრამ ციხიდან რომ გამოვიდა, რამდენიმე თვეში გარდაიცვალა... ბებიჩემი სათუთად ინახავდა ნახაზებს, სურათებს... შინ მაქვს ფოტოკამერა, რომლითაც გადაღებულია ეს სურათები, პორტების მშენებლობის უფროსის სახელმწიფო, პერსონალური ბეჭედი და სხვა ნივთები. ბებიას ეწინოდა ამ ყველაფრის გამოზუფერების, ამიტომ, გადავწყვიტე, ახლა მაინც გამეცნო საზოგადოებისთვის... ისიცაა საინტერესო, რომ შარშანწინ, სანამ აჭარაში რევოლუცია მოხდებოდა, ჩასული ვიყავი ბათუმში და შეხვდი მამინდელ კულტურის მინისტრს — ბატონ კომახიძეს. დამპირდა, რომ ბათუმის მუზეუმში გამოყოფდა კუთხეს, რათა გაგვეკეთებინა სტენდი, მაგრამ მერე, რევოლუცია მოხდა და მეც აღარავინ შემინუსებია...

— ალბათ, საქართველო, შანსით. ბოლოს და ბოლოს, ისტორიისთვის მნიშვნელოვანი რამ დაუტოვეს პომორცევებმა საქართველოს — ბათუმს, ფოთს, სოხუმს. — და არა მარტო საქართველოს — რუსეთსაც. — ბატონო არჩილ, თქვენ

დაარღვეთ ოჯახის ყველა ტრადიცია — უარი თქვით ზღვაზე, პორტზე, მშენებლობაზე, ცეკვაზე (მშობლები — ნინა ლორთქიფანიძე და ვლადიმერ ყუფარაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები — სუნიშვილების ანსამბლის სოლისტები იყვნენ, ვლადიმერ ყუფარაძე, სამწუხაროდ, გარდაცვლილია) და ჟურნალისტის პროფესია აირჩიეთ. თუმცა, საბოლოოდ, აღარც ჟურნალისტად გიმუშავიათ.

— სხვათა შორის, ჩემს შრომის წიგნაკში თუ ჩაიხედავთ, წაიკითხავთ, რომ მაქვს მხოლოდ ერთი სამუშაო ადგილი: მოგესვენებათ, საბჭოთა კავშირში არსებობდა ე.წ. „ინტურისტის“ სისტემა. 1972 წელს, როცა უნივერსიტეტი დავემთავრე, უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოში, ინფორმაციისა და რეკლამის განყოფილებაში დავინწყე მუშაობა. საქართველოში საკავშირო ჟურნალის — „მოგზაურობა



ალექსეი პომორცევის შვილები: ოლლა, ნიკოლოზი (მარცხნივ) და პეტრე



„სწორედ იქ ვნახე ერთ-ერთი პირველი წყალქვეშა ნავის სურათი“

საბჭოთა კავშირში“ კორესპონდენტი გახლდით. მერე, იქვე გადავედი სხვა სამუშაოზე — „ინტურისტის“ სისტემაში; მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამმართველო იყო, მაგრამ საკავშირო „ინტურისტს“ ექვემდებარებოდა.

— ეს საკმაოდ ძლიერი სისტემა იყო. მასსოვს, „ინტურისტის“ სასტუმროებში მოხვედრა ფაქტობრივად, მხოლოდ უცხოელებისთვის იყო შესაძლებელი.

— მაშინ, საბჭოთა კავშირიც ძლიერი გვეგონა, მაგრამ დაინგრა... „ინტურისტს“

ძალზე ძლიერი მატერიალური ბაზა ჰქონდა. მას ექვემდებარებოდა თბილისის სასტუმროები: „ივერია“, „აჭარა“, „თბილისი“, „უშბა“; თელავის, ქობულეთის, ხათუმის, სოხუმის სასტუმროები, 5 კორპუსი ბიჭვინთაში. წელიწადში 160-დან 200 ათას ტურისტამდე ვილებდით — ძირითადად, მაისიდან — ოქტომბრამდე პერიოდში. ძალიან მაინტერესებს, დღეს რამდენი ჩამოდის... როგორც ჩანს, სტატისტიკის დეპარტამენტს ეს ინფორმაცია არ მოეპოვება. საქართველოში დღეს, ბევრი ტურისტული ფირმა არსებობს და თითოეული ცალ-ცალკე

აღრიცხავს მიღებულ ტურისტთა რაოდენობასო, — მითხრეს... ახლახან ნავიკითხე გაზეთში: საქართველოში ყოველწლიურად, 3 მლნ ვიზიტორი ჩამოდისო. ამ რაოდენობამ შეიძლება, მართლაც, გადმოკვეთოს ჩვენი საზღვარი, მაგრამ ტურისტი რამდენია მათ შორის?... საინტერესოა, ამ საქმეში — ტურიზმს ვგულისხმობ — წინ მივდივართ თუ გაჭირდით... რა არის, იცით?... ჩვენში „ინტურისტის“ სისტემა დაინგრა, რუსეთში, ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში — დარჩა, გადაკეთდა და ახლაც მუშაობს...

— მატერიალური ბაზა, რომელიც აქ არსებობდა, განადგურდა?

— ამ ბაზაზე სააქციონერო საზოგადოებები შეიქმნა. უცხოეთის ტურიზმის სამმართველოც 1989 წელს, რატომღაც ზედმეტი აღმოჩნდა და ლიკვიდაციაში მოყვა. დღეს, მხოლოდ ძვირად ღირებული სას-

ტუმროებია — არადა, ჯგუფური ტურიზმი ძალზე მნიშვნელოვანია და მისი განვითარებისთვის ამ სასტუმროებმა დიდი ფასდაკლებები უნდა გაუკეთონ იმ ტურისტულ ფირმებს, რომლებიც ტურისტების მოსახიდავად იზრუნებენ. ყველას არა აქვს შესაძლებლობა, რომ ნომერში 150-200 დოლარი გადაიხადოს. მე მგონი, დღეს საქართველოში ტურისტებისთვის ნომერი მაქსიმუმ 40-50 დოლარი უნდა ღირდეს. თუმცა, ფასები, ერთადერთი ფაქტორი როდია — აუცილებელია პოლიტიკური სტაბილურობა და ცუდი კრიზისი აღმოფხვრა: ქვეყანაში სიმშვიდე უნდა იყოს.

როგორც ვიცო, „ინტურისტი“ ყოველმხრივ ემსახურებოდა ტურისტებს... — ამას ერქვა მომსახურების სრული პაკეტი. სერვისი იწყებოდა აეროპორტიდან, სადგურიდან, ნავსადგურიდან და იქვე მთავრდებოდა: კვება, კულტურული პროგრამა, საექსკურსიო მომსახურება — ყველაფერი შედიოდა ტურისტის მიერ გადახდილ თანხაში.

— დღეს ბევრი ფირმა საკმაოდ კარგად ემსახურება ტურისტებს. შეიძლება, ჯგუფური ტურიზმის შემთხვევა ნაკლებია, მაგრამ ჩამოდის ოჯახებით, მეგობრებით, ათვალიერებენ, ისვენებენ. მათ ის ადამიანები ემსახურებიან, რომლებსაც შესაძლოა, შესაფერისი განათლება არა აქვთ მიღებული.

— ძალიან საინტერესო საკითხი დასვით. ოღონდ, ვიდრე გიპასუხებთ, იმასაც ვიტყვი, რომ „ივერიაში“ მუშაობისას, ვინაიდან იქ ლტოლვილები ცხოვრობდნენ,

როგორც კადრების თანამშრომელს, დიდი ასპარეზი არ მქონია. შევქმენი ტურისტული სააგენტო — შპს „ივერია“; ორ-სამ მეგობართან ერთად, რუსეთის „ინტურისტთან“ გავაფორმეთ ხელშეკრულება და ვილებდით ტურისტებს. მქონდა გამოცდილება, ვთავაზობდი მომსახურების სრულ პაკეტს და „ივერიაში“ კი არა, „მერატონში“ ვაბინავებდი ტურისტებს. დიდი ჯგუფები მყავდა ჩამოყვანილი იაპონიიდან, ამერიკიდან და ყველა კმაყოფილი წავიდა.


— ეს რომელ წლებში ხდებოდა?

— 1998-2001 წლებში. სააგენტო ახლაც მუშავს — ქალაქლზე... მგონი, ძველი კავშირების აღდგენა რთული არ იქნება.

— ძველი ნდობა ხომ არსებობს?

— ეგ — კი. ახლა, თქვენს წინა შეკითხვას

მინდა დავუბრუნდე — კადრების კვალი ფიკაცია. როცა სამმართველოში ვმუშაობდი, „ინტურისტისთვის“ კადრების მომზადებაში ვმონაწილეობდი. ძალიან ძლიერი სკოლები იყო მოსკოვსა და კიევიში, სადაც ჩვენს თანამშრომლებს ვგზავნიდით. ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ ხელმძღვანელ მუშაკებს, რომელთა დეფიციტი აქ არასდროს შეინიშნება — ყოველთვის იმათ დეფიციტს განვიცდით, ვინც უშუალოდ მუშაობს უცხოურ ტურისტთან: რესტორნის თანამშრომლები, მეტრდოტელები, მიმტანები, მზარეულები, სხვადასხვა კატეგორიის დამხმარე მუშა, სასტუმროს პორტიეები, ნომრის



ფოტოკამერა „ლოქტორი კრიუგენერი“



ალექსეი პომორცევის თავადად ცნობის დამადასტურებელი მოწმობა (1909 წ.)



საქართველოს სახალხო არგისტები — წინა ლორთქიფანიძე და ვლადიმერ ყუფარაძე

მშენებარე ბათუმის პორტის ხედები



დამლაგებლები, შვეიცარები... ყველა მათგანს სჭირდება ნ-თვიანი ან ერთწლიანი მომზადება. ისე ხომ არ არის, რომ ქუჩიდან აიყვანო ადამიანი, ცოტა ამეცადინო და მუშაობა დაიწყებინო... ვისაც რუსეთში ან უკრაინაში ვგზავნიდით, რომ ჩამოდიოდნენ, მერე სხვებს ასწავლიდნენ — ანუ სულ ტრენინგებში ვიმყოფებოდი... მერე, თანრიგების მინიჭება ხდებოდა: მუშაკი გამოცდებს აბარებდა. ეს სტიმული იყო. ხელფასიც სტიმული იყო: სერიოზულად სწავლობდნენ, მუშაობდნენ... დღეს საქართველოში დიდი სასტუმროები თვითონ ამზადებენ თავიანთ კადრებს, საკმაოდ კვალიფიციურად და კარგად. მაგრამ თუ მთელ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, კადრების მოსამზადებლად აუცილებლად უნდა არსებობდეს სპეციალური სასწავლებელი. ეს ძალზე მომგებიანი საქმეა. ბოლოს და ბოლოს, ალბათ, ვინმე მოჰკიდებს კიდევ ხელს, იმიტომ, რომ ასეთი სკოლა ყველას დასჭირდება. ვთქვათ, იგივე „მერიოტი“ მერე ამ სკოლიდან წაიყვანს კადრებს. ვფიქრობ, სახელმწიფომ მაინც უნდა აკონტროლოს ყველაფერი. მე, პრინციპში, მთელი ცხოვრება სახელმწიფო სტრუქტურაში ვმუშაობდი და, ალბათ, ასე იმიტომ ვაზროვნებ: კადრების მომზადება იმდენად სერიოზული საქმეა, რომ სახელმწიფოს პატრონაჟს საჭიროებს. დიპლომები უნდა გაიცეს, ასევე ლიცენზიები. შეიძლება, ზოგან არის კიდევ. თუ რესტორანს კარგი, ჭკვიანი პატრონი ჰყავს, ის, რა თქმა უნდა, სადღაც სასწავლებლად, კვალიფიკაციის

ასამალებლად გაგზავნის თავის თანამშრომელს.

ადრე, ტურიზმს ქვეყნისთვის, როგორც კომერციული, ასევე პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა...

— რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის დროს წინა პლანზე იდგოლოგია იდგა. რომ ავიღოთ ჩვენი სახელმძღვანელოები, იმავე რესტორნისა თუ სასტუმროსთვის პერსონალის მომზადების წესები, 50% იდგოლოგიას წარმოადგენს: კომპარტიის ყრილობის მასალების გაცნობა, შესწავლა და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ზედმეტი იყო და მეტი დრო უნდა გვეწონოდა სპეციალობისთვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვახერხებდით ხალხის კარგად მომზადებას. დღეს კი არა — საერთოდ, მე მგონი, ტურიზმი პოლიტიკისგან შორს უნდა იყოს...

თუკი უცხოელებს კარგად გავაცნობთ ჩვენს ქვეყანას, მეტად დაფინანსდებით — ამას ვერ მიფიქრებთ სახელმწიფოს იდგოლოგიად?

— რა თქმა უნდა. თარჯიმანი, რომელიც იღებს ტურისტს, დღეს უპირველესად, საქართველოს ისტორიას უყვება მას. ჩვენ ყველაფერი გვაქვს, ტურიზმის გასავითარებლად — ძეგლები, მუზეუმები, გეოგრაფიული მდებარეობა, მთა, ზღვა, ტყე...

ახლა, კარგი გზებიც ემატება...

— არცთუ ისე შორეულ პერსპექტივაში, აქ შეიძლება, „ტურისტული სამოთხეც“ წარმოვიდგინოთ... ისიც მინდა გითხრა, რომ მე, მართალია, ზღვისგან შორს ვდგავარ ჩემი საქმიანობით, მაგრამ „ინტურისტში“ მუშაობისას, წელიწადში ერთი-ორჯერ გვახალისებდნენ და საზღვაო კრუიზში გვივებდნენ. მაშინ, მოსკოვში იქმნებოდა კრუიზის დირექცია და ყოველთვის ვიყავი ამ დირექციის შემადგენლობაში. მახსოვს, ერთ-ერთი პირველი ქართული, 900-კაციანი კრუიზი, რომელიც 1989 წელს, გემით — „ლეონიდ სობინოვი“ შედგა. საკავშირო „ინტურისტის“ წარმომადგენელი გახლდით, საექსკურსიო მომსახურების ორგანიზება მომიხდა და ა.შ. ეს ჩემი ბოლო კრუიზი იყო. საქართველოში კრუიზები აღარ ეწყობა, რადგან ამას გემი, პრაქ-

ტიკა, გამოცდილება სჭირდება... სავიზო პრობლემები შეიქმნება... არადა, ძალიან კარგი იქნებოდა. ესეც ძალზე მომგებიანი საქმეა.

თქვენ რას აპირებთ მომავალში? ახელა გამოცდილება გაქვთ, სააგენტოც არსებობს... არ გიცდიათ ახალ მთავრობასთან დაკავშირება?

— არც ძველთან მიცდია და არც ახალთან... იცით, რა არის?.. როცა ტურისტულ ავტობუსს ვხედავ, რომელშიც სასტუმროდან გამოსული ტურისტები სხდებიან, გული მიფრთხილებს ხოლმე: ძალიან მიყვარს ეს საქმე და ვეცდები, რომ დავეუბრუნდე. მთელი ჩემი ცხოვრება ამ დარგთანაა დაკავშირებული.

ერთ-ერთ გაზეთში თქვენი ოცნების შესახებ წავიკითხე: ქართული პორტების ისტორიის მუზეუმის შექმნა გნდომებიათ თურმე...

— ეს თუ გაკეთდება, მხოლოდ ბათუმში. ბევრი მასალა მაქვს, მათ შორის — 1904 წელს გამოცემული 2 დიდი ალბომი, რომელშიც XV საუკუნის დამლევს არსებული მთელი მსოფლიოს პორტების, სამხედრო გემების სურათებია მოთავსებული. სხვათა შორის, სწორედ იქ ვნახე ერთ-ერთი პირველი წყალქვეშა ნავის სურათი. ამასაც დიდი სიამოვნებით გადავცემდი მუზეუმს. ნივთებიც მაქვს, პეტერბურგიდან წამოღებული...

იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენს ინტერესებს წაიკითხავენ, გამოეხმაურებიან და თქვენც მეტად იაქტიურებით... დღეს საქართველოში ალბათ, ძალიან ბევრმა არც იცის, თუ ვინ ააშენა ბათუმის, ფოთის, სოხუმის პორტები.

— მაგრამ დავაზუსტოთ: პირველი მშენებლებიც არსებობდნენ, რადგან როცა ჩემი წინაპრები აშენებდნენ, პორტი უკვე არსებობდა. როცა ბენიამინი ბათუმში მეგობრებს სტუმრობდა, მახსოვს, საათობით იჯდა პორტში და... იქაურობის ცქერებით ტკებოდა. მეც შემიყვარდა იქაურობა. ბათუმში განსაკუთრებულად მიყვარს.

გისურვებთ, საყვარელ ბათუმში თქვენი ოცნების განხორციელებას. იმედია, ცხოვრების დონეც ამაღლდება და თქვენს გამოცდილუ ბასაც სათანადოდ დააფასებენ და გამოიყენებენ...



არჩილ ყუყარაძის შვილიშვილები — ანა და ნიკა დადიანები

უხალი ჩიხინაული ჟღერის, სასურათისაჲსაჲს ნიხალს აჩიროს უხალი ჟღერ ჩიხინაულ სასურათს ღერის უხიროს ტიხისაჲს

ნეკრესის მონასტერი ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ძეგლია. იგი ყვარლის რაიონში, სოფელ შილდის მახლობლად — ნაზორევის გორაზე მდებარეობს (ნაზორევი წარმომდგარია ზორვასგან, რაც მსხვერპლშენიერვას ნიშნავს. ადრე იქ ცეცხლთაყვანისმცემელთა საკულტო ცენტრი ყოფილა, სადაც მაზდეანები თავიანთ რიტუალებს აღასრულებდნენ — ე.ი. წარმართული მსხვერპლშენიერვა ხდებოდა. სწორედ აქედან მომდინარეობს გორის სახელწოდება — ნაზორევი)...

მორენა მერკვილაძე

ნეკრესის მონასტრის უძველესი ძეგლია წმინდა გიორგის, ბაზილიკური ტიპის, მცირე ზომის სამლოცველო, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის მიღებისა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პირველსავე ხანებში — V საუკუნის მიწურულსაა აგებული — მირიან მეფის შვილიშვილის, მეფე თრდატის მიერ: „ნეკრესს კახეთისასა ეკლესიად აღაშენა განსრულებით“, — მოგვითხრობს მემატიაძე.

ძველი ისტორიული წყაროების თანახმად, ნეკრესი სამეფო რანგის ქალაქი ყოფილა, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაუარსებია მეფე ფარნაჯოს (112-93 ჩ.წ.აღ-მდე). „ფარნაჯომ იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“, — მოგვითხრობს მემატიაძე. ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ ქალაქი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებშიც არსებობდა: „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, V საუკუნეში, მირიან მეფის დროს, ქალაქის ზღუდენი განუმტკიცებია მირიან მეფის მამამთუძუს, მირვანოზს: „მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი“... სავარაუდოდ, სწორედ ქალაქ ნეკრესის გავლენით ეწოდა ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ კერას — ნეკრესი, რომელიც V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის თაოსნობით, ერთ-ერთი საეპისკოპოსოს სახით დაარსდა: „ნეკრესში არს ანცა საეპისკოპოზო და ზის ეპისკოპოზი, არამედ არღარაა ქალაქი“, — გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი.

V საუკუნეში, ევლავიოს კათოლიკოსისა და იოანე ზედაზნელის კურთხევით, ნეკრესს სამოღვაწეოდ გავიდა ერთ-ერთი ასურელი მამა — აბიბოს ნეკრესელი, რომელსაც სწორედ ამ ტაძარში მოღვაწეობის გამო ეწოდა ნეკრესელი. მამა აბიბოსი ნეკრესის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი...

სწორედ აბიბოს ნეკრესელის მოღვაწეობის პერიოდში აიგო ნეკრესის მონასტრის მთავარი — ღვთისმშობლის მიძინების — სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის — ტაძარი, წმინდა გიორგის მცირე სამლოცველოს აღმოსავლეთით, ეკლესია ფლეთილი ქვითაა ნაგები. ტაძარი XV საუკუნეში მოუხატავთ მეფე ლეონისა და მისი მეუღლის,

თინათინის დაკვეთით. მათი ფრესკული გამოსახულებები დღემდეა შემორჩენილი ტაძრის სამხრეთ კედელზე. ტაძარი ძვირფასი ხატებით ყოფილა შემკული, ამის შესახებ გვაუწყებენ რუსი ელჩები, ნეკრესის მონასტრის სიძველეთა აღწერისას, რომლებიც XV საუკუნის 80-იან წლებში სწვევიან მონასტრს.

მამა აბიბოს ნეკრესელის მოღვაწეობის შესახებ, რომელიც სხვა ასურელი მამები-სგან მონაშებრივი აღსასრულით გამოირჩევა, ძალზე მწირი ცნობებია შემორჩენილი: ვიცით, რომ წმინდა მამა დაუტყობლად ზრუნავდა მისი მოღვაწეობის ადგილას ქრისტიანობის განამტკიცებლად და გასაგრძელებლად. ამ მიზნით, დაუდალავად დადიოდა ეპარქიის სოფლებსა და დაბებში და მრავალი ადამიანი მოაქცია ქრისტიანულ სჯულზე.

მამა აბიბოსი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სპარსული რელიგიის, ცეცხლთაყვანისმცემლობის წარმომადგენლებს: ცეცხლთაყვანისმცემლები იხანად მთელ საქართველოში ბატონობდნენ და ნეკრესშიც ცდილობდნენ თავიანთი სარწმუნოების გავრცელებას. ერთხელ აბიბოსმა შენიშნა, რომ მოგვები აიძულდნენ ქართველებს, თავიანი ეცათ ცეცხლისთვის. წმინდა მამა მათთან მიიჭრა, ცეცხლზე წყალი დაასხა და ჩააქრო, რამაც მოგვები ძალზე განარისხა — ნეტარი მამა სასტიკად სცემეს და საპყრობილეში ჩააგდეს. მის შესახებ სპარსთა მარზპანს შეატყობინეს, რომელიც გორის მახლობლად მდებარე სოფელ რეხში იმყოფებოდა. მან აბიბოსის მიყვანა ბრძანა...

როდესაც მამა აბიბოსი მარზპანთან მიჰყავდათ, მცხეთასთან, სვეტიცხოვლის ტაძარში ლოცვის ნება ითხოვა, შემდეგ კი, შიო მღვიმელი მოინახულა. სულიერმა ძმებმა სიყვარულით მოიკითხეს ერთმანეთი და ერთად ილოცეს. გამომევიძობებისას აბიბოსმა მუუდაზნოე სასწაულომუქმედ მამა შიოს სთხოვა, ელოცა მისთვის...

მარზპანის წინაშე წარმდგარმა აბიბოსმა უშიშრად აღიარა ჭეშმარიტება და სპარსთა მთავარმართებლის კითხვას: „რაისთვის მოჰკალ ღმერთი ჩუნი?“ — უპასუხა: „მე ღმერთი კი არ მომიკლავს, მხოლოდ ცეცხლი დავმრიტე, ცეცხლი ღმერთი კი არ არის, ბუნების ნაწილია, რომლისგანაც შედგება ღვთის მიერ შექმნილი სამყარო. თქვენი

ცეცხლი შემის დაწვით წარმოიქმნება, მცირედმა წყალმა ჩააქრო, წყალი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მოკლა იგი“. განრისხებულმა მარზპანმა მამა აბიბოსის წამება ბრძანა — იგი სასტიკად გვემეს, შემდეგ კი, „ქვითა განტვინეს“. წმინდა აბიბოსის მონაშებრივი აღსასრული X საუკუნეში აღწერა კათოლიკოსმა არსენ პირველმა, ამიტომ დაწვრილებით და სრულყოფილად მხოლოდ წმინდა მამის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი იცნობილი.

წმინდა აბიბოსის მონაშებრივმა აღსასრულმა, ქრისტიანული სარწმუნოებისთვის თავგანწირვამ ნეკრესის ეპარქიაში კიდევ უფრო მეტი ადამიანი მოაქცია ქრისტის სჯულზე, შესამჩნევად გაიზარდა სამწყსოს რიცხვი, რომლის წევრებს შორისაც, გამოჩნდნენ ღვთის გზაზე შედგომის მსურველნიც, ამიტომ იმატა ნეკრესის მონასტერში მოღვაწე ბერთა რიცხვმა... ნეკრესი ძალზე მნიშვნელოვან საეკლესიო კერად იქცა. ახადროულად, მისი ეპარქია საკმაოდ ძლიერი ფეოდალური ერთეულიც გახლდათ.

ნეკრესის მესამე — მთავარანგელოზთა გუმბათოვანი ეკლესია აგებულია X საუკუნეში. ის, კომპლექსში შემავალი სხვა ძეგლების მსგავსად, ფლეთილი ქვითაა ნაგები. იმავე პერიოდში, სამონასტრო კომპლექსს შემატა საეპისკოპოსო სასახლე, XV საუკუნეში კი — თავდაცვითი დანიშნულების კოშკი.

კომუნისტური მმართველობის ეამს, ნეკრესის მონასტერი დაიხურა და იქ მუზეუმი გახსნეს. 2000 წელს კი, კვლავ დაპყვიდრდნენ ბერები და განახლდა სამონასტრო ცხოვრება.

ნეკრესი ერთადერთი მართლმადიდებლური სალოცავია საქართველოში, რომელსაც ხალხი ღორს სწირავს. ეს ტრადიციულად, შობის დღესასწაულზე ხდება: ერთხელ, სპარსთა შემოსევისას, ქართველებს — კახეთის მკვიდრთ, ნეკრესის მონასტრისთვის შეუფარებიათ თავი, თან შინაური ცხოველებიც ჰყოლიათ. მტერს სალოცავი ალყაში მოუქცევია. ქართველები მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გამზადებულან, მაგრამ მტერი გაცილებით მრავალრიცხოვანი ყოფილა და ბევრად უკეთ შეიარაღებულიც, ამიტომ ქართველებს ალყის გარღვევის იმედი არ ჰქონიათ, თუმცა უფლის მიმართ ლოცვა არ შეუწყვეტიათ. მათ შორის ერთ-ერთს აზრად მოსვლია — ღორები დავეროთ და მტერს მივუსითოთ. მართლაც ასე მოქცეულან. სპარსელები, რომლებიც ღორს უწმინდურ ცხოველად მიიჩნევდნენ, ხმაურით გაფანტულან. ღორებს ქართველთა რაზმი მიჰყოლია და დაბნეული მტრის დამარცხება ადვილად მოუხერხებია. ეს ამბავი შობის ღამეს მომხდარა და სწორედ მაშინ დაედო სათავე ნეკრესში შობის დღესასწაულზე ღორის შეწირვის ტრადიციას.

ალექსანდრე ანკილობოვი — ხელბურთელი, რომელმაც საკუთარი თავი შექმნა

როგორ დასდევდა ოლიმპიური ჩემპიონი კრიმინალებს

ქართულ ხელბურთში ალექსანდრე ანკილოგოვი ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი გახლავთ, ვინაიდან იგი ერთადერთია, ვისაც სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიადაზე და მსოფლიო ჩემპიონატზე გაუმარჯვია. გარდა ამისა, მას აღნიშნულ ასპარეზობებზე თითოჯერ ვერცხლის მედალიც მოუგია. ანკილოგოვი თბილისის „ბურევესტნიკში“ 15 წლის განმავლობაში გამოდიოდა და მან გუნდთან ერთად, საბჭოთა კავშირის თასიც მოიგო; ასევე, ქვეყნის ჩემპიონატში, ბრინჯაოს მედალს სამჯერ დაეუფლა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში კი, ანკილოგოვმა ხალხთა მე-6 სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დაიკავა. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, თავისი კარიერის მანძილზე, საბჭოთა ნაკრებში 217 თამაში ჩაატარა და 572 გოლი გაიტანა. ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იგი გერმანულ კლუბ „ლანდცხუტში“ გამოდიოდა, სადაც მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციასაც ითავსებდა. გარკვეული დროის განმავლობაში, ანკილოგოვი საბერძნეთის ქალ ხელბურთელთა ნაკრებს წვრთნიდა, ხოლო ამჟამად, გერმანიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის მოქალაქეა. ის დაჯილდოებულია ღირსებისა და „ვასტანგ გორგასლის“ მეორე ხარისხის ორდენებით. მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ტიტულებისა, ანკილოგოვს ხელბურთი შესაძლოა, საერთოდ არ ეთამაშა და თუ რატომ, ამას მისი მონათხრობიდან შეიტყობთ.

ლამა თაბაგარი

დისტროფია და ბუქნები დის ჩინაზე

— ბავშვობაში ხშირად ვავადმყოფობდი. ერთხელ, მშობლებმა სოფელში, ბაბუსთან გამამგზავრეს. უკან რომ დაბრუნდი, დედამ ვერ მიცნო. ეს არც გახლდათ გასაკვირი, რადგან ორი თვის განმავლობაში, სიმაღლეში 28 სანტიმეტრი მოვიმატე. ამის გამო, დისტროფია დამეწყო, სისხლძარღვები შემვიწროვდა და ვარჯიში კატეგორიულად ამიკრძალეს. ნახევარი წელი სკოლაშიც არ მივლია და სახლში ვინეჭი. სამაგიეროდ, ნიგნებს აქტიურად ვკითხულობდი და ამ ხნის განმავლობაში, ერუდიცია საკმაოდ ავიმალღე. ხელბურთს ჩემი და რაია თამაშობდა, რომელიც საბჭოთა კავშირის სტუდენტთა ნაკრებში მოხვდა და შერეებიდან ჩამოსულმა, ხელბურთის ბურთი ჩამომიტანა. ჩვენ საკუთარ სახლში ვცხოვრობდით, რომლის ეზოშიც კარი გააკეთეთ და შიგ მე ჩავდექი, ხოლო რაიამ გადაწყვიტა — გამოვეცადე. მის პირველ ნატყორცს ვერ გავუმკლავდი, მეორედ კი, ბურთი თავში მომხვდა. რაია ჩემზე 9 წლით უფროსი გახლდათ და ბავშვობაში სულ მავიწროვებდა, მაგრამ ამ შემთხვევამ ძალიან გამაბრუნა. ამიტომ გადავწყვიტე მისთვის დამემტკიცებინა, რომ მასზე სუსტი არ ვიყავი. ერთხელ დავინახე, რომ ის 50 ბუქნს აკეთებდა და

მეც მივბაძე. თუმცა, 12 ჩაბუქნის შემდეგ, წავიქეცი. იმ დღიდან მოყოლებული, დილაობით ბუქნებში ვარჯიში დავიწყე და ყოველდღე თითოს ვუმატებდი. საბოლოოდ, 220 ბუქნამდე ავედი და სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელს ვთხოვე — სხვებთან ერთად, ჩემთვისაც მოეცა გაკვეთილზე დასწრების უფლება. თუმცა, მან ამის ნება არ დამართო და მიპასუხა — ფიზკულტურიდან ოფიციალურად გათავისუფლებული ხარო. მაშინ ვუთხარი, რომ 220-ჯერ



თანაგუნდელ ნარიმანიძესთან ერთად



ჩაბუქვნა შემძლო და ვიდრე მან საკუთარი თვალთ არ იხილა, რომ არ ვტყუოდი, მანამდე გაკვეთილზე არ დამიშვა. ცოტა ხანში, ჩვენმა კლასმა ხელბურთში სკოლის პირველობა მოიგო და გადავწყვიტე, სპორტის ამ სახეობაში სერიოზულად მევარჯიშა. დარბაზში მეგობართან ერთად მივედი, მაგრამ სექციაში მხოლოდ ის ჩანერეს, მე კი, უარი მითხრეს. ვარჯიში რომ დაიწყო, ტრიბუნაზე ვიჯექი და ვტიროდი. ამის დანახვაზე მწვრთნელმა განმიცხადა: „იარე ვარჯიშზე, რა ვქნა, თუ დამაპატიმრებენ — დამაპატიმრონ“. იმ დროს, სიმაღლით 196 სანტიმეტრი ვიყავი და მხოლოდ 46 კილოგრამს ვიწონიდი. თანაგუნდელები დამცინოდნენ და დისტროფიკს მეძახდნენ. მე ფაქტობრივად, არ ვვარჯიშობდი და წვრთნაზე ხანდახან დავდიოდი, მაგრამ თბილისის „ბურევესტნიკის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯანო ბაგრატიონმა, ჩვენს მასწავლებელს დაავალა, რომ გუნდიდან მაინც არ გავეშვი. ეტყობა, მან ნიჭიერად ჩამთვალა.

ბიძაშვილის გაკვეთილები და „დათა თუთაშხიათი“ ნასწავლი ქართული

— 1970 წელს, საქართველოს ნაკრებთან ერთად, საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა პირველობაში ვმონაწილეობდი. პირველი ადგილი დავიკავეთ, მაგრამ მე მხოლოდ სამწუთ-ნახევარი ვითამაშე და ერთი გოლი გავიტანე, ხოლო ერთხელ, პენალტი ვერ გამოვიყენე. მიუხედავად ამისა, ოქროს მედალი მაინც მომცეს და საქართველოს მთავარ გუნდში — თბილისის „ბურევესტნიკში“ მიმიწვიეს. თუმცა, მის შემადგენლობაში, ფაქტობრივად, სამი წლის განმავლობაში არ მითამაშია და მხოლოდ ბურთებს დავატრევი ან სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. ჩვენ სპორტის სასახლეში კალათბურთელების შემდეგ ვვარჯიშობდით. მე სიმაღლეში ადგილიდან 120 სანტიმეტრზე

ვსტეობი და თავით კალათბურთის ფარის რგოლს ვწვდებოდი. ამის შემხედვარე კალათბურთის მწვრთნელებს სურდათ, რომ ვარჯიში სპორტის ამ სახეობაში გამეგრძელებინა. ერთხელ, მორიგი წვრთნის შემდეგ, ყური მოკვარი, თუ როგორ უთანხმდებოდნენ ჩვენი მწვრთნელები მათ კოლეგებს კალათბურთიდან, რომ მე ორ კალათბურთელში გავცეცალე. ამან ძალიან გამანაწყენა და ბიძაშვილთან მივედი, რომელიც კრივიში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი გახლდათ. მას ჩემი გასაჭირის შესახებ შევჩივლე, რაზეც ასეთი პასუხი მივიღე: მიაფურთხე ყველაფერს, ჩემთან ერთად წამოდი, ვივარჯიშოთ და კაცად გაქცევი. მშობლებმა დაგვაფინანსეს და 35 დღე შავი ზღვის სანაპიროზე გავატარეთ. ბიძაშვილმა მითხრა, რომ ამ ხნის განმავლობაში, პლაჟი ქვებისგან მაქსიმალურად გამეშინდა, რასაც მონდომებით ვაკეთებდი, ხოლო დილაობით დავრბოდი. სახლში დაბრუნებული, გუნდის პირველ ვარჯიშზე მივედი და ბურთი კარში 9 მეტრიდან ვისროლე. მიზანს ავაცილე, მაგრამ ტყორცნა ისევ გავიშეორე. მოულოდნელად, დარბაზში სიჩუმე ჩამონვა და მივხვდი, რაღაც ხდებოდა. ამ დროს, მწვრთნელი მომიხლოვდა, ბურთი მომცა და მითხრა — კიდევ ესროლეო. მისი ბრძანება რომ შევასრულე, გახარებულმა წამოიძახა: როგორც იქნა! რამდენი ხანია, შენგან ამას ველოდი და ბოლოს და ბოლოს, სროლა ისწავლეო. მაშინ 19 წლის გახლდით და სიმაღლე 203 სანტიმეტრი მქონდა, თუმცა, უკვე 80 კილოგრამს ვინონდიო. სხვათა შორის, „ბურევესტნიკში“ რომ მივედი, ქართულად ვერ ვლაპარაკობდი და შემპირდნენ, რომ ენას შემასწავლიდნენ. მაგრამ 2 წლის განმავლობაში ყველა რუსულად მესაუბრებოდა და შესაბამისად, ქართული ერთი სიტყვაც ვერ ვისწავლე. გამოსავალი კი იმაში ვიპოვე, რომ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ წაკითხვა გადავწყვიტე. ქართული ასოები ვიცოდი, ხოლო წაკითხულის შინაარსს მითარგმნიდნენ და სამთვიანი შეკრების დასრულებისას, ასე თუ ისე, ქართულად ვლაპარაკობდი.


ფხაკადის გაბედული რეკომენდაცია

— საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩემი მოხვედრა, საკმაოდ საინტერესო ამბავს უკავშირდება. როგორც მაშინ იყო მიღებული, ზაპოროჟიეში, ყველა გუნდის ხელბურთელი შეგკვრიბეს და ნაკრების კანდიდატთა სია წაიკითხეს. ამ დროს, მოსკოვის „ცსკა“-ს მთავარმა მწვრთნელმა იური პრედესამ, ნაკრების თავკაც ანატოლი ევტუშენკოს გუნდში ევგენი ჩერნიშოვის აყვანა შესთავაზა, რომელიც სიმაღლით 204 სანტიმეტრი იყო, რაც იმ პერიოდში, ხელბურთში იშვიათობა გახლდათ. პრედესას შემდეგ, „ბურევესტნიკის“ მწვრთნელმა იმედო ფხაკაძემ თქვა — თუ გუნდში ორმეტრიანი ჩერნიშოვი

აყვავთ, მაშინ ასეთი სიმაღლის მეორე ხელბურთელი — ანბილოგოვიც აიყვანეთო. ამან დარბაზში ხარხარი გამოიწვია, მაგრამ ფხაკადის განცხადებამ თავისი შედეგი გამოიღო. კერძოდ, ნაკრების მწვრთნელმა დერეფანში გამიყვანა და მკითხა — ნაკრებში თამაში გინდაო? ცხადია, ვუპასუხე — მინდა-მეთქი, მან ამას მეორე კითხვა მოაყოლა — იმუშაუბო? რა თქმა უნდა, ვიმუშავებ-მეთქი — ვუთხარი...

ლიმონათი თანაგუნდელებისთვის

— პირველი შეკრება ლესელიძეში გვექონდა. როცა პლაჟზე ვიმყოფებოდით, გუნდის ნებისმიერ წევრს უფლება ჰქონდა — ლიმონათის მოსატანად გავეგზავნე. თანაგუნდელები 30 კაიკს მაძლევდნენ და მალაზიამდე ორკილომეტრიან მანძილს სირბილით ვფარავდი. ლიმონათის ყიდვის შემდეგ, უკან ასევე სირბილით ვბრუნდებოდი. თუმცა, დასვენების საშუალებას არავინ მაძლევდა, რადგან მწვრთნელი ზურგზე მაჯდებოდა და მავალბებდა, ცალ ფეხზე მეხტუნა. სალა-



თამაშის საშუალება მომცეს და 2 გოლი გავიტანე, თან დანაპირებიც შევასრულე

მოს კი, დარბაზში მივდიოდი და შტანგაზე ვვარჯიშობდი. დღის განმავლობაში, ნორმად 10-12 ტონის აწევა მქონდა დანესებული. იმ დროს, ლესელიძის ბაზაზე, ცნობილი ქართველი მოჭიდავე — გივი კარტოზია იყო ჩამოსული, რომელმაც ნაკრების მწვრთნელს ჩემზე უთხრა: შენ ამას ან მოკლავ, ან კიდევ, რაღაცას მიაღწევსო. შეკრებიდან დაბრუნებულმა ვარჯიში კლუბში გავაგრძელე. „ბურევესტნიკს“ საბჭოთა კავშირის ნაკრებთან, რომელიც თბილისში დაგემილ, „ზარია ვოსტოკას“ ტურნირისთვის ემზადებოდა, ორი ამხანაგური თამაშის ჩატარება შესთავაზეს. იმ დაპირისპირე-

ბისას, პირველ მატჩში 9 გოლი გავიტანე, ხოლო მეორეში — 11. „ზარია ვოსტოკას“ თასზე ნაკრების შემადგენლობაში ვითამაშე და გუნდში შედეგიანობის მხრივ, მეორე შედეგი ვაჩვენე. ცოტა ხნის შემდეგ, „ბურევესტნიკის“ ვარჯიშზე რომ მივედი, მწვრთნელმა მითხრა — ბარგი ჩაალაგე, მოსკოვში მიდიხარო. ეს 19 იანვარს მოხდა, ჩემი დაბადების დღის მეორე დღეს და აღნიშნული თარიღი სამუდამოდ დამამასხოვრდა. მაშინ 21 წლის ვიყავი.

დაბრუნებული ვალი

— მოსკოვში შეკრებაზე რომ ჩავედი, გუნდი ორად გაგვეყვეს და ერთმანეთში გვათამაშეს. თავიდან მოედანზე მორიდებულად ვიქცეოდი, მაგრამ თამაშის მსვლელობისას, ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მაქსიმოვი მომიხლოვდა და მომმართა — გრძელო, საკუთარ კლუბში რას აკეთებ? — ისვერი-მეთქი, — იყო ჩემი პასუხი. — აბა, აქ რატომ არ ისვრი? ისე ითამაშე, როგორც შენ გუნდშიო, — მითხრა. ამან საკმაოდ გამამხნევა და მაქსიმოვის მადლიერი ვარ, რადგან მისმა საქციელმა ნაკრებში თავდაჯერებულობა შემმატა. პირველი ოფიციალური თამაში, 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე ჩავატარე, რომელიც ავსტრიაში გაიმართა. მასხოვს, გუნდის ძირითად შემადგენლობას თამაში არ გამოსდიოდა და მწვრთნელმა მოედანზე შემიშვა. სამი გოლი გავიტანე. ამის შემდეგ, ავსტრიელები უხეშობაზე გადავიდნენ. როდესაც ერთ-ერთმა მეტოქემ ხელი ცხვირში განგებ მომარტყა, ხმა არ ამოიღია. მერე მან იგივე გაიმეორა, ყურადღება არც მაშინ მივაქციე. მესამე ჯერზე კი, ცხვირი გამიტყვეს და მოედნიდან გამიყვანეს. მეორე ტაიმში ისევ ვაგებდით და მწვრთნელს ვთხოვე — მოედანზე შემიშვიო, ავსტრიელებს ვალს დავუბრუნებ-მეთქი. თამაშის საშუალება მომცეს და 2 გოლი გავიტანე, თან დანაპირებიც შევასრულე. იმ ავსტრიელმა, რომელმაც არ დამინდო, თამაშის მიმდინარეობისას გვერდით ჩამირბინა და თანაგუნდელი კლიმოვი ისე ოსტატურად გადამეფარა, რომ ვერავინ დაინახა, როგორ ამოვარტყი სახეში მუშტი. კლიმოვი ორი წუთით გააძევეს, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამთ... ცხვირზე კი, პლასტიკური ოპერაციის გაკეთება დამჭირდა და პროფესორმა იგი ფოტოსურათის მიხედვით გამისწორა.

დამანყნარებელი ბურთის გამტანი

— მონრეალის ოლიმპიადაზე პირველი მატჩი იაპონელებს საკმაოდ იოლად მოვუგეთ, ხოლო მეორე შეხვედრაში, მასპინძელ კანადელებს ვძლიეთ, რომლებიც საკუთარი გულშემატყვიერების მიერ გამხნეებულნი, ოდნავ გაგვიძალიანდნენ. მესამე შეხვედრაში კი, გასული ოლიმპიადის გამარჯვებულ იუგოსლავიის ნაკრებს დავუპირისპირდით. ეს თამაში წყვეტდა



— თუ ვინ დაიკავებდა ჯგუფში პირველ ადგილს. შეხვედრა კარგად დაიწყეთ, მაგრამ საბოლოოდ, ორთაბრძოლა მაინც დათმეთ. ამრიგად, ჩვენი ფინალში გასვლის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ჯგუფში ჩატარებულ უკანასკნელ თამაშში დანიას მოუვგეთ, თუმცა, ჩვენთვის უფრო საინტერესო გახლდათ — როგორ დასრულდებოდა იუგოსლავიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთა ორთაბრძოლა. დანიელებთან მატჩის შემდეგ, გასახდელში რომ მივდიოდით, თანაგუნდელი იური ლაგუტინი წამოგვწვინა, რომელიც იმ დღეს არ თამაშობდა და გვამცნო — იუგოსლავიამ წააგო. თავიდან, მისი ნათქვამი ხუმრობად მივიჩინეთ, რადგან ასეთ შედეგს არავინ ელოდა, მაგრამ ლაგუტინის ნათქვამი სიმართლე აღმოჩნდა, რამაც ძალიან გაგვახარა. ფინალში ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონ რუმინეთის ნაკრებს შევხვდით, რომელთაც ოლიმპიადის დანებებამდე ამხანაგური თამაში 6 ბურთით გვქონდა წაგებული. მიუხედავად ამისა, მატჩი ჩვენი უპირატესობით წარიმართა, რაშიც დიდი წვლილი ჩერნიშოვს და მეკარე იმჩენკოს მიუძღოდით. პირველმა მათგანმა, რუმინელთა ლიდერ ბერტალანს განძრევის საშუალება არ მისცა, ხოლო იმჩენკომ, წარმოუდგენლად რთული ბურთების მოგერიება მოახერხა. თამაშის განმავლობაში, მას ბურთი საძვერ თავშიც კი მოხვდა და სახე სულ დაღურჯებული ჰქონდა. ტაიმის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, მეტოქეს 9:2 ვამარცხებდით, მაგრამ რუმინელებმა იმდენი ქნეს, რომ სხვაობა 5 ბურთამდე შეამცირეს. მეორე ტაიმი საკმაოდ დაძაბული ორთაბრძოლით დაიწყო, რასაც ისიც დავამატა, რომ მოულოდნელად ტაბლო გაფუჭდა. დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში, მასზე არც ანგარიში იცვლებოდა და არც მოედანზე მყოფებმა იცოდნენ, თამაშის დასრულებამდე რამდენი დრო იყო დარჩენილი. სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, როდესაც გუნდის მთავარი მწვრთნელი ევტუშენკო მომიახლოვდა და მითხრა — ახლა მთავარია, პირველ ბურთს ვინ გაიტანს, ამი-

ტომ მოედანზე გახვალ, რუმინელთა კარს აიღებ და ყველას დააწყნარებო. მართლაც, თამაშში ჩართულმა, ვალერი გასისთან კომბინაცია გავითამაშე და ბურთი შევაგდე. ამან რუმინელები საბოლოოდ გატეხა და ოლიმპიური ჩემპიონები ჩვენ გახვდით. იმ ტურნირზე, 6 მატჩში მონაწილეობით კარი 13-ჯერ დავლაშქრეთ. ოთხი წლის შემდეგ, მოსკოვის ოლიმპიადაზე უპირობო ფავორიტებად მივიჩინოდით, მაგრამ ფინალში — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან წაგვით და მხოლოდ ვერცხლის მედლებს დავჯერდით. მაშინ 6 შეხვედრაში 29 გოლი გავიტანე და ამ მაჩვენებლით, ჩვენს ნაკრებში საუკეთესო ვიყავი. გარდა ამისა, 1982 წელს, გუნდთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დავეუფლე, ხოლო 1978-ში, ამავე ტურნირზე მეორე ადგილზე გავედი. სხვათა შორის, ოლიმპიური ოქრო რომ მოვიგე, ისეთი გახარებული ვიყავი, მედლთან ერთად მეძინა. რეკონსტრუქციის შემდეგ, 1976 წელს, „დინამოს“ სტადიონი რომ იხსნებოდა, ცერემონიაში მონაწილეობას ოლიმპიური ჩემპიონებიც ვიღებდით, რომელთაც საკუთარი ჯილდოებით მისვლა გვთხოვეს. მაშინ, მხოლოდ 2-3 მედალი მქონდა, ჩამოვიკიდე და „დინამოს“ სტადიონზე გამოცხადდეს. ამ დროს, სანეიმი დავინახე, რომელსაც გულმკერდით ორდენებით ჰქონდა დახუნძლული. ვკითხე — სულ რამდენი მედალი გაქვს-მეთქი? მიპასუხა: კიდევ 30-40 კილოგრამი ჩემოდანში მიდევსო.

დამნაშავეთა სამყაროსთან მებრძოლი ხელბურთელი

— თბილისის „ბურევსტნიკში“ თამაშის უკანასკნელ წელს, პარალელურად „ობეხეუსში“ (ე.წ. „სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის განყოფილება“, რომელიც შს სამინისტროს სისტემაში შედიოდა. — ავტ.) დავიწყე მუშაობა. თავიდან სტაჟირებაზე ვიყავი, მაგრამ შემდეგ თანამშრომლად გამაფორმეს და ნელ-ნელა ამ სამსახურშიც დავიწყე წინსვლა. თუმცა, ცოტა ხანში, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ სპორტსმენებს „ობეხეუსში“ არ უნდა ემუშავათ, რადგან შეიძლება, საკუთარი სახელი შეებღალოთ. ამ მოსაზრებას არ ვეთანხმებოდი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს შევხვდი, მაგრამ „ობეხეუსში“ დარჩენაზე მისგანაც უარი მივიღე. ჩემს კითხვაზე — თუ სად უნდა გამეგრძელებინა მოღვაწეობა, მან მიპასუხა — ყველაზე რთულ უბანზე წახვალ და „კანონიერ ქურდებთან“, ასევე, მათი ტრადიციების მიმდევრებთან ბრძოლა მოგიწევსო. საერთო ჯამში, შინაგან საქმეთა სამინისტროში 6 წელი დავყავი და აქედან, 3 წელი, ავტომობილთან ერთად მეძინა. მილიციაში უკვე აღარ ვმუშაობდი, როცა მოსკოვში პირად საქმეზე ჩავფრინდი და ამ დროს, „შერეუმტოიეოს“ აეროპორტში, ერთ-ერთ კრიმინალურ

ავტორიტეტს შემთხვევით შევხვდი, რომელიც თავის დროზე დაკავებული მყავდა. ის სამკურნალოდ საფრანგეთში მიდიოდა და გადაწყვიტა, რომ ვუთხაროთ ვალედი. მას მეგობრები აცილებდნენ, მე კი, ბიძაშვილთან ერთად ვიყავი. ჩემი ნაცნობის დანახვაზე ამ უკანასკნელს გადავულაპარაკე — ახლა ან ცუდად წავა ჩვენი საქმე, ან კიდევ... მართლაც, კრიმინალის თანხმობით პირები მოგვიახლოვდნენ, იარაღი დავგადეს და იქვე, კაფეში შეგვიყვანეს. მათ ავეხსენი, რომ გერმანიაში საკუთარ საქმეზე მივდიოდი და თან დავუმატე — ამჟამად, იქ ვცხოვრობ და ვმუშაობ-მეთქი. ყველაფერი რომ გაირკვა, კაფეში ის ავტორიტეტიც შემოვიდა, ყავა და კონიაკი დალია და დაგვემშვიდობა.

გერმანიაში – ცოლის მოთხოვნით

— გერმანიაში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდი. შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობისას, მოსკოვში ალექსანდრ გუროვთან ჩავედი და მოულოდნელად, გერმანელ მწვრთნელ გერდ ბუცეკს შევხვდი, რომელიც თავის დროზე, საბჭოთა კავშირის ნაკრებში მუშაობდა. იგი რესტორანში დავაბატიყე და საუბრისას მითხრა, რომ ნაკრებში ჩემმა ყოფილმა თანაგუნდელმა — საშა ტუჩკინმა გერმანიაში მენისკის ოპერაცია გაიკეთა. მენისკი მეც მანუხებდა და ბუცეკს ვთხოვე, მკურნალობაში დამხმარებოდა. მართლაც, გერმანელი ვიზის მიღებაში დამეხმარა, მაგრამ გამაფრთხილა, რომ ოპერაცია 4.500 დოლარი დავჯდებოდა. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ბევრი ნაცნობი მყავდა და დახმარებისთვის ქარხნის დირექტორებს მივმართე. უარი არავის უთქვამს და მათ გარდა, ფული ჩვენი ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარეებმ, ნიკა ცხაკაიაშვილს მომცა. გერმანიაში ცოლთან ერთად წავედი და შემდგომში, სწორედ მისი დაუჩინებელი თხოვნით დავრჩი ამ ქვეყანაში. ნატამა საზღვარგარეთ პირველად იყო და ძალიან მოეწონა გერმანული წესრიგი. ბუცეკმა შემომთავაზა — კლუბს მოგიტყინი და თამაში გააგრძელო. უარი უთხარი, რადგან ექვსი წელი მოედანზე საერთოდ არ ვიყავი გასული, მაგრამ ნატამამ კატეგორიულად მომთხოვა — ითამაშეო და საბოლოოდ, დამითანხმა. ცოტა ხანში, საბჭოთა კავშირიც დაიშალა და მას შემდეგ, გერმანიაში ვცხოვრობთ. სხვათა შორის, თავიდან, გერმანულ წესრიგთან მიჩვევა საკმაოდ გამიჭირდა. მასსოვს, კლუბის ბანკეტის შემდეგ, გერმანელ თანაგუნდელთან ერთად, ავტომანქანებით სახლში ვბრუნდებოდით. მას ახალი „მერსედესი“ ჰყავდა და გამისწრა. გადავწყვიტე, გერმანულს გავჯიბებოდი და მისთვის რომ მეჯობნა, „ნითულზე“ გავიარე. იგი ამ შემთხვევას დღემდე იხსენებს, რადგან გერმანელებისთვის ამის გაკეთება წარმოუდგენელია.

ახალგაზრდა რეჟისორმა, ზაზა სვანაძემ, რომელსაც სულ რამდენიმე კლიბი აქვს გადაღებული, ცნობილი ქართველი მომღერლისა და მსახიობის, ნუცა შანშიაშვილის სიმღერაზე ახალი კლიბი გადაიღო. რეჟისორიც და მომღერალიც შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილები არიან. ზაზას კლიბის გადაღების პროცესზეც ვესაუბრეთ და უახლოეს გეგმებზეც მათ შორის — სატელევიზიო პროექტებზეც, რომლებზეც 23 წლის რეჟისორი მუშაობს. რაც შეეხება ნუცას — მას ამჯერად, ახალ კლიბთან და უახლოეს გეგმებთან დაკავშირებით მოკლე კომენტარი ჩამოვართვით, რადგან მისი თაყვანისმცემლების წინაშე ჟურნალის ამავე ნომრის ფურცლებზე რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლში“ — წარდგა.



ყოველწლიური გაცემის კლიბი — უხვი სექსი, ნამოყვარელი უნდა და შინაარსით მნიშვნელოვანი მოლოდინი ქმარი

ნათია კვიციანი

— ზაზა, რატომ გადამწყვიტე, რომ კლიბშიც კი ყოველივე და არა — კინორეჟისორი?

— ევრანზე ჯერჯერობით, მსოფლიო ჩემი ორი კლიბია ნაჩვენები. ისე კი, რამდენიმე მაქვს გადაღებული და მალე, მათაც იხილავს მაყურებელი. ფილმის გადაღება კი ძვირი სიამოვნებაა, რომლის ბიუჯეტსაც ჯერ მე არ მანდობენ, რადგან ჩემსდღე, რეჟისორების მთელი თაობაა, ამიტომ არც მაქვს ამის აპიტივი.

— რომელია შენი პირველი კლიბი?

— ჩემი პირველი გალა პროექტი იყო „ხელი ხელს“, რომელიც შიდას აქციას მიეძღვნა. პირველი კლიბი კი, ოთარ ტატიშვილის სიმღერაზე — „ერთად ყოფნის დრო“ — გადავიღე. კლიბში, ტატიშვილთან ერთად, სხვა ცნობილი და უცნობი მომღერლებიც მონაწილეობენ. მეორე კლიბი აფხაზეთის თემაზე დაწერილ სიმღერაზეა გადაღებული. მასში ასევე ბევრი მომღერალი მონაწილეობს...

— ერთ შემსრულებელთან მუშაობა არ გეხერხება? ყოველთვის მომღერლებს გუნდს რატომ იწვევ?

— იმიტომ, რომ ამან გაამართლა. ჩემთვის ეს არავის უსწავლელია. საერთოდ, არავინ თქვას, რომ საქართველოში საპროდიუსერო სკოლა არსებობს. შოუბიზნესი არსად არ ისწავლება, ყველაფერი მსოფლიო გამოცდილებასა და პრაქტიკაზე დამოკიდებული. თავის დროზე, ქეთი მერკვილაძე

საკმაოდ პოპულარული იყო, მაგრამ ერთხელ ჩავარდა და ხალხმა უცებ დაივიწყა. ყოველთვის ასე ხდება: თუ მომღერალს ერთხელ ფეხი გადაუბრუნდა, მორჩა... მომღერალმა ყველა ნაბიჯი უნდა აკონტროლოს, უნდა განსაზღვროს, ვის დონეზეა მისი შემოქმედება გათვლილი — ჩოხატაურიდან ჩამოსულ ახალგაზრდებზე თუ რესტორანში მოქეიფე, ლიპიან ბიძებზე...

— ახლა, შენს ბოლო ნამუშევარს დაფურცლდით. ვინ იდგა იყო, რომ ნუცა შანშიაშვილის კლიბი მაინცდამაინც შენ გადაგვლო?

— გასული წლის ოქტომბერში ჩემმა მსახიობმა მეგობარმა, თავო აბაშიძემ ნუცა გამაცნო. თავად გამოვთქვი სურვილი, რომ მისი კლიბი გადაემელო, ისიც დამთანხმდა. სიმღერაც შევარჩიეთ, მაგრამ მეორე დღეს დამირეკა და ბოდიში მომიხადა — სასწრაფოდ მოსკოვში უნდა წავიდე, რაღაც კონცერტზე უნდა გამოვიდო. გული კი დამწყდა, მაგრამ რაღას ვიზამდი. ამ რამდენიმე დღის წინ, ნუცამ თვითონ დამირეკა და მითხრა, კლიბი გადავიღოთო. ყველაფერი ექსპრომტად მოხდა, რადგან არც სცენარი მქონდა დანერგილი და აღარც ის სიმღერა მასხოვდა. დავგემეთ და წავიდეთ დავით-გარეჯის უდაბნოში. სამიველი ამინდი იყო და შეგვემინდა, ქარბორბალა არ ამოვარდნილიყო. მაინც დავინყეთ გადაღება. ნუცი ხუმრობდა — ორივე, „ნაგლი“ ადამიანები ვართ და ამინდს არ ვემორჩილებითო. საბედნიეროდ, გავიმართლა: ღრუბელი მალე გაიფანტა და კარგი ამინდი გამოვიდა. ძნელი იყო ამ გადაღების ჩაშლა, 15-კაციანი ჯგუფს როდისღა მოვაგროვებდი?! მე ნუცისგან კლიბის საფასურად, ერთი თეთრიც არ ამიღია და ეს პრობლემა არ არის, რადგან მიღირს მისი კლიბის რეჟისორობა. როგორც შემოქმედს, მას დიდ პატივს ვცემ. ის არა მხოლოდ კარგი მომღერალი, არამედ კარგი მსახიობიცაა. მისთვის ერთი შენიშვნაც კი არ მი-

მიცია, ყოველთვის თვითონ ხვდებოდა, როდის რა უნდა გაეკეთებინა. ხმამაღლა ვაღიარებ, რომ რაც აქამდე გადამიღია, ყველა იმ კლიბში დიდი ხარვეზები მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ კლიბების გადაღებას კვირებს ვანდომებდი, ნუცის კლიბი კი სულ 4 საათში გადავიღე და მისით კმაყოფილი ვარ. უკვე ვნახე გადაღებული მასალა და მომეწონა. რა თქმა უნდა, ის სპეცეფექტ-



რაც შეეხება მილას — ის ქართველია, დამწყები მომღერალია და მას სამოგადოება ჯერ არ იცნობს

ბით საცხე არ არის, სადა და უბრალოა, მაგრამ ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ნუცის „ბრჭყვიალა“ კლიბი არც მოუხდებოდა. იმედი მაქვს, რომ ეს კლიბი გაჰიტდება.

— კლიბის შინაარსს ხომ ვერ მოგიყვები ორივე სიტყვით?

— ნუცი უდაბნოში სტაფილოსფერ შეზღონებზე წეფს და საკუთარ თავთან, დროში მოგზაურობს: იხსენებს, რომ რაც ადრე სიყვარული ჰქონია, ის მხოლოდ უხეში სექსი და ვნება იყო და არა ნამდვილი გრძნობა. ამის გამო ნერვიულობს... კლიბი საინტერესოდ მთავრდება: ნუცი საწოლზე წეფს და იძინებს, მისი ახალგაზრდობა კი უდაბნოს შორეულ გზაზე მიდის... ამით იმის თქმა გვინდა, რომ ახალგაზრდობა წარმავალია... ამ კლიბზე მუშაობა ერთ კვირაში დასრულდება და გეგმავთ, რომ მისი პრემიერა „იმედის“ არხზე შედგეს.

— ვინ არიან ის მსახიობები, რომლებიც კლიბში ინტიმურ სცენას თამაშობენ?



არა მგონია, ცუდი კადრები იყოს. ორი შეყვარებული ახალგაზრდა უბრალოდ, ერთმანეთს ეფერება და კოცნის

ყველაფერი სპონტანურად მოხდა: სცენარი იქვე დაფიქსირდა და ძალიან მეშინოდა, რომ რამე არ ჩაგვეშლოდა



— ჩემი მეგობარი — პაატა გოგია და მოცეკვავე — სონია. პაატა პროფესიით კინომცოდნეა, თეატრალური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული და კამერასთან ურთიერთობა არ გასჭირვებია. ძალიან კარგად ითამაშა. როგორც უკვე აღვნიშნე, ყველაფერი სპონტანურად მოხდა: სცენარი იქვე დაფიქსირდა და ძალიან მეშინოდა, რომ რამე არ ჩაგვეშლოდა. ნუცის გრაფიკიდან გამოდინარე მოხდა, რომ ეს ყველაფერი ფართხაფურთხით გადაკეთეთ.

— მსახიობებს არ გაუპროტესტებიათ ეროტიკული სცენის თამაში?

— არა. თავიდან, „ლია“ სცენებიც გვინდოდა — სონიას ტანსაცმელი უნდა გაეხადა, მაგრამ მერე შევკვცევით... არც ერთ მახერს არ გაუპროტესტებია, არაჩვეულებრივად ითამაშეს კოცნის სცენა.

— როგორც შევიტყვევებ, ეროტიკული კლიპის გადაღებასაც აპირებ... ვინ არის მილა?

— მილა — ფსევდონიმი. ჯერჯერობით, იმ გოგონას ვინაობას ვერ გავამხილ. შეიძლება, ეს კლიპი არ გავაკეთო, რადგან სულ სხვა რამეს ვგეგმავ. რაც შეეხება მილას — ის ქართველია, დამწყები მომღერალია და მას საზოგადოება ჯერ არ იცნობს.

— რატომ გადაწყვიტე მისთვის კლიპის გადაღება? კარგად მღერის თუ „კარგად იხდის“?

— ორივეს საუკეთესოდ გააკეთებდა... სხვათა შორის, მას კლასიკური განათლება აქვს მიღებული — საოპერო მომღერალია.

— ნუცას კლიპშიც გაქვს ეროტიკული კადრები და მილასთანაც მსგავსი რაღაცის გაკეთებას აპირებ. შენ ფიქრობ, რომ ასეთი კლიპები უფრო პოპულარულს გაგხდის?

— მართლა ასე ფიქრობ. ასეთი კლიპით, არაკომერციული მომღერალი შეიძლება, კომერციულად აქციო.

— როგორც ვიცი, ტელეკომპანია „202“-ზე ახალი გადაცემების მომზადებას აპირებ.

— მართალია, სულ ახლახან „202“-ის ეკრანზე „ეს-ემ-ეს კინოფესტივალი“ დაიწყო, სადაც, 2000 წლიდან დღემდე რაც კი მოკლემეტრაჟიანი სტუდენტური ფილმები გადაღებულია, ყველას ვუჩვენებთ. მერე, სტუდიაში მოდიან ამ ფილმების ავტორები, უურნაღისებრი და სხვა ადამიანები და თითოეულ ფილმს პირდაპირ ეთერში შეფასებას აძლევენ. ამ გადაცემაში ჩემი ერთი ფილმიც იქნება ნაჩვენები, რომელიც აბორტისა და ცოლ-ქმარს შორის ღალატის პრობლემას ეხება. ცოლის როლს „თეატრალური სარდაფის“ მსახიობი, თავი აბამიძე, ხოლო ქმარს — ალექო ტომარაძე თამაშობენ. თავის პერსონაჟს ქმარი ღალატობს და ის ფილ-

მის ბოლოს, შიდასი ინფიცირდება. ფილმში სექსუალური სცენაა. ვნახოთ, მაყურებელი ამ ყველაფერს როგორ შეაფასებს.

— როგორც ვიცი, კიდევ ერთი ახალი პროექტის განხორციელებას გეგმავ

— მართალია. ეს იქნება ქართული კლიპების „მინუს-ათეული“, სადაც, რა თქმა უნდა, ყველაზე ცუდი კლიპებს,

ეს-ემ-ეს-ების მეშვეობით, მაყურებელი გამოავლენს. ამ გადაცემის ნამყვანად, „თვით კოტე“ მოგვევლინება. პირადად მე, ბევრი „მინუს-კლიპი“ მაქვს ნანახი. ეს გადაცემა „202“-ის ეთერში ალბათ, ძალიან მალე გავა.

ზაზასთან საუბრის შემდეგ, გადაწყვიტე, ნუცა შანშიაშვილის მოკლე კომენტარიც ჩაგვეწერა. მას ტელეფონით დაუკავშირდი.

— ნუცა, რატომ გადაწყვიტე, რომ მინცდამინც ზაზა ყოფილიყო შენი ახალი კლიპის რეჟისორი?

— იმიტომ, რომ ზაზა ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდაა. ვიდრე კლიპის გადაღებას გადაწყვეტიდი, მასზე ყველაფერი შევიტყვევებ და გავარკვიე, რომ არა მხოლოდ ნიჭიერი, არამედ არაჩვეულებრივი ადამიანიც ყოფილა. მისი ნამუშევრებიც ვნახე, მომეწონა და მხოლოდ ამის შემდეგ დავინყეთ ჩემი კლიპის გადაღება. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კარგი გამოვა.

— გადაღებული მასალა ნანახი გექნება. როგორ შთაბეჭდილება მოახდინა?

— არა, არავითარი მასალა არ მინახავს და არც ვაპირებ: მე ზაზას ვენდობი და როცა კლიპი საბოლოო სახეს მიიღებს, მხოლოდ მაშინ ვნახავ.

— კლიპში ეროტიკული სცენები რომ არის, შენ ეს არ გაგიპროტესტებია?

— არა მგონია, ცუდი კადრები იყოს. ორი შეყვარებული ახალგაზრდა უბრალოდ, ერთმანეთს ეფერება და კოცნის. აქ ბინძური არაფერია. ძალიან ლამაზი სცენებია.

— როგორც ვიცი, კიდევ რამდენიმე ახალი კლიპის გადაღებას აპირებ.

— მართალია. მაგრამ უახლოეს მომავალში, სხვადასხვა ქვეყანაში ძალზე ბევრი გასტროლი მაქვს დაგეგმილი. კიდევ რამდენიმე კლიპს აუცილებლად გადავიღებ, მაგრამ ზუსტად რომელ ქვეყანაში განხორციელდება ეს იდეა, არ ვიცი.

— სანამ თბილისში ხარ, ალბათ, ქართული მაყურებლის წინაშე კიდევ წარდგები, არა?

— რა თქმა უნდა. პირველ რიგში, კლიპის დამთავრებას ველოდები, რომ მისი პრეზენტაცია მოვანწყოთ. 24 მაისს (ნუცას წინადადებას ვესაუბრე. — ავტ.) ბუბა კიკაბიძის ვარსკვლავის გახსნაზე აუცილებლად ვუძღვრებ ბუბას. 25 მაისს კი, კინოთეატრ „ქოლდამი“ გაიმართება რეჟისორ შოთიკო კალანდაძის ახალი ფილმის პრემიერა, სადაც მთავარ როლს ვასრულებ. მოსკოვში ალბათ, 26 მაისს დავბრუნდები.

33 წლის ეთერ კაკულია ჯაბა ზოჯბუასთან სკერტომ ენა კდვილკდ ბამონასა

ახალგაზრდა მომღერალმა, ჯაბა ზოჯბუამ, რომელიც აქამდე გაზაფხული-ზაფხულის სეზონს სულ თურქეთის ქალაქების კლუბებში ატარებდა, გადაწყვიტა, რომ სამშობლოში ყოფნა ყველაფერს სჯობია და ამის გამო, წელს თურქეთს „უღალატებს“. სამაგიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ ქართული შოუბიზნესი ბევრი ვერაფრით დაიკვევინს, ჯაბა მინც არ ჩერდება და სიახლეებსაც გვთავაზობს. ასე მაგალითად, სანგრძლივი მეგობრობის საფუძველზე, გადაწყვიტა, ყველა თაობისთვის ცნობილ ქართველ მომღერალთან, ეთერ კაკულიასთან დუეტი ჩაენერა. ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ მე და ჯაბა ქალბატონ ეთერს შინ ვწვვიეთ.

ნათია ქვიციკა

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— ეთერი:

— ჯაბა თურქეთიდან ახალი ჩამოსული იყო, როცა მისი სახელი და გვარი სადღაც რამდენჯერმე გაისმა. ერთხელაც, ერთმა გოგონამ დამირეკა და მითხრა: მე ჯაბას მენეჯერი ვარ, მის კონცერტზე უნდა დაგ-



სწორედ ამის გამო მივიღე თურქეთში, რომ ცოცხა შემოსავალი მქონოდა ახლა ასე აღარ არის, ჩემი ცხოვრება შეიცვალა

ბატყოთ და მოსანვევებს მოგიტანთო. მოსანვევები რომ მომიტანა, ვითხე, ერთი მაგ ჯაბას შესახებ მითხარი — ვინ არის-მეთქი? ჯაბა ძალიან ნიჭიერია, აქამდე სულ თურქეთში მოღვაწეობდაო. მეც მეტი არაფერი მინდოდა, რადგან მისი გვარი „ა“ ასოზე მთავრდებოდა და ამის გამო, უკვე მიყვარდა. იმ კონცერტზე ცნობილ ბორია ნიფურისათან ერთად წავედი. მშვენიერი სიტუაცია დაგვხვდა. ცოტა ხანში ფარდა გაიხსნა და უამრავი ქალის ჭიბი გამოჩნდა. თურმე, ჯაბას 80 მოცეკვავე ჩამოუყვანია, რომლებიც თავიანთი ნაირ-ნაირი ჭიბებით ცეკვავდნენ. ჯაბა შაჰივით გამოაბრძანეს. გაოცებულმა ბორიამ მკითხა: კაცო, ეს მეგრელია თუ შაჰიარი? მე ვუთხარი: ალბათ, რომელიღაც მამლუქია-მეთქი... იმ საღამოსვე, ექსპრომტად, ჯაბას სიმღერით მივესალმე. იქიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა და ეს ურთიერთობა აქამდე იმიტომ გაგრძელდა, რომ ჯაბა არაჩვეულებრივი ბუნების ბიჭია, ეს კი, ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამასთანავე, საოცრად შრომისმოყვარე და ენერგიულია. ასეთი ენერგია ერთი ნაპოლეონს ჰქონდა და მეორე ჯაბას აქვს.

— **ჯაბა, შენ რატომ გადამწყობტ რომ ქალბატონი ეთერ, რომელსაც ჯერ არ იცნობდი, კონცერტზე მიგწვია?**

— სანამ მას პირადად გავიცნობდი, მისი შემოქმედება მომწონდა. ამასთანავე, გვყავდა ბევრი საერთო ნაცნობი, რომლებიც ეთოსთან ახლოს იყვნენ და მასზე იმდენ რამეს მიყვებოდნენ, რომ მათი მშურდა კიდევ. ყოველთვის მქონდა მისი გაცნობის სურვილი. სწორედ ამიტომ მოვიწვიე ჩემს კონცერტზე და მას ჩემი არც ერთი კონცერტი არ გამოუტოვებია. ეს სტუმრობა იმიტომ იყო კარგი, რომ ბატონი ბორიაც გავიცანი, რომელიც მოგვიანებით სამეგრელოში ჩატარებული ფესტივალის ორგანიზატორი იყო და ამ ფესტივალზე მეც მიმინვია, თუმცა, ამ მინვლის მიზეზს მოგვიანებით მივხვდი. მას უწილოდა, რომ იქ მოცეკვავეებიც წამეყვანა...

თქვენი:

— რას ლაპარაკობ, ბორიას ოღონდ ქალის ჭიბი დაენახა და მაშინვე ტირილს იწყებდა. გიყვებოდა ქალეზე.

ჯაბა:

— ამას მაშინ მივხვდი, როცა იქ ჩასულს მითხრა, ფესტივალზე მეგრულ პოპურის იმღერებო. არ უხდება ამ სიმღერას მოცეკვავე გოგონები-მეთქი, ვუთხარი. ნუ ნერვიულობ, ეგ გოგონები სხვა სიმღერაზე იცეკვებენო.

თქვენი:

— ვაიმე, რადგან ამ თემას შევეხეთ, ბორიაზე კიდევ ერთ ამბავს მოყვები. ერთხელ მე და ნანა ფაჩუაშვილი მასთან სტუმრად მივედით. ერთ ნუთს დაიხლოდეთ და ახლავე დაებრუნდებიო — გვითხრა და მეორე ოთახში გავიდა. გასვლისთანავე დაიყვირა — „აღე, ჰოა!“ და კარადის თავიდან ექვსი ლილიპუტი ჩამოხტა. მაშინვე გული წამივიდა, ცუდად გავხდი.

— **ახლა თქვენს ახალ დუეტსაც შევეხოთ. როდის გადამწყობტო, რომ სცენაზე ერთად გამოუსულიყავით?**

ჯაბა:

— ადრე, ჩემს კონცერტზე მე და ეთომ



მე და ჯაბას მრავალი მეგრული დუეტის ჩაწერა გვაქვს დაგეგმილი

ექსპრომტად შევასრულეთ „თბილისო“. მაშინვე მომეწონა ჩვენი დუეტი და გადავწყვიტე, ამისთვის სერიოზული სახე მიმეცა. ასე რომ, დუეტის ჩაწერის იდეა დიდი ხანია არსებობს, მაგრამ მხოლოდ ახლა განვახორციელებთ.

თქვენი:

— ეს არის „დიდოუ ნანა“, რომელიც იმდენად ლამაზი სიმღერაა, რომ შეიძლება ადამიანი ატირდეს კიდევ. ჩაწერის დანაშაბამდე გწერეულობდი, რადგან ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ არის შენი პარტნიორი. ჯაბასთან არასოდეს მიმღერია და ამიტომ ველავდი, როგორ გაართმევი ის თავს ამ ყველაფერს. არაჩვეულებრივად იმღერა. თურმე, საკმაოდ ლამაზი ხმის ტემბრი ჰქონია. ამის გამო, ძალიან თბილი სიმღერა გამოვიდა.

ჯაბა:

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნამუშევარი ყველა თაობის ადამიანს მოეწონება, რადგან მეგრული სიმღერები ხალხს მოსწონს.

— **როგორც ვიცე, თქვენ რაღაც ერთობლივი პროექტის განხორციელებასაც აპირებთ.**

ჯაბა:

— მართალია, მაგრამ ამაზე წინასწარ ლაპარაკი არ მინდა. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ სიმღერას აუცილებლად ლაზურ რადიოში გავუშვებთ, ამასთანავე, მე და ეთოს გვექნება ტურნე — ჯერ სამეგრელოს ყველა მხარეს მოვივლით და მერე თურქეთშიც წავალთ, რადგან თურქები მეგრულ სიმღერებზე გიყვებიან.

თქვენი:

— როცა ვფიქრობ, რომ სამეგრელოში უნდა ჩავიდეთ, გული მიფრთხილებს. ისინი ჩვენი პირველი შემფასებლები იქნებიან. მე და ჯაბას მრავალი მეგრული დუეტის ჩაწერა გვაქვს დაგეგმილი. შესაბამისად, ჩვენს ერთობლივ მეგრული სიმღერების ალბომსაც გამოვცემთ, მაგრამ ეს მომავლის საკითხია. ახლა ჯერჯერობით ამ ალბომზე მუშაობა მიმდინარეობს. სია მაქვს ჩამოწერილი, თუ რა სიმღერები უნდა ჩაწეროთ. დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს მეგრული სიმღერა ლაზებს ვუწღერო, რადგან ფაქტობრივად, მეგრული და ლაზური ერთი და იგივეა, ოდნავი განსხვავებით.

ჯაბა:

— ამ სიმღერაზე აუცილებლად კლიპ-

საც გადავიღებთ. რა თქმა უნდა, გადაღებები სამეგრელოში გაიმართება, თუმცა, ჯერ არ ვიცით, ვინ იქნება კლიპის რეჟისორი, რადგან ვეძებთ ისეთ ადამიანს, რომელსაც სამეგრელო ძალიან უყვარს. კარგი იქნება, თუ მას მეგრული სისხლიც ექნება, რადგან როცა სამეგრელოზე მღერი ან კლიპს იღებ, ან სხვა რაიმეს აკეთებ, აუცილებელია, გულში რაღაც მეგრული გიფრთხილებდეს. ამ სიმღერასაც განა სხვა ვერ იმღერებდა, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ მეგრული სისხლის გამო, ჩვენ ეს უფრო სხვანაირად გამოგვიდის... ყოველ წელს, თურქეთის ქალაქ ხოფამი გამართულ ფესტივალზე ჩავდიოდით. თურქულ სიმღერებზე არ მქონია ისეთი ტაში, როგორც „განდაგანაზე“. იმის შემდეგ მივხვდი, რომ მათ ქართული სიმღერა, განსაკუთრებით, მეგრული, ძალიან მოსწონთ. ერთმა თურქმა „დიდოუ ნანა“ იმღერა და მეორე დღეს, მისი ალბომი მთელ თურქეთში საერთოდ აღარ იშოვებოდა. ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ ისინი ჩვენი სიმღერით აღფრთოვანდებიან. შესაბამისად, გარდა სამეგრელოსი, მე და ეთოს თურქეთშიც გვექნება ტურნე...

— **ჯაბა, აქამდე მთელ განაფსულსა და ზაფსულს თურქეთში ატარებდით, სადაც სხვადასხვა კლუბში გამოდიოდით. წელს, ამ მიზნით თურქეთში გამგზავრებას ალარ აპირებ?**

— არა. აქამდე საქართველოში არც მცირე ბიზნესი მქონია და ვერც საკუთარ საღამოებს ვმართავდი სწორედ. ამის გამო მივდიოდი თურქეთში, რომ ცოტა შემოსავალი მქონოდა. ახლა ასე აღარ არის, ჩემი ცხოვრება შეიცვალა. რა თანხასაც თურქეთში ვშოულობდი, თითქმის იმდენივეს უკვე საქართველოშიც ვაკეთებ, ამიტომ მირჩენია, ჩემს სამშობლოში ვიყო. თურქეთს მხოლოდ ხანმოკლე ტურნეით თუ ვესტუმრებ.

— **ქალბატონო ეთერ, გარდა იმისა, რომ თქვენი თაობის ადამიანებთან მეგობრობთ, თქვენზე გაცილებით უმცროსებსაც კარგად უგებთ და ისინიც თქვენს მეგობრებად მიიჩნევიან...**

— მე მხოლოდ 33 წლის ვარ, ხომ მართალია?!

— **რა თქმა უნდა, მაგაზე როგორ შეგეკამათებით?!**

— (იცინის) იცით, რაშია საქმე? მე თვითონ ვარ ახალგაზრდული ბუნების ადამიანი და ამის გამო ვუგებ მათ კარგად. სწორედ ამიტომ მყავს ჩემზე გაცილებით უმცროსი მეგობრები. ზოგჯერ, ახალგაზრდებს მე რაღაც სტიმულსაც კი ვაძლევ.

ჯაბა:

— ასაკზე არ ვილაპარაკებ, მაგრამ ეთერის თაობის მომღერლები აღარ ჩანან, არავინ იცის, ისინი არსებობენ თუ არა და სად არიან. ეთერს კი ყველა იცნობს და მისი დანახვა ყველას უხარია, უღიმინა.

თქვენი:

— ძალიან მიყვარს ახალგაზრდები. როგორ შეიძლება, რომ მათ არ შევეწყო?! ხან მე ვუნწყობ მათ ხასიათს, ხან ისინი გადმოწყავს ჩემს ქვუაზე. ჯაბაც ჩემი ახლო და კარგი მეგობარია...



ნათია ქვიციანი

— თავდაპირველად, ცოტა რამ შენ შესახებ გვიამბე.

— 22 წლის ვარ. პროფესია არ მაქვს, უბრალოდ, ცოტა ხანს, ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, ფერწერის განხრით ვსწავლობდი. ჩემით ვისწავლე დასარტყამ ინსტრუმენტზე, გიტარასა და პიანინოზე დაკვრა. ამჟამად არ ვმუშაობ. დავიბადე და გავიზარდე თბილისში. აქამდე, ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდი. მიწოდდა ეს ერთფეროვნება შემეცვალა და ამიტომ გადაწყვიტე, „ჯეობარში“ შეთანხმე.

— ამ ყველაფერს საფუძვლად ალბათ, ისიც ედო, რომ პოპულარობის მოპოვება გასურდა, არა?

— რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მიზეზი ეგეც იყო. პოპულარობა ყველა ადამიანს სურს და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ ძირითადი მიზეზი, მაინც 35.000-ის მოგება იყო...

— რომ მოგეგო, რაში გამოიყენებდი იმ ფულს?

— ჩემი პირადი მიზნების მისაღწევად. არ ვიტრაბახებ, რომ ბავშვთა სახლს გადავუბრუნებდი ან პატიმრებს მივუტანდი და ა.შ. როგორც საჭიროდ მივიჩნევდი, ისე გამოვიყენებდი. გარკვეული თანხით მიწოდდა, ინსტრუმენტი მეყიდა, რომელიც ერთ-ერთ მაღაზიაში ვნახე და მაგრად მომეწონა. სამწუხაროდ, ამ სურვილს ველ-არ ავისრულე.

— „ჯეობარში“ თამაში რთული იყო?

— საკმაოდ რთული იყო, რადგან იქ დიდი ფსიქოლოგიური სტრესი და დაძაბულობა სუფევდა. სიმართლე რომ გითხრა, იქ ყოფნა გამიჭირდა — დახურულ სივრცეში ხარ, ამასთან, შენი საყვარელი ადამიანები გენატრება და ამას მოთამაშებთან უთანხმოებაც ემატება.

— მოთამაშებთან რატომღაც, ყველაზე ხშირად შენ გქონდა უთანხმოება. კონფლიქტური ადამიანი ხარ?

— არა, „ნეიტრალური“. საერთოდ, სიმართლის მოყვარული და

მესამე კვირაა, რაც რეალური შოუ „ჯეობარი-2“ დაიწყო და უკვე ტელემაყურებლის ინტერესი გამოიწვია. გასული კვირის ერთ-ერთი მინუს-კანდიდატი (უკვე მეორედ), ნუგზარ ბადოევი აღმოჩნდა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს, პროექტი დატოვა კიდეც. მან შესვედრა რუსთაველის ძეგლთან დამინიშნა და ინტერვიუც იქვე ჩავენერეთ, თუმცა ხელი გვეშლებოდა, რადგან ამ დროს, უამრავი ადამიანი მოდიოდა — ზოგი ავტოგრაფს სთხოვდა ნუგოს, ზოგი ხუჭუჭა თმას უსინჯავდა ხელით, ზოგს კი, მასთან სურათის გადაღება სურდა... რატომ ჰქონდა მას ბარში მუდმივი კონფლიქტი და რას ვერ აპატიებს თამუნას? ამის შესახებ, წარმოშობით ქურთი და სოლოლაკში დაბადებულ-გაზრდილი ნუგზარ ბადოევი გვიყვება.

რეტომ ევიწროებდეს ნუგოს თემუნას?..

„ქაღას ჯერ ზრტ ერთ რეჯეურ შოუში ზრ გჟემრჯვი“

მიმტვებელი ვარ, მაგრამ როცა ადამიანისგან უპატივცემულობას ვგრძნობ, გაჩუმება არ შემიძლია და პროტესტს გამოვხატავ ხოლმე.

— პირველი კონფლიქტი ჩელესთან გქონდა...

— ჩელე ჩემი სულიერი ძმაა. ჩვენ „ჯეობარამდე“ ვიცნობდით ერთმანეთს. პატარა უთანხმოება გვექონდა, მაგრამ ამის გამო, მისთვის მინუსი არ დამინერია, თუმცა კი ამის საბაბი მქონდა. ის ცუდი ადამიანი არ არის, მაგრამ არ ვიცი, რა მოუვიდა, რატომ მითხრა — მეზიზღებო. ძალზე მგრძობიარე ვარ. მიწადა, ისევე მომეცნენ, როგორც მე ვეცევი სხვას. შეიძლება, ჩელემ იხუმრა, მაგრამ ყოველი ხუმრობის მიღმა რაღაც იმალება. მე კი გავიგებდი მის ამ სიტყვას, მაგრამ მაყურებელი დაიბნეოდა. მან მე დამამცირა... მიუხედავად ამ კონფლიქტისა, ჩემი და ჩელეს მეგობრობა გრძელდება და მზად ვარ, ყველა მათგანს (თამუნას გარდა), მეგობრობის ხელი გავუწოდო.

— თამუნას რას ვერ აპატიებ?

— ძალიან მხიარული და ცოცხალი ადამიანი ვარ. მიყვარს ხუმრობა. თამუნა კი, დივანზე კრუხივით, 60 წლის ბებერი ქალივით ჯდება, თითქოს დიდი გაჭირვება ჰქონდეს (ცხოვრებაში გადატანილი, თან ჭორაობს. იქ ჩვენ ყველანი ერთმანეთზე ვიყავით დამოკიდებული. არც ჩემზე მეტი იყო ვინმე და არც — ნაკლები. თამუნა ძალიან მავინრობდა. ხუმრობას მიშლი-

და. ლამის ისიც მითხრა — ნუ სუნთქავო. მას არანაირი მორალური უფლება არ ჰქონდა, ჩემთვის რაღაც დაეშალა. შესაძლოა, ეს მისი ერთგვარი ტაქტიკა იყო. ამასთანავე, გოგოსთვის დამახასიათებელი სისუფთავის გრძობა არ ჰქონდა. რამდენჯერ დავრეცხე ჭურჭელი, მან კი ეს არ დააფასა, მითხრა — ვინ გთხოვა ჭურჭლის დარეცხვაო?! მაღლობის თქმა არ იყო საჭირო, მაგრამ არც ეს უნდა ეთქვა... ერთხელ, ბიჭების ოთახში შემოვიდა და კვერცხების სროლა დამიწყო. ეს ფაქტი მესიამოვნა კიდეც, ვიფიქრე, გამოცოცხლდა-მეთქი და მეც დავუნყე კვერცხების სროლა. მას კი, თურმე, ამის გამო აგრესია გაუჩნდა. ყველაზე მეტად ის ვერ ავიტანე, ჩემი ოჯახის წევრებს რომ შეეხო. ამას მართლა ვერ ვაპატიებ. მიმტვებელი კი ვარ, მაგრამ ამდენს ვერ დავთმობ. მეც გრძელი ენა მაქვს და ვიგინები კიდეც, მაგრამ მიუხედავად ამისა, თამუნასთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია და არც მისი ოჯახის წევრებს შევებებია.

— ორი კვირაა, რაც „ჯეობარი“ დაიწყო და ორივეჯერ მინუს-კანდიდატი იყავი. რატომ მოხდა ასე?

— არც ერთ რეალურ შოუში ჯერ ქალს არ გაუმარჯვია. „ჯეობარის“ გოგონებს კი უნდოდათ, რომ ცვლილება შეეტანათ და ამ შემთხვევაში მაინც ყოფილიყო გამარჯვებული სუსტი სქესი. ამის გამო, ისინი ბიჭებს იშორებენ. მეორე მიზეზი ის არის, რომ მე ყველაზე მეტად,



თვას ვემეგობრებოდი, რადგან ის მართლა ყველაზე კარგი ადამიანია. ალბათ, ამის გამოც გაუჩნდათ ჩემ მიმართ სიძულვილი. ჩემი მინუსკანდიდატობა იმანაც განაპირობა, რომ თავს არავის დავაჩაგვრინებ, სამართლიანი ვარ და უპასუხოდ არავის ვტოვებ. ქალი ფიქრობს, რომ ბიჭმა აუცილებლად ყველაფერი უნდა აპატიოს. ასე სულაც არ არის. რატომ უნდა ვაპატიო?! ქალი თუ ბევრს არ ტლიკინებს და თავმდაბალია, იმან

თავზე რაღაც რომ დამამსხვრიოს — ვაპ-
ატივებ, მაგრამ უზრდელ ქალებს ვერ ვი-
ტან.

— **თაზომ პროექტი ერთი კვირის
შემდეგ, საკუთარი სურვილით და-
ტოვია. როგორ შეაფასებ მის
საქციელს?**

— თაზოს საქციელს ორი მხარე აქვს
— დადებითიც და უარყოფითიც. უარყო-
ფითი ის არის, რომ თუ სათამაშოდ
მოდიოდი, ბოლომდე უნდა ყოფილიყავი.
ხალხმა შენი ერთფეროვანი ცხოვრება შეცვ-
ალა და შენ იმ ხალხს, ფაქტობრივად, ლალა-
ტობ და შინ მიდიხარ. დადებითი კი ის
არის, რომ ამ ადამიანმა თავისუფლების
სიყვარული გამოამჟღავნა და გვიჩვენა, რომ
მართლა შემოქმედი ადამიანია და იქაურ
სიტუაციას ვერ შეეჩვია. ვერც მე შემიგუა,
რადგან მეც ხელოვანი, მაგრამ აბსოლუ-
ტურად განსხვავებული ადამიანი ვარ. თუმ-

**მაყურებლის პატივისცემა
ნამდვილად დავიმსახურე**



ცა, მასთან აუცილებლად ვიშეგობრებ.

— **რამდენიმე დღეა, რაც ბარ-
იდან გამოხვედი. როგორ ფიქრობ
— პოპულარული გახდი?**


— მაყურებლის პატივისცემა ნამდვილად
დავიმსახურე. საკმაოდ ბევრი გულშემბატ-
კივარი მყავს და რატომღაც, მათი 70% —
ბავშვია. ეს მიკვირს, მაგრამ სასიამოვნოა,
ბავშვებს ასე რომ ვუყვარვარ, რადგან ვიცი,
რომ მათი გული და ინტუიცია არასოდეს
ცდება. თანაც, ისინი მეც ძალიან მიყვარს.

— **შენი აზრით, ვინ გახდება
„ჯეობარის“ გამარჯვებული?**

— ნამდვილად არ ვიცი. იმედი მაქვს,
ამ თამაშის სათავეში ბიჭები ჩადგებიან,
თუმცა შეიძლება ყველაფერი გოგონებ-
ის სასარგებლოდაც წარიმართოს. ძალიან
მინდა, რომ თეამ გაიმარჯვოს და შესა-
ბამისად, 35.000-ც მოიგოს...

როგორც ყველასთვის ცნობილია, თბილისში, 24 მაისს, სახელგანთქმუ-
ლი ქართველი მომღერლისა და მსახიობის, ვასტანგ კიკაბიძის ვარსკვლავი
გაიხსნა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ფილარმონიაში მისი სოლო კონცერ-
ტიც გაიმართა. ბატონ ვასტანგს, ინტერვიუსთვის კონცერტის წინადაღეს,
ფილარმონიაში შევხვდით.

სუს თიანჯიკი საქართველოში ვარსკვლავის ხსენას ან ჯოჯა



„ასე დაულაყვად ვშრომობ, აბა, ისე ვინ მაქმევს ჰურს?!“

ნათია ქვიციანი

— **ბატონო ბუბა, ხვალ თქვენ
ვარსკვლავი იხსნება. როგორი განწ-
ყობილება გაქვთ?**

— 1999 წელს, ჩემი ვარსკვლავი მოსკ-
ოვში გაიხსნა და მაშინ ისე ვინერვიულე,
რომ კინალამ გული გამისკდა, მაგრამ თქვენ
წარმოიდგინეთ, ახლა უფრო მეტად ვწერ-
იულობ, რადგან საქართველო სიმღერის
ქვეყანაა და თითოეული ქართველი, თუნ-
დაც ის გაუნათლებელი იყოს, ხელოვნების
ამ დარგში კარგად ერკვევა. თუმცა, დარ-
წმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად
იქნება, რადგან მე პროფესიონალი ვარ და
ამ საქმის გარდა, სხვა არაფერი მიკეთე-
ბია. არც კი ვიცოდი, თუ საქართველოში
ჩემი ვარსკვლავის გახსნას აპირებდნენ.
ჩემთვის მოულოდნელი იყო, როცა
მთავრობის წარმომადგენლებმა დამირეკეს
და ეს ამბავი შემატყობინეს.

— **კონცერტის დროს, სცენაზე
თქვენს ორდენებს გამოიტანენ. თი-
თოეული მათგანი ალბათ სხვადასხ-
ვა დროს დაიმსახურეთ...**

— მართალია. მაქვს ღირსების ორდე-
ნი, გორგასლის სახელობის ორდენი, ვარ
ორგზის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი — ორივე მათგანი
ფილმებში მონაწილეობისთვის მივიღე.
კიდევ ერთი უცნაური ჯილდო მაქვს, ეს
არის მესამე სახელმწიფო პრემია, რომელ-
იც „კაგებემ“, საბჭოთა კავშირის მტრის
როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის
მომანიჭა. ასევე, მაქვს ოქროს ვარსკვლავი,
რომელიც რუსეთმა ხელოვნებაში შეტა-
ნილი წვლილისთვის დამაჯილდოვა. იმამ
შამილის ოქროს საერთაშორისო მედა-
ლი კი, დაღესტანში გადმომიცეს. სხვათა

შორის, ეს მედალი ჯერ არც ერთ პოლი-
ტიკოსს არ მიუღია. მე კი, ის კავკასიური
ხალხების კულტურაში შეტანილი ღვაწლ-
ისათვის გადმომიცეს. ორი საერთაშორისო,
ძალიან უჩვეულო მედალიც მაქვს — ერთი,
ნიკოლოზ სასნაულმოქმედის ორდენია,
რომელიც კიევში მივიღე. ეს საეკლესიო
ორდენია და მხოლოდ სამ ადამიანს — მე,
დედა ტერეზას და უკრაინის მიტროპოლიტ
ვლადიმირს გვაქვს მიღებული, ხოლო მეო-
რე — უძველესი ორდენია, რომელიც 322
წელს ჩამოყალიბდა მსოფლიოში და
რომელსაც წმინდა კონსტანტინე დიდის
რაინდული ჯვარი ჰქვია. ეს ორდენი
პირველად პეტრე პირველს მიანიჭეს. კიდევ
ბევრი რაღაც მაქვს, მაგრამ სცენაზე აღარ
დაუტია (იციინს) მიუხედავად ამდენი ჯილ-
დოსი, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი თბი-
ლისში გახსნილი ვარსკვლავი იქნება, რად-
გან, როცა ამ ქვეყნიდან წავალ და აღარ
ვიქნები, შეიძლება იქ ჩემი ან თქვენი შვილ-
თაშვილის შვილი მივიდეს, ჩემი სახელი
და გვარი წაიკითხოს და გაიგოს, რომ
ვიღაც ვასტანგს რაღაც უმღერია და ამის
გამო, მას ვარსკვლავი გაუხსნეს. ეს რამ-
დენს ნიშნავს, იცი?...
— **როგორც ვიცი, მოსკოვიდან
სტუმრები უნდა ჩამოსულიყვნენ...**

— მართალია, მაგრამ მათი ჩამოყვანა
გადავიფიქრე. ჩემ გარდა, კონცერტზე
მხოლოდ ორი, ჩემი უსაყვარლესი მომღ-
ერალი — მერაბ სეფაშვილი და თემურ
თათარაშვილი იმღერებენ.

— **თქვენი მოსკოვური ცხოვ-
რების შესახებაც მიაბზეთ...**

— მოსკოვში, ფაქტობრივად, არ ვცხ-
ოვრობ. იქ სახლიც კი არ მაქვს — სას-
ტუმროში ვწერდები ხოლმე. უბრალოდ,
იქიდან ვმოძრაობ. მაგალითად, ამ ცოტა

ხნის წინ, რიგაში მქონდა გასტროლები. იმის გამო, რომ თბილისიდან იქ თვითმფრინავის რეისი არ არსებობს, მოსკოვიდან გადავფრინდი, მერე ყაზახეთში გადავინაცვლე, ბოლოს კი, სოჭში გავემართე კონცერტი... ივლისის ბოლომდე აქ ვიქნები, მერე მოსკოვში გავემგზავრები, სადაც ჩემი რამდენიმე კონცერტია დაგეგმილი. იქიდან კი, აგვისტოში კანადაში მაქვს გასტროლი. ასე დაუღალავად ვმრომობ, აბა, ისე ვინ მაჭყევეს პურს?!

— ამ ბოლო დროს, არც ერთ ახალ ფილმში არ გამოჩენილხარ. რა არის ამის მიზეზი?

— მოსკოვში მ ფილმში მონაწილეობა შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან ყველა მათგანი სერიული იყო. მე კი, სერიალებს ვერ ვიტან, რადგან ისინი ძირითადად პოლიციელებზე, მესავეებსა და ყაჩაღებზეა. მხატვრულ ფილმში მონაწილეობას თუ შემომთავაზებენ, აუცილებლად დავთანხმდები. აბა, ქართულ ფილმს აღარავინ იღებს და ქართველები რას შემომთავაზებენ?!

— ადრე, რეჟისურაშიც სცადდო



ბედი. ხომ არ აპირებთ, რაიმე ფილმი თავად გადაიღოთ?

— ბედი რეჟისურაშიც ვცაადე და სცენარისტობაშიც. პირველივე სურათისთვის გრან-პრი დავიმსახურე. პირველი ფილმი „იცოცხლე, გენაცვალე“ იყო, ხოლო მეორე — „მამაკაცები და სხვები“. ორივე ფილმი ჩემი სცენარის მიხედვით (მოსკოვის დაკვეთით, რადგან ქართველებმა არ მოაწერეს ხელი) გადავიღე. მერე რალაც პერიოდი, ეს საქმე აღარ მაინტერესებდა, მაგრამ ახლა ისევ რალაცამ შემანუხა და კიდევ ერთი სცენარი დავწერე, რომლის ყიდვაც უცხოელებს უნდოდათ, მაგრამ არ მივეცი. ის სცენარი ქართველებზეა დაწერილი და რატომ უნდა გადაიღონ სხვებმა?! მაგრამ ჩვენთან ამით არავინ დაინტერესებულა, ეტყობა, კარგი ფილმის გადაღება არ უნდათ. ეს დიდი სირცხვილია, რადგან ქართული კინემატოგრაფი ყოველთვის საერთაშორისო დონეზე იყო. ჩვენ ყველაზე კარგი — ლვინო, კინო, ქალები (სხვათა შორის, ვაჟებიც) და ფოლკლორი გვექონდა. ამათგან, ახლა ყველაზე ცუდ დღეში ვართ.

ხალიკო ბერბერი ერთხლიანი უაქოქაქალებითი ჰაუხის უაქაქა



დიზაინერ ხალიკო ბერბერს თითქმის ერთი წელია, ჩვენება არ გაუმართავს და შესაბამისად, პოდიუმზე არც მაყურებელს უნახავს და შეუფასებია მისი ნამუშევრები. ამიტომაც, იმ დღეს, კლუბ „ბერიკონის“ დარბაზი დაინტერესებული ადამიანებით შეივსო. მათ შორის ქართული ბომინდის წარმომადგენლებიც იყვნენ: ია ფარულავა, აჩიკო მეფარიძე, თემურ თათარაშვილი, ხათუნა ყორდანიძე მეუღლესთან ერთად, ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“. აქა-იქ პოლიტიკოსებიც შევნიშნეთ. ჩვენება 10 საათზე იყო დაიწყო, მაგრამ ქართული ტრადიციული „პუნქტუალურობის“ წყალობით, ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო.

ხალიკო ბერბერის კოლექციის — „გაზაფხულ-ზაფხული-2006“ — ჩვენების გახსნა მოდელ ნინო ორდენიძეს ხვდა წილად. მან ჩვეული ენერჯიულობით გაიარა-გამოიარა პოდიუმზე და ერთგვარად „ცეცხლიც დაანთო“. ჩვენებაში ქართველ მოდელ გოგონებთან ერთად, ვაჟებიც მონაწილეობდნენ.

ხალიკო ბერბერი:

— ზამთრის სამოსის წარმოდგენაც მინდოდა, მაგრამ ვერ მოხერხდა. ამიტომ, ჩვენება სეზონური გამოგვივიდა. სულ 60-მდე კოსტიუმი წარმოვადგინე.

— ჩვენებაზე შენ მიერ შექმნილი აქსესუარებიც შევნიშნეთ.

— კი, მოდელებს ქაშკაშები, საყურეები, სამაჯურები ვეუთათ, რომლებიც სამოსთან ერთად წარმოვადგინე. მალე, ცალკე ჩვენებას ვაპირებ, რადგან უკვე საკმაოდ დამიგროვდა ახალი ნამუშევრები. ასევე გავმართავ საცურაო კოსტიუმების ჩვენებასაც.

სალამო კონცერტით დასრულდა. მღეროდნენ: თემურ თათარაშვილი, ჯგუფი „სთეისი“, ნინო ქარსელაძე, „ქუჩის ბიჭები“, დათო ძიძიგური. მაია კვიციანი ბომბური სიმღერები შესრულა. კონცერტი ის-ის იყო, უნდა დასრულებულიყო, რომ დარბაზში „განიე-გამაკვე“ გაჩაღდა. მიზეზი ვერავინ გაიგო, თუ რატომ ურტყამდა ორი კაცი ერთმანეთს. ამას ჰქვია „ქართული ფეშენი ტრადიციული ქართული ფინალით“...

ხალიკო ბერბერის კოლექცია — „გაზაფხულ-ზაფხული-2006“



ზამთრის სამოსის წარმოდგენაც მინდოდა, მაგრამ ვერ მოხერხდა

საჩუქარი ქართული „ზიგ-ზენდისთვის“ და ახალგაზრდა კარსკლავები

თბილისის მუნიციპალური ორკესტრის — „ზიგ-ზენდის“ (ხელმძღვანელი გივი გაჩეჩილაძე) შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლეა: მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურმა, ორკესტრისთვის ახალი ინსტრუმენტების შექმნის მიზნით, შარშან ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში ცნობილმა კომპანია „იამაჰამ“ გაიმარჯვა. მერიამ ორკესტრს ინსტრუმენტები უკვე გადასცა. „ზიგ-ზენდი“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, განახლებული ინსტრუმენტებითა და ახალი პროგრამით ხვდება. 26 მაისისთვის, ფილარმონიის დიდ დარბაზში „ზიგ-ზენდის“ კონცერტი დაიგეგმა, რომელშიც ახალგაზრდა შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას. ბოლო ორი კვირის განმავლობაში, სცენაზე გამოსასვლელად ემზადებოდნენ ახალგაზრდა მომღერლები: ნინი შერმადინი, სოფო კუჭავა, გიორგი შარაბიძე, სოფო ხალვაში, ლადო ჯანელიძე, საკო სუხიშვილი, ირინა ონაშვილი, ელენე ფოჩხუა, დათო არჩვაძე, თაკო გაჩეჩილაძე, ძმები გულიაშვილები და ბორის ბედიას. ასევე დიდ სამზადისში იყო ცნობილი მომღერალი — მაია ბარათაშვილი.

კონცერტის რეჟისორი ბაკურ ბაკურაძეა, მუსიკალური ხელმძღვანელი — ნუცა ჯანელიძე, მენეჯერი მაკა მალაქაიძე.



ნინი ქარსკლავის „პატარა საიდუმლო“



აჩიკო მეუკრიკა პეროკაში კლინიკის ფუნქციონალზე ვიღის

ლაშა ცერიაშვილის მიერ გადაღებული კლიპი — „მშვიდობით“, რომლის მთავარი პერსონაჟი აჩიკო მეფარიძეა, ორი წლის განმავლობაში ქართულ პიტაქსებში პირველ ადგილს იკავებდა. ცოტა ხნის წინ კი, მომღერალმა შეიტყო, რომ ეს კლიპი ევროპის ქვეყნების ვიდეორგოლების პირველი ფესტივალის პროგრამაში შეიტანეს. ამიტომ, ის ივნისის დასაწყისში, ალბანეთში, კერძოდ, ქალაქ ტირანაში მიემგზავრება, სადაც დაახლოებით ორმოცი ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბებიან.



პროექტი — „ასას“ და მკურნალების ოვაციები

ილიკო სუხიშვილის ძალზე პოპულარული პროექტი „ასას“ სუხიშვილების ანსამბლმა უკვე



არაერთ ქვეყანაში წარმოადგინა. თავიდან, ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, თითქოს უჭირდა „ფოლკოთეკასთან“ შეგუება — ქართული საკლუბო ცეკვა სად გაგონილაო?! მაგრამ „ასას“ ყოველი კონცერტი ყველგან ტაშის გრი-ალითა და ოვაციებით სრულდებოდა. „სითი ქლავის“ ხელმძღვანელმა — თაკო დოლაბერიძემ პროექტი „ასას“ მიწვევაც სცადა. სუხიშვილების ანსამბლმა პროექტი აღნიშნულ კლუბში ჩვეული ოსტატობით წარმოადგინა და ტრადიციისამებრ, საღამო ოვაციებით დასრულდა.

რუბრიკა მონამბლა
ლალი შატიაშ



მომღერალი ნინი ქარსელაძე რეჟისორმა მაკა ბურდულაძემ (ლადო და ბაკურ ბურდულაძის და) მოკლემეტრაჟიან ფილმში გადაიღო. რეჟისორი მოსკოვში მოღვაწეობს. თბილისში მორიგი ჩამოსვლისას, მას ერთ-ერთ ტელეარხზე ნინი ქარსელაძის კლიპი უნახავს. იმ პერიოდში თურმე ფილმისთვის პერსონაჟს ეძებდა და არჩევანი ნინიზე შეუჩერებია.

ფილმს „პატარა საიდუმლო“ ჰქვია და თინეიჯერების სიყვარულზე მოგვითხრობს. პრეზენტაცია ცოტა ხნის წინ, კინოს სახლში გაიმართა. ნინი ქარსელაძე ამბობს, რომ ფილმის გადაღებაში პირველად მონაწილეობდა და ძალზე კმაყოფილია. მას თინეიჯერი შეყვარებული გოგონას როლი ერგო, ცხოვრებაში კი, თურმე, შეყვარებული არ არის... ამჟამად, ნინი ახალი სიმღერის ჩანერას აპირებს, რომელიც რუსა მორჩილაძემ დაუწერა. ამავე დროს, მეცხრეკლასელი მომღერალი საგამოცდო ციემცხელებისთვის ემზადება.

რუსულან პერიოდი

(დასაწყისი იხ. გზა №42-20)


ახალგაზრდა ექიმის, ლანა მესხისა და ბიზნესმენ ლევან ქართველიშვილის ურთიერთობა საკმაოდ რთულად ვითარდება. ლანას ბებიის გარდაცვალების შემდეგ, ისინი გარკვეულ ხანს, რაჭაში, სოფელში დაყოფენ. ლანას დედა, თამარი აღმაცერად უყურებს ლევანს: ის ქვრივია, 6 წლის ქალიშვილი ჰყავს...

ერთხელ, მათ სტუმრად ვინმე ნიკოლოზ დვალი გამოეცხადებათ, რომელიც თვალს არ აშორებს ლანას. როგორც შემდგომ გაირკვევა, ის კარგად იცნობს ლევანს. ქალიშვილთან დაახლოებას კი, იმის გამოცდილობს, რომ ლანას ბებიის, ქეთოს მიერ დატოვებული რაღაც განძეული ხელში ჩაგდება სურს. დვალი ლანას ემუქრება კიდევ: თუ ლევანს გაჰყვები ცოლად, მის შვილს კარგი დღე არ ელისო... ცოტა ხანში, ლანა თბილისში ბრუნდება და იმ ნოტარიუსს ეწვევა, რომელთანაც ქეთოს, დაღუპული წერილი დაუტოვებია.

ამ წერილით ქეთო შვილიშვილს აუწყებს, რომ ბანკში ანდერძი აქვს ჩაბარებული და იმასაც ჩამოუთვლის, თუ მისი მოკრძალებული ქონებიდან, კონკრეტულად ვის რა შესვდა...

ნოტარიუსისგან გამოსულ ლანას, გზაში ლევანი წამოეწევა. ამ მოულოდნელი შეხვედრით დაბნეული ქალიშვილი ლევანს შინ წაჰყვება, სადაც წყვილი რამდენიმე ბედნიერ საათს გაატარებს. თუმცა მოგვიანებით, წყვილს უსიამოვნება მოუვა. შესარიგებულად მისულ ლევანს, ლანა თავიდან, გაცოფებული დახვდება, მაგრამ მერე, ცოტა მოღბება და მის არგუმენტებსაც შედარებით მშვიდად მოისმენს. მოულოდნელად, მას ახალდაქორწინებული თინიკო და ლაშა მიადგებიან კარზე. თინიკო მეგობარს უცნაურ ამბავს აუწყებს: გივი გიგაური ისევ თავის ფირმაში გვეპატიუებო, — რაზეც ლანას ცივი უარს მიიღებს.

ხელობასთან ერთად ლანას ბებია მთავარ საგვარეულო განძს — ლალისთვლიან ძვირად ღირებულ ბეჭედსაც დაუტოვებს, რომელიც მათი შორეული წინაპრისთვის ერთერთ ქართველ მეფეს უბოძებია. ლანა საბოლოოდ რწმუნდება, რომ ნი-



კოლოზ დვალის მთავარი მიზანი სწორედ ამ ბეჭდის ხელში ჩაგდებაა და ამიტომ, მისგან თავის დახსნას ყველანაირად ცდილობს...

მაგრამ ამასობაში, დვალი ლევანის ბავშვს გაიტაცებს, ლანას კი ულტიმატუმს წაუყენებს: თუ ჩემს ნებას არ დაჰყვები, მამა-შვილი ერთმანეთს ვეღარ ნახავსო. ლანა იძულებულია, მოძალადის ულტიმატუმი მიიღოს და ლევანს, ახლობლების თანდასწრებით გამოუცხადოს, რომ ცოლად შენ კი არა, ნიკოლოზ დვალს მივყვებიო...

ლანას სიტყვები ყველას შოკში ჩააგდებს. საყვარელი ქალის გადანყვებულებით შეურაცხყოფილი ლევანი კი იქაურობას დემონსტრაციულად ტოვებს. შექმნილ დრამატულ სიტუაციას თინიკოს და ლაშას გამოჩენა ოდნავ განმუხტავს. თინიკო ლანას გივი გიგაურის დაბატიმრების ამბავს შეატყობინებს, შევიქრანებული ლაშა კი იმასაც დასძენს, რომ ამის გამო, შეიძლება, შენ საქმეც ხელახლა დააბრუნონ წარმოებაშიო...

ორმოცის შემდეგ ლანა და თინიკო ცოტა ხნით სოფელში რჩებიან. თინიკო უშედეგოდ ცდილობს, ლანას მისი უცნაური გადანყვებულების ნამდვილი მიზეზი ათქმევინოს. ახალგაზრდა ქალებთან სტუმრად მისული იონა კი, თინიკოს დაამშვიდებს: ლანა და ნიკოლოზი არასოდეს დაქორწინდებიანო.

— მერე რაო, ბებიჩემის ორუფლმა, რა მინდაო? — თინიკოს დაფეთებული სახის მიუხედავად, სიცილი მაინც ვერ შეიკავა ლანამ.

— ჩემგან — არაფერი! — ლანას დაცინვა იწყინა თინიკომ. — შენ გეძახის.

— მაშინ, გაწვინავ თავს და გახვდავ, აბა, რა ვქნა?! — ფეხზე წამოდგა ლანა. —

ნეტავ, მართლა, ვის გავახსენდი? — თავისთვის ჩაილაპარაკა მან შემდეგ.

— თალიკო ბებია იქნება, — აუხსნა იონამ. — ნელან მკითხა შენი ამბავი.

— გამახსენე ერთი, თალიკო ბებია რომელია? — დაინტერესდა ლანა.

— ქეთო ბებიისგან „კაი თავის“ წამალი რომ მიჰქონდა ხოლმე, ის.

— ა-ა, — უმალ მიხვდა ლანა. — ისე, რალაციო მართლა ჰყავს ბებიჩემს, ხომ იცი?! — მიუბრუნდა ის თინიკოს. — თუმცა, აქ ყველა მოხუცი ერთმანეთს ჰყავს...

— ე, გოგო, გახვდე იმ ქალს და მერე იფილოსოფოსე! — მოთმინების ძაფი გაუწყდა თინიკოს. — ხომ შეიძლება, ლოდინი მოსწყინდეს და წავიდეს!

— ნუ ლელავ, არ წავა, — დაამშვიდა მეგობარი ლანამ. — აქ დრო ნელა გადის და არც ლოდინი სწყინდება ვინმეს...

— ერთი მითხარი, ეს კაი თავის თუ ტანის წამალი რაღაა? — ლანას გასვლისთანავე მიუბრუნდა თინიკო იონას.

— ტანის არა, მხოლოდ თავის, — შეუსწორა იონამ.

— ჰო, რა, როგორც არის... — შენიშვნა დიდად არაფრად ჩააგდო თინიკომ.

— აკვნის ბავშვებს ასმევენ, რომ მაღალი სიცხის დროს, კრუნჩხვა არ დაეძარტოთ.

— ოჰო! — ყურები ცქციტა თინიკომ. — მგონი, ეგ საჩემო რაღაც უნდა იყოს!.. იცი, რომ ბავშვს ველოდები?

— მართლა? — თბილად გაელიმა იონას. — გილოცავთ.

— მოლოცვა მიღებულია, — შეიფერა თინიკომ. — აბა, თუ მიხვდები, გოგო მეყოლება თუ ბიჭი?

— ვერ მიხვდები... — თვალები დამნაშავესავით დახარა იონამ.

— ვითომ რატომ ვერ მიხვდები? — იწყინა თინიკომ. — ყველაფერი ჩანსოხითაა, ხომ?.. ლანას თუ კარგად ჩაუჭიკჭიკე, პირველი ბიჭი გეყოლებაო, ჩემმა შვილმა რაღა დაგიშავა?!

— არაფერი... — შენუხდა იონა. — უბრალოდ, მე თქვენს შვილზე არასოდეს მიფიქრია.

— მერე, ახლა დაფიქრდი, შე კაცო! — შეუძახა მას თინიკომ. — თუ ფიქრშიც ფულს იღებთ შენ და შენისთანები?

— მე ფულს საერთოდ არაფერში ვიღებ... — ნაწყენი მზერა ესროლა თინიკომ იონას.

— ისე, თვალები მართლაც, „საკაიფო“ გქონია, ხომ იცი?..

— ქეთო ბებიაც იშვიათად იღებდა წამალში ფულს... — თინიკოს უადგილო კომპლიმენტისთვის ყურადღება არ მიუქცევია იონას. — თქვენი შვილი კი...

— ჩემს შვილს თვითონ მოუხუხრებ რამეს, — გაანწყვტინა თინიკომ. — შენ კი, მითხარი, ლანას ვისგან ეყოლება შვილი, ის თუ იცი?

— ვიცი... — უხალისოდ უპასუხა იონამ.

— შემთხვევით, ლევანისგან ხომ არა? — მაინც არ მოეშვა თინიკო, რაზეც იონამ მხოლოდ თავის დაქნევით უპასუხა.

— ვაშა! — ხელები ჰაერში სიხარულ-ლით შეათამაშა თინიკომ, შემდეგ, იონას ეცა და შინაურულად გადახეხია. — იცი, როგორ გამახარე?... ახლავ დაფურეკავ ლევანს!

— ჯერ ლევანს ნურაფერს ეტყვი... — თინიკოს მკლავებს ძლივს დააღწია თავი დამორცხვებულმა იონამ.

— აბა, იმას ველოდო, ლანას მუცელი ნიკაპამდე როდის აუვა?! — გაუკვირდა თინიკოს.

— არა, მხოლოდ რამდენიმე დღე დაველოდო.

— კარგი, ბატონო, დაველოდო, — უხალისოდ დაუთანხმა თინიკო. — მაგრამ არ მესმის, სამა დღემ რა უნდა შეცვალოს?

ის იყო, იონამ პასუხის გაცემა დააპირა, რომ უეცრად, ოთახის კარი ხმაურით გაიღო და ლანა ხელჯოხზე დაყრდნობილ მოხუც ქალს შემოუძღვა:

— მობრძანდით, თალიკო ბებია, დაბრძანდით...

მოხუცის დანახვაზე, თინიკო და იონა უმალ ფეხზე წამოდგნენ.

— ისხედით, შვილუკეებო, ისხედით, — ლანას მიერ შეთავაზებულ სკამზე თავად წვალებით ჩამოჯდა სტუმარი და ხელჯოხის ტარზე დაკოჟირილი ხელები ჩამოანყო. — რავა გიკითხოთ?

— გმადლობთ, არა გვიშავს, — მკვირცხლად უპასუხა თინიკომ.

— არა გვიშავს კი არა, კარქათ ვართ-თქვა! — შეუსწორა მას მოხუცმა.

— მაშინ, მთლად სტამბოლის კაჟივით ვართ, თალიკო ბებია, აბა! — სტუმრის პათოსს სწრაფად აჰყვა თინიკო. — თავად როგორ გიკითხოთ?... სოფელში რა ამბებია?

— სოფელს რა უჭირს, მე ვიკითხო, უპატრონოთ რო ვარ მიგდებული... შვილები და შვილიშვილები ქალაქიდან ველარაფრით ჩამოვიტყუე... ერთი ქეთოლა იყო ჩემი ხმის გამცემი და ისიც სიკვდილმა

წამართვა... — თვალზე ცრემლი მოადგა მოხუცს.

— აბა, აბა, თალიკო ბებია! — შეუძახა მას თინიკომ. — ეგეთები არ იყოს! შვილიშვილები თუ ვერ იცლიან თქვენთვის, ჩვენ აგერ არ ვართ?!

— შენ გიშველოს, შვილო, ღმერთმა! — გულთ დალოცა თინიკო სტუმარმა და შემდეგ, ლანას მიუბრუნდა: — ეს რა კარქი ბოშუნა ამოგიყვანია...

— კარგი კი არა, საუკეთესო!.. ჩემნაირი მეგობარი ლანას მეორე არ ჰყავს, — კვლავ გაიღეჭა თინიკო.

— ჰოდა, მეც იმიტომ მოგართვი კარქი მოსაკითხი, — თავი მოინწონა მოხუცმა და ლანას მიუბრუნდა: — რა უყავი, ბოშო, ნელან რომ კალათი გამომართვი?

— გარეთ დავდგი, აივანზე, — უპასუხა ლანამ.

— გარეთ რავა დატოვე, შე ქალო?! — შეიცხადა თალიკომ. — კატა არ მიეპაროს და არ დევიღუპოთ... იცი, რავარი „ბოხჩურებია“ შიდ?

— რა არისო? — გაკვირვებით შეხედა თინიკომ ლანას.

— ოთხკუთხედი ხაჭაპურები, — „უთარგმნა“ ლანამ.

— რას არ გაიგებს კაცი! — მხრები გაკვირვებით აიჩეჩა თინიკომ. — ნელან — კარგი თავის თუ ტანის წამალიო, ახლა — ბოხჩები და ყავარჯნებიო... — თალიკოს ხელჯოხს თვალი ეშმაკურად ააყოლ-ჩააყოლა თინიკომ.

— სხვათა შორის, სწორად მივხვდი. „ბოხჩური“ — სიტყვა „ბოხჩიდან“ მოდის. — განუმარტა მას ლანამ.

— მოკლედ, ძან მაგრები ხართ, რა, ეს რაჭველები! — თავისას არ იშლიდა თინიკო.

— თვითონ სადოური ხარ, ბოშო? — დაინტერესდა თალიკო.

— მე-ე? — წამით დაფიქრდა თინიკო და თან, ლანას აღმაცერად გახედა. — თბილისელი ვარ, — არცთუ ისე დამა-

ჯერებლად დაუმატა მან შემდეგ.

— თბილისელი კი არა, კიდევ ის!.. — ეცა თინიკოს ლანა. — თბილისელი მარტო ხოხობი იყო. ადამიანები კი, ზოგი — საიდან და ზოგიც — საიდან, გოდრით არიან იქ ჩაყვანილები... შენი წინაპარი ალბათ, მთლად სამეგრელოს ტყიდან იქნებოდა გამოვარდნილი...

— რალა მაინცდამაინც ტყიდან?! — ინწყინა თინიკომ. — მეგრელებს რა, სახლკარი არ გვაქვს, თუ კოსტა ეზოები?!

— ხედავ, როგორ აჭიკჭიკდა?! — გაელიმა ლანას. — როგორ უცბად უყივლა სისხლმა!.. აკი, უბრალოდ, თბილისელი კი არა — ძირძველი ვერელი ვარო?! — მიუბრუნდა ის თინიკოს და თან, კალათიდან ხაჭაპურების ამოლაგება დაიწყო.

— არ იცი, რომ?! — ერთ გვერდმოტეხილ ხაჭაპურს მეორე გვერდი წაატეხა თინიკომ და მაშინვე გემრიელად ჩაკვიჩა.

— ეგ ბოხჩური, შვილო, არგასახარებელი ნიკოლოზა დვალი შემეხვდა გზაში და იმან მოიტეხა, — თავის მართლუბასავით დაიწყო თალიკომ. — ცეცხლი ჩავიდა იმის პირში! — ნათქვამს ზედ გულიანი წყევლაც მიაყოლა მან შემდეგ.

მოხუცის სიტყვებზე, თინიკოს კინალამ ლუკმა გადასცდა და ხველა აუტყდა.

— ალალი, შვილო, ალალი! — კიდევ უფრო შეწუხდა თალიკო. — იმ დასამინებლისთვის დამენანა ჩემი წაწვალა-წამრომი, თუ არა, შენ ღმერთმა შეგარგოს — რამდენიც გაგებარდება, იმდენი მიირთვი.

— გმადლობთ, თალიკო ბებია, — სული ძლივს მოითქვა თინიკომ. — კინალამ მართლა არ დამახარაო იმ კაცის სხენებამ?!

— კაცი კი არა, უსსენებელია, შვილო! — გაცხარდა თალიკო. — აქეთ რომ გადმოვუხვიე, საიდანღაც ეშმაკივით არ გადმომიხტა?! თალიკო ბებია, მაგ კალათში რა გაქვსო? — შენთვის, ჯანდაბის ცეცხლი-თქვა, — ქე მინდოდა თქმა, მარა შემეშინდა... ისე, ჩემი ხნის ქალს ვილასი უნდა ეშინოდეს, მაგრამ იმ უჯვიო რო ვხედავ, მანც მუხლები მიკანკალებს... კიდო კაი, თბილისში მიეთროდა და ერთი-ორი დღეუკა მანც დავისვენებოთ იმის ავი თვალისგან...

— ნამდვილად თბილისში წავიდა? — ჩაეძია მოხუცს თინიკო.

— კი, შვილო, თვითონ მითხრა: თბილისში მივდივარ და ერთი-ორი ბოხჩური გამატანეო, მარა რომ გეიგო, ლანაუკას მოსაკითხი იყო, მარტო პატარა წეიტეხა, ჩაჯდა მანქანაში და წვეთარა...

— შემთხვევით, ლანასთან მოვიტხვა ხომ არ დაგაპარათ? — ფრთხილად შეაპარა მოხუცს თინიკომ, თან, ხაჭაპურის ახალი ნაჭერი მოიმარჯვა, მაგრამ მაშინვე ლანას ბრაზიანი მზერაც დაიჭირა და ხაჭაპურიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა: — რას მომშტერებხარ? — მაინც იქით ეცა ის დაქალს. — ვითომ არ იცი, რომ ვერევი-ულობ, მთლად ჭამად ვიქცევი ხოლმე?!

პასუხად, ლანამ მხოლოდ ხელი ჩაიქნია... თალიკოს წასვლის შემდეგ, პირველმა ლანამ დაარღვია დუმილი:



— ნელან დვალზე რა უნდა გეტქვა? — მიუბრუნდა ის მთელი ამ ხნის მანძილზე მაგიდასთან უსიტყვოდ მჯდარ იონას.

დვალის სსენებაზე, თინიკო ფხზე წამოხტა:

— ჩემი გარეთ გასვლის დროა, ხომ? — ალმაცერად გადახედა მან იონას. — იქნებ, ამჯერად მაინც მოვახერხო სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა.

— დვალი ამ დილით იყო ჩემთან... — თინიკოს სიტყვებისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, ისე დაიწყო იონამ.

— მერე? — მაგიდას მაშინვე საქმიანად მიუჯდა თინიკო. — რა გითხრა?

— ბეჭედზე მელაპარაკა.

— რომელ ბეჭედზე? — ვერ მიუხვდა თინიკო.

— ლანამ იცის, რომელზეც... — ლანას ერთი გადახედა და შემდეგ, თავი დამნაშავესავით დახარა იონამ.

— თუ ორივემ იცით, მაშინ იქნებ, როგორმე მეც „გამანათლოთ“! — ხმაში გაღიზიანება დაეტყო თინიკოს.

— მერე აგისხნი ყველაფერს, — შეაჩერა მეგობარი ლანამ და ისევ იონას მიუბრუნდა: — დვალს მაინც რა აინტერესებდა?

— უნდოდა გაეგო, მე თუ მქონდა ის ბეჭედი ნანახი.

— მერე?... დაუკმაყოფილე ინტერესი?

— არა. ვუთხარი, რომ ქეთო ბებიას ხელზე არასდროს, არანაირი ბეჭედი არ მინახავს-მეთქი...

— სინამდვილეში როგორღაა საქმე?

— სინამდვილეში ძალიან ბევრჯერ მაქვს ნანახი... ქეთო ბებია რომელიმე წამლის შეზავებას რომ ინყებდა, ყველანიარ ლითონის ნივთს იცილებდა, მათ შორის, იმ ბეჭედსაც იხსნიდა ყელიდან...

— ყელიდან თუ ხელიდან, ბიჭო? — გაანყვეტინა იონას თინიკომ.

— ყელიდან, — მშვიდად უპასუხა იონამ, თან, ლანას გვერდულად გახედა.

— გადამრევს ეს ხალხი! — გაცხარდა თინიკო. — ყელზე ბეჭედი რანაირად უნდა გაიკეთო?

— თინიკო, ძალიან გთხოვ... — ჩაერია საუბარში ლანა. — ხომ გითხარი, ყველაფერს მერე აგისხნი-მეთქი!

— კარგი, ბატონო, — დაეთანხმა მას თინიკო. — თუ ეს გაღიზიანებს, ხმას საერთოდ აღარ ამოვიღებ... ისე, ამას სჯობდა, ისევე გარეთ გაგეგდე... — მაინც ბოლმიანად დააყოლა მან ბოლოს, მაგრამ ლანამ მის სიტყვებს ყური აღარ ათხოვა, ყელიდან ტყავის ნაზი თასმა მოიხსნა, მასზე შებმული ნივთი წამით მუჭში მოიქცია, შემდეგ გაშალა და მის ხელისგულზე უმაღლესი ამაზუსი ბეჭედი აელვარდა.

— ეს ბეჭედი გაქვს ნანახი? — ჰკითხა ლანამ იონას.

— კი, — ბეჭედს ერთი დახედა და ისევ დახარა თავი იონამ.

— ის თუ იცი, რა ბეჭედი?

— ქეთო ბებია მითხრა, ჩვენი საგვარეულო ნივთიაო. მაგრამ რადგან დვალი მასზე ასე ნადირობს, ვხვდები, რომ ძალიან ძვირფასიც უნდა იყოს...

— აბა, ერთი, მეც მაჩვენე! — ლანას ბეჭედი გამოართვა და მაშინვე თითზე წამოიკცა თინიკო. — მგონი, ნამდვილი ლალი უნდა იყოს, ხომ იცი?! — გაოცება ველარ დაფარა მან.

— მგონი კი არა, ნამდვილად, — უპასუხა ლანამ მეგობარს, შემდეგ, ბეჭედი გამოართვა და იონას გაუწოდა: — მოდი, ეს ბეჭედი დროებით შენთან იყოს.

— გაგიუდი, გოგო?! — შეიცხადა თინიკომ.

— არა, რას ამბობ?! — იუარა იონამაც. — არ მინდოდა თქმა, მაგრამ თავიდან, დვალმა ამ ბეჭდის მოპარვა სწორედ მე დამავალა... — დამნაშავესავით მოიკუნტა ის შემდეგ.

— ახვარი! დამპალი! ღორი!.. — ლამის ყველა ცუდი სიტყვა ერთბაშად მოადგა პირზე ლანას. — გამოდის, რომ მაინც არ მენდობა!..

— შენც თქვი რაღა!.. — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია თინიკომ. — ეგეთებმა საერთოდ იცანი კი, ნდობა და ერთგულება რა არის?!

— ღმერთმა არც აცოდინოს! — კბილებში ავად გამოცრა ლანამ, შემდეგ ისევ იონას მიუბრუნდა და ბეჭედი ხელში ძალით ჩაუდო: — შენ ეს სადმე საგულდაგულოდ გადამაღე და დანარჩენი მე ვიცი.

— კარგი, — დაეთანხმა იონა და ბეჭედიანი ხელი გამეტებით მომუშტა. — დვალს რაღა ვუთხრა? — მაინც დაინტერესდა იგი.

— უთხარი, რომ ბეჭედი ჩემს ხელზე ნახე. თუ არ დაგიჯერებს, ისიც დაუმატე, დაქალს ახარებდა! — ნახე, ებუბიანემა რა განძი დამიტოვა-თქო!..

— მე რაღას მერჩი, გოგო?! — შეიცხადა თინიკომ. — გინდა, ამ სახლიდან მეორე „ტრუპიც“ გაიტანონ?..

— უშნოდ ნუ ხუმრობ, რა! — შეუღრინა მას ლანამ.

— ისე, მართლა საინტერესოა, ასე შორიდან რატომ გივლის? — სასწრაფოდ დასერიოზულდა თინიკო. — მოვიდეს და თვითონ წამოგიყენოს პირობა.

— მანამდე, ჩემი პირობა აქვს შესასრულებელი.

— რა პირობა?

— მკაცრად გავაფრთხილე — ცოტა ხანს ახლოს არ გამეკარო-მეთქი.

— დვალი ის კაცი არ არის, ვინმეს თხოვნა შეასრულოს, — მეგობრების საუბარში ჩაერია იონა.

— აბა, რა ხდება? — დაინტერესდა თინიკო. — მართლა, რა შორიდან გვივლის? — საკუთარი თავი ახლა თვითონ „გაიყვანა საქმეში“ თინიკომ.

— ბეჭდის მოპარვაზე რომ ვერ დამითანხმა, — განაგრძო იონამ. — მაშინვე ახალ ხრიკს მიმართა: ლანასთან მიდი და ვითომ დიდი გულშემატკივარი იყო, უთხარი, დვალმა ბებიაუნის ბეჭდის ამბავი იცის და თუ თან გაქვს წაოლებული, სასწრაფოდ სადმე გადამალო... — ისე, სულ არ გეშინია, დვალს ჩვენი თან ასე მონდომებით რომ „უშვებ“? — მაინც არ მოისვენა თინიკომ.

— არა, — მოკლედ მოუჭრა მას იონამ. — რატომ?.. დავიჯერო, არ დაგემუქრა?

— დამემუქრა, — აღიარა იონამ.

— დამპალი! — კიდევ ერთხელ გაცოცხდა ლანა. — რა გითხრა, მოგკლავო?

— არა, — როგორც იქნა, თავი ასწია და სვედიანი თვალები შეანათა იონამ ლანას. — ლანას მოგკლავო... მე კი, შენს სიკვდილს, ათჯერ რომ მომკლას, ის მირჩენია...

— ყოჩაღ! — შეაქო თინიკომ იონა. — ქალის სიყვარული და ერთგულებაც ასეთი უნდა!

— თინიკო! — თვალები გადაუბრიალა მას ლანამ და შემდეგ, ისევ იონას მიუბრუნდა:

— ერთი სიტყვით, შენ ეს ბეჭედი საიმედო ადგილზე შეინახე, დვალს კი უთხარი, ლანას ბებიას დანატოვარი ბეჭედი ყელზე, ტყავის თასმით აქვს შებმული-თქო.

ამ სიტყვების თქმისას, ლანამ ბეჭედს თასმა შეხსნა და იონას ისე გაუწოდა. შემდეგ ხელიდან დედის ნაჩუქარი ბეჭედი წაიძრო, თასმა შეაბა და ყელზე დაიკიდა.

— არა, რა, მგონი, შენ მართლა აურიე! — იონას წასვლისთანავე, ეცა თინიკო ლანას. — რა პატარა ბავშვივით იწვევ იმ ყაჩაღს?! გინდა, რომ მართლა მოგვივარდეს სახლში? თუ იმის იმედს გაქვს, რომ შენზე „უპრასავტო“ შეყვარებული ეს სანყალი ბიჭი დაგვიცავს?

— სულ ტყუილად ბობოქრობ, — მშვიდად უპასუხა ლანამ. — დვალს რომ აქ შემოვარდნა აძლევდეს ხელს, იონა კი არა, მთელი დივიზია ვერ შეუშლიდა ხელს. მაგრამ ვგრძნობ, რომ სულ სხვა ახვრობა აქვს ჩაფიქრებული.

— მაინც რა?

— ჯერ კარგად ვერ გავრკვეულვარ. თუმცა, ის კი ახლავე ცხადია, რომ იონა შეგნებულად მოგვიგზავნა. დვალმა შესანიშნავად იცის, რომ იონა მე არ მომამტყუებს და მით უმეტეს, არ მიღალატებს, ამიტომაც, თვითონვე უბიძგა, ჩემთვის მართლა ყველაფერი ისე ეთქვა, როგორც სინამდვილეში მოხდა. მაგრამ რის მიღწევას აპირებს ამით, ვერ ვხვდები.

— ლამასთვის ხომ არ დაგვერეკა და რჩევა გვეკითხა?

— ჯერ მოიცა, იქნებ, უიმისოდაც გაირკვეს რამე, — ლამას საქმის კურსში ჩაყენება არ ისურვა ლანამ.

— ისე, მართლა ასეთი ძვირფასია ის ბეჭედი თუ?.. — კვლავ მიუბრუნდა სამკაულს ცნობისმოყვარე თინიკო.

— ძალიან ძვირფასია, — უპასუხა ლანამ და ბეჭედთან დაკავშირებული ამბავი პირწმინდად გადმოულაგა.

— აი, თურმე, დვალი ასე რატომ გადაგვიცა!.. — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია თინიკომ. — მე კი, სადღაც, მაინც მესიმპათიურებოდა ის ახვარი: ქალი უყვარს და მის ხელში ჩასაგდებად ყველაფერს აკეთებს-მეთქი... იმას კი, თურმე, ერთი, თუნდაც მეფის ნაქონი, ბეჭედი ნდომებია და სხვა არაფერი... ისე, დვალის საქმე გასაგებია, მაგრამ შენ მაინც როგორ დაგი-თანხმა, ასე რით დაგემუქრა?



— ხომ შევთანხმდით, რომ ამაზე ხვალ ვილაპარაკებთ! — თავი მაინც შორს დაიჭირა ლანამ.

— ხვალამდე რაღა მომათმენინებს?! — შეიცხადა თინიკომ. — თანაც, ხომ შეიძლება, დვალმა, მიუხედავად ყველაფრისა, დღესვე „დაგვაფასოს“ და მეც ხომ მომზადებული უნდა დავხვდეთ!

— მომზადებული — რა, ხელჩართულ ბრძოლას ხომ არ უმართავ?! — გაღიზიანდა ლანა. — თანაც, ხომ გაიგონე, თალიკო ბებიაშ რომ თქვა — თბილისში მიდიოდაო?

— ჯერ ერთი, მიდიოდა კი არა — მიეთრეოდაო, — შეუხსნორდა მეგობარს თინიკომ. — თანაც, დარჩი ახლა, ერთი ბებრუცუნას ნათქვამის იმედად!.. იქნებ, თალიკოსაც სპეციალურად, შენს დასაბნევადად უთხრა, თბილისში მივდივარო და თვითონ აქვეა ჩასაფრებული და მომენტს ელოდება?..

— გეხვეწები, რა, მართლა, უაზროდ ნუ ხლართავ ამ ისედაც ჩახლართულ სიტუაციას! — გაღიზიანდა ლანა.

— მაშინ წესიერად ამიხსენი, რა ხდება? — ხმას აუწია თინიკომ. — როცა რაღაც საქმეში ისე მითრევენ, რომ ვითარებაში ბოლომდე არ მარკვევენ, მაგრად ვცოფდები და არაადეკვატური ვხდები ხოლმე. არადა, ჯერ ადეკვატური რა გიყვიც ვარ, კარგად იცი და არაადეკვატური რაღა ვიქნები!.. ასე რომ, თუ არ გინდა, რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდეს, ყველაფერი ახლავე ამიხსენი.

— ჯანდაბას, — ამოიოხრა ლანამ. — გეტყვი, თორემ, შენი ამბავი რომ ვიცი, მართლა რაღაცას გააფუჭებ. საქმე ისაა, რომ დვალი დამეშურა — თუ ყველაფერს ისე არ გააკეთებ, როგორც მე მინდა, ლევანს ბავშვს მოვუკლავო.

— რა-ა? — სკამზე მოცელილივით დაჯდა, მანამდე ფეხზე ჯიუტად მდგარი თინიკო. — ბავშვის სიცოცხლით თამაშიც შეუძლია მაგ ახვარს?! —

— როგორც ხედავ, შეუძლია... — თავი დამნაშავესავით ჩაჰკიდა ლანამ.

— მაშინ, ხომ არ ჯობდა, ის ბეჭედი მართლა მიგეჭვავებინა?! — მცირეოდენი დუმილის შემდეგ, ნერვიულად ნაოისროლა თინიკომ. — კი, მესმის, რომ საგვარეულო ნივთია, მაგრამ...

— და შენ გგონია, რომ დვალს ასე მარტივად მოვიშორებ? — გაანწყვეტინა მას ლანამ.

— სამაგიეროდ, ლევანი ხომ მოიშორე ერთი ხელის დავკრით! — გაღიზიანდა თინიკო. — და საერთოდაც, როგორ ვერ ხვდები, რომ დროა, ლევანს და ლამას ყველაფერი გავაგებინოთ. დარწმუნებული ვარ, სანამ დვალს, ვითომ გმირულად, მარტო ებრძვი, ლევანთან ურთიერთობა საბოლოოდ გაგიფუჭდება.

— მეტი როგორღა უნდა გამიფუჭდეს?! — ამოიოხრა ლანამ. — რომ მასხენდება, ჩემი საშინელი სიტყვების შემდეგ რა დაემართა, არა მგონია, ოდესმე მაპატიოს.

— გაპატიებს! — საკუთარ აზრს ბეჭედი თვითონვე დაუსვა თინიკომ. — რომ გაიგებს, ყველაფერი მისი შვილის სიცოცხლის გადასარჩენად ჩაიდინე, გაპატიებს. მთავარია, დროზე გაიგოს ყველაფერი. მოდი, ახლავე დაეურევოთ და...

— არა, არა! — ხელები გაასასვავა ლანამ. — ამ საქმეში ლევანის გარევა მაინც არ მინდა.

— რა არ გინდა, გოგო, გადირიე?! — თავდადაც, მართლა გადირია თინიკო. — ლევანი ამ საქმეში უკვე ასეც გარეულია და ისეც! ის კი არა და, უფლებაც კი აღარ გაქვს, ყველაფერი არ გააგებინო... ბოლოს და ბოლოს, მთავარი საფრთხე ხომ მის შვილს ემუქრება!.. ხომ შეიძლება, შენ შემთხვევით, რაღაც შეგეშალოს, ყველაფერი ისე ვერ გააკეთო, როგორც დვალმა გიბრძანა ან მომავალში გიბრძანებს და ლევანის შვილს მართლა რაღაც დამართოს, მერე რაღას იზამ?

— არ ვიცი, არ ვიცი... — თავი აკანკალბულ ხელებში ჩარგო ლანამ.

— სამაგიეროდ, მე ვიცი, — მაგიდიდან საკუთარი მობილური ტელეფონი აიღო და ნომრის აკრება დაიწყო თინიკომ. — ახლავე ლამას დაეურევა და ვთხოვ, ლევანს პირადად აუხსნას ყველაფერი.

ლანას თინიკოსთვის ხელი აღარ შეუშლია, მაგრამ ლამამ თინიკოს ზარს არა და არ უპასუხა.

— ჯანდაბას! — აპარატი მაგიდაზე მოისროლა თინიკომ. — როცა გჭირდება, ეს კაცი ხომ არასდროს გამოგადგება!.. რა ეშმაკად უდევს ტელეფონი ჯიბეში, თუ მუდმივად გათიშული აქვს?!. ან იმდენი როგორ ვერ უნდა მოიფიქროს, რომ აქეთ

დამირეკოს და მომიკითხოს?!

სანამ თინიკო ბობოქრობდა, მისი არა, მაგრამ ლანას მობილური ტელეფონი მართლა ანკრიალდა.

— მიდი, უპასუხე! იქნებ, თავად დვალმა დაგვაფასა და ისიც გიბრძანოს, ახლა რა უნდა გააკეთო! — ქმარზე გაბრაზებულმა, მეგობარიც აღარ დაინდო თინიკომ.

— გეხვეწები, ცოტა სწით მაინც გაჩუმდი! — სთხოვა ლანამ, შემდეგ აპარატი აიღო, მაგრამ მასზე დაფიქსირებული ნომერი ვერ იცნო და ამიტომაც, ყურმილში ცოტა შეფიქრიანებულმა ჩასძახა: — გისმენთ...

— ქალბატონი ლანა ბრძანდებით? — გაისმა ყურმილში მამაკაცის სასიამოვნო ხმა.

— დიას... — ხმა აშკარად ეცნო ლანას.

— მაშინ, მე კიდევ, ბატონი დავითი ვბრძანდები... — მხიარულად არიოხროდა მამაკაცი.

— რომელი ბატონი დავითი? — მაინც ვერ მიუხვდა მას ლანა.

— არჩვამე, ბოშო, არჩვამე!.. ასე უცბად როგორ დაგავინყდა შენი უფროსი მეგობარი და მასწავლებელი?! — ხმაში საყვედური გამოუჩინა მამაკაცმა.

— მასწავლებელი?.. — წამით კიდევ ჩაფიქრდა ლანა და უმაღლ სახე გაუნათდა: — ბატონი დავით, მართლა თქვენ ხართ?!

— არა, ტყუილად! გეგონა, თავი დამალნიე და ველარ მოგანებდი?

— არა, რას ბრძანებთ?! — შენუხდა ლანა. — უბრალოდ, ჯერ ისევ საზღვარგარეთ მეგონეთ.

— ვერ მოგართევს! — ნიშნი მოუგო დავითმა. — უკვე საბოლოოდ ჩამოვედი, რაჭამდეც ამოვედი და შენი დახმარებაც მჭირდება.

— ჩემი დახმარება? — გაუკვირდა ლანა. — რაში?

— ყანა მაქვს გასათოხნი და იმში... — ისევ მხიარულად არიოხროდა დავითი. — რაში უნდა დამჭირდეს, ბოშო, შენი დახმარება?! დაგავინყდა, რომ ექიმი ხარ?

— სიმართლე გითხრათ, კინალამ მართლა დაბავინყდა... — აღიარა ლანამ.

— ჰოდა, მეც ავდგები და გაგახსენებ. ხომ იცი, რაჭაში საერთოდ, რისთვისაც მეძახიან ხოლმე?.. თანაც, ამჯერად, ოთხი არცთუ ისე მარტივი ოპერაცია გვაქვს მე და შენ გასაკეთებელი. ასე რომ, სასწრაფოდ რაიონში უნდა ჩამოხვიდე!

— ჩამოსვლით კი ჩამოვალ, ბატონო დავით, მაგრამ... — სათქმელი ველარ დაასრულა ლანამ.

— შენ ჯერ ჩამოდი და დანარჩენი მერე ვნახოთ.

— მაგრამ მე რომ აქ მარტო არ ვარ?!

— რა იყო, ხომ არ გათხოვდი, ბოშო?

— დაინტერესდა დავითი.

— არა, მეგობარი გოგო მყავს სტუმრად და...

— მერე რა პრობლემაა? — გაანწყვეტინა ლანას დავითმა. — ერთი კი არა, თუ გინდა, მეგობრების მთელი ჯგრო ნამოიყვანე თან.

კინემატიკა ტაისს ჯონსონს პირველ სიყვარულს აგონებს



აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, კონდოლიზა რაისს ელტონ ჯონსის სიმღერა Rocket Man პირველ სიყვარულს და ახალგაზრდობას აგონებს. ცნობილი პოლიტიკოსი ამის შესახებ ბრიტანულ გაზეთ Independent-ის 16 მაისის სპეციალურ ნომერში — Product Red წერს: გაზეთის მთავარი რედაქტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლის ბონოს (U-2 სოლისტი) თხოვნით, რაისი დათანხმდა, რომ გამოცემას მისი საყვარელი მუსიკალური ნაწარმოებების რეიტინგი გამოექვეყნებინა. კონდოლიზა რაისის საყვარელ მუსიკალურ ნაწარმოებთა ათეულში, პოპულარულ სიმღერებთან ერთად, კლასიკაც შედის. როგორც ცნობილია, სახელმწიფო მდივანს საკმაოდ საფუძვლიანი მუსიკალური განათლება აქვს მიღებული და კონცერტებში იშვიათად, მაგრამ დღემდე მონაწილეობს.

ელტონ ჯონსის უკვდავი შლაგერის გარდა, რაისის საყვარელ პოპპიტებში შევიდა: ერიკ კლაპტონის, ჯინჯერ ბეიკერისა და ჯექ ბრიუსის ხანმოკლე პროექტის — ჯგუფ Cream-ის სიმღერა Sunshine of your Love, რომელიც რაისმა „ესიდ-როკის“ ჟანრს მიაკუთვნა, არტა ფრანკლინის Respect ჯგუფის — Kool and the Gang სიმღერა Celebration და რადა თქმა უნდა, ჯგუფ U-2-ის სიმღერები, რომლის თაყვანისმცემელთა რიგებს აშშ-ის სახელმწიფო მდივანიც მიეკუთვნება. მოდესტ მუსორგსკის შედევრს — „ბორის გოდუნოვი“ — კონდოლიზა რაისი „ყველა დროის უდიდეს ოპერას“ უწოდებს. ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიას კი, ყველა დროის საუკეთესო სიმფონიად მიიჩნევს. საყვარელ მუსიკალურ ნაწარმოებთა შორის, რაისმა 3 ცნობილი საფორტეპიანო შედევრი: მოცარტის კონცერტი — რე მინორი და ბრაშის 2 ნაწარმოები — მეორე კონცერტი და საფორტეპიანო კვინტეტი — ფა მინორი დაასახელა.

ფილმში „მისიის შესტულება შექმნილია III“ ჩინეთი საკუთარ თავს ვერ ცნობს

ჩინეთის ხელისუფლებამ ფიქრობს, რომ რეჟისორ ჯეი აბრამსის ფილმში — „მისიის შესტულება შექმნილია“ ასახული შანხაი, სინამდვილეს არ შეესაბამება. გაზეთი Times იუწყება, რომ შესაძლოა, სახელმწიფო ცენზურამ გამჭირავებლეს ფილმის ხელახლა დამონტაჟება მოსთხოვოს ან სურათის ჩვენება საერთოდ აკრძალოს. ხელისუფლების განსაკუთრებული გაღიზიანება შანხაის ლარიბთა კვარტალებში გადაღებულმა კადრებმა და ქალაქის პოლიციის მორალურმა იერმა გამოიწვია. ჩინელ ცენზორებს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, დრო კიდევ რჩებათ: პეკინში ფილმის პრემიერა ივლისში იგეგმება. იმ დროისთვის კი, ტომ კრუზის თაყვანისმცემელთა უმრავლესობა, „მისია“-ს მეკობრეული DVD-ის შექმნას თავისუფლად მოასწრებს.

ჩინეთის ცენზურა უცხოური ფილმების ჩვენებას იშვიათად კრძალავს: უცხოური ფილმების წლიური კოტა, მხოლოდ 20 სურათს შეადგენს. ამიტომ, გამჭირავებლები ცდილობენ, ჩინეთის ბაზარზე მხოლოდ ცენზურის თვალსაზრისით უნაკლო და მაყურებლისათვის მიმზიდველი სურათები შეიტანონ. მიუხედავად ამისა, რამდენიმე თვის წინ, გამჭირავებელთა მცდელობა კრახით დასრულდა: რომ მარშალის სურათი „გეიმას მემუარები“ ანტიიამონური განწყობილების მორიგი აფეთქების შიშით, ჩინურ ბაზარზე ვერ მოხვდა. გამჭირავებლებს ცენზურისათვის ენგ ლის „ოსკაროსანი“ „კუზინი მთის“ შეთავაზება არც კი უცდიათ, რადგან იმის ალბათობა, რომ ცენზურა პომოსექსუალისტთა შესახებ შექმნილ სურათს ეკრანებზე გაუშვებს, ნულს უტოლდება.

ბიტი უილიამსი — მისწავლეთა სამსახურში

ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების შემქმნელმა ავსტრიულმა კერძო კომპანიამ — Lern Quadrat დაადგინა, რომ ბავშვებს სასწავლო პროგრამის ათვისებაში ყველაზე უკეთ რობი უილიამსის მუსიკა ეხმარება. კომპანიის მიერ ჩატარებული ცდების დროს, მოსწავლეთა ჯგუფმა ყურადღებასა და ინფორმაციის დამახსოვრებასთან დაკავშირებულ ტესტებს უპასუხა. ამ ამოცანის შესრულების დროს, მოსწავლეები განსხვავებულ მუსიკას უსმენდნენ. ექსპერიმენტის შედეგად — საყოველთაოდ გავრცელებული რწმენა იმის შესახებ, თითქოს, კლასიკური მუსიკა სწავლების პროცესს ხელს უწყობს — მცდარი აღმოჩნდა. მაშინ, როდესაც თანამედროვე პოპმუსრულებელთა სიმღერები ბავშვებში ყურადღების კონცენტრაციას აშკარად აძლიერებს. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ეფექტიანი ამერიკელი მომღერალი ქალის, ანასტასიასა და ბრიტანელი მუსიკოსის, რობი უილიამსის სიმღერები აღმოჩნდა.



„ბიტი და ტაი“ მადრიდში



17 მაისს, კანში, 59-ე საერთაშორისო კინოფესტივალი გაიხსნა. ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარედ, ცნობილი ჩინელი რეჟისორი ვონგ კარვაი აირჩიეს. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ფესტივალის საკონკურსო პროგრამა, ამჯერადაც 3 კატეგორიის ფილმებისგან შედგებოდა: პირველი — ფილმები, რომელთა ნახვა ყველას სურს (ალმოდოვარის „დაბრუნება“, გონსალეს ინიარტიუს „ბაბილონი“, სოფია კოპოლას „მარია ანტონია“). მეორე კატეგორია: ფილმები, რომლებიც ეგზოტიკურ ქვეყნებში მიმდინარე კინოპროცესებს ასახავენ

(თურქი რეჟისორის ნური ბილგე ჯელილანის „კლიმატები“, არგენტინელი ისრაელ ადრიან კაეტანოს „გაქცევის ქრონიკები“, ლოუ ეს „საზაფხულო სასახლე“).

მესამე კატეგორიის სურათები მემარცხენე ცენტრისტული ყაიდის ინტელექტუალთა განწყობილებებს ასახავს (რამიდ ბუშარების „უცხო ტომის ხალხი“, კენ ლოუჩის „ქარი ქერის თავთავებს არხევს“, რიჩარდ ლინკლიტერის „ფასტ-ფუდის ერი“). ქართული მაყურებლისათვის განსაკუთრებით საინტერესოა კანის ფესტივალის კონკურსგარეშე პროგრამა — „განსაკუთრებული ხედვა“, სადაც რუსულ კინემატოგრაფს ქართველი რეჟისორის ნიკოლოზ ხომერეკის ფილმი — „977“ წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2005 წელს ნიკოლოზ ხომერეკის მოკლემეტრაჟიანმა სურათმა „ორნი“, კანის კონკურსზე — „სინფონიადისონი“ — მეორე პრემია მოიპოვა.

კვირ მთის 60.000-გირვანქიანი ამბობი



პალესტინელი ლტოლვილი ბავშვების დასახმარებლად, ლონდონის კლუბში An-nabel საქვემოქმედო აუქციონი მოეწყო, რომლის მთავარ ლოტად ბრიტანელი მოდელის კეიტ მოსის ამბორი იყო წარმოდგენილი. მშვენიერი ლოტის მფლობელი, ინგლისში სიმდიდრით მეოთხე ადგილზე მყოფი, სავაჭრო ქსელის მუპატრონე, 54 წლის ფილიპ გრინი გახდა, რომელმაც მოსის კოცნა 60.000 გირვანქა სტერლინგად შეიძინა. მილიარდერმა შენაძენით სარგებლობის უფლება არ გამოიყენა, რადგან მას გვერდს მეუღლე უმშვენივდა. ფილიპ გრინმა კეიტ მოსის ამბორი აუქციონზე მისსავე მეტოქეს, მსახიობ ჰიუ გრანტის მეგობარ ქალს, ჯემიმე ხანს აჩუქა. თვითმხილველნი ირწმუნებიან, რომ ჯემიმესა და კეიტის კოცნა 1 წუთზე მეტხანს გაგრძელდა...

საქველმოქმედო აუქციონზე სხვა, არანაკლებ საინტერესო ლოტებიც იყო წარმოდგენილი. მაგალითად: გოლფის პარტია ჰიუ გრანტთან ერთად (რომლის დროსაც, ქალბატონ ჯემიმე ხანს, მოთამაშებთან გოლფის სათამაშო ჯოხების მიტანა ევალებოდა) — 12.000 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა; კანტერბერის არქივისკოპოსთან ერთად ჩაის მირთმევის უფლება; მსახიობ ტილდა სუინტონის მიერ („ნარნიას ქრონიკები“) ძილის წინ წაკითხული ზღაპარი და სხვა. აუქციონის შემოსავალმა 200.000 გირვანქა სტერლინგი შეადგინა. ■

კრიტიკული კოდის გამგზავრავი და მათი მავნე ზეგავლენის სავალალო შედეგები

(დასაწყისი იხ. გვ. 8-9)

სულ ცოტა ხნის წინ, კათოლიკური ეკლესიის მეორე პირმა — არქივისკოპოსმა ანჯელო ამატომ ფრიად ნეგატიურად შეაფასა რომანიცა და მისი ეკრანიზაციაც. მან მორწმუნეებს ფილმის ბოიკოტირებისკენ მოუწოდა, სადაც ისევე, როგორც წიგნში, დამახინჯებულია სინამდვილე ქრისტიანთა და „სახარებისეული“ სწავლების შესახებ. „ვინმეს რომ მსგავსი რამის დანერა „ყურანზე“ გაეხედოდა, ეს მთელ მსოფლიოს აღაშფოთებდა, ქრისტიანულ რელიგიაზე თავდასხმა კი, რატომღაც დაუსჯელი რჩება“, — განაცხადა არქივისკოპოსმა. სტუდია Sony Pictures-მა, რომელმაც წინასწარ განჭვრიტა, რომ პრემიერას აუცილებლად მოჰყვებოდა სკანდალი, საკუთარი საიტი გახსნა და ფილმთან დაკავშირებულ დისკუსიაში მონაწილეობისკენ ყველა ასაკის ქრისტიანს მოუწოდა.

მავნე ზეგავლენის სავალალო შედეგები

გაზეთ Telegraph-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგი, ანგლიკანური ეკლესიის მესვეურთათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა: ბრიტანელთა მესამედს, რომელმაც დენ ბრაუნის რომანი „და ვინჩის კოდი“ წაიკითხა, სჯერა, რომ იესო ქრისტეს და მარიამ მაგდალინელს შვილი ჰყავდათ. ამ რწმენას იმ ინგლისელთა 30%-იც იზიარებს, რომელსაც წიგნი არ წაუკითხავს. „და ვინჩის კოდის“ მკითხველთა 17% დარწმუნებულია, რომ კათოლიკური ორგანიზაცია — Opus Dei, რომელსაც რომის აწ გარდაცვლილი პაპი იოანე-პავლე მეორე მფარველობდა, სასტიკი სექტაა. მათ შორის, ვისაც წიგნი არ წაუკითხავს, Opus Dei-ის ბოროტი ზრახვების, მხოლოდ 4%-ს სჯერა. გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 27% ფიქრობს, რომ კათოლიკური ეკლესია ქრისტეს ცხოვრების ფაქტებს ჩქმალავს. ამ აზრს იმ ბრიტანელთა 36%-იც იზიარებს, რომელსაც „კოდი“ წაკითხული აქვს.

ფილმის მსოფლიო პრემიერის წინ, კომპანია Opinion Business-ის შეკითხვებს 1000-მა ინგლისელმა უპასუხა. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 20%-ს „კოდი“ წაკითხული აქვს. გამოკითხვამ ცხადყო, რომ ბრაუნის რომანმა ტრადიციული

ქრისტიანული დოგმებისადმი ბრიტანელთა დამოკიდებულება ძლიერ შეარყია. როგორც ჩანს, ბოლო ხანებში, ადამიანებს ისტორიულ ფაქტებზე მეტად, ეკლესიის რეჟიტაციის შემზღალავი „შეთქმულების თეორიის“ უფრო სწამთ.

ბრაუნმა მოსვენება დაკარგა

ამ დროს კი, ბრაუნი, რომელიც დიდად არც ადრე იკლავდა თავს პუბლიკის წინაშე გამოჩენით, სერიოზულად შემფოთებულია, როგორც პირადი, ასევე საკუთარი ოჯახის წევრების უსაფრთხოებით. მან ნიუ-ჰემფშირის შტატის



ქალაქ რაის მუნიციპალიტეტს წერილობითი თხოვნით მიმართა და მიიღო კიდევ ნებართვა საკუთარი საცხოვრებელი სახლის ორმაგი ღობით შემოფარგვლის თაობაზე. წერილში ბრაუნი უჩივის იმას, რომ მისი სახლის ირგვლივ საეჭვო პირები და პაპარაცები დაძრწიან. თაყვანისცემლები ზოგჯერ ფანჯრებშიც იჭყიტებიან და მწერალს ფოტოებსაც უღებენ. მოკლედ, ბრაუნმა მოსვენება დაკარგა და ახლა სიმშვიდის მოპოვებას ქვის მაღალი გალანითა და ფოლადის მესრის მეშვეობით ცდილობს. ბრაუნმა აღიფიცა, რომ სამუშაოების დამთავრებამდე, საკუთარ სახლში ფეხს არ დაადგამს და ჯერჯერობით, სადაც სხვაგან ცხოვრობს. მისი ადგილსამყოფელი იმაზე მეტადაა გასაიდუმლოებული, ვიდრე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის, დიკ ჩეინის საიდუმლო ბუნებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიკ ჩეინი კონსპირაციისადმი თავისი მანიაკალური დამოკიდებულებით გამოირჩევა. ■



„ვაშნოთ მომავალი“ და ცრიალი მაცხროქანსანი მასოს თვანაზა



ერიქსონი გარეპიონაზა ოცნაზობს

20 და 21 მაისს, ბორჯომში, ახალგაზრდული კლუბების ოლიმპიადა — „ბორჯომი 2006 — ბორჯომი 2014“ ჩატარდა. ღონისძიებაში, მთელი საქართველოს მასშტაბით, სკოლების ბაზაზე დაარსებული 20 კლუბი მონაწილეობდა. კლუბებში უფროსკლასელები — 15-დან 17 წლამდე ასაკის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მოზარდებმა თავიანთი კლუბები სპორტის სხვადასხვა სახეობაში — ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში წარმოადგინეს. პროგრამის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს გაეროს ასოციაცია და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. მისმა მესვეურებმა თავიანთი აღნიშნეს, რომ ახალგაზრდული ოლიმპიადა ერთგვარ აქცესად წარმოადგენდა — ბორჯომის, როგორც 2014 წლის ზაპთრის ოლიმპიადის მასპინძლობაზე აპოკანტი ქალაქის მარდასაქრად. აღიარებენ თუ არა ბორჯომს კანდიდატ ქალაქად, ამას სულ მალე შევიტყობთ. გადამწყვეტილებას მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტი 21 ივნისს მიიღებს.

ორდღიანი ღონისძიებით განსაკუთრებულ კმაყოფილებასა და მადლიერებას გამოთქვამდნენ სკოლების დირექტორები და მასწავლებლები. „შედეგმა ყველა გაგვაოცა. არც ველოდით, ბავშვები ასეთი მობილიზებული და მონდომებულიები თუ იქნებოდნენ“, — აღნიშნა ჩვენიან საუბრისას ბორჯომის მე-8 საშუალო სკოლის კლუბის ხელმძღვანელმა.

ღონისძიება გაეროს ასოციაციის განათლებისა და ახალგაზრდული პროგრამის — „ვაშნოთ მომავალი“ ფარგლებში ჩატარდა. აღნიშნული პროგრამა უკვე ორი წელია, რაც საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ხორციელდება. „ვაშნოთ მომავალს“ აშშ-ის საერთაშორისო სააგენტო აფინანსებს.


სანდრო მახარაძე, გაეროს ასოციაციის განათლებისა და ახალგაზრდული პროგრამების დირექტორი:

— სკოლებში, განსაკუთრებით რეგიონებში, ბავშვებს წლების მანძილზე უმძიმეს პირობებში უზრუნველყოფენ სწავლა. ამის გამო მოზარდები სათანადოდ ვერ ვითარდებოდნენ ვერც შემეცნებით და ვერც სპორტული თვალსაზრისით. პოტენციური კი, მოსწავლეებს ყოველთვის დიდი ჰქონდათ. ჩვენი პროგრამაც — „ვაშნოთ მომავალი“ ნიჭიერი და აქტიური მოზარდების დახმარებას და მათთვის

სასწავლო გარემოსა და პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. გვინდა, ბავშვებს ცხოვრება გაუმჯობესდეს და სტიმული მიეცეთ თავიანთი შესაძლებლობების გამოსავლენად. სწორედ ამ მიზნით, ოცივე კლუბი აღიჭურვა ავეჯით, ტექნიკითა და ინტერნეტის სახით, გარემონტდა ოთახები, სადაც კლუბებია განთავსებული. ტარდება ტრენინგები. საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სკოლები სპორტული ინფრასტრუქტურით უზრუნველყო. ამ პროგრამაში აქამდე ათასამდე მოსწავლე მონაწილეობს. ვცდილობთ, ისინი საგანმანათლებლო სპორტულ, საქველმოქმედო და სხვა სახის ღონისძიებებში ჩაერთონ. ვახორციელებთ საგრანტო პროგრამებსაც. მაგალითად, გასულ კვირას, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში გამოფენა-ფორუმი მოეწყო. კლუბის წევრებმა მათი ხელით დამზადებული ნივთები, ნახატი და საქმიანობის ამსახველი ვიდეომასალა წარმოადგინეს. გამოვლინდნენ გამარჯვებულებიც და თითოეულ მათგანს, პრიზის სახით გრანტი — 300 დოლარი გადაეცა. რაც შეეხება სპორტულ ოლიმპიადას, დასურვის ცერემონია ამ შემთხვევაშიც პომპეზურად და სიურპრიზების თანხლებით ჩატარდა. გაიმართა ამხანაგური თამაში ფეხბურთში კლუბის წევრებსა და ორგანიზატორებს შორის, რომელიც კლუბის წევრების გამარჯვებით დამთავრდა. სხვადასხვა სახეობაში გამოვლენილი გამარჯვებულები საზეიმოდ დაჯილდოვდნენ და მათ მედლები და თასები ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — გიორგი ასანიძემ და ზურაბ ზვიდაურმა გადასცეს. შევეცადეთ, ბავშვებისთვის ნამდვილი ზეიმი მოგვეწყო.

პროგრამაში — „ვაშნოთ მომავალი“ ფიზიკური ნაკლის მქონე ინვალიდმა ბავშვებმაც მიიღეს მონაწილეობა, მასოც ერთი მათგანია. კლუბის წევრებს შორის, ჭადრაკში უძლიერესი აღმოჩნდა თბილისის 180-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე — მასო ჩხარტიშვილი. დაჯილდოების ცერემონიაზე მისი მისამართით გამოხატულ ოცავცეს, მასო თვალცრემლიანი შეხვდა. გვითხრა, რომ ძალიან ბედნიერია და ეს დღე არასდროს დაავიწყდება. პროგრამის ხელმძღვანელებმა კი აღნიშნეს, რომ მასოს, ისევე როგორც დანარჩენ გამარჯვებულებს თუ პროგრამაში მონაწილე სხვა ნიჭიერ ახალგაზრდებს, ახალი წარმატებებისკენ გზას მომავალშიც გაუკავთ.

სვენ-გორან ერიქსონი არ მალავს, რომ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებაზე ოცნებობს. „გერმანიაში წარმატების მიღწევაზე ვოცნებობ და ვფიქრობ, ამისი შანსი გვაქვს, ამიტომ, მის გამოყენებას შევეცდებით. დღეს ინგლისელებს ბოლო 5 წლის მანძილზე, საუკეთესო გუნდი ჰყავთ. არ ვიზიარებ აზრს, რომლის თანახმადაც, ნაკრები ადრინდელზე უარესად თამაშობს. მართალია, ბრაზილიელებთან ნავაგეთ, მაგრამ სწორედ მათ მოიგეს მსოფლიო ჩემპიონატი. ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასულ პორტუგალიელებთან კი, პენალტების სერიაში დავმარცხდით. მიმანჩია, რომ არცთუ ისე ცუდად ვთამაშობთ, რადგან 0:4-ს ან 0:5-ს არასოდეს ვაგებთ“, — დასძენს ერიქსონი, რომელიც იმის გამოა გაღიზიანებული, რომ ინგლისის ნაკრების დატოვების შესახებ ძალიან ადრე მიიღო გადაწყვეტილება. როგორც ცნობილია, იანვარში მას ინგლისის ნაკრების შესახებ არაეთიკური განცხადების გაკეთებაში დასდეს ბრალი. ამის შემდეგ, ფეხბურთის შევდმა სპეციალისტმა გუნდის თავკაცის პოსტის დატოვება განიზრახა. „ურთაადერთი, რაზეც გული მწყდება, ნაკრების დატოვების თარიღის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებაა, — დასძინა ერიქსონმა, — მაშინ განვაცხადე, რომ მთავარი მწვრთნელის თანამდებობას მსოფლიო პირველობის დასრულებისთანავე დატოვებდი. ეს მართალია, მაგრამ აქამდე დარწმუნებული ვარ, ეს გადაწყვეტილება ნაადრევად მივიღე. თუმცა, რას იზამ, ასეთია ცხოვრება“.



„ჩიჭამ“ საბუნდიალო რეჟორდის გაუმჯობესება მოიხადინა

რონალდო გერდ მიულერის მიერ დამყარებული რეჟორდის გაუმჯობესებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელ სუპერფორვარდს მსოფლიო ჩემპიონატებზე 12 გოლი აქვს გატანილი. გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელის მიღწევამდე, მას ორი გოლი აკლია. „კიჭამ“ 1998 და 2002 წლების

ჩემპიონატებზე გამოიჩინა თავი. საგულისხმოა ისიც, რომ იგი მუნდიალზე 1994 წელსაც იმყოფებოდა, მაგრამ სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს თავისი გუნდის მეოთხედ გაჩემპიონებას.

ამჯერად კი, რონალდოს მართლაც მიეცემა გერდ მიულერის მიღწევის არა მარტო გაიმეორების, არამედ გაუმჯობესების შანსიც.

ლიზი სანდალში გახვია

იტალიური საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, სერია A-ში აგორებული სკანდალის გამო, შესაძლოა, პოსტი დატოვოს „სკუადრა აძურას“ მთავარმა მწვრთნელმა, მარჩელო ლიპი. „მონინალმდეგები ძალას იკრებენ“, „ლიზი ბენვის ხიდზე იმყოფება“ — ასეთი სათაურებით გამოვიდა არაერთი წამყვანი იტალიური სპორტული გაზეთი. მაგალითად, Gazzeta dello Sport გვახსენებს, რომ „იუვენტუსში“ მუშაობისას, იტალიის ნაკრების ამჟამინდელი თავაჯი, ანტონიო ჯირაუდოსა და ლუჩანო მოჯის ერთგული იყო. ეს პიროვნებები კი, მსაჯთა საიდუმლოდ დანიშნებთან დაკავშირებულ სკანდალში ფიგურირებენ.



თავად ლიპი კატეგორიულად უარყოფს ნაკრებიდან თავის წასვლას, მაგრამ იტალიაში ბევრი მიიჩნევს, რომ მისი მწვრთნელობა ნეგატიურად იმოქმედებს „სკუადრა აძურას“ იმიჯზე.

STOP! გაუფილტრავ ლუდსა და ჰაზლის ღვინოს

მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს: ჰესენის ეროვნული სასმელი, ვაშლის ღვინო, ფრანკფურტის სტადიონებზე აღარ გაიყიდება. აგრეთვე, მიუნხენში ქომაგებს სტადიონზე ბავარიული თეთრი ლუდის მირთმევის უფლებაც არ ექნებათ. მათ ნაცვლად, სპონსორთა სასმელები გასაღდება.

ალსანიშნავია ის, რომ რეინსა და მაინს შორის მცხოვრებლებში ვაშლის ღვინო ისეთივე პოპულარული სასმელია, როგორც ლუდი. გადაწყვეტილება, მაინის ფრანკფურტის სტადიონზე ვაშლის ღვინის აკრძალვის შესახებ, ფიფა-მ მსოფლიო ჩემპიონატის სპონსორებთან მოლაპარაკების შემდეგ მიიღო. სპონსორთა შორის არიან CoCa-Cola და ლუდის მწარმოებელი კონცენრი Anheuser Bush-ი.

საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლის, იენს გრიტერის თქმით, პირველობის ორგანიზატორებმა საზოგადოებრივი კვების ერთიანი კონცეფცია შეიმუშავეს, რაც მომხმარებლის სასმელებით მომარაგებასაც ითვალისწინებს. ეს კონცეფცია ძალზე კატეგორიულია და არავითარ გამონაკლისს არ უშვებს, ამიტომ, გერმანიის სხვა რეგიონების წარმომადგენელთა მოთხოვნებიც უგულვებელყოფილია. მაგალითად, მიუნხენის სტადიონზე ნაკლებად გაფილტრულ, ბავარიულ ხორბლის ლუდს არ გაყიდნან. მის ნაცვლად, ქომაგებს ამერიკულ Anheuser Bush-სა და გერმანულ Bitburger-ს შესთავაზებენ.

ვაშლის ღვინის მწარმოებლებმა კი, ფიფა-ს გადაწყვეტილება გააკრიტიკეს. ფრანკფურტის ბურგომისტრმა, აპიმ ვანდრაიკემ (რომელიც სპორტის სფეროსაც ხელმძღვანელობს) შენიშნა, რომ ორგანიზატორები საერთოდ არ ითვალისწინებენ ადგილობრივ თავისებურებებს, რომლებსაც სიამოვნებით გაეცნობოდნენ მსოფლიო პირველობის სტუმრები. „ფრანკფურტი ვაშლის ღვინის გარეშე ისეთივე იქნება, როგორც იქნებოდა ფეხბურთი კარის გარეშე“, — ამბობს ვანდრაიკე, რომელიც იმასაც ხაზს უსვამს, რომ ქალაქმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა ტურნირის ორგანიზებისათვის, ამიტომ ფიფა-ს მხრიდან ელემენტარულ დათმობაზე წასვლის უნარის არქონა, მოსახლეობის იმედგაცრუებას იწვევს.

ჩიული იმედგაცრუებული

„ბარსელონასთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებული ლუდოვიკ უიული აცხადებს, რომ თავს გაძარცვულად გრძნობს მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, რაიმონდ დომენეკმა ის გერმანიაში გასამგზავრებელი გუნდის შემადგენლობაში არ შეიყვანა. „მიმანია, რომ ყველა კრიტიკიკოსს ვაკმაყოფილებ, რომლის მიხედვითაც დომენეკი არჩევანს აკეთებდა, — განაცხადა უიული, — მას თავის გუნდში გამოცდილი ფეხბურთელების ხილვა სურდა, რომლებიც ცნობილ კლუბებში თამაშობენ და ამავე დროს მშვიდად არიან, როდესაც სათადარიგოთა სკამზე უხდებთ ჯდომა. ყველა ეს თვისება მაქვს, მაგრამ მწვრთნელმა რატომღაც მინც ჩემი იგნორირება მოახდინა.“

ზიზუს ერთობა სურს

საფრანგეთის ნაკრების ნახევარცენტრმა, ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ მისმა გუნდმა ის მეტროლი სულისკვეთება უნდა დაიბრუნოს, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს ჩაესახა — მაშინ, როდესაც „მალაკინებმა“ 1998 წლის მუნდიალსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე გაიმარჯვეს. „დღეს არაერთი კარგი მოთამაშე გვყავს, მაგრამ ის ღირსება აღარ გვაქვს, რომელიც წლების წინ გვექონდა: კერძოდ კი, ერთობა, როდესაც ყველა ერთ დიდ საერთო საქმეს ემსახურება“, — ამბობს ზიდანი.

ჰელე თავის ავალაზია

ფეხბურთის ქომეგებს კარგად მოეხსენებათ, რომ მუნდიალის დაწყების წინ, პელე საფეხბურთო პროგნოზირებითაა ხოლმე დაკავებული. გამონაკლისი არც წლ-



ევანდელი მუნდიალია. „ფეხბურთის მეფე“ აცხადებს, რომ ბრაზილიის ნაკრებთან ერთად, ინგლისისა და იტალიის გუნდებიც მსოფლიო პირველობის ფავორიტები არიან. „რა თქმა უნდა, საუკეთესო გუნდი ბრაზილიას ჰყავს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება, ადვილი სულაც არ არის, — ამბობს „ფეხბურთის მეფე“, — კარგი შანსები აქვთ იტალიელებსა და ინგლისელებსაც, რომლებიც გერმანიაში, ბოლო წლების განმავლობაში, თავიანთ საუკეთესო გუნდებს ჩაიყვანენ.“



Antara – Opel-ის ახალი ყველაწმავალი

ახალი ყველაწმავალი იმავე პლატფორმაზეა აგებული, რომელზეც Chevrolet Captiva. მისი სიგრძე — 4,57, სიგანე — 1,85, ხოლო სიმაღლე — 1,70 მ-ს შეადგენს. ამავე დროს, იმავე ზომების მიუხედავად, გერმანულ მანქანაში მხოლოდ 5 დასაჯდომი ადგილი იქნება (ამერიკული 7-ადგილიანია).

თავდაპირველად, Antara 3,2 ლ მოცულობის, V6 ტიპის ძრავით და ხუთსაფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფით იქნება აღჭურვილი და მისი სიმძლავრე 224 ცხ.ძ. მიაღწევს. მოგვიანებით, ამ ძრავას კიდევ ორი აგრეგატი — 2,4 ლ მოცულობისა და 141 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის და 2 ლ მოცულობისა და 150 ცხ.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავა შეემატება.

აღსანიშნავია, რომ ახალ ყველაწმავალს გერმანიაში ძლიერი კონკურენტები — Toyota RAV4 და Hyundai Santa Fe დახვდებიან, ცოტა ხანში კი, მათ ახალი თაობის Land Rover Freelander-იც დაუშვებენ გვერდს.

Opel Antara-ს ფასები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. მისი სერიული წარმოება წლის დასაწყისისთვისაა დაგეგმილი.

ცოტა ხნის წინ, გერმანულმა კომპანიამ გაავრცელა ახალი ჯიპის ფოტოსურათები და ინფორმაცია მისი ტექნიკური მახასიათებლების შესახებ. Opel Antara-ს პრემიერა წლეულს შემოდგომაზე, პარიზში დაგეგმილ საერთაშორისო ავტოსალონზე გაიმართება.

ფოტოებით მოხიული „ხოჭო“

გერმანულმა კონცერნმა ლეგენდარული მოდელისთვის — Volkswagen Beetle — საგანგებოდ დამზადებული, ნებოვანი სურათების სერია გამოუშვა. ისინი ამ მარკის მანქანების იმ მფლობელთათვისაა გათვალისწინებული, ვისაც მისი დიზაინი არ აკმაყოფილებს და მის უფრო ფერადოვნად მორთვას მიეღობის. აღნიშნული იდეა „ფოლკსვაგენის“ ბრიტანული დანაყოფის მესვეურებს ეკუთვნის, მის შესასრულებლად კი, ევროპის საუკეთესო დიზაინერები და ილუსტრატორები იყენებენ მინვეულნი. სურათები სხვადასხვა სტილშია გადაწყვეტილი და კომპანიის მესვეურთა ვარაუდით, განსაკუთრებით მიმზიდველი, ახალგაზრდა ავტომფლობელებისთვის იქნება.

„ფოლკსვაგენის“ თაოსნობით ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ VW Beetle-ის მფლობელთა 47%-მა თავის დროზე, სწორედ მისი გამორჩეული, ორიგინალური დიზაინის გამო შეიძინა ეს მანქანა — მაშინ, როდესაც სხვა მარკების მფლობელთა მხოლოდ 20% ასახელებს გარეგნულ მხარეს, მოდელის შერჩევის მთავარ მოტივად. „ხოჭოსანთა“ კიდევ 31%-მა აღნიშნა, რომ სურს, ავტომობილი მაქსიმალურად გამოხატავდეს მის ინდივიდუალობას.



მეტი „ინდივიდუალიზაციის“ მიზნით, VW-ის ბრიტანული ოფისი მომხმარებლებს

სთავაზობს ნებოვანი სურათების მთელ კომპლექტს, რომელიც, როგორც მანქანის ძარას ძირითად ნაწილზე, ასევე მის ცალკეულ მონაკვეთებზე გასაკრავადაა გათვალისწინებული. სურათები ვინილისგანაა დამზადებული და სხვადასხვაგვარი ზემოქმედებისგან მათი მდგრადობის გარანტია 3 წელს აღწევს. ყველაფერ ამის გარდა, სურათების ნებო არ დააზიანებს ძარას საღებავს.

Aston Martin DBS-ის ებიუტი ფილმში შედგება

Aston Martin DB9-ის — რომელსაც DBS-ის სახელი მიენიჭა — დებიუტი კინოში — ჯეიმს ბონდის შესახებ გადაღებულ მორიგ ფილმში შედგება. საეკრანო ეპოპეის ამ ნაწილის, ფილმის — „კაზინო როიალი“ — პრემიერა წლევიანდელი წლის ნოემბრისთვისაა დაგეგმილი, მაგრამ მსოფლიო პრესაში უკვე გამოჩნდა ახალი მოდელის პირველი ოფიციალური ფოტოები. ამ სურათებზე ჩანს, რომ DB9-ის სპორტული ვერსია, საბაზო მოდელთან შედარებით, უფრო აგრესიული იქნება: ძარა აეროდინამიკური „ფარდით“, წინა

ბამპერი — შუა ნაწილში მასიური, ხოლო კუთხეებში — დამატებითი აირშემწოვევებით გამოირჩევა.

მანქანის ინტერიერის მოსართავად, მხოლოდ ალუმინის, კარბონისა და კიდევ ერთი ახალი მასალის — ალკანტარის ფრაგმენტები იქნება გამოყენებული.

ახალი კუპეს ტექნიკური მახასიათებლები ჯერჯერობით, გასაიდუმლოებულია და მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მისი ძრავას სიმძლავრე 450 ცხ.ძ-ს შეადგენს; მანქანა მოდერნიზებული საკიდრით, ტრანსმისიითა და სამუხრუჭე მექანიზმით იქნება აღჭურვილი.





			1 ღლავი	2 ლასო		3 ღმწუვეის მოწმობა				4 ჩეხი მწერალი
						5 ავეჯის ნაწილი				
						6 ... გუდიაშვილი				7 ... ვეკუა
			8 მეჩეთის კოშკი							
										9 იაპონელი კინორეჟისორი
10 სას-ელმწიფო რომის იმპერიაში		11 კლავსო თვითმართვით-ორგანო						12 კურორტი გურიაში		
					13 მსახიობის პირული გაბონვლა სცენაზე	14 ფრანგული გაზის ჯიშები			15 ზღვის დიდი, მტაცებელი თევზი	
					16 გათავისუფლებული ყმა					17 ქალაქი ესპანეთში
18 სკივრი				19 მეფის სასახლე ესპანეთში						
20 იფევა რაც სანთელი					21 ფანჯრიკების რომანი					22 ლიონის სიფრიფანა ფურცელი
					23 საბრძოლო ნადავლი	24 მელდუკელთა ანსამბლი				25 ტუზი
26 ყვაილი		27 მამალი ღომი	28 მემამულე ინდოეთში					29 კარგი ამინდი		30 სამშენებლო მასალა
			31 ახალი ვენახი							
32 ამერიკის შტატი						33 ფერთა შენამება				34 ნარნარი ფრენა
	35 წლუვანე-ღა									
						36 აფრიკული ქვეყანა				
	37 პლანეტის თანამგზავრი	38 ქართული რაგბი	39 პიტალო კლდე							
								40 უდაბლო პნიაში		
	41 ისტ. ღლუქი ესპანეთში									42 ინგლისელი პოეტი



წინა ნომრის სკანოკრილის პასუხები
 1. მიჩიგანი; 2. გრამოფონი; 3. გალავანი; 4. ლუსაკა; 5. ვერაგი; 6. რა; 7. კომონო; 8. ანაკონდა; 9. ჩამჩა; 10. ჯიქი; 11. ღივერპული; 12. დირიფაბლი; 13. კომონო; 14. ოსკარი; 15. მოკასინი; 16. ტირანა; 17. მილა; 18. გრემასა; 19. ბზა; 20. ვორონინი; 21. ღიმიტი; 22. სექტა; 23. პლანეტონი; 24. ოფიცერი; 25. ანისი; 26. გვერდი; 27. ივრითი; 28. არკებუზი; 29. ოქტავა; 30. უბინო; 31. კუ; 32. სალონი; 33. ტიტრი; 34. პროვიზორი; 35. ზედაში; 36. ნოტა; 37. მინდი; 38. თელა; 39. პო; 40. ღიბია; 41. აზია; 42. მია; 43. ნეზვი; 44. შტო; 45. ყიფინა.
 სურათებზე: მინა სუვარი, პატრიკ სუეიზი.

kviris astrologiuri prognози

(25 – 31 maii)

პირი 21.03-20.04

შეეცადეთ, რომანტიკულ ავანტიურ-აში არ გაუბათ და საყვარელ ადამიანს, რაღაც წვრღმანების გამო, გული არ დასწყვიტოთ. იყავით დამთმობი და უფრო მეტ პატივისცემას დაიმსახუროთ. შაბათი წარმატებული დღეა საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის მოსაგვარებლად.

კვირი 21.04-20.05

ამ კვირაში, საყვარელი ადამიანის გეგმებსა თუ მოსაზრებებს ანგარიში აუცილებლად უნდა გაუწიოთ, რათა ყოველგვარი უსიამოვნება თავიდან აიცილოთ. ორშაბათს შესაძლებელია დაიწყოს საიდუმლო, სასიყვარულო ურთიერთობა. შაბათი და კვირა კარგი დღეებია შეხვედრებისა თუ პაემნებისთვის.

ტყუპი 21.05-21.06

ვარსკვლავები გირჩევენ, რომ დროა, სიყვარულზე იფიქროთ. ის თქვენი მშვიდი ცხოვრების რიტმს შეცვლის და მომავლის მოქმედების გეგმასაც გიკარნახებთ. თქვენ ადვილად დაივიწყებთ წარსულს და დაუფერებელ რომანტიკულ მოგზაურობაში წახვალთ.

კიბო 22.06-22.07

თუ ოთხშაბათს ემოციურობა გძლევთ, შეეცადეთ, მას ლაგამი ამოსდოთ, თორემ ყოველივე ამით შეიძლება, საყვარელი ადამიანიც კი გააკვირვოთ. ეს კვირა შეუფერელი დროა ჩხუბისა და ურთიერთობების გარკვევისთვის. შაბათ-კვირა კი, წარმატებულია პაემნებისთვის.

ლონი 23.07-23.08

ოთხშაბათს მონიდომებთ საყვარელ ადამიანს დაშორდეთ მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ცხოვრებისეულ საკითხებზე განსხვავებული შეხედულებები გაქვთ. სანამ რამეს გადაწყვეტთ, კარგად დაფიქრდით. შაბათი კარგი დღეა შექმნილი სიტუაციიდან თავის დასაღწევად. ძვირფასი ადამიანისთვის კომპრომისზეც წახვალთ.

ძალწული 24.08-23.09

კვირის დასაწყისში იგრძნობთ, თუ როგორი წარმატება გელით სასიყვარულო ფრონტზე. შაბათი შეიძლება გახდეს ამ კვირის ყველაზე საუკეთესო და რომანტიკული დღე — თქვენ თავს სამოთხეში იგრძნობთ.

სასწორი 24.09-23.10

გინდათ, რომანტიკული ვნების შარავანდედი? კიდევ ერთი ნაბიჯი და საყვარელ ადამიანთან ერთად თავს დაკარგავთ! ეს ყველაფერი ნამდვილად ისეა, როგორც გგონიათ? ყოველი თქვენი საქციელი და მოსაზრება ყურადღებით გადაამოწმეთ და საკუთარი რჩეული სწორად შეაფასეთ.

მორიელი 24.10-22.11

ამ კვირას, თქვენ ლურჯი ფრინველის დაჭერას კი არა, მის შეჩერებას უნდა შეეცადოთ. არავის მისცეთ უფლება, თქვენს ურთიერთობაში ჩაერიოს, თუნდაც, ის ყველაზე ახლო მეგობარი იყოს.

მზილწული 23.11-21.12

ამ კვირას, თქვენ მოახერხებთ ურთიერთობის გარკვევას დაპირისპირებულ მხარესთან. სამშაბათს და პარასკევს გექნება წარმატებული შეხვედრა და პაემანი. პარასკევს კი, გაგიჩნდება შანსი — სტუმრად ყოფნისას შეხვდეთ თქვენი ცხოვრების მეგზურს.

თხის რაზ 22.12-20.01

ყოველ მომდევნო დღეს, თქვენ უფრო მეტად დაგაინტერესებთ საყვარელი ადამიანი, მოგინდებათ, რომ მას გაუზიაროთ საკუთარი აზრები და გრძნობები. გირჩევენ, რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროთ ერთად. ხუთშაბათს შესაძლებელია, ერთმანეთში კამათი მოგივიდეთ. უბრალოდ, რაღაც საკითხში ერთმანეთს ვერ გაუგებთ. პარასკევს კი, ურთიერთობა კვლავ აენციობა, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ორივე კომპრომისზე წახვალთ.

მარწყული 21.01-19.02

ფორტუნა ჭირვეულობს — შესაძლოა, გაგიჩნდეთ პრობლემები საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში. შეეცადეთ, დაძაბული სიტუაცია არ გააღრმავოთ. შუა კვირაში, სიტუაცია შეიცვლება და თქვენ ერთმანეთს გაუგებთ. შაბათს, მოსალოდნელია საინტერესო შეხვედრა.

თიფუბი 20.02-20.03

დაიოკეთ საკუთარი გრძნობები, დამშვიდდით და სერიოზულად იფიქრეთ არსებული სიტუაციის მოგვარებაზე, გაერკვიეთ საკუთარ გრძნობებში, რეალისტურად იფიქრეთ მომავალზე და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედეთ.

რამდენად პარბად გეგმით საპირისპირო სქმნის?

მამაკაცი და ქალი ერთსა და იმავე სიტუაციაზე სხვადასხვაგვარად რეაგირებს. გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და თქვენ მიიღებთ პასუხს შეკითხვაზე, რამდენად კარგად გესმით საპირისპირო სქესის?

კითხვები:

1. ორი ადამიანი ხსნის კანფეტის კოლოფს. ერთ-ერთი მათგანი პირში იღებს მთელ კანფეტს და ისე გეახლებათ, მეორე კი ცოტას მოკბენს, რათა ნახოს, თუ როგორი შიგთავსი აქვს მას. რომელია მეორე მათგანი — ქალი თუ მამაკაცი?

2. მეგობრების კომპანიაში ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, რომ ადამიანებს შორის ცოტა ვინმე თუ გამოჩნდება ისეთი, ვინც მთვარეზე გაფრენას ისურვებდა. ერთ-ერთი იქ მყოფთაგანი უყოყმანოდ დაეთანხმა ამ აზრს. მეორემ კი განაცხადა, რომ ეს, ასე არ არის: „არ მჯერა. პირადად მე, დიდი სიამოვნებით გავფრინდებოდი მთვარეზე!“ ვინ იტყვოდა ამ სიტყვებს — ქალი თუ მამაკაცი?

3. საღამოს ცოლ-ქმარი ტელევიზორს უყურებს, გვერდით ოთახში კი ავადმყოფ ბავშვს სძინავს. მეუღლეთაგან ერთ-ერთი ამბობს: „ნუ იღლევა, ბავშვი უკვე უკეთესად არის და ალბათ, მალე გამოჯანმრთელდება კიდევ!“ ვინ შეამჩნია მეუღლის მღელვარება — ცოლმა თუ ქმარმა?

4. ცოლ-ქმარი რესტორანში სადილობს. ერთ-ერთი მათგანი ეგზოტიკური დასახელების მქონე უცხო კერძს უკვებთ, მეორე — კარგად ნაცნობს. რომელი მათ-

განია ცნობისმოყვარე გურმანი — ცოლი თუ ქმარი?

5. მაღაზიაში, მარჯვნივ განთავსებულ დასლებზე ახალგაშთვებული სამრეწველო ნაწარმი აწყვია, მარცხნივ — უკვე კარგად ნაცნობი პროდუქცია. ვინ დაინტერესდება მრეწველობის სიახლეებით — ცოლი თუ ქმარი?

6. ცოტაც და, მსუბუქ ავტომობილში ბენზინი გამოიღევა.

მეუღლეთაგან ერთ-ერთი თავის მეორე ნახევარს უახლოეს ბენზინგასამართ სადგურზე შეჩერებასა და მანქანაში სანავაგის ჩასხმას ურჩევს, მეორე კი, მომდევნო ბენზინგასამართ სადგურზე შეჩერებას ამჯობინებს, რადგან იქ უფრო გულისხმიერი და ყურადღებიანი მომსახურე პერსონალია. ვინ ამჯობინებს მოცდას — ცოლი თუ ქმარი?

7. მეგობართან სტუმრად მიმავალი ცოლ-ქმარი მის სახლს ეძებს. ერთ-ერთი მათგანი ამბობს: „უმჯობესია, გამვეღებო ვკითხოთ“; მეორე არ ეთანხმება და აცხადებს: „სხვების დაუსმარებლად, თვითონაც მშვენივრად მივაგნებთ!“ ვინ ამჯობინებს სახლის თავად მიგნებას — ცოლი თუ ქმარი?

8. გაჩერებულ ატომობილში მჯდომ ცოლ-ქმარს სხვა მანქანის მძღოლი ეუბნება: „ვგონებ, თქვენს მანქანას საბურავი დაშვებული აქვს!“ საჭესთან მჯდომი პასუხობს: „არა უშავს, როგორღაც მივალწვეთ სახლამდე!“ გვერდით მჯდომი კი, თავის მეორე ნახევარს არ ეთანხმება: „ის მაინც ხომ უნდა გავარკვიოთ, თუ რაშია საქმე?!“ ვინ

უზის საჭეს — ცოლი თუ ქმარი?

9. გზაჯვარედინზე, შუქნიშნის წითელ შუქზე, ერთმანეთის გვერდით, სამ რიგში, სამი მანქანა გაჩერდა. როცა მწვანე აინთო, ერთ-ერთმა მძღოლმა სწრაფად მოსწყვიტა მანქანა ადგილს, რათა „ლიდერის პოზიციაზე“ გასულიყო. ვინ არის ის — ქალი თუ მამაკაცი?

10. კინოთეატრში ძალზე სუ-



ლისშემძვრელ ფილმს უჩვენებენ. ვის უფრო მეტად ააღელვებს ეკრანზე ნაჩვენები ტრაგიკული სცენები — ცოლს თუ ქმარს?

პასუხები:

1. ქალი. მამაკაცები ასეთი წვრილმანებით არ ინტერესდებიან, მით უფრო, რომ ლაპარაკია კანფეტებზე.
2. ეს შეიძლება თქვას, როგორც ქალმა, ასევე მამაკაცმა. მამაკაცმა — იმის დასამტკიცებლად, რომ ის უშიშარი; ქალმა — რათა ხაზი გაუსვას იმას, რომ თავის არჩევანსა და მსჯელობაში, ის აბსოლუტურად თავისუფალია.
3. ქმარმა. ექსტრემალურ პირობებში მამაკაცები უფრო კარგად სწვდებიან ქალის სულს, ვიდრე ქალები მამაკაცისას.
4. ცოლი. ქალების უმრავლესობა კული-

ნარიული საიდუმლოებებისა და სიახლეების მიმართ გულგრილი არ გახლავთ.

5. ქმარი. რაც შეეხება სამრეწველო სიახლეებს, ამ სფეროსადმი მამაკაცები უფრო მეტ ინტერესს ავლენენ.

6. ქმარი. მამაკაცი უფრო ადვილად რისკავს და აქვს იმის იმედი, რომ გაუმართლებს. ქალები ამგვარ სიტუაციაში სიფრთხილეს იჩენენ, რათა თავიდან აიცილონ ზედმეტი ნერვიულობა.

7. ქმარი. მას არ სურს, თავისი უსუსურობა დაანახვოს მეუღლეს. ქალისთვის კი, უცხოა მოჩვენებითი თავდაჯერებულობა, მით უმეტეს, რომ ქალები უფრო კომუნიკაბელურებიც არიან.

8. ცოლი. ფსიქოლოგები ერთხმად აღიარებენ, რომ საკუთარი ავტომობილის ტექნიკური გაუმართაობა მამაკაცს უფრო მეტად ააღელვებს, ვიდრე ქალს.

9. მამაკაცი. მეტოქეობის გრძნობა, მამაკაცებს უფრო განვითარებული აქვთ. ქალი-მძღოლი ბევრად უფრო წინდახედული და ფრთხილია, ის ძალზე იშვიათად ავითარებს დიდ სიჩქარეს და ტრანსპორტით გადაჭედულ ქუჩაზე არასოდეს გამართავს რბოლას.

10. ცოლსაც და ქმარსაც. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ქალებს და მამაკაცებს ძალზე ბევრი რამ აქვთ საერთო, მათ შორის, ემოციებიც. მოცემულ შემთხვევაში, მათ შეიძლება ერთნაირად მსაფრინ განცდა ჰქონდეთ, მაგრამ ქალმა შესაძლოა თავისი ემოცია დაუფარავად — ცრემლებითაც გამოხატოს, მამაკაცი კი, მხოლოდ ქურდულად თუ მოინმენდს თვალზე მომდგარ აბეზარ ცრემლს.

ახლა კი გავარკვიოთ ისიც, თუ რამდენად კარგად იცნობთ თქვენ ერთმანეთს. ყოველ სწორ პასუხში დაინერეთ ერთი ქულა, მეთათე შეკითხვაზე სწორად გაცემულ პასუხში კი დაინერეთ ორი ქულა.

ტესტის შედეგები

3 ან ნაკლები ქულა: სავარაუდოა, რომ საპირისპირო სქესზე თქვენ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გაქვთ.
4-8 ქულა: საწინააღმდეგო სქესის აზრებში,

გრძნობებსა და სურვილებში საკმაოდ კარგად ერკვევით.
9-10 ქულა: უნდა ითქვას, რომ თქვენ დახვეწილი ფსიქოლოგი ბრძანდებით.

ჯანობიერია ჯანოვნიერა

* * *

წვეულებაზე მყოფმა მარკ ტვენმა ერთ-ერთ ქალბატონს კომპლიმენტი უთხრა — საოცრად მომხიბვლელი ბრძანდებითო. მაგრამ ქალი, მწერლის თაყვანისმცემელთა რიგს არ მიეკუთვნებოდა და აგდებულად მიუგო:

— სამწუხაროდ, თქვენზე იმავეს ვერაფრით ვიტყვი...

მარკ ტვენის „ჩაჭრა“ იოლი საქმე როდი იყო: მან უმალ უპასუხა თავებდ ქალბატონს:

— თუ ასეა, თქვენც ჩემსავით, ტყუილი უნდა გეთქვათ...

* * *

ერთხელ, ვოლტერს ჰკითხეს:

— თუ არსებობს რაიმე ამქვეყნად, რაც თქვენი მომკვდინებელი ირონიისა და სარკაზმის ობიექტად არ ქცეულა?

ვოლტერმა მშვიდად მიუგო:

— რასაკვირველია, არსებობს: ჩემი ირონიის ობიექტად არასოდეს ავირჩევ საკუთარ თავს.

* * *

ვოლტერი სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა და ხელგაშლილად უმასპინძლებოდა ფერენის სასახლეში მასთან ჩასულ ადამიანებს. ერთ-ერთმა სტუმარმა, რომელიც, როგორც ჩანს, მწერალს დიდად არ ეჭაშნიკა, სურვილი გამოთქვა, 6-7 კვირა გაეტარებინა მასთან. ვოლტერმა ხელები გამალა:

— მეონი, თქვენ გასურთ, დონ კისოტს დაემსგავსოთ, ოღონდ — მას სასახლეებად სასტუმროები ეჩვენებოდა, თქვენ კი, პირიქით — სასახლეს სასტუმროდ აღიქვამთ...

* * *

ბრამსის ერთ-ერთმა არისტოკრატმა მეგობარმა დიდი წვეულება მოაწყო და კომპოზიტორი დაპატიჟა. ბრამსს ცოტათი დააგვიანდა და სუფრასთან უკვე შეკრებილი სოლიდური საზოგადოება დახვდა. მისდამი დიდი პატივისცემის საზგასამელად, მასპინძელმა თქვა:

— ქალბატონებო და ბატონებო, დღეს ჩემს სახლს აქ მობრძანებით პატივი დასდოდ დიდმა კომპოზიტორმა, იოჰანეს ბრამსმა. ამიტომ, მე ვბრძანებ, რომ ჩემი სარდაფიდან საუკეთესო ღვინო ამოეტანათ. თქვენ დარწმუნდებით — ეს, ასე ვთქვათ, „ბრამსია“ ჩემს ღვინოებს შორის!..



მცირე ხნის შემდეგ, მასპინძელმა კომპოზიტორს ჰკითხა:

— ძვირფასო მასტრო, როგორ მოგეწონათ ჩემი „ბრამსი“?

— მართლაც, ურიგო არ არის, — მიუგო კომპოზიტორმა და დასძინა: — მაგრამ თავს უფლებას მიცემ, მაინც გკითხოთ: შემთხვევით, თქვენს სარდაფში „ბეთჰოვენიც“ ხომ არ გაქვთ?..

იაპონური სენსაშია

სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულეების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩანეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოერდეს. სწორად ამოსხნილ სუდოკუსში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუსს. გისურვებთ წარმატებას!

2	5	7	8	4	9	3	1	6
4	6	3	7	5	1	2	8	9
8	9	1	3	2	6	4	5	7
1	8	9	5	6	4	7	3	2
3	2	5	9	1	7	6	4	8
6	7	4	2	3	8	5	9	1
7	1	2	4	9	3	8	6	5
5	4	6	1	8	2	9	7	3
9	3	8	6	7	5	1	2	4

9	8	6	4	7	3	1	5	2
3	4	7	5	2	1	8	9	6
5	2	1	8	9	6	7	3	4
1	7	8	3	6	2	5	4	9
2	5	3	9	1	4	6	7	8
4	6	9	7	5	8	3	2	1
7	3	2	6	8	9	4	1	5
8	1	4	2	3	5	9	6	7
6	9	5	1	4	7	2	8	3


* მარტივი

6		8	4				3	1
5		9	3				4	6
2			6	1	5		9	8
	8	1		4		9	7	
	2	6	5	9	3	8	1	
	5	4		8		6	2	
8	6		9	3	4			2
1	3				7	4		9
4	9				2	3		7

* * საშუალო




4					6	9	3	5	1
9	8	1				5		7	
5	3				4	7		2	
3	6	8	2	9			5		
			5	6		4	1		
			4		5	3	6	9	8
	4			5	1			6	3
	5			9			2	8	4
6	7	2	4	3					5

ფოტოკუჩიონები



634 / 22

Il. Premier by Dead Sea Premier



ՀՈՒՅՎԱԾ ՆԱՆԻՏՉՎՈՐՈՒԹՅԱՆ ԽՆՁՈՒՆ ԴՐՈՒՄԻՆԻ ՆԱԾԱՏԺՅԻՆ Premier-ՈՆԱԾՆԵ

ԿՄՉՎԱԾՈՒՄԻ ԵՎ ՆԱԾԱՅԻՏՎՈՐ ԿՐԵՄՆԵՐ



ՆՈՒ: (+995 32) 45 33 88
ՑՈՒ: (+995 99) 54 66 66
Ց.Յ.Ն. Ո.Ց. ՅԻՉՈՒՄԻՆ